ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

3-4

1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

სძინავს, საქართველოს სძინავს

ანზორ თავართქილაძეს

ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად,
არ გინდა ხმაური და განგაში,
სძინავს, საქართველოს სძინავს,
სძინავს ცაცხვისძირა საფლავში.

სძინავს, ძილშიც შესმის ფშვინვა,
სძინავს მწარე ძილით, ნაღდად,
სძინავს, ასე იყო წინათ,
სძინავს, ასე არის ახლაც.

ხედავ, დილით ისევ იწვიმა,
იქნებ გააღვიძო, სცადე!..
გწამდეს, მართალია მიწიდან,
მიწიდან დაწყებული ცამდე!..

ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად,
არ გინდა ხმაური და განგაში,
სძინავს, საქართველოს სძინავს,
სძინავს მამა-პაპის საფლავში.

სძინავს, საქართველოს სძინავს,
სძინავს უმძიმესი ძილით,
სძინავს გულუბრყვილოდ მღიმარს,
სძინავს გამოთხრილი ძირით...

ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად,
არ გინდა ხმაური და განგაში,
სძინავს, საქართველოს სძინავს,
სძინავს ჩემი შვილის საფლავში.

ჯანო ჯანელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა

მარტი-აპრილი, № 3-4

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჟელური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსულ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
შანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე
მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. **ფსალმუნები** — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

7. **რეზო ჭეიშვილი** — ყაჩალები. მოთხრობა

107. **ქანა ოთხვანი** — ლექსები

109. **ზურაბ ჭუბაბრია** — ბრწყინვალე ჩონჩხები. რომანი. დასასრული

133. **შალვა ბაკურაძე** — ლექსები

139. **ლანა კალანდია** — ტრაგიკული რექვიემი

141. **გიგი ბერაია** — ლექსები

ახალი თარგმანები

144. **ივან დრაჩი, ვასილ სტუსი** — ლექსები. უკრაინულიდან თარგმნა **სოსო ჩოჩიამ**

146. **სვეტლანა ალილუევა** — წიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. რუსულიდან თარგმნა **ჯუგბერ თითმერიამ**

უნივერსიტეტი — 75

160. **გოგი ციციშვილი** — გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები. დასასრული

წერილები

172. **თენგიზ ჩხაიძე — პიროვნება** — „უხვთიერესი მოვლენა“

180. **ჯემალ მეხრიშვილი** — ცრურწმენის მორევი

190. **ჯაბა სამუშია** — ვარიაგების მოწვევისა და სასრეთის ჭალისთავს მოახდარი ოვის ლათარიდებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ს ა ლ მ უ ნ ე ბ ი

ფსალმუნი 45

ლოტბარისადმი. შროშნის საკრავზე. კორახის ძეთათვის.
მოძღვრება. სიმღერა სიყვარულისა.

2. ჩემი გულიდან მოიღვრება კეთილი სიტყვა,
ვხმობ: მეფისაა ქმედება ჩემი
და ჩემი ენა კალამია
გაწაფულ მწერლის.

3. მშვენიერი ხარ — მშვენებით შენით გამორჩეული
ყოველთა შორის,
შენს ბაგეებში ჩაღვრილა მადლი,
ღმერთმა ამიტომ განგადიდა უკუნისამდე.

4. წელზე მახვილი შემოირტყი,
ძალგულოვანო,
ღირსებით შენით,
შენმიერი დიდებულებით.

5. წინ წაიმძღვარე მშვენება შენი,
რომ დაიმკვიდრო ჭეშმარიტების, მორჩილების და
სიმართლის ეტლი,
და სასწაულებს გაგიცხადებს
მარჯვენი შენი.

6. წამახულია შენი ისრები, —
ვანირთხმევიან ხალხები შენს წინ, —
მეფის ორგულებს
სასიკვდილოდ განეწონება.

7. საყდარი შენი უკუნითი უკუნისამდე
ჰგიეს, უფალო,
სამართლის კვერთხი —
კვერთხი შენი მეუფებისა.

8. გიყვარს სიმართლე,
შეიძულე უკეთურება,
მიტომ გცხო ღმერთმა საცხებელი სიხარულისა
მოყვასთა შენთა უპირატესად.

9. როგორც ზმირინი, დარიჩინი,
როგორც ალოე —
ფშვენს შენეული შესამოსელი,
სპილოსძვლისდარი დარბაზებიდან
გიგალობენ საკრავთა ხმები.

გ-გრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ. 1, 1994 წ. 1-2, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ხოლო ასულნი მეუფეთანი
მშვენობენ შენთა სეფექალთა ასაბიებში
და დედოფალი —
ხელმარჯვნივ მდგარი —
ისამშვენისებს ოფირის ოქროს.

11. მაშ, მოისმინე, ასულო ჩემო, მოიხედე და
მომაპყარ ყური:
აწ დაივიწყე ხალხი შენი და
სახლი იგი
მამისეული.

12. მშვენება შენი
ეთნევა მეფეს,
განადიდე და
შეამკე იგი,
რადგან ის არის უფალი შენი.

13. ძღვენით — ასულნი ტვიროსისა,
ერის თავადნი —
წინაშე შენსა მოდგებიან ხვეწნა-მუდარით.

14. მეფის ასულის წიაღშია ყოვლი დიდება,
ოქრომკედებით მოოქვილა
სამოსი მისი.

15. მოქარგულ კაბით მოჰვვრიან მეფეს
და მის კვალდაკვალ ქალწულები —
დობილნი მისნი —
გეახლებიან მხევალთა დარად.

16. მოვლენ ლხინით და
საგალობლებით
და სამეუფო დარბაზებში
შებრძანდებიან.

17. დაიმკვიდრებენ ძენი შენი
მამათა ადგილს
და შენ მათ მთელი დედამიწის
მთავრებად დასხამ.

18. ნათესავიდან ნათესავამდე მოვიხსენიებ
შენეულ სახელს,
ხოლო ხალხები —
ხოტბა-გადიობით
განგადიდებენ უკუნითი უკუნისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 46

ლოტბარისადმი. კორახის ძეთათვის. ალამოთის საკრავზე.
სიმღერა.

2. ღმერთია ჩვენი ფარი და
ძალი —
შეჭირვების ჟამს
შესაწევნად თანამყოფელი.

3. და ამიტომაც არა გვეშინის, როს დედამიწა
შეტორტმანდება
და როცა მთები შეძრწუნდება ზღვათა წიაღში.

4. დე, ახმაურდნენ, აქაფდნენ წყალნი,
მთები შეიძრან
მათმიერი ღელვა-დუღილით;

5. წყლის ნაკადებმა
განადიდონ ღმერთის ქალაქი,
უზენაესის
უწმინდესი ნავსაყუდარი.

6. ღმერთი მასთან არს —
არასოდეს წაბორძიკდება,
გამჩენი თვისი შეეწევა
გამთენიისას.

7. აღიძრებიან ქვეყნად წარმართნი და სამეფონი
შეტოკდებიან,
ხოლო უფალი გამოსცემს ხმას და
ქვეყანა მთელი
მეყვსეულად გაცამტვერდება.

8. უფალი ჩვენი ჩვენთანაა —
ღმერთი საბაოთ:
ჩვენი შემწე და
ხელთაღმჰყრობელი,
იაკობის მფარველი ღმერთი.

9. მოდით, იხილეთ
საქმენი უფლის —
როგორ მოსრა და მოაოხრა
მთელი ქვეყანა.

10. ომიანობას აღუდგება ქვეყნის კიდემდე,
მშვილდებს შემუსრავს,
შუბებს დაამსხვრევს,
ცეცხლით დაბუგავს საომარ ეტლებს.

11. შეიცადეთ და
შეისმინეთ, რომ მე ღმერთი ვარ —
წარმართთა შორის აღზევებული
და ქვეყანაზე ამაღლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. უფალი ჩვენი ჩვენთანაა —
ღმერთი საბაოთ:
ჩვენი შემწე და
ხელთაღმჰყრობელი —
ააკობის მფარველი ღმერთი.

ფსალმუნი 47

ლოტბარისადმი. კორახის ძეთათვის. ფსალმუნი.

2. ხალხნო ყოველნო,
დაჰკარით ტაში,
ღმერთს შეჰღაღადეთ
ვალობის ხმებით.

3. რადგან მკაცრი და შიშისმგვრელია უზეშთაესი
უფალი ჩვენი,
მთელ ქვეყანაზე განფენილა
მეფობა მისი.

4. დაგვიქვეითებს მორჩილად ხალხებს,
წარმართთა ტომებს
განგვირთხამს ფეხქვეშ, —

5. რომ დაგვიმკვიდროს ჩვენეული მემკვიდრეობა,
მშვენიერება ააკობის,
ვინც სიყვარულით შეითნო თვითვე.

6. აღზევდა ღმერთი საგალობლებით —
საყვირთა ხმებით აღემაღლა
უფალი ჩვენი.

7. ღმერთს უგალობეთ,
უგალობეთ ვალობის ხმებით,
საგალობლებით უგალობეთ
მეუფეს ჩვენსას.

8. რამეთუ ღმერთი
უფალია მთელი ქვეყნისა,
გულმეცნიერთა
სიმღერებით შეეხმიანეთ.

9. მეუფებს ღმერთი წარმართთა ზედა
და თავის წმინდა საბრძანისზე
მბრძანებლობს ღმერთი.

10. და ღმრთისა თანა აბრაჰამისა შემოკრებილან
მთავარნი ერთა,
რამეთუ ოდენ ღმერთისაა
ძალნი მიწისა —
აღზევდეს ყოვლით სუფევა მისი!
(გაგრძელება იქნება)

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ყაჩაღები

მოთხრობა

იმ მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ტფილისში, სასახლის თეთრ დარბაზში 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მეორე დღეს ქუთაისში, მთავარანგელოზების ეკლესიის წინ, აყვავილებულ იასამნებთან ნასალდათარმა ფარნაოზ მორჩიძემ მაუზერის ტყვიით მოკლა გვარდიის ოფიცერი ძახველაშვილი.

ვარდობისთვეში, მყვირალობისას შეეჩეხნენ ერთმანეთს. სამხრეთამძვრალი, ხაკის ხალათი ეცვა. ტანმორჩილი, ბობრი, თხელი თმა-ულვაშით შებალნული გამომწვევად უყურებდა ხალხს, რომელსაც მისთვის არა დაეშავებინა რა. მოკლა მამაკაცურ მომხიბვლელობაში თვითდაჯერებული, ქალების რისხვა, თანასოფლელი, კადეტთა კორპუსში ბავშვობაში მიბარებული აზნაურიშვილი. უფლებების გადანაწილებამ, რევოლუციას რომ მოყვება ხოლმე, წოდებათა დაუსაბუთებელმა ქედმაღლობამ, თაობდან თაობაში დაგროვილმა ბოღმამ დაღუპა მრავალი, — მილიონიდან ორი იმ დღეს.

დიტიკო ძახველაშვილი ლიერით გამოიწიაო, თავი იმართლა მორჩიძემ, სხვა ვერა გაიხსენა თითქოს და ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას დაშორებული ლექსი დაგვიტოვა სამგიერად. ლექსი დებმა შემოინახეს სამახსოვროდ. ღავახურე თავსაფარიო, ხაზგასმითა აქვს ნათქვამი.

შემდეგ:

...უსამართლობას რომ ვხედავ, მიტომა მაქვს გული ჭრელი.

პირადიდან ზოგადზე გადასვლის შინაგანი მოთხოვნილება. უსამართლობისათვის ომი. ეს იყო და იქნება მარტივი, თუმცაღა მარადიული მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი. უკანონობას ებრძოდნენ უკანონობით, მალავდნენ მეს და ამკვიდრებდნენ სიმართლეს უსამართლობით, წესრიგს უწესრიგობით, ზნეობას უზნეობით.

ყოველნაირი ბრძოლა სამართლიანია ერთისათვის: დაჩაგრული ებრძვის მჩაგვრელს, მჩაგვრელი ჩაგრულს, კარგი გლახას, გლახა კარგს — ყოველნაირი ღირსებებით შემკულს, სინამდვილეში ჭიანს; გრძნობს და ვერ ხვდება იგი, გამოფუტურებული რომაა; ინარჩუნებს უპირატესობას, რომელიც არაფრით დაუმსახურებია.

რევოლუცია შურისძიებაა. კერძო ინტერესები მთლიანდება რადაც მომენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, მალევე იშლება, ნაწევრდება, საწყის მდგომარეობას უბრუნდება. არავინ იფიქროს, რომ კლასი კლასის წინააღმდეგ არ იბრძოდა და არ იბრძოლებს კველავ. ვერც გაასწორებენ, ვერც გასწორდებიან. უკანანა წინ და წინანი უკან, შემდეგ პირიქით.

და დაუსრულებლივ.

ულალატებენ ღმერთს ღმერთის სახელით, ხალხს და მეფეს ხალხის სახელით. შემდეგ იტყვიან: მეფე გვინდაო.

მეფე!

ფარნაოზ მორჩიძის ლექსი კი, გიტარაზე დასამღერებლადაც რომ არ გამოდგა, ასე მთავრდება: თოფი, ტყვია და წამალი, ვიცი, ჩვენში დაფასდება.

აკი დაფასდა.

ენკენისთვეა. 1993 წელი. საქართველოს ისტორიის შავბნელი დრო.

წმინდა ნინოს ტროპარი:

დედისა ღვთისა მიერ ქვეყანასა ამას ჩვენსა მოვლინებულმან და წმიდათა ხელთა მისთა მიერ ჯვარისა ვაზისა მიმღებელმან, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბე და მიჰგვარე ქართველნი ღმერთსა ჭეშმარიტსა. დედაო, წმიდაო, ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

მამალი შეწირეს დეზებიანად გოგნიძეებმა ხატს. არასოდეს იმოდენა საქათმე არ ენახა ბებერ მამალს. აფუღულ დედლებს უყურებდა ქანდარიდან უაზრო თვალებით, ფეხის ჩასადგმელ ალაგს ზომავდა ზემოდან უიმედოდ. ერთხელისდადება შემოღობილში ბატკნები, თიკნები, ბატკნები; გასაქათმებულ ოდაში ვარიები, ყვინჩილები, დედლები, მამლები ყავდათ გამომწყვდეული და იდგა პეპელი, კრიახი, სკლინტის, ბუნდღის სურნელი.

სანთლები პარპალებდნენ სანთლების ალზე საყდარში. მომლოცველებით იყო გადალილიჭრელოებული ეზო მონასტრისა ორწიფობას. იყო ორი ოქტომბერი (ორი წიფობისთვე), მეჩვიდმეტე კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან, დიდმოწამეთა დავით და კონსტანტინეს ხსენების დღე.

— როგორ გაზრდილა ჩვენი სალომეა, როგორ დაქალებულა! — თვალებგაჩერებული უყურებდა მაღალი, პირგრძელი კრაგებ-გამაშებიანი, გოლფის მოთამაშის სამოსით.

— რატომ დაგვიგოწყე, რატომ დაგვყარე ღვთის ანაბარა, რატომ ჩვენკენ აღარ ამოდიხარ, ბატონო ანაპოდისტე?

— ველარ ვიცლი, ჩემო კოლია, ჩემო ანუსი... კარგია, აქ რომ შეგხვდით, ველარც კი ვიცნობდი უთქვენოდ მშვენიერ სალომეას!

წინ წამოგდებულ ჭელა ნაწნავს ათამაშებს, გუდალა თვალებით უყურებს კაცს, ამ ქათინაურით არც ძალიან დარცხვენილი, არც გაოცებული.

— სალამი, ბატონო ანაპოდისტე!

— სალამი, ჩემო ბატონო.

— დავთვალიერებინებ, თქვენის თანხმობით, ნათლულს მონასტერს!

— არ აგვებნეთ, სალომე, დედა!

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ანაპოდისტე?

— ვართ, ღვთის წყალობით!

— დიდი ხნით?

— ვნახოთ... ვარდენია ხომ კარგად?

— მადლობთ, კარგად. გეახლებათ ამ დღეებში...

— ჩვენი სულელი მამალი! — ამოიოხრა სალომემ.

დროებით საქათმედ გადაკეთებულ ოდასთან შეჩერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამალი?

— გამარჯობა, ანაპოდისტე ბიძია!

— გაგიმარჯოს, გენაცვალე, რომლისაა ნეტარი!

ბონდთან იდგნენ ხევზე.

— ...ამ ალაგას, დაახლოებით ამ დროს დაიხრჩო არჩილ ჯორჯაძის ორი და, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსი კლასის ორი მოწაფე...

— ...აა?! — შეკივლა და უკან დაიხია. თვლები დაატყუპა, წაიხარა და კაბის კალთა მოიმწყვდია მუხლებშუა. კაცმა შიშველ, ჭორფლიან მკლავზე მოკიდა ხელი.

„როგორ ხურს!“

სალომე გაიმართა და კაბა ისევ აცდა მუხლებს.

— მომჩერებია ვიღაც ქვემოდან.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ანაპოდისტე?

— ვართ ღვთის წყალობით!

აბრუნდნენ.

მკლავს აშველებდა აღმართში, თუმცა ქალს სიარული არ უჭირდა. ზევით და ზევით იღლიამდე აჰქონდა ხელი, მარცხენა ძუძუს ეხებოდა თითებუკუღმა.

— შენ ხომ ნათლია ხარ ჩემი! — შედგა და შეაშტერა შებურცულ ქუთუთოებში შუადღის სინათლეს გარიდებული თვალები.

— ვარ კი, რამდენადმე... — დაიბნა.

ლიფისგულებში მომწყვდეული ძუძუები მიწი-მიწია მძიმედ, მწიფე შინდისფერი თვალები მოაცილა.

მეტი არაფერი უთქვამთ. კაცმა ვერ გაიგო, იხუა თუ ნათელმირონობა დააზუსტა.

—გამარჯობა, ბატონო ანაპოდისტე.

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო!.. ღმერთს ჩვენ არ ვცნობთ...

— კარგია მერე მაგ?

— საწესჩვეულებო რიტუალებს, დღეობებს, ნათლობებსაც არ ვკრძალავთ... პირიქითაც... რევოლუცია, ყველაფერთან ერთად, ათავისუფლებს პიროვნებას ხორცის დამთრგუნველი შინაგანაწესებისაგან, ყალბი ზნეობისაგან, თავშეკავების ხუნდებს ხსნის... მოგიწოდებთ სრული თავისუფლებისაკენ, გათავისუფლებთ ტრადიციების ცრუ ქიმერისაგან, რას იტყვი, სალომეა...

— არ ვიცი, აქ უნდა ილოცო...

— ჯერათ ამათ რაიმესი?..

— გამარჯობა, ანაპოდისტე ბატონო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს... ნეოფიტებია ესენი, ამათ ხომ ვიცნობ, ნეოფიტებია... მეთანხმები?

— არ ვიცი.

— აბა, რა გაწუხებს?

— როგორ დაიხრჩვნენ დები ამ პატარა წყალში, ცოდვები არ იყვნენ!

— და. ეს არც ისეთი შორეული ამბავია... დაიხრჩვნენ ხელიხელჩაკიდებულნი, ჩქერებს მიჰქონდა ჭილის ქუდები ცისფერი ბაბთებით... არჩილ ჯორჯაძე, თუ იცი, ვინ იყო?

— არ ვიცი.

— პუბლიცისტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი...

— თამარ მეფის საფლავი სად არი?

— თამარ მეფის? თამარ მეფის... თამარ მეფე, ისტორიის მიხედვით, აქვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელათშია დაკრძალული, სამარე არ ჩანს ჯერჯერობით, გადაკრძალესო, ამასაც ამბობენ, ეს გრძელი ისტორიაა...

სროლით, ყიჟინით, კივლით ეშვებოდნენ გზაწვრილზე, უგანურ შარაზე. დაფეთებულ ხალხში შემოთოხარიკდნენ, უფსკრულის გადასახედიდან გამოჩნდნენ, ჩამოქვეითდნენ.

მორჩიძეაო, მიაწყდნენ დრუსოს ხრამთან.

სამარის ლოდებზე იდგნენ ქალები, ფეხისცერებზე აწეულნი ატრიალებდნენ შავ-შავ თვალებს, ეძებდნენ აბრაგებს. ორი დასტა ზურნა-დოლი უკრავდა ერთდროულად დრუსოსთან. რკინის მესერში ჩაყოლებული ოთხკუთხა სვეტების ერთ სვეტისთავზე ცეკვავდა მხარიღლივ ყაწმიებგადაგდებული, მაუზერებჩამოპორწიალებული მორჩიძე. ღია წაბლისფერთმიანი, სუფთად აპარსული, თხელკანიანი სახის, მოცინარე, ხიოჭი. ფეხს არ აკარებდა სვეტისთავს უფსკრულის პირზე, ქარი და ტყვია გადიოდა საცვეთებს ქვევით. ცას ხევდნენ დოლები და იყო რუზრუზი. მხარზე ყაბალახგადაგდებული, თავგადაპარსული კაცი ესროდა ფეხებში, ბირკვილებშუა, წვივებსა და წვივებს შორის უტარებდა ტყვიებს. მიხა იაშვილიო, ერთმანეთს ეუბნებოდნენ დამფრთხალნი და უკვე შეთამამებულნიც. მინდორში აღარ იყო ადგილი. მაოში იყო აღტაცება როკვისა, სიგიჟე სროლისა, გულშეღონებაც. მალევე ამხედრდნენ, წივილ-კივილითა და სროლით გადავარდნენ. ბოგო-ბიჭები გაედევნენ ყვირილით. სალომეც გაიქცა სპილენძისფერი ნაწნავების ფრიალით.

— ახლა კი მჯერა საქართველოს გადარჩენისა! — ქუდი მოიხადა ანაპოდისტემ და სალომე ვერსად დაინახა.

გარბოდა ჯაგრცხილების იქით, ჩნდებოდა და ქრებოდა ცეცხლისფერი თმით, ბოგო-ბიჭებს ასწრებდა, მაგრამ ცხენისნებს ვერ ეწეოდა.

ისინი ლეჩხუმის აჯანყებაში წავიდნენ. ერთი დაღუპა ჩასვლისთანავე. ერთი დაეჭრათ მძიმედ. ორი მილიციის მიგზავნილი აღმოჩნდა. დარჩნენ სამნი.

ტყე-ბუჩქნარიანი ბორცია. დაწმენდილი წყლები დიან ხრამ-ხევებში. ფერდობს იქით ფერდობია უფრო მუქად ჩამწვანებული.

თენდება. მზე ამოდის. შაშვი ფრთხება პირველსავე სროლაზე. ჭახჭახით ეშვება ჩირგვნარში. ბორიდან ბორს, ხერიდან ხერს ესვრიან. ფთილა-ფთილად ამოდის წამლის მოლურჯო კვამლი. ზარბაზნებს ტყვიამფრქვევის კაკანი ენაცვლება.

ჯავშნოსანი მატარებელი მობოლავს წყალწითელას ხეობაში, — ქშენით, განძელების კუთვით, ჩინჩხვრისყრით. გაშეშებულ ფეხს მიაფხოკიალებს ვალიკო გოლიაძე ჯავშანოში. საკომანდო პუნქტიდან დილის ნისლში ამოცრიატებულ, თვალებთან მოსულ წითელკრამიტიან ოდებს ხედავს.

— გაზარდეთ სიგრძე, მოუმატეთ სიხშირეს! — თავად ჯდება სამართავ პულტთან.

— იმას არ დააკარო ხელი იმდღეევანდელივით! — აფრთხილებს წამოგდებული მემანქანე.

— ვალიკო ბიძია, ვალიკო ბიძია!.. — გამურული თანაშემწე ყვირის. — ჯაიანი დაჭრეს, საიდან გვესვრიან, ვერ გავიგეთ. ყველა ნახვრეტში ტყვია მოდის, ეზა აღარ ჩანს, ვალიკო ბიძია!

საჭვრეტიდან დილა ჩანს. სულ ახლო მოსულა მოწითალო ხიდი.

— ხიდთან ვართ, ვალიკო ბიძია!

— მომაშორეთ ეს უპატრონო! — საავარიო მუხრუჭებს ქაჩავს. თავით ეჯახება დაფას. გაბზარულ მარმარილოს მისჩერებია გაოცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავტეხე, გონია... — გასისხლიანებულ თავზე ისვამს ხელს. — მე თქვენ დედას მოვ-ყნავ ახლა!

სროლით, ჯაყჯაყით, ტამბურების ხათქახუთქით იხევს ჯავშნოსანი.

— უკან მიდის, ამის გამომშვები ქარხანა... — ბერკეტს აწვალებს. — ცეცხლი წინ, უკან, გვერდებზე!.. — ისევ მუხრუჭდება მატარებელი და თავწაგდებულ გოლაძეს აწვებიან ზურგიდან.

— დამაჯექით, ხომ, თავზე?!

— გაიყვანეთ, ხალხი არ ხართ! — უკან იხედება მემანქანე.

— ჯავშნოსანია ესეც. პუტილოვის საფლავი მოვ-ყან! — იფურთხება გოლიაძე.

აღვლეჭილი, ფერმებმიგრეხილი რკინის წითელი ხიდიდან ჩანს უკან მიმავალი ცეცხლისმფრქეველი. ისვრიან. ბოლი ასდის ალაგ-ალაგ გორებს, ფხეკებს.

თენდება.

ნათდება, თავისი ტონი უბრუნდება ყოვლიფერს.

ძაღლი ყეფს და წკმუტუნებს ეზოში. ალაგეზე გადადის კაცი. მიწაზე გაოთხილ, მოწკმუტუნე ძაღლს ხმაურის, სოფლის შეღვიძების ემინია თითქო.

—კაი, კაი, ბომბორა, გაგეხარდა? — პალატისაკენ მიდის კოლია გოგნიძე. გარბის და გამორბის ძაღლი, პალატის კარს პორჭყნის და უკან ბრუნდება. უსისტემოდ შეიარაღებული პატრონი ეზო-გარემოს ათვალიერებს, ბურტყუნით კეტავს ქართის კუტიკარს. საცეხველში დებს კაკვს. მიგდებულ საზეპელას შემოდებს ხაროს თავზე.

—კაი, ძაღლო, გეყოფა!

— კოლია ხარ?! — პალატიდან ისმის შეშინებული ქალის ხმა.

— მე ვარ, გაადე კარი!

შინ შედის.

ხამის პერანგში წამოფეთებული, ნამძინარევი, მზემი და ბუხრის ცეცხლში გარუჯული ქალი ნაცარში შეხვეულ ნაკვერცხლებს უბერავს სულს, ხმელ ნეშოს და ფიჩხს აჭიაკოკონებს, აბრიალებს, ქმარს აკვირდება სარკმლის მკრთალი შუქთა და ცეცხლის ალით განათებულ პალატში.

— ცოცხალი ხარ, შე უბედურ დღეზე გაჩენილო?!

— ხმა! — წალოში მალავს თოფს, ჰილზებს, ხელყუმბარებს.

— ძინავს? — ცოლის საფერხიდან გადმოყრილ ნაწნავებს უყურებს.

— დაჭრილი ხომ არა ხარ, მამა? — ამთქნარებს სალომე, ცეცხლისფერი ნაწნავები ააქვს მუთაქაზე.

— ისევ ისვრიან! — შორეული ბათქის ხმას აყურადებს ცოლი.

— ბოლოსია, დამთავრებას იუწყებიან...

— მორჩით?

— დაგვშალეს...

—აბა, რა ღვთის რისხვა იყო აქამდე, ორი ღამეა ბოსელში ვიძინებთ და ვითენებთ...

— მორჩა. აქეთ აღარავინ წამოვა, მე მგონი... ცოდვა-უბედურების ტრიალი იყო მოწინავეზე, დაადუღეს ყველაფერი, ჩვენი შტაბი დანატრეს... ბესარიონი დაიღუპა, თავზე დაეცა საწყალს.

— რომელი ბესარიონი, ჩვენი, მანდიკური? მოკლეს, კოლია?.. უი, უი, რა დღე გათენებიათ!..

— გამოდი, ვეუბნებოდი, ოდელიაძის ნალიაში გვქონდა შტაბი... აპარატს ვერ მივატოვებო, დადგა ვიღაცამ ჩვენდა ჭირად, ვერც ავამუშავეთ... მე ვერ გავაგებინებ მისიანებს, ამოვა უწმიდოდაც ამბავი, თქვენც ნუ ამოიღებთ ხმას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოცხალია იქნებ?

— მტერი იქნა, ის როა! .

— ეი, ეი! — სახეს იხოკავს ფრთხილად. — რა დღე გათენებიათ საცოდავებს!.. რას ერჩით, რას გერჩიან, ვის ებრძვით?!

— ხმა!

— შენ ხომ არავინ დაგიმარცხებია, შე უბედურო!

— სრულით მეც ვისროდი და, მოხვდა თუ არა ვინმეს, არ დამინახია.

— ვისთვის, რისთვის?

— სიმართლისათვის, თანასწორობისათვის, ზოგისთვის მოხდა რევოლუცია და ზოგიერთისათვის არ მოხდა, რატომ უღალატეს, აპა, მაგენმა მუშების და გლეხების ინტერესებს...

— გაჩერდი, გაჩერდი, უდღეურო, შენი გასწორებული ქვეყანა რა იქნება...

— გლეხი კაცის საშველი რო არ ყოფილა და არც იქნება, ეს ქე ვიცი, არ ვიცი, გგონია, მარა ხო უნდა გაფართხალდე მაინც ხანდახან...

— რა ეშველება უბედური ბესარიონის ოჯახს, ჭადი და ლობიო მაინც არ ქონდათყენ სამათხოვრო, აწი ისეც აღარ ექნებათ... იმის წვრილშვილის პატრონს კაცი წამოაგდებდა კერიიდან?!

— ქე ვუთხარი, ვინცხა იმისი არ იყოს, დარჩითქვა. არ ქნა. ავყევით ერთმანეთს. ლეჩხუმის გლეხობას უჭირსო, როდის არ უჭირდა, ნეტავი მაცოდინა... ზარბაზნები მიაყენეს, ზარბაზანს რა უნდოდა იქინე, ძროხა ვერ გადის ფხეკზე. სადაა ჩემი წულები, ფეხი ვერ გავრგე ვერაფერში, გადაქაჯავთ საღაცა, არაფერი თავის ადგილზე არ დაგხვდება, თუ გარეთ გაყავი თავი!

— ფარნაოზეი და მისიანები იყვნენ თქვენთან... — ტახტიდანაა გადმოზნექილი სალომე. — ა, შენი წულები! — ქუსლწოთელილ კონდრეს გადაუყრის, წამოჯდება შიშველ მკერდზე საბანაფარებული, იზმორება!

— არა. ბერიოულში დააყენეს ჩვენი ბატალიონი... ყაჩაღებთან რა ეშმაკი მინდოდა. სამარცვავ-საგლეჯავად კი არ ვიყავი გადავარდნილი... — ცარიელ დოქს ამოწმებს. — ცივი წყალი შემომიტანეთ, წავდებ ცოტა ხნით თავს, თუ თვალი წამახუჭიეს, თუ არადა, დავკრავ ფეხს და გადავვარდები მეც!

— ძაღლი სახლში არ ვარგოდაო, ისეა შენი საქმე!

— გადეირია ბომბორა, რომ დამინახა, საჭმელს არ აჭმევდით? გვერდები აქვს შემწლეული.

— მაგის დარდი მქონდა სულ!

— ჭაზე ვერ გავალ შიშველი, ძილი შევიბრუნო იქნებ... — საბანშემოხვეული აპირებს გასვლას, ხამისპერანგიან, გამხდარ დედასაც არ აცილებს თვალს. — ხურხარო, საფერხეს არ მიჩერებდი, ვინ ხურდა, გასარკვევია, მოგივიდა გამგრილებელი...

— შენ არ გაეზარდე დედაშენს, რა მომსპარი ენა გაქვს!

ამთქნარებს საპასუხოდ, კარს აღებს მოუხერხებლად, ბრუნდება, ბეჭზე ჩამოცურებულ საბანს ისწორებს, მუთაქა მიაქვს და გადის.

აივნიდან ჩანს სოფელი. მზე ქვემოდან შენთებია ხეებს, ოდებს, წითელ, დახვეულ შარებს. ჩხართვი გალობს. ადამიანი არ ჩანს ჯერ. ფარდა არხევს რბილ ფერებს, შიშველ ქალს კრეტსაბმელზე. საბანი ძირს აგდია, აბრეშუმის პერანგიდან ამოყრილი ჭორფლიანი ძუძუები და სპილენძისფერი ნაწნავებია განაოებული.

პალატში.

— აღარავის დაანებებს, თუ ცოცხალი გადარჩა...

— არ მიხსენო! — იღრიჯება კოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭად ბიჭი კი არ დაიწუნება, ხელობა აქვს, პარიკმახერად გაზარდა ხარიტონმა, ჭკვიანია ხარიტონი, ორთვალიანი ბინაცა აქვს შემენილი ქუთაისში...

— არ თქვა, ქალო!

— თუ შებრუნდა ქვეყანა, პირველი კაცი გახდება, პარიკმახერობას ქეც აღარ იკადრებს, გული ამას მითხრობს...

— არა, ქალო, ჩაკლავენ, ჩააძაღლებენ. მაგათი საქმეც ჭანდრაკულადაა...

— სულ ერთია, ბოლშევიკები მოვლენ ბოლოს...

— დავმარცხდით, ჩვენ თუ მაგენი, გადაუშენდათ პატრონ-მყვარებელი...

— მერე, შე სულელო, რუსეთის ხელმწიფე დაგვანებებს თავს ჩვენ?..

— ელაპარაკე ამას, სადღაა, ქალო, ხელმწიფე!..

— ვინც არი; ბოლშევიკებს მოიყვანენ აქ, მაგენია თურმე რუსების...

— ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, შენზეა. ჯერ ერთი, რას გავხარ, ნაცრიდან ამოსულივით რომ დამიხვდი... ან ჩაიცვი, ან გაიხადე, აღრეკილს დაღვრავ.

— აქამდე ხო აპობდი საყავრე ხეს, შემოდი! — ქვეშაგებისაკენ ეპატიჟება...

— ბაღანე არ ჩამობრუნდეს... — ამბობს და სიფრთხილე აღარ ეტყობა.

ვიღაც ისვრის სულ ახლო. ჭექავს კარაბინა ეზოს ბოლოში.

— ოხ, თქვენი დედა... — ხვანჯარგახსნილი ნიფხვის სათავე უჭირავს ხელით კოლიას, — მე თქვენი დედა!.. — წალოში მიძვრება, ფუჩეჩში და ბრელოში ფაჩუნობს.

— მოიცა, გავხედავ, დაიხრჩობი მაქანე. — თმას ისკვნის, თმის სარჭები უჭირავს კბილებით ქალს.

სამნი მოჭენაობენ. ადიდებულ რიონთან ქვავნარში აყრევინებენ ნალებს ნაპერწკლებს. გაღმა ბორანია დაბმული, ღრუბლისფერ ჩქერებში იძირება და ღრღლუმიდან ამოდის თითქოს. კარაბინს ისვრის მიხა იაშვილი. ჯარგვალიდან ჭოკივით კაცი გამოდის. სახემოჩრდილული იხედება გამოღმა. პირდაღებულ, თოფებმოძარჯვებულ მხედრებს ხედავს. გაგვიყვანეო, იმუქრებიან ალბათ. ხმა კი არ ისმის მდინარის ღრიალში. ვერაო, ხელით ანიშნებს მებორნე, წყალი წამიღებს, უკვე თავის თავს ეუბნება და ჯარგვალში ბრუნდება.

— ჩვენ ვართ, ისიდორე ყვერა, შენ გადაგიშენდა ჯილაგი! — ისვრის მიხა იაშვილი კვლავ. — გამოიყვანე ბორანი, ჩვენ ვართ!

— ვინც გინდათ, ის იყავით! — ნაბადწაფარებულ ტახტზეა წამოგორებული, ცალფეხაშვერილი.

— შალიკაანო, შენი დედა, მამაშენ ჯიჯგვის მიაკვდება ძაღლი საფლავში! — ქვეითდება იარაღში და ტყვია-წამალში გამოკრული მიხა იაშვილი, ყაბალახს იძრობს, პირწმინდად გადაპარსულ, გაოფლილ თავს იმშრალებს ყაბალახის ყურით.

— გამოვწვათ უნდა შეგ წისქვილის ვირთხასავით! — იმუქრება პირტიტველი ბოჩია.

— ამას მომიხედე შენ! — თოფს და პატრონტაჟს კიდებს უნაგირის ტახტაზე, აღვირს ბოჩიას ანერებს ფარნაოზ მორჩიძე.

— წყალში არ შეხვიდე, არ გაგიწყრეს ღმერთი! — მიხა იაშვილია, ცას რომ დაუცალა რამდენჯერმე კარაბინი.

— ესეც გამომართვი! — ხელყუმბარებს იშორებს. ბორნის ჯიანჯიბახზე შეპორტყდება, წნულა გვარლს ჩამოეკიდება; ხელ-ფეხით ჩამოპორწიალებული მიცოცავს, ცას ხედავს. გაშტერებულნი უყურებენ მისიანები. ცხენები ფრთხვინავენ ჩქონებში. შეშლილ მდინარეს მიაქვს კბოდეების მიწა, ხაბო და კუნძები.

ცეცხლი იღვრება კერიაზე ჯარგვალში. ბაქნის რაზებში ჩახიბლხვანჯებული ჯაჭვი ჩხრიალებს. ფიცარზე ფეხის ბრაგუნი ისმის და თვალებგადმოკაკლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შალიკიანი ხედავს უნებართვოდ შემოსულ მშრალ კაცს, გაღმიდან რომ იმუქრებოდა ცოტა ხნის წინ.

— არ ვიცოდი, შენ თუ იყავი, ვერ გაცანით, გამაწყრა ღმერთი, არ ვიცოდი, მამის სული ნუ წამიწყდება, არ ვიცოდი! — ხრიალებს და პირში ჩაჩრილ მაუზერის ლულას აფურთხებს. — არ მომკლა, ფარნაოზა, მამაშენის ქორწილში ვარ ნამყოფი!

— თფუი! — მაუზერს ტენის ხის ბუდეში, აწიორებულ მებორნეს მიდენის ბორნისაკენ.

— წაიღო ყვირილამ ამ დილით ოდელიაძეების ბორანი, ამასაც წაიღებს, მოუკვდა გამომცემელი, რანაირად გამოდი, გადმოაფრინდი?!

— ახსენი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— ვხსნი, ხომ მიყურებ, რაღა შენ მოგიკლავარ, რაღა წყალს წავუღივარ... დარჩი მაინც, რაღას მომყვები, მეორედ კი არ გაგიმართლებს, რანაირად გამოხვედი!

ხერკალას ჭრიჭინ-ჭრიალით გამოდიან. ყურებდაცქვეტილი ცხენები არიდებენ წყალს სველ თვალებს. ბეჭებზე გადაგდებულ ბაწარს ქაჩავს შალიკიანი გრძელი და ღონიერი მკლავებით. ადიან და ჩამოდიან წყლის ღრიალში ბორნის ნავები. გული ერევა, ეტყობა, ბოჩიას. თვალებმოწკურულ, მოღიმარ ფარნაოზს ერიდება და ძელჭოკსაც ვერ უშვებს ხელებს.

პურს ჭამენ კერიასთან ტაბლაზე. კუდაპრეხილი, ჭრელი კატა ეხახუნება ბოჩიას ფეხებზე, ლობიოში ამოწებულ ლუკმას აძალებს ყბებგამობერილი.

— დავლოცოთ, აბა, თქვენი გამარჯვების იყოს! — თხის დაგრეხილი რქით სვამს არაყს მებორნე.

— სიტკბო მოგვცეს, სიმწარე გვაშოროს! — სვამს მიხა.

— გამიწყრა გამჩენი, ვერ გიცანით, შემრისხოს წმინდა გიორგიმ, თუ ტყუილი გითხრათ... ვერ გიცანით!

— რა ცნობა ვინდოდა, ხედავ, მეზავრებია, უჭირთ... შეგიძლია, არ შველი, კაცად არ ვარგიხარ... გაგვიმარჯოს! — სვამს. იღრიჯება. ტუჩებმობრეცილი გადადის ყანწს ბოჩიასთან.

— რატომ მეტყვი, ფარნაოზ, მაგას, აგერაა ბატონი მიხა, ჩემნაირი მართალი არ დადის ბევრი, ბატონო მიხა!

— ბატონებს ვებრძვით ჩვენ, დაანებე ამ ბატონოს თავი... კაცს არ გაყიდი, მარა არც არაფერში გამოადგება შენის ნებით, უჯიათი კაცი ხარ, მარტოობამ გაგაპირუტყვა!..

— რა ვქნა, არ ამეწყო ცხოვრება... ღმერთმა დაგვიფარა დღეს... ოდელიაძის ბორანი წაიღო თურმე ყვირილამ, რანაირად დაგვატრიალა ჩვენც, არაფრით არ მეგონა, რომ არ აგვაგლეჯავდა... სხვა არაფერი მაქვს და ნუ მიძრახავთ, ჭადია კიდევ ღადარში; ბოჩია, არ სვამ?

— ახლაევ! — დიდი ლუკმის გადაყლაპვა უჭირს, ახველებს.

— ალალი, არ დამიმადლებია, ღმერთი ხედავს!

— გაგვიმარჯოს. მე თქვენ აწი აღარ მოგშორდებით... — სვამს. — სახლში მაინც აღარ მიმესვლება, მთავრობამ რომ შემირიგოს, ჩემიანები არ მაპატიებენ... — წუღის თასმას აწვალებს ცალი ხელით.

— საკუთარი ბიძა მოკლა! — გამომცდელად მიჩერებია ფარნაოზი მებორნეს და ღიმილს ვერ იკავებს რატომღაც.

— იმე!

— იზამ შენ მაგას?

— ღმერთო, შენ გვიშველე! — პირჯვარს იწერს შალიკიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამღუპა სულწაწყმედილმა ბიცოლაჩემმა... — თავწახრილია, წუღის თასმის კვანძს ხსნის.

— ბიცოლა შემოუხარჯა! — კმაყოფილებას ვერ ფარავს გაოცებული მებორნის შემხედვარე ფარნაოზი.

— რამ მოაყვანინა იმ ხნის კაცს რუსის ქალი, შემაცდინა, ნამდვილად შემაცდინა ეშმაკის ნაშობმა, რა ბიცოლა ის იყო... ნამდვილი ბიცოლა, დააყენოს გამჩენმა ნათელი, სადღა... რუსი იყო და შემაცდინა, მკლავდა საკუთარი ბიძა ალალად, შემოგვისწრო და...

— არ გაცალათ?

— არა.

ერთმანეთს ეხლებიან ფარნაოზი და მიხა სიცილით.

— უბედური იყო მაინც სულწაწყმედილი, ქეც ვიყავი ალბათ მოსაკლავი!

— კატა გყავს, ბიჭო, მაქანე?!

— რა კატა, წუღაში ხვინჭა ჩამივარდა! — შეკრთება ბოჩია. ამაზეც იფხრიწებიან.

— რაღაც მეწყინება, არ უნდა ლაპარაკი! — წყნარდება მიხა, თუთუნს გაახვევს და ატყდება კიდეც სროლა.

ისვრიან. ძაგძაგებს ჯარგვალი, ლაწალუწი გააქვს სახურავზე კრამიტებს.

— აქედან! — ყვირის მებორნე. კუტიკარს აღებს მდინარის მხარეს. რიყეზე გარბიან ჩქონებში, ფერდობზე გადადიან გვიმრიანში, ჩერდებიან, ისვრიან და ისევ გარბიან. მდინარის ხმაურში წუიან ტყვიები. ფილთა თოფი უჭირავს მებორნეს, უკანმოუხედავად მიცოცხავს მაღალი ფეხებით ყველაზე წინ, მისიანებს ასწრებს, ტყვიას ვერა, იჩოქებს, დგება, მიკვანჭალებს, სისხლით რწყავს ბილიკს. ორივე ხელით ისვრის და უკუღმა გარბის ფარნაოზი. ხვებს ეფარებიან, უფრო გამოზნულად ისვრიან. უფრო არეულ-დარეულად ესვრიან. სროლა ესმის სოფელს ვახშმობის ჟამს, ძაღლები წკმუტუნებენ და მუცელზე კუდამოდებულნი ყეფენ გაუბედავად. სიწყნარე ისადგურებს ცოტა ხანში. საქონლის სარეკელას რაკუნი იპყრობს ყურთასმენას.

ჯარგვალთან აყაყანდებიან მოულოდნელად. ძაღლები აყეფდებიან სოფელში თამამად, ერთდროულად.

— ცხენები ხომ დავატოვებინეთ, ერთს დავადევი კიდეც ნიშანი! — ეზეკი ჟორჟოლაძის ბოხი ხმაა, ბორან-ჯარგვალს შესევია მილიცია. — დავწვა უნდა ეს ბორანი!

— ბორანთან რა გინდა, — საყვედურობს ანაპოდისტე. — ცხრა სოფელს ემსახურება ეს ბორანი! — კრაგების ჭრაჭუნით დადის.

— შალიკიანის დედას ვატირებ, თუ გადარჩა ცოცხალი!

— ეს ცხენებიც ჩვენი კომისარიატის უნდა იყოს! — კბილებს უმოწმებს ერთ ცხენს ანაპოდისტე ხუნდაძე, სპილოებზე სანადიროდ წამოსულს რომ ჰგავს.

— გაიქცნენ? — კითხულობს ვიღაც.

— შორს ვერ წვლიან. ერთი დაჭრილი ყავთ...

— ორი დაწვინეს ჩვენიანი, ეზეკის შემოვევლე, ერთი მძიმედაა, ურმით უნდა გადავიყვანოთ.

— სადაა ასლანიძე?.. ასლანიძე, მორჩი ბუდარს, აქ არაფერია გასაძარცვავი!

— როგორ გეკადრებათ, — აფუებულ ულვაშებს ტკეპნის. — მეფის არმიის უნტერროფიცერი ვიყავი ბრუსილოვის არმიაში...

— ბრუსილოვი არ ვიცი, ურემი იშოვნე, სადაც გინდა!

ბინდდება. ზარბაზანი ისვრის სადღაც შორს კანტიკუნტად.

ცეცხლი ანთია ეხში წყალწითელას პირს. ხორკლიან ტინებზე ადამიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდება. სველი მეთევეზე შრება, ქიმზე გაფენილ ბადესაც აშრობს. მიხა თევზს წვავს ბწკალაზე. ფეხშიშველი შალიკიანი წევს თივაზე. სახვევს ხსნის ბოჩია, აბლაბუდას და ღამურების სკორეს ადებს ჭრილობაზე.

— მოკვდი, მომძრავრა ფეხი! — კვნესის გათანგული შალიკიანი.

— უნდა გაუძლო როგორმე!

ჯიჯგვი კიცია ვერონტი რობაქიძე, ხაკის შარვალ-ხალათი აცვია. საიდან გაჩნდა აქ, მეთევზისა არ იოს, გაუგებარია. წინ ჩამოვარცხნილი თმა, აწკინტული ულვაში აქვს.

— ...ლეხუმის აჯანყებამ შეასრულა ისტორიული მისია... — ულვაშის ცალ წკინტს ისწორებს. — ხუთი თვე კონტროლს ვუწევდით მაზრას... — მეორე წკინტს წაიგრეხავს ორი ითითი. — არ გვქონდა საჭმელი, სასმელი, საკმარისი იარაღი. გაწყდა კავშირი რუსეთთან, ველარ მოგვამარაგეს ნაწვენოდ. ვიშლებით და გადავდივართ ალეგალურ ბრძოლაზე. ასეთია ბოლშევიკების აზრი, მითითება. უდღეური მთავრობას მაინც გამოვუთხრით ძირს, დღეს თუ არა, ხვალ დავამთხლევეთ სახელმწიფოს, მაგენს არ ვაბოგინებთ... ჩვენთანაა მსოფლიო პროლეტარიატი...

— რა ფეხზე ავდექი მაინც დღეს, რაღა თქვენ გადაგეყარეთ, სოფელში ვაპირებდი ასვლას, ერთმა ფეხმა გამაჩერა და ვრჩება, გონია,უფეხოდ, ვაი, ჩემი ფეხი და ჩემი თავი, წყალი დამალევინეთ მაინც! — ბორგავს შალიკიანი.

— ამას სიცხეც აქვს, ძმრით უნდა დაზელვა, სად ვიშოვნო ძმარი, — ეცოდება ბოჩიას.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, ნუ გეშინია! — ამშვიდებს მიხა.

— არაყი მაქვს ცოტა, — ჯარისკაცის მათარას აჯანჯღარებს მეთევზე.

სროლის ხმა ისმის ისევ. ისვრიან ზარბაზნებით, ძუნწად. ბათქის შემდეგ ნაგდებული ბათქია.

— ეს სულელი გოლიაძე ტყუილად ხარჯავს ვაზნებს... — ამბობს მიხა. — მაგის იმედი რომ ექნება მთავრობას, კარგად წაუვა საქმე და წაუვიდა კიდევაც... ჩვენც ფუჭად ავაფეთქეთ ხიდი. მეორეს გააკეთებს იმნეირს აწი ნიკოლოზეი, მეტი არაა მტერი... — მუგუზლით უკიდებს, აბოლებს. — ეტრიხინა წინ და უკან გოლიაძის მატარებელს, რა მოხდებოდა!

— ხიდი რომ აფეთქდა, კარგია, ხიდები კიდევ უნდა ააფეთქოთ, ტელეგრაფის მავთულები უნდა დაგლიჯოთ.

შალიკიანიც შეწყვეტს კვნესას, რა თქვა ამ გერონტი რობაქიძემ, დაინტერესდება.

— უნდა ააფეთქოთ ბოგირები, გადამცემი ხაზები, ლიანდაგები.

— ჩვენ გამოვედით ტყიდან და შემოგიერთდით თქვენივე თხოვნით... — აწყვეტინებს ფარნაოზი. — ხალხის სამსახურში ჩავდექით... — თოფზეა დაყუდებული. — გლახათ არ გვიომია, ხედავდით... — ფიქრობს. — ვომობდით... სწორს ვშვრებოდით... ასეა... მე ისევ ტყეში ვავალ. საიმედო ხალხს შევიგულებ და დავუძახებ, თუ საჭირო გახდება, მოშზადებულ და თავგადადებულ ხალხს შევარჩევ, მანამდე ყველამ თავის საქმეს მიხედოს, მიხამ თვითონ იცის, ეს ბიჭი კი პატრონს უნდა ჩავბარო.

— მე შენ ველარ მოგშორდები! — ძირს იხედება დაღვრემილი ბოჩია.

— ვნახავთ მაგასაც...

— თუ დაწყნარდა ქვეყანა, ცოლ-შვილს მივაკითხავ მეც... — აბოლებს მიხა. ხრინწკარეული ახველებს. — მოვხნავ, მოსავალს მოვიყვან, როცა იქნება... ამ-დენი ხნის ტყეში ვდებამ დამასუსტა, მუხლებში მტეხავს, ჯანი ძველებურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ მომდევს... ამ კაცის ლაპარაკი არ მომეკარა, ვისას ვანგრევთ, ყმაწვილო, თუ იცი... — ახრინწებს ისევ, ზურგშებრუნებული აფურთხებს.

— დავანგრევთ და ავაშენებთ, ასეთია ჩვენი ტაქტიკა, სტრატეგიაც, ამ დროს ბრძოლა არ წყდება, იცვლება მხოლოდ ბრძოლის ხერხები და მეთოდები... ელეხობაში უკმაყოფილება უნდა დავასადგუროთ, სიდუხჭირემ რეალურად უნდა დარიოს ხელი მოსახლეობას, რათა მთავრობას უნდობლობა გამოეცხადოს... ხელი უნდა შევუშალოთ, არ უნდა შემოვატანინოთ აღმასრულებელ კომიტეტებს ნავთი, მარილი, პირველი მოთხოვნილების საგნები, უნდა გავიფუჭოთ გზები, ხიდები, ლანდაგები უნდა ავყაროთ... ღარიბები უნდა მივუსიოთ მდიდრებს, ხმები უნდა დავყაროთ ახალ საგადასახადო სისტემაზე, ბეგარაზე, სალდათად გაწვევაზე...

— კვეჟოს გიძახოდნენ შენ!.. — თოფის ლულას მიადებს ბეჭზე მიხა.

სიჩუმეა. შალიკიანის ხშირი სუნთქვა და მდინარის ხმა ისმის.

— მიხაიაშვილო... — ერთად ამბობს გვარს და სახელს. სხვადასხვა მხარეს ერხვევა ულვაშის ბოლოები. — მიძახოდნენ. პარტიული ფსევდონიმი იყო... — ლულას იშორებს დინჯად. — გამიგია, კარგად ისვრისო, ხომ არ გამოგვეცადა სასროლი ნიშანში?!

— ეე!.. — თოფს იმწყვდევს ლაჯებში. აღარ ახველებს.

— გადეირიეთ, კაცო, სროლა არ ატეხოთ აქანე!.. — ფხიზლდება სიცხისაგან გათარანებული შალიკიანი — ისიდორე ყვერა.

— პაპოროსის კოლოფს დავდებ ოცდაზუთ ნაბიჯზე, შორია? — კითხულობს რობაქიძე გერონტი, კვეჟო, შალიკიანის შეშფოთებას არ იზიარებს.

— არაა შორი, ისე ნაბიჯსაც გააჩნია; რა გითხრა, იცი, ჯერ აქედან დაიწყე! — ბოჩიასკენ წევს ნიკაპს ღიმილით.

— ჩემგან?! — მაუზერის მჭიდს ამოწმებს თვალებანთებული.

— შენ გაჩერდი! — ჩუმად ეუბნება ფარნაოზი.

— ჩვენ ხომ არ გვეცადა! — ფარნაოზისაკენ იხედება.

— ნიძლავზე მხოლოდ.

— რაზე დავნეძლავდეთ?

— რაზეც გინდა!

ლოყის კუნთთან ერთად უკრთის ულვაში, ფარნაოზის ღიმილი აღიზიანებს აშკარად.

— მიხა ბიძია, ესენი გაჯობებენ შენ?! — გაოცებული ეკითხება ბოჩია.

— კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩება! — ხალათის სახელოთი აპრიალებს ლულას.

საშინელი სროლა ატყდება მოულოდნელად. ჭახაჭუხით ასკდება ტყვია კლდეს. ტინის ნამსხვრევები ცვივა. მოუხერხებელი პოზიციიდან ისვრიან, ეტყობათ.

ნაპირ-ნაპირ, წყალ-წყალ, ჩირგვნარში გარბიან. ლულაგადაჭრილი შაშხანით და მაუზერით ისვრის უკუღმა მარპენალი ფარნაოზი. არც ფორხილობს, არც ეცემა, ზურგზე აქვს თითქოს თვალები. შემობრუნდებიან, დგებიან, ისვრიან და გარბიან დანარჩენები. მეთევზე ზურგზეგადაგდებულ ბადეს არ თმობს, საჯდომზე იტყაპუნებს ფეხისგულებს.

ნაცრისფერ ქვებს ეფარებიან ასკილნარში, სულს ითქვამენ და სროლაც ნელდება.

— სადაა მეთევზე? — ახსენდება ვიღაცას.

— დაყვინა. — ეცინება ფარნაოზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჭრილი რატომ არ გაგახსენდათ, მივატოვეთ შალიკიანი, მოკლავენ იმ საცოდავს! — წუხს ბოჩია.

— ან მოკლავენ, ან დაარჩენენ... ერთად ნუ შევჯგროვდებით, გავიშალოთ... ის მხარე აკონტროლე შენ, ბინდდება და მეტზე ვერ გამობედავენ, მარა მზად უნდა ვიყოთ.

— გამობედავენ და მაგათი აჯობებს! — ეპასუხება ფარნაოზს მიხა იაშვილი, სხვა ქვასთან ვადადის, სათუთუნე ქისას აძრობს, წინასწარ დაჭრილ ქაღალდში ახვევს თამბაქოს. სოფლის ხმები მოდის ჭახათიდან. ბიჭი ეძახის ძაღლს გაღმა ნაპირზე. ბინდის ვალობას ამბობს ჩიტი. ჩამავალი მზით წითლდება არე, მეწამული ეფინება ასკილის ყვავილებს.

— გული არაფერზე დაგწყდეს შენ! ღიმილით მისჩერებია გერონტის ფარნაოზი. — სხვა დროს ცოტა წაივარჯიშებ კიდეც საღორიაზე, კაჟინარში...

— შენ რა ყოფილხარ, კაცო, მესმოდა და არ მეჯერა, უკულმა მორბენალს წალმა ვერ დაგეწია, ბნელშიც იხედებაო, მართალია?

— ამბობენ კი, შეჩვევაზეა...

— ის მაღალი მებორნე ხომ არ გამცემს...

— არა!

— მაშინ წავედი, რკინიგზის მუშა ვარ ისევ, ღვალაძე პარმენი... — დაჭმუჭნილ ქუდს ირგებს გერონტი რობაქიძე-კვეკო, — ეს ვაზნები გაინაწილეთ, თოფი ბოჩიას, ეს ამ კაცს მინდა ვუსახსოვრო! — გაზეთილ ბრაუნინგს აძლევს მიხას. ხელით წონის, სახელოთი უპრიალებს ტარს გახარებული და ცოტა გაოცებული მიხა.

— აბა, თქვენ იცით, ჩემი კაცი მოგძებნით, ჩემ მისამართსაც ის გაგაგებინებს, ფარნაოზ!

გადაკოცნიან ერთმანეთს.

— ნაწყენი არ წახვიდე, კაცო!

— არა, მიხაიაშვილო!.. — ერთად ამბობს გვარს და სახელს. — ნაწყენი და უკმაყოფილო ესენი უნდა დავტოვოთ, მაგენის დღეები დათვლილია, აბა! — მუჭშემარული მიდის, ჯაგნარში შეშლიგინდება და ქრება.

შუადღეა. ეზო-ეზო გადმოდიან ყარაღები, ყანის ბილიკს მოჰყვებიან.

— ვაი დედა, სამორედო გამხდარა სიმინდი! — სვლას ანელებს ბეჭზე ყაბალაზგადაგდებული მიხა.

დატალახიანებულნი, ჩარკინულნი, დაღლილები იმოკლებენ გზას. ნიავის შრიალია და ინდაურ-ჭუკების ხმაა.

— ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი!..

ჭინჭრის ფხალს კეპავს და საჭუკეს ამბობს დედაკაცი შორს, მისი ხმა გააქვს და გამოაქვს ნიავ-სიცხეს.

ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი...

ალაგეზე გადმობიჯებენ ეზოდან, კალოზე მოდიან.

ჭასთან დგანან. მაღალი ოწინარის ჩრდილი დასცემია ქვის სკამლოგინს. მსხლები შრიალებენ ეზობოლოში. ქვემოთ სოფელი ჩანს.

ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი....

აბრეშუმის ჭია შვარშვალებს ჩელტებზე. ბჟოლიფოთოლს აფენს სალომე ჭიაზე.

— ...არ მოხვიდე, ბოხმეჭიავ, არ მოხვიდე, ყურბელა, ამათი ჭირი შენ, ამათი სენი შენ, მიწრიელო მიწითა და არა ჩელტითა, ამათი სენი შენ, ამათი ჭირი შენ... ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი...

მარნის ღია კარიდან წელზევით შიშველ კაცებს ხედავს. წყალს ასხამენ ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადიით ზურგზე და თავ-კისერზე ერთმანეთს. წინსაფარს იხსნის, ომას ისწორებს. სპილენძის ტაშტის წყალში იხედება.

ბრუნავს სცენა. გადაყანთრული, ორკეპა ოწინარი ჭრიალებს. სიცხეა ჩაწნული სიმწვანეში. ხავსიან მანიკას გადის წყალი.

ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი... ჭელა ნაწნავები წამოუყრია წინ საჩეზენი.

— ესაა, მიხა ბიძია! — ეჩურჩულება ბოჩია.

— რას ამბობ! — თვალი უშტერდება.

ხან ქალს უყურებენ, ხან საქციელმორყეულ ფარნაოზს.

პირსახოცი მოაქვს. მოდის მჩატედ, იელის ყვავილისფერ თვალებგამტერებული. ბლუზებს იცვამენ, სახეს იმშრალებენ ბოლომოარშიებული, მოწოდებული პირსახოცით.

— უკითხავად შემოვედით, ქალიშვილო, ბოდიშს ქე ვიხდით, მარა რაღა დროის! — პირწმინდად გადაპარსულ თავზე ისვამს ხელს, უქუდობასაც უკადრისობს, ნიკოტინგაჟღენთილი ხმით.

— რას ბრძანებთ, ბატონო, როგორა ხარ, ბოჩია!

— ვარ, რავარც მხედავ, რავა არიან ჩემები, ხომ არ იცი?

— როგორ არ ვიცი, კარგად, მამაშენი გეძებს, ბიჭო...

თანდათან ელუშება სახე, ფრჩხილების კენტას იწყებს...

— ღმერთი ყველაფერს პატიობს ადამიანს, თუ შეინანიებს...

თავდაღუნული მიდის ღობისკენ.

— ბოჩია...

დაანებე თავიო, ფარნაოზი ანიშნებს.

— შენებიც კარგად არიან, ყველანი კარგად არიან — ხარიტონი, დედა, ბალნები... შემოიყვანე სახლში სტუმრები...

— მარტო ხარ?

— მარტო. დედა მანჭკვალას აროვებს, მამამ ხარი წაიყვანა მჭედელთან...

— რა შესანიშნავი წყალი ყოფილა, ქალიშვილო, — ყაბალახს ირგებს. — ზიარებასავითაა, სული ჩავიბრუნეთ სწორეთ...

— აქაური წყალი ნაქებია, ბატონო...

— არ ეტყობა? აბრეშუმი გიზით, ხომ; მშვიდობაში.

— გამოდიან წარბიკანში, გმადლობთ.

— დიდი ყაჭობა და ბარაქა, ღმერთო, შენითა ვარო! — პირჯვარს იწერს.

— გმადლობთ. შემობრძანდით.

— არა. ჩემები უნდა ვნახო. — უარობს ფარნაოზი.

— შორს აღარ უნდა იყოს ხარიტონის სამოსახლო, კი ვარ ნამყოფი, მარა გზა ვეღარ დავიმახარი ამგზობაზე, აღმართი გვაქვს კიდევ...

— არ სერს გადაივლით და თავქვეა, ბატონო...

— კარგი ღვინო ჰქონდა, მახსოვს...

— ახლაც კარგი აქვთ, მშვიდობა იყოს, ბატონო, მხოლოდ...

კივილი მოდის შორი კუთხიდან. აყურადებენ.

— საწყალი ბესარიონი მოუკლავთ, მამამ ამოიტანა ამბავი, მარა არ ვკერო-, დღეს ამოასვენეს და ახლა შეიცხადეს... ბოჩია დაჭრილი ხომ არაა?

— დაღლილია...

ღობისძირში თვლემს.

— არ დაიძინო, თუ კაცი ხარ, დაგეწევით!

ისედაც გაცლას აპირებდა მიხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმართ შუკაში მიდის ბოჩიასთან. ორ ხიმეში ჩანან წითლად დამავალ მზეში.

ღობის სარზე უკიდია ფარნაოზს ხელი. ალაგზე მომდგარ სალომეს ელაპარაკება. არ ემჩნევა ღიმილი, განსაცდელის ჟამსაც რომ არ ჩამოუდის სახიდან.

— შენზე ქონდათ დღესაც ლაპარაკი...

— რაიო?

— რაიო და ერთმა ერთი თქვა, მეორემ მეორე.

— ასე იქნებოდა ნამდვილად...

— მამამ...

— ყაჩაღს და ნადირს ქალს ვერ მივცემო...

არ უარყოფს.

— დედამ — კარგი ხელობა ქონდაო, თუ მშვიდობა დადგა და თუ ხელობას დაუბრუნდაო, დედამ...

— აი, ჩემი ხელობა! — თოფს წვეს. — უსამართლო ქვეყანაში მშვიდობიანად ვერ ვიცხოვრებ, მდიდარი და ღარიბი როცა გასწორდება, — მოვა ეგ დროც, — მაშინ...

— ანამდე უნდა გიცადო?

— მანამდე? — შეფიქრიანებულია. — არა. არ უნდა მიცადო. მტერი იქნა ტყეში გავარდნილი კაცის იმედზე...

შეტირილის ხმაა. შემოაქვს და გააქვს ცხელ ნიავს კიკილი.

— ჩემი ხელობაც ტყვილა გახსენებია დედამშენს... ჩვენ ვიბრძვით ჯერ... სანამ არ დავამხობ ამ მთავრობას, ლულას არ გავაციებ!..

მოთქვამენ ყრუდ. შემდეგ ისევ კიკილი იწყება. ახალ-ახალი მოტირლები ემატებათ:

უი, უი, უი, უი, უი, უი, უი, უი... ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, უუუ!... უი, უი, უი...

ნიავი არხევს ტირილს ბუჩქებში და ხის ტოტებში ქინძავს.

— ამ მთავრობის დამხობამდე შენ მოგკლავენ.

— გმადლობთ. მომკლავენ. რას ვიზამთ. მე კი არა, ილია ჭავჭავაძე მოკლეს, აკაკი წერეთელი მოკვდა. ჩემი სიკვდილი არაფერს შეცვლის. ჩემს მაგიერ სხვა იბრძოლებს, იქნებ სულ ომი... ადამიანიშვილს ვერ გააჩერებ...

— მე წყალში დახრჩობის მეშინია.

— წყალში? — გაოცებულია. — დასახრჩობი წყალი აქ სადაა?!.

— სანთლებს ვუნთებ ხოლმე დებს...

— ვინ დებს?

— და წმინდა ნინოს...

—დანებე თავი სისულელეებს...

— და შენც ვინთებ....

— არ არი საჭირო, ჩემი სანთელი სიტყვაა, უპირობას, ღალატს ვერავის ვაპატიებ, ვერც შენ!..

— მე არ მინდა, რომ შენ მოგკლან ჩემზე ადრე...

სახე სახესთან მიაქვს, მკერდს მკერდზე ადებს...

— ჩემი სიკვდილი მოგხსნის ხუნდებს, მაგრამ თუ სიტყვისა და პირობის შესრულება არ შეგიძლია, ახლავეს გათავისუფლდი... — გვერდზე დგება, წინ ჯადმოწეულ ქალს ტოვებს ჰაერში. მუხლებთან ალაგე არ უშვებს, მუხლებზევით კაცის საყრდენი არაა.

— სულ განადირდები აწი და აწი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ათასი თვალი გვიყურებს, ხომ გგონია, არავინაა, მაინც გვხედავენ... — ხელს აშკელებს, მობოდიშებასავით გამოუდის. — ვინ რას იტყვის, იცი?!.

— მოიწი კიდევ... — ჩურჩულით, მაგრამ გარკვევით: — ფეხებზე მკიდია სუველა, რაც უნდათ, ის უთქვიათ!

სწორდება, ნაწნავებს იხვევს კეფაზე.

ძლიერდება და მოულოდნელად ცხრება შეტირილი. ჭუკების ხმაც იკარგება, აბრეშუმის ჭიის შვარშვალიც.

— ფარნაოზი მოვიდა, ბაბაია, ფარნაოზი მოვიდა!.. — მოკივიან დები ფეხშიშველნი, კოჭებამდე ჩამვებული ჩითის კაბებით.

— ჩვენი ძმა მოვიდა, ბაბაია!

— რა იყო, ქალო, რამ გადარია ბაღნები! — ვენახიდან ისმის ხარიტონის ხაფი ხმა.

დედა ეფერება სახლუკან, ლაფაროში ბოჩია და მიხა დგანან შორიახლო. ბავშვები მორბიან მინდორში ჩითის ერთნაირი კაბების ფოფიალით.

— მოხვედი, შვილო, მოხვედი, ბიჭო; ჩემო გამძღარებელო, გადავარდნილო, განადირებულო... რას ჭამ, რას სვამ, სად გძინავს, რა გახურია!..

— სტუმრებია, დედა.

— რკინებში ხარ ჩაჭედილი, ხელი ვერ შემოვლია, ვინ გდევნის, ვისი ცოდვა არ გაყენებს!..

— დედა!

— ბოდიშს ვიხდი, თვალში სინათლე აღარა მაქვს, ახლავე ჯორკოებს გამოგიტანთ... — ცრემლებს იწმენდს.

— არა უშავს, ბატონო, აქაც კარგად მოვთავსდებით, ჯირკებია ავერ... — ჯირკზე ჯდება მიხა, თუთუნს ახვევს სათუთუნედ გამზადებულ ქაღალდში. დები დგანან შორიახლო თვალებანთებულნი, აქლოშინებულნი.

— სიზმრები არ მასვენებს, მღვრიე წყალი მიგაქანებს, ნაპირ-ნაპირ მოგდევ, ხელს ვერ გაწვდენ, წყალში ვერ შემოვდივარ, ვკივი... ბესარიონი მოუკლავთ საწყალი.

— მოდით! — დებს ეძახის სახეზე ღამილდაფენილი ფარნაოზი. მკლავებქვეშ შეუსხდებიან, გატრუნულნი დგანან.

— ესენია, კაცო? — ხველებით კითხულობს მიხა.

— კატო და ფატი.

— კატო რომელია? ფატო? ფუი, ფატი, კატი, კატო!

გულიანად იცინიან.

— მიხა იაშვილი, მიხაკო დამიძახეთ თუ გინდათ! — წამოუდგება. — უფროსი რომელი ხართ?

— ეს.

— მე.

— რატომღაც შენ მეგონე, არა უშავს, ასე დაემართა ბაბუაჩემსაც...

— მოდით აქ! — ფხიზლდება ფეხზე ჩათვლემილი ბოჩია. — ა, თქვენ! — ფოჩიან კამფეტებს უწვდის. დგანან უყურებენ ჩამოპორწიალებულ ორ ვრძელ კამფეტს.

— აიღეთ! — ძმის ბრძანებაა.

— რავარი თავშენახული კაცი ყოფილა ჩვენი ბოჩიაი, მე რომ არაფერი მაქვს, რა მივცე ამ ბაღნებს...

— შაქარი მაქვს კიდევ ბიცოლასთვის. ეს კამფეტი ორივესია, ერთი ჩემი, ერთი მიხა ბაბუასი.

რიგრიგობით უხდიან ორთავეს მადლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამაგიეროდ, მე მაქვს თქვენთვის გადანახული უფრო მაგარ-მაგარი კამფეტები, წასვლისას დაგირიგებთ! — ეღიმება ფარნაოზს.

— დროცაა. — კარაბინის სავაზნეს ამოწმებს მიხა. — ყველაფერს და ყველას დრო აქვს. ბაბუაო, ბაბუა ვარ, ბიჭო, მე?..

— ამგვინისთვის... თვლემს ბოჩია.

— მართალია, კი უნდა მყავდეს ამხელა შეილიშვილები.

ჯორკოვი მოაქვს დედას.

— რატომ წუხდებოდი, ანა, მე ვერ გამოვიტანდი! — თვალებს ისრესს და ჯორკოვს ართმევს ბოჩია.

— უნდა შევწუხდე, შვილო, შეწუხებისთვის ვართ, ხარიტონიც მოდის, ყველაფერი იქნება მალე...

— მამამ რვეულები გვიყიდა, მეც მიყიდა, კატოსაც უყიდა... — კამფეტს წუწნის ფატი.

— რვეულები რად გინდათ, თუ არაფერი ჩაწერეთ...

— ვწერთ...

— ჰოო, რას წერთ, რას სწავლობთ, რას კითხულობთ, ბოჩია ვარ მე...

ერთდროულად იწყებენ:

— ჭრელი ჰეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა... ეს არა, ეს არა... — ერთმანეთს აჩერებენ და ხელახლა იწყებენ. — გაბმულხარ, ჩიტო, მახეში, გაჩერდი, ნუღარ ფთხიალობ! ჩვენი ხარ, ველარ წაგვიხვალ, დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?

ხარიტონი მოდის ვენახიდან, ახლად გადაცმული ხალათის ღილებს იკრავს მოუხერხებლად დიდი და დაბებდებული ხელებით.

— კაი გამარჯობა თქვენი! — ხელს ართმევს სამთავეს. — რას შობი, ბიჭო, შენ, ბოჩია, რავა ხარ, როგორ გიკითხოთ, მიხაკო ბატონო!..

— ...ტრიალ მინდორში, საწყალო, გაგყინავს ცივი ზამთარი და აქ კი იქროს გალია შენთვის ახლავე მზად არი...

— კარგი, აღარ გინდათ, იმღერეთ თუ მაინცადამაინც... — აჩერებს დებს ფარნაოზი.

— ჯერ ყვავილებს მოვიტანთ... — ჭრელი კბების ფოფიალით გარბიან.

— მოსავალს როგორი პირი უჩანს, ხარიტონ ბატონო?

— მოსავალზე ადრეა ფიქრი, მარა, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგია, ვენახი ვარგობს ჯერჯერობით, სიმინდს არა უშავს, მშვიდობა იქნებოდეს და ღვთის ნაბოძარი არ დაილევა, გარჯას არ დავაკლებთ ჩვენც.

— ვაი, ერთი წამომაწვინა!.. — ბოჩიას ხმაა.

— თავი არ წადო, დავიბანთ, გამოფხიზლდები...

— ხომ დავიბანეთ, ფარნაოზ, ჭაზე?.. ფეხიც შემისივდა ნაღრძობი.

— თბილ წყალს გადავივლებთ ტანზე, მერე დედა ოშოშოიას დაგადებს, გეამება.

— მეამება, მეამება წმინდა ღვინის ზიარება... — თვალდახუჭული ღიღინებს. ხმადაბალში მიყვებიან:

— ...მეამება, მეამება წმინდა ღვინის ზიარება...

— შეტრირილია სამეზობლოში, ბესარიონი მოუკლავთ... — აქეთ-იქით იხედება მასპინძელი.

— ხმა არ გადის, არ უშავს, აქედან არ ეჩანვართ... — დედას სიმღერა ურჩევნია. ხარიტონს ძელბარი და თოხი გამოუმარაგებია.

— ჭურს ხდი, ხარიტონ ბიძია?

— წამო შენ ჩემთან, ბოჩია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილწნულები მოაქვთ ბოგონებს.

— ეს ვის მოუტანეთ? — უკვირს მიხას.

არ იციან.

— როცა მოვკვდები, დამადევით გულზე, ჯერ ადრეა!

—ამას თმაში გავიკეთებთ...

— ეგ სხვა საქმეა, ერთი ნაკვერცხალი გამომირბენიეთ მანამდე, თქვენს ბაზრდა-გახარებას! — თუთუნს ახვევს.

კისრისტეხით ეკვეხებიან დები, პალატის კუტიკარში, შესვლას არ აცლიან ერთმანეთს. აკვამლებული მუგუზლებით მორბიან იმწამსვე — პაპიროსის გაწყობამდე. საიდან მოუკიდოს, აღარ იცის.

— ცეცხლი გაწიეთ, არ აფეთქდეს! — ეღიმება ფარნაოზს.

— ცოტა მომერიდეთ მართლა, რავარი კაი ბაღნებია, თქვენ გაიხარეთ, მაინცდამაინც, აქედანაც მოვუკიდებ, იქედანაც, ე, კარგია, წეიღეთ აწი!

უკანვე შერბიან. ახრჩოლებული მუგუზლები მიაქვთ ხველებით, თვალში ცრემლის დენით.

თოხით ფხვიერ მიწას აცლის ბოჩია ჭურისთავს ბიებქვეშ. ხარიტონი ძელბარს რეცხავს და აყალოს არბილებს. ბოჩია ორშიმოს უმზადებს, სულს უბერავს ძროს, ბურძღენის ნარჩენებს აშორებს.

— რას აყოლიხარ, ბოჩია, შენ მაგათ... — აყალოს ჭრის მოზომილად. — მაგათი საქმე წასულია და შენ მაინც უშველე თავს, ბოვში ხარ სულ, ერთ ცოდვას მეორე არ მიუმატო... — მოჭრილ აყალოს არეკავს, ფხვიერზე წააწვენს, ორგოს ასუფთავებს. — გაეცალე, სანამ გვიან არაა, მაცხოვარი მონანიეთა ღმერთია, შეგინდობს. — ორგოს ხდის ორ ნაწილად. გაკრიალებულ-გაბწკალებულ, წიწიბმოუხდელ ღვინოს დაჩერებია პირჯვრის წერით. — ღმერთო, შენითა და არა ჩვენითა!.. — ბიის ფოთლებიდან ჩამოშვებულ მზის სხივზე ჭვივის ჭუკისფერი ღვინო მოპირთავებულ ჭურში. — შენითაა ყოველი სულდგმული, შენი მოპოვებულია საზრდო შენი, საბადებელი, შენ გვიშველე, შენ შეგვეწიე!.. — ორშიმოს ძროთი მიწევ-მოწევს წიწიბოს, ჩხრიალით ეშვება ორშიმოში ზედაშე.

სუფრას აწყობს დედა საჩეხში, ხავსიან ხურდუმთან, მოფარებულ ალაგას. ბოგონები დასდევენ დიასახლისს, რიგრიგობით გამოაქვთ ჯამები, კეცებიდან რეკილ მჭადებს აცლიან ნეშოს პატარა, ვარდისფერი ფრჩხილებით, ქალური მონდომებით. მიხა და ფარნაოზი ლაპარაკობენ:

— საშასეული კარაბინი ხომ გახსოვს? — ეკითხება მიხა.

— რავა არა.

— კონდახი გაებზარა, ჩემი ბრალია, ვაგონის კარს დავკარი, გვრას დავუტოვე, გავაკეთებ, არ დავატყობ არაფერსო...

— კარგი თოფია, დამენანებოდა, რომ გაგეცა, თუალი რჩებოდა ნანიკაშვილებს ზედ, გერასთან ნუ მიხვალ დღეისწორს...

—ხვალვე ჩავაკითხავ ანდა დოუგვიანებ...

— თვითონ არაფრის მაქნისია, მშიშარა და გლახა, მარა აყვანილი ყავთ, უთვალთვალებენ, ვინ გადის და ვინ შემოუდის, ვის მიაქვს, ვის მოაქვს, სანდო არაა თვითონაც.

— ვიცი. ვინდაა სანდო. ყოჩადადაა მამაშენი, არაა ტახვიეი!

— უცქმიათ იმ დღეს ხრესილში, არ შევარჩენ სეევრიან მიქაიაძეს მამაჩემის სისხლს, თავპირდახეთქილი დაბრუნებულა, არ მიმხელენ...

—მაგ გაიძვერა სეევრიან მიქაიაძე აფრასიონ მერკვილაძესთან იყო გადავარდნილი, ახლა მთავრობას ერთგულებს ვითომ, წამხდარი, დაკარგული; ჩამიყარდება კიდევ ხელში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმი იშუშება ნაჭაზე ჩამოკიდებულ კარდალაში. ფიქრით მზერაწართმეული დედა ხის კარდალასთან. წაფერდებული სუთი სწორდება თავისთავად და ღიმი აღარ ფეთქავს.

— რა მოხდა, დი?!

— ანა, ანა! — ისმის ხმა შორიდან.

კაბებს ისწორებს და გადის ლაფარაში.

— ვინ არი? — ეკითხება ხარიტონი.

— შუშანა, მოისპო მაგი, გიდელი დავიტოვე იმ დღეს... — კივის. — რომელი ხარ?!

— შუშანა ბებია, შუშანა ბებიაა! — ერთმანეთს ასწრებენ ვულამოვარდნილი ბავშვები.

— მე ვარ, ანა, შუშანა! — წაკივლებით იძახის სტუმარიც.

— გაუტანე, გაუტანე!.. — გიდელს ხსნის კადიდან და ენერგიულად იქნევს გიდლიან ხელს. — არ შემოვიდეს აქანე, არ შემოვიდეს!

— ვინ არი? — იარაღს სინჯავს მიხა. — გაგვცემს?

— არა, კაცო! — ეცინება ფარნაოზს.

— ბღალავია, ბატონო, არ წაიღო იმ ქალმა ეს გიდელი! — თოკის მიბმულ ღანღვალს აგდებს შიგ.

შაოსანი ქალია, მაღალი. წელზევით აცილებია ხიმეს. ჭიშკარგადაღმა დგას დედოჭრილი ბოძთან, ლურჯ თვალებს აცრიალებს ეზო-კარზე.

— მობრძანდით! — სახემორდილული მოიჭარის ანა.

— გიდელი დავტოვე იმ დღეს...

— უი, სულ არ გამახსენდა, ბაღნეო, გამოიტანეთ გიდელი, მობრძანდი, შე ქალო, რავა გადაღმა გაჩერებულხარ!

— ბესარიონი მოასვენეს, იცი, ალბათ, ანა!

—აპა, აპა, ის უბედური!

— დავივალე, ამ უბანს მე ვეუბნები, შემოსვლით არ შემოვალ, იცი შენ!

გიდელს მოარბენინებენ ყვავილწნულებით თმადამშვენებული ეოგონები, ყვავილებით მოჩითულ მოლზე გამორბიან ჩითის ვრძელი კაბებით.

— ბღალავია? — არ სჯერა მიხა იაშვილს.

— გველი ყავს ბებერი! — უხსნის ბოჩია.

— ბებერი?

— კარგი, ბიჭო, — უწყრება ფარნაოზი. — გველი კი არა ის, ეს უნდა მამაჩემს!

— მაგი გადაშენდა, რა ვიცი, რა ყავს... დავადევი ნიშანი სანიშნეზე და ქე ვერიდები მასკვან.

— დადგე?! — თვალები აქვს გაფართოებული მიხას.

— წავკუზე. მარტო რას გავხდებოდი, წამეხმარნენ... მეხრჩობოდნენ ბაღნები ხუნაგით, ოუშვი, მე ვუთხარი, რა შუაში ვარო. აბა ვინაა, მე ვუთხარი, არაო და, მივაშიშხინე გავარვარებული ნალი, უკაცრავად პასუხია, უკანალზე.

— ძველი ხარ, ხარიტონ, ძველი! — ყვირის ბოჩია.

— კუდიანია, კაცო?! — ფარნაოზს უყურებს მიხა.

— სოფელია ბნელი, კუდს კი არა, რასაც გინდა, იმას გამოგაბამენ!..

— სოფელი ბრძენია, ბაბა! — შვილს საყვედურობს ხარიტონი და ღვინოს ასხამს დინჯად ჯამებში.

— სტუმრები მყავს, შუშანა, — ბოდიშობს ანა ღობესთან. — რაჭველი მხერხავებია, წაბლის მორები დააჭრევინა ხარიტონმა ადრევე საბოსლედ...

— ვიცი, ანა, რაცხა მხერხავებია... — ღანღვალს ამოწმებს, ახვევს თოკს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად დებს გიდელში. — ჯარი გადმოუსხამთ ორპირის სადგურში მატარებლიდან...

— ჯარს ჩვენთან რა უნდა, შუშანა?

— მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, შენი ქმარია უჯიათი, ყუმი, გაუგებელი, დაუნახავი, თვარა ფარნაოზეისაგან სიკეთის მეტი არა მახსოვს რა, ანა!

მიდის. გაშეშებულ დედას ტოვებს ღობესთან. საყრუე დგება კვლავ. ბრუნავს ყვავილოვანი მოლი ფერდოზე ვაშლის ხეებით, საადრეო, წითელი ვაშლები ჭვავიან სიმწვანიდან, სიცხე შედის ბალახბულახში, ბუსნოში და გამთოაკარებულ მიწაზე სიცხის სხრიალი ეწვნება ჭრიჭინს. მარტოა შუშანა ბოკონებზე შემდგარ უპალატო, ულამფო, ერთთვალიან ოდაში. ბალახი მოსულა დაბალ აივნამდე, კიბემდე. გრეხა გამხმარი ბალახების გირლიანდები კიდია კედლებზე. ნახორი, ბუჟა, ბუჟა მოხაშირო, ლესპანძო, მაგრატენინ. კაბა მაცვია ზაფრანისფერი გაწყობილი ჩიტითვალებით. მოშუშდი, მოთრიელო, მოგველო მიულაღლაღდი შენიანს, უზანის საწკეპელას გაუსწორდი ნასორი, ნახორი, ყოლი კაცისა ნახორი დედაშენთან მოთრიალო, მოხაშირო, ცარიელო, ფუტურო ბრძენო!..

— ძლიერ აირია ქვეყანა, ჩემო ბატონო, — ხარიტონი ლაპარაკობს სუფრასთან, — მძიმე დღეები გვიდგას და უარესს მოველითი. კუდიან ვარსკვლავს მოყვა ეს. დაინგრა ქვეყნიერება, გადალაგდა უსაფუძვლოდ... არ გასრულდა დიდი ომი... ისევ შფოთი, არ აჩერებთ ადამიანებს მათი დამაწყვეარი... ჯარი ჩამოიცალაო ორპირში, ბღალავს რა დაეჯერება, მარა არც წაყრუება ივარგებს... გურნელი კაცია ერთი, დეპუტატი არსენიძე, ეკუცია მოვაო, იმასაც ეთქვა ამწინეებზე...

ილუმებიან. არ პასუხობენ. ხარიტონიც აღარ იღებს ხმას. სავსე ჯამს დაჩერებია. მოლაპლაპე ღვინის ანარეკლზე თუ კითხულობს ავის მომასწავებელ ნიშნებს...

— ჩვენი მხრიდან თოფი აღარ გავარდება... — ტუჩებს იწმენდს ნიგვზის ნეშოთი ფარნაოზი. — ლეჩხუმის აჯანყებამ შეასრულა ისტორიული როლი, კიდევ უფრო მოურყია მაგენს ძირი. ჯარი თუ მოვა, წავა კიდეც, თუ არადა ჩვენ მხარეზე დადგებიან, მუშებია და გლეხებია ისინიც, აბა, საბაა მესხი და ჯაჯუ კოსორელი არ უშვებენ საღდათში შვილებს...

— მორიგდებით ვითომ ერთმანეთში?

— მუშებთან და გლეხებთან გასაყოფი არ გვაქვს, უფროსობას არ დავინდობთ, სისხლიან, უკანონო მთავრობას ჩამოვამხობთ ბოლოს ჭერს თავზე.

— ტყუილი იმედი მომეცა, — გულს ეყრება ხარიტონს. — წადით, ბაბა, რუსეთში, დროებით შეაფარეთ თავი რუსეთს!

— ჩვენ აქ ვართ, აქ ვიქნებით, შემოსულები ჩემს წესს და რიგს დაემორჩილებიან, მაგენს გასაქცევი გზაც არ ექნებათ.

— დათვლილია, ბოლობოლო, მაგათი დღეები, ბატონო ხარიტონ... — საუბარში ერთვება მიხა იაშვილი. — შემოვლენ წითლები და ეგ იქნება, ამით გათავდება ყველაფერი.

— პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო თუ პირიქით, ისევ ავირევით, ვატყობ, არ დალაგდება ეს ქვეყანა, ჭეყუილია!

— უკეთესი დრო დადგება, ხარიტონ ბიძია, ჩაგრული გაიხარებს! — დიდი ლუკმის ჩაყლაპვა გაუჭირდება და წყალს დაუწყებს ძებნას ბოჩია.

— როდის, ბიძია, თუ აღარ ვიქენი, უკეთესი დრო რად მინდა; შაქარი, არ დამიმადლებია, დოქშია წყალი; იქნება უარესი დრო მოვიდეს, გადამთიელს უკეთესი როდის მოუტანია, წითელს და ყვითელს რა მოქონდა სახარბიელო, თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესად იცით, მარა სისხლი მოყვება მომსვლელს, უბრალო სისხლი დაიღვრება ისთვალ. გავწამდით, რაღა დაგიმალოთ, ბატონო მიხაკო. აღარ დაგვედგომება აქანე. დღე ერთია და ცხრაჯერ გვაკითხავენ ხანდახან, ეკლესეზე ეზივარ ახლაც, პირში ლუკმა არ გადამდის, ბოვშებს, ე, გეიხედეთ, თვალი ჭიშკრისაკენ უჭირავთ, ჩვენ გვყარაულობენ, ადამიანებად აღარ ივარგებენ მაგენი... ისეთი რა დაეშავე, ბიჭო, რა მოუნეელი დაატრიალე, გეძებენ, გეძებენ ნადირივით, სულ შიში, სულ ელდა, მეზობლის დაძახებას ეუფრთხით, ძაღლის დაყეფების ვეშინია...

— თქვენთვის ვწირავთ ჩვენ თავს, თქვენი სიკეთისათვის ვიბრძვით!

— არ გინდათ, ბაბა, ნუ იბრძვით, რაცხა ორი დღის წუთისოფელი აქვს ადამიანს, დააყენეთ უომრად, უბრძოლველად... ჩვენი გვყოფნის...

— უკეთესი არ გინახავთ და ამიტომ, არ გაგიგიათ, რა არი თავისუფლება, არ იცით. მონად მზრდიდით მეც. პარიკმახერად მამზადებდი და არ გამოგივდა!

— კარგი მინდოდა, შვილო, წიგნი გიყვარდა და თან ისწავლის-თქვა, ვფიქრობდი. აბა, თოხი ვერ დაგაჭერინე, იარაღისკენ გაგირბოდა თვალი!

— და სამართებელი მომეცი. იმათი სიფათები უნდა მეფხიკა?! ვისი?! ვინც ჩემსას, ჩემს წილს ისაკუთრებდა, სიყვარულს მარომევდა, არაფრის მქონეს ჩემი სახელი მიქონდა; მთვრალ ოფიცერს, აქოთებული გლეხები რომ ახსენა, ყელი კინაღამ გამოვჭერი წვერის პარსვის დროს; ყარდა თვითონ თევზის სუნად და გავუყავი სახე კიდეც ორ ნაწილად, ცოფიანივით მერიდებოდნენ საფიჩხიაზე იმ დღის შემდეგ... მონად არ ვივარგე, არ გამოვდექი!

— კარგი რა, ფარნაოზ! — წუხს ბოჩია.

აღარ ჭამენ. ერთმანეთს თვალს აღარ უსწორებენ.

— პარიკმახერად მზრდიდნენ!.. — წამოხტება. გადი-გამოდის. ვერ ჩერდება. — გცემეს, ხომ, იმ დღეს?! მაჩვენე ზურგი, აიტანე?! ვირი ხარ, საქონელი ხარ?! კარგად ვცხოვრობთო, ესაა კარგად ცხოვრება?! სახრით ეცემინე?! დამარილებულ ქედზე გირტყეს? მაჩვენე საკურტნე ზურგი! რატომ არ გაამხილე, რატომ აიტანე?! სევერიან მიქააიძეს ვანთხევინეს სისხლს, ეზეკი ჟორჟოლაძის სისხლს დავლევ, მაგის დედის და მამის საფლავს მივაოხრებ!

— შემარგე ლუკმა, თუ არა, ავდგები და წავალ! — წამოდგომას აპირებს მიხა.

— სად წახვალ, კაცო, რა დროს წასვლაა! — მოულოდნელად წყნარდება. ჯდება. ხმას აღარ იღებს ცოტა ხანი. — დალიეთ? შენ რატომ არ სვამ, გწყენს?!

— ვსვამ, დავლიე და კიდევ დავლევ! — იყუდებს ჭინჭილას ბოჩია და თავმოძულებულივით წრუპავს.

— ისე, ჩვენი ამდენ ხანს გაჩერებაც არაა სწორი, უნდა გითხრა, ფარნაოზ. იციან, აქა ვართ. ეკვირდები და კაცშვილი არ გაჭაჭანებულა ამ ბარობაზე ბღალვის, რავარც მითხარით, მეტი.

— კარგი ქალია შუშანა!

— კარგი მოგვიდა შენ! — შუბლშეჭმუხნილი ჩაილაპარაკებს ხარიტონი შვილის მისამართით.

— სიჩუმე კი გლახას ნიშანია, დამიჯერე, ცოტა გამეგება ამ საქმისა. აბრაგი ხიფათს სულ გრძნობს, მაგრამ თავის არიდება ყოველთვის კი არ შეუძლია...

— სოფელს ვერ დავენდურები, მიხაკო ჩემო, რაც მართალი მართალია, მარა ერთი ღვთისპირიდან ამოვარდნილი იუდა ყველგანაა, დღეს აქ ხართ, ხვალ კაცი ვერ მოგძებნით და ცხენს ვერ მოერევიან, უნაგირს დაამტვრევენ... ესენიც ხომ ჩემი შვილებია, უმწეონი, რა ქნან ამათ, ესენი მაინც გადავარჩინო.

— არ უნდა მოვსულიყავი... — სიმწრით იღიმება ფარნაოზი. მინდორში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშებულ, დანაღვლიანებულ ბავშვებს უყურებს. — აღარ შეგაწუხებთ დღეის ამას იქით.

— არ თქვა, დედა, არ თქვა, დედა!..

— ჩემ სიცოცხლეში არაფერი დაგემართებოდეს და მერე მომყოლიხარ იმავე დღეს უკან!

— რას ამბობ, ურჯუკო! — მუჭით ემუქრება ცოლი.

— შენი ადგილი იცოდე, ჟორჟოლიანის ქალო... აბა, დამტირებელი ქე მყავს, მარა დამმარხველი თუ არ დამირჩა, რად მინდა ეს სახლ-კარი, ან ჭური, ან მარანი, წავკიდებ ცეცხლს, დავნაცრავ აქაურობას.

— უი, უი, ჩემს მოსწრებას! — სახეს იხოკავს მალულად დედა.

— ცოცხლად ნუ გამომიტირებ, დედა... — აღარ შფოთავს, ძველებური ღიმილიც დასჩენია სახეზე.

— არ ვტირი! დედა. არ ვტირი. — ცრემლებს იმშრალებს დაუფარავად. — არ ვტირი, ხომ ხედავ, არ ვტირი, — თავსაფრის ყურით იწმენდს თვალებს, — არ ვტირი, სატირლად მიეცა ჩვენს მტრებს საქმე!

— ღარიბული პურ-მარილი არ დამიწუნოთ, სტუმრებო.

— რავა გეკადრება, ხარიტონ! — შეძახილს მიჰყვება, მხარს უბამს მასპინძელს მიხა.

— ღარიბი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო, ნათქვამია! — ყვირის.

— აპა არა! — ბოჩიაც ყვირის.

— არაფერი გიჭამია, დედა, ცარიელი ღვინო გაწყენს...

— ვჭამე, როგორ არ ვჭამე.

— ქათმის თათი გადაიღე, ჩემი ხათრით, თქვენც მიირთვით, მეტი არაფერი გვაქვს!

— ჟორჟოლიანის ქალო ანა, დაგვანებე თავი!

სასულე ორკესტრის ხმა მოდის, დაფდაფების და საყვირების ხმები მოდიან. სუფრა ჩერდება.

— ბიცოლა, ბიცოლა! — სალომეს ხმაა.

— რომელი ხარ?!

— გახედე, ქალო, აქედან რო პასუხობ.

— მე ვარ, ანა ბიცოლა, სალომე!

— შენ არ გახვიდე, ბიჭო! მე ვარ აქ, მე მივხედავ!

— შენ წამხდარ სუფრას უშველე, ქალის ტრაკის დადაღვაში ხარ მაგარი! — კარგადაა შექანჯალებული ფარნაოზი. გაჭიმული მიდის, იარაღს ისწორებს, მოლზე მიცურავს საცვეთებით.

— მითაიშვილის ჯარი შემოვიდა, სადაა ანა ბიცოლა?! — შორიდან კითხულობს.

— ანა ბიცოლას რა ესაქმება მითაიშვილის ჯართან?!

— წყალი შეაგუბეს, ფარნაოზ, თურმე ცხენებმა ღვაღვანას ღელეში.

— ირბინე?

— წყალი ამოაშრო ღვაღვანაში დასიცხულმა პირუტყვმაო, გეგელა სულელმა მითხრა, სულელი უძახე შენ, მართალი მოიტანა.

— შეგაშინეს?

— ნახე, გული როგორ მიცემს, ხელი არ დამადო! — თავადვე იდებს ვაჟის ხელს. — ფართქალებს.

— ჭიშკარგადაღმა დააყენე ბაღანა? შემოდი, ვოგო, ასე უნდა! — შორიდან იძახის ანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რავა გველნაკბენივით მომაშორე ეს ხელი, აბრეშუმის ჭია მივატოვე, ანა ბიცოლა!.. — გულისპირს იკრავს, ერთ ნაბიჯზე სცილდება ფარნაოზს.

— შემოვიდესო, ხარიტონმა, არ გოუშვაო არაფრით.

გოგონები გამორბიან მისაგებებლად.

ყვავილწნულის ფატას ახურავენ, ნაწნავებზე ხელს უსვამენ ფრთხილად.

— გამოცოცხლდა აქაურობა... — ამბობს მიხა სუფრასთან. — ქეც ვიყავი დაჭიმული აქამდე ლარივით, ახლა ვიქეიფოთ, რას იტყვი, ბოჩია, მაგის დედაც ვატირე! — ჩახლეჩილი ხმით იწყებს, მღერიან.

— დაგუდულად, დაგუდულად! — იძახის და ბანს ამბობს ხარიტონი. — ბესარიონი მოასვენეს, არ გამოვა, დაგუდულად.

ბოსლიდან გამოდის ფარნაოზი. საბუდარი მოაქვს მძიმედ, საზეიმოდ.

— აჰა, კამფეტები, რომ დაგპირდით! — მუჭა-მუჭა არიგებს ტყვიებს, მჭიდეებს, სავაზნეებს, ჯიბე-უბეში იჩურთავენ და ფეხზე მღერიან:

სიძემ რა მოგვიტანაო,
სიძემ რა გაგვახარაო.
ჭიშკართან დგანან.

— საკართანო უნდა დაილიოს! — ყვირის ხარიტონი დოქ-ჯამშემართული.

სიძემ რა გაგვახარაო,
სიძემ რა მოგვიტანაო.

კვახის ფოთლებში შეხვეული საგზალი მოაქვს დედას, გზაში შეჭამეო, ფარნაოზს აჩეჩებს, სიმღერით იგერიებს შვილი.

სიძემ რა მოგვიტანაო,
სიძემ რა გაგვახარაო.

ლაგდებიან, ეწყობიან, შემდებიან. სალომეა და გოგონები შუაში ფერადი კაბებითა და ყვავილწნულებით.

ტონი მინდა კიდევ?

კარგია, კარგია, ყვავილები დაიმატე, კარგია!

წამი დგება. ყვითლდება. ხუნდება. რჩება.

სიმღერით მიდიან სამნი სერზე, ჩაუთავდაღმართებიათ. დავბრუნდებიო, ანიშნებს წითელ-ყვითელ ყვავილებში გახვეულ სალომეს ზურგუკუღმა მიმავალი ფარნაოზი, ცალ ხელში თოფი უჭირავს, ცალ ხელში არაფერი. ისვრის რიტმულად, სასულე ორკესტრის ხმას აყოლებს სროლას. თოფისწამალი ადის ზევით, მუსიკაც ადის და იხურება ლურჯი ხავერდებით.

დამოუკიდებლობის ეიფორია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იგი არც ჰქონია. ის არ იყო ეიფორია. იყო ძალაუფლების უზენაესობის შეგრძნება და შიში რეალობისა. საქართველო იძირებოდა მოჩვენებით დამოუკიდებლობაში და, ჟორდანიას გასაოცებლად, ამ ფაქტს სერიოზულად არ აღიქვამდნენ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ყოფილმა სოციალისტმა ალექსანდრე ეტინ მილერანმა რწმუნებულის პირით შემოუთვალა: გაარკვიე, რა უნდა თქვენგან რუსეთს და მოაგვარე საშინაო (ანარქიას გულისხმობდა) პრობლემებიო. რა უნდოდა რუსეთს? თვითონ არ იცოდა, მაგრამ გასარკვევი იყო, რა მოუნდებოდა, როცა იგი საამისოდ მოიცლიდა.

და როცა მოიცალა, ჟორდანიამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარკვევა დაიწყო ცალმხრივად, ეცადა დაკავშირებოდა ლენინს პირადად, ეკითხა: რა გინდათ? მზად იყო შეთანხმებაზე, მორიგებაზე, ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაბარებაზეც, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის უნა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჭოდ დაწერილი სცენარი გადასინჯვას აღარ ექვემდებარებოდა. მოსახდენი მოხდა.... მანამდე:

როგორ უნდა ეტარებინა გემი ჟორდანია ნოეს ფარვატერში, თუკი, რამდენადმე მაინც, თავისუფლად ცურვის ნებას დართავდნენ. მთავარი იყო, არ დაშორებოდა ნაპირს (რუსეთს) და არ დაეყურა გემი, მგზავრება პირაიების (პატარა-პატარა მტაცებელი თევზების) დასაფლეთ. არ გაეხადა ცნობიერად თუ არაცნობიერად მისმა მთავრობამ აიცილა კავკასიის ომი, რასაც საქართველოს დაღუპვა, ტერიტორიული მოლიანობის სრული დარღვევა, დაშლა-დანაწევრება მოყვებოდა. სამი პოლიტიკური გამარჯვება იზეიმა (ეს არც ისე ცოტაა), სამ წელიწადში:

1. სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს (როგორ და რა გზებით, სხვა ამბავია) არჩევნებში. მოაგროვეს ხმების 84 პროცენტი და დამფუძნებელ კრებაში გაიარეს 109 მანდატი. სოხუმის ოლქში, ბორჩალოს მაზრაში, ახალქალაქში, ახალციხეში, გასაგები მიზეზების, სვანეთში, თიანეთში, დუშეთში — (ნაწილობრივ) დიდთოვლობის გამო არჩევნები არ ჩატარებულა. II. 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა, მას შემდეგ, რაც ჟორდანიას თქმით, ჩვენ დაგვტია მარტოდმარტო, გააჩუქა ყარსი, ართვინი, ბათუმი, გააფორმა იმპერიული აზროვნებისათვის სრულიად გაუგებარი სამშვიდობო ხელშეკრულება ორი სუვერენული (საქართველო-რუსეთი) სახელმწიფოსათვის. III. დემოკრატიული საქართველო ერთა ლიგამ ოფიციალურად აღიარა და დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პირველი ქართული კონსტიტუცია საქართველოს დაპყრობამდე ორი დღით ადრე. აკ. ჩხენკელი კი როცა ელისეს სასახლეში დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის საქართველოს რწმუნების სიგელს გადასცემდა მალერანს, „თბილისის თავზე ფრიალებდა“ წითელი, ბოლშევიკური დროშა.

ცოტა უფრო ადრე (თებერვალი 1921) დამფუძნებელ კრებაზე გუბერნატორმა ბენია ჩხიკვიშვილმა თავი აჯახა და თვალი კინაღამ წამოუჯდა დეპუტატ შალვა ნუცუბიძეს, როცა ამ უკანასკნელმა გაუვრცელა ხმა „სამოვარით“ ცხელი ჩაის მაგივრად ცხელ ღვინოსა სვამსო. შალვა ნუცუბიძემ ამის შემდეგ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად, დაწერა „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ ქართულად და იმ იმცდენტს, როგორც ვხედავთ, მის შემოქმედებაზე, — პოლიტიკურ მრწამსზე ვერაფერს ვიტყვით, — გავლენა არ მოუხდენია.

როგორი იყო საშინაო თუ შინაური მდგომარეობა დამოუკიდებელ რესპუბლიკა საქართველოში? დროის შესაფერისი! სოფელს არა უშავდა რა. ჰქონდა პური (აღმოსავლეთში), მჭადი (დასავლეთში), ყველი, ღვინო, მწვანილი. მოთხოვნილება დიდად არ უსწრებდა მოხმარებას, არ უჩაოდნენ ენერგომატარებლების სიმცირეს და სხვა.

უჭირდა მუშას, ქალაქს საზოგადოდ. ჟორდანიამ დაწერა: საჭმელი ჩემი ოჯახისათვის ხშირად დიდჩემს ჩამოჰქონდა გურიიდანო. იკითხა ერთხელაცაო: რისი მინისტრი ხარ (მინისტრების თავი თუ იყო, არ იცოდა) ჩემი სარჩენი და საპატრონოო.

რესპუბლიკა იყო უპოვარი, გაღლეტილი, ნახევრად აკრარული. გვქონდა მხოლოთაო (ჟორდანია იხსენებს კვლავ) ფულის საჭრელი მანქანა და საფულე ქაღალდიო (სად იშოვნეს ან ერთი, ან მეორე?). „...საზოგადოდ ფულს ვუყურებდით, როგორც ხიდან ჩამოვარდნილ ფურცელს, რასაც ეჭირვება მხოლოდ ახვეტა და გადაყრა“. და ჰქონდათ თავსაყრელად, დასარიგებლად, კუბოში ჩასაფენად.

და მიდიოდა მაინც დრო. ყიოდა მამალი. ცხოვრობდა ხალხი დღევანდელ დღეზე უკეთესად, გაცილებით მშვიდად (ამას აქაც ვნახავთ) და მაინც უჩვეულოდ, როგორც გითხარით, დრო და ჟამის შესაფერისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დავტოვეთ სოფელი ეგზეკუციის წინ. დავტოვეთ შეტირილი. ხარტონ მორჩიძის კარ-მიდამო, სალომეა.

ყანაღებმა დაიძინეს ტყეში. მიყრილ-მოყრილიყვნენ ნეშომპალაში მოცვის ბუჩქებთან, წიფლებთან ახლო. მიხა იაშვილმა გაიღვიძა ყველაზე ადრე, შეახვია თუთუნი, ამოიღო ქისიდან კვეს-აბედი, წვალებით გააღვივა დანოტიებული აბედი, მოუკიდა, გააბოლა. იჯდა, სვამდა თუთუნს, ახველებდა დაფიქრებული, გაგულისებული.

ფარნაოზმა ნეშომპალასა და არყასოკოს სუნი იკრა. ყური მიუგდო ღილის ტყის შრიალს, გალობას. ვის უნდა ეფხიზლაო, იკითხა თვალის გახელამდე. არ ს.ძინებია ამას, გაიფიქრა მიხა იაშვილმა და მაჩერდა თავდაღმა დამხობილ ბოჩიას.

— ბიცოლაჩემი დამესიზმრა... — ნეშოში იყო დაფლული, სამარიდან ამოილაპარაკა თითქოს. არ გასცინებიათ და ძილის შებრუნება დააპირა.

— არ გამოვა ასე, წავაგებთ თავს... — თქვა მიხამ.

დედის თავსაფარში გაკრული საგზალი გახსნა ფარნაოზმა.

მერე ისევ იცინოდნენ.

— აქედან დავიწყოთ?

— კარგია, წამოჯექი!

— არ წამომდგომოდა თავზე, კარგი იყო...

— ჩემდა ჭირად.

— არ წამომდგომოდა თავზე, ჩემდა ჭირად, ჩემდა წერად ის სულწაწყმედილი, რა იქნებოდა...

სადღაც ხელ-პირს იბანდნენ. მიდიოდნენ კორდ-კორდ, შარა-შარით, გზა-წვრილით.

—ალალი ბიცოლა?

— სად მოძებნა კაზაკის ქალი იმ სიბერეში...

— ...მამიდა რომ ყოფილიყო, სხვა ამბავი იქნებოდა, მამიდა არ გეპატიებოდა... — ფრუტუნებენ, იხრჩობიან სიცილით, სერიოზულდებიან და ისევ ფრუტუნებენ მიხა და ფარნაოზი.

— რაცხა მეწყინება ისევ, არ უნდა ლაპარაკი, ბეჭიც მითამაშებს!..

ამის თქმაა და სროლის ხმა. ზღმარტლს შეაცლის პირველი ტყვია თეთრმწვანედ დაფორაჯებულ ქერქს. წაიჩოქებენ და ორმხრივი სროლა ატყდება.

ნაბდებში დაგორგლილნი მიგორავენ ხელეხურწალში. გაღმიდანაც ისვრიან, როგორც ჩანს. ხელყუბარები ფეთქდება. კაცი ცალკე მიგორავს, დაგორგლილი ნაბადი ცალკე. უკვე ბინდდება და სროლაც წყდება. სოფელი შინ შედის. ბოლი იწყებს საკვამურებიდან დენას. ცეცხლის ალი გამოკრთება აქა-იქ სამზადი სახლების ღია კარებიდან.

მანდიკორ-გურნის საზოგადოების ოდის ეზოში ხალხია. ხარიხაზე მიბმული ცხენები ფრთხვინავენ დროდადრო. კისერზე ჩამოკიდებულ თოფრაში აქვს ცხვარი ჩარგული ზოგიერთს. შვრიის ფქვის ხმა ამოდის თოფრიდან. გვარდიელები იცავენ განაწესს. პოსტებზე ენაცვლებიან უწესრიგოდ ერთმანეთს.

საზოგადოების დიდი ოდის აივანზე დგანან: გენერალი მიტო მითაიშვილი, პოლკოვნიკი ბარძიმ ხომაშურიძე, გვარდიისა და მილიციის უმცროსი ოფიცრები ასლანიძე, კორძაია, თავადი ჯაჯუ კისორელი, მღვდელი, მამასახლისი, დიაკონი, ორიოდე აზნაური და სოფლის ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი.

ეზოში შემოჭყავთ ნაცემი, თავპირდასისხლიანებული გლეხები, ლეჩხუმის აჯანყების მონაწილენი, აჯანყებაში ეჭვმიტანილი პირები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხარიტონს მიაგდებენ ქვის კიბესთან გინებით, წიხლების ქნევით.

მზე ჩადის. ქვევით გორა-გორა ჩაფენილი, მწვანე ნაჭრებად აწყობილი, ცისფერ ცაზე მიკრული წითელკრამიტიანი სოფელი ჩანს.

ულვაშებაწკეპილი მითაიშვილი შლის ხელებს ბირკვილთან, გამყინავი ხმით, მკაფიო ინტონაციით, ძლივს შესამჩნევი რუსული აქცენტით იმუქრება:

— ...მთელს ოკრიბაში გამოცხადებულია საგანგებო წესები. ყველა და ყველაფერი დაემორჩილება სამხედრო კომისარიატს. ვერავინ უნებართვოდ ვერ შევა და ვერ გამოვა ამ მხარეში. ყველას — დიდა და პატარას, ქალსა და კაცს, ვინც იარაღს არ გამოაჩენს და არ ჩავებარებს, დავაპატიმრებთ, გადავაგზავნით საგუბერნიო ციხეებში; აჯანყების მონაწილეებს, ბუნტისთავებს, დესტაბილიზაციის მომხრეებს დავსჯით, კანონის ფარგლებში, რასაკვირველია. თუ ამას არ დამჯერდებით, სახლებს ცეცხლს მივცემთ, ხილს და ვენახს აგიჩეხავთ, არ შეგარგებთ მოსავალს, შობა-ახალწელიწადს არ გაგითენებთ; ყაჩაღებს, ყაჩაღების მფარველებს, მშრომელი ხალხის მტრებს არ დავინდობთ, სანამუშო წესრიგს დავამყარებთ მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობის დახმარებით, ხელშეწყობით, ერთგულებით... — ტაშს ელოდება. — ხრესილში ჩადგა ჩვენი სახალხო მილიცია დამოუკიდებელი მოქმედების უფლებით, გამოცდილი მუშაკის ეზეკი ჟორჟოლაძის მეთაურობით. ოკრიბაში გასატარებელ საგანგებო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა მე — მიტო მითაიშვილს, აერეთვე: გამოჩენილ გვარდიელს ბარძიმ ხომაშურიძეს, ჩვენ თანმხლებ ოფიცრებს, ჯარისკაცებს, რესპუბლიკის ერთგულ გუშაგებს. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, სუვერენულ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!

ტაშია. ერთმანეთის მხარდაჭერით აქტიურობენ აივანზე. გალენჩებულნი დგანან ქვევით. ტაშს უკრავენ ნაძალადევად, მაგრამ მათ სახეებზე გაოცება-დაბნეულობაა და არა პროტესტი.

თავგადახოტრილი ასისთავი ასლანიძე, წელში მოხრა რომ უჭირს და გაჭიმული დაიარება, ხომაშურიძეს ეჩურჩულება, ხარიტონს ათითებს ნიკაპით.

— წინ გამოვიდეს!

— გამოდი წინ, გამოდი, გამოდი, იდექი! — ყვირის ასლანიძე.

წინ დგას ხარიტონი.

— სადაა, ყაზახი, შენი მოსწრება შვილი?! — მითაიშვილი ეკითხება.

— ჩემი, ბატონო?! — ყაბალახს იხსნის, დასისხლიანებული თავ-პირი უნდა დაანახოს აშკარად.

— შენ გეკითხებიან! — უბღვერს ცალწარბაწეული ასლანიძე.

— არ ვიცი, ბატონო, ჩემი შვილი მე არაფერს მეკითხება, ერთი ტყეში გადავარდნილი ნადირია, არ ვიცი, სადაა!

— არ იცის!.. —ხომაშურიძისაკენ იხედება.

— ხმხმხ... — უცნაურ ბგერებს გამოსცემს სახეგაქვავებული ხომაშურიძე.

— ასლანიძე, ცხენის ნაშობო, — ხმას დაუწევს და უცბად იცვლის ტონს მითაიშვილი. — თავ-კისერზე ნუ დაამჩნევ ხელსოქვა!.. — ასლანიძეს არ უყურებს, თითქოს სხვას ელაპარაკება.

— კორძაიამ ურტყა, ბატონო! — ჩუმად უხსნის.

— თავ-კისერზე?

— გვერდებშიც ბევრი უბაგუნა.

— კარგი. მოგივლით, გლეხებს ცემენი... — ხომაშურიძეს ეჩურჩულება.

— ხმხმხ...

— მტერი ჩავარდა დეპუტატების ყბაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა, ბატონო, ა! — თ.ე-კისერს აჩვენებს, ხედავ, რაზეცაა ლაპარაკი ხარიტონი.

— მამასახლისად რომ იდექი, დააკელი ხელი ვინმეს? წიხლაც კარგად ხმარობდი! — ჯაჯუ კისორელი გადმოხრილა აივნიდან ირონიული მზერით.

— ქურდებს და ავაზაკებს ვსჯიდით.

— ავაზაკი და ყაჩაღი ეყავს შვილი, შენი გაზრდილი რა იქნება!

— შვილი ჯარში გამინადირეს ბოლშევიკებმა, თუ დასასჯელია, დასაჯეთ, ის დასაჯეთ! — ღრმილებთან დალეკერტებულ სისხლს აფურთხებს.

— შენი სახლი იწვის, ხარიტონ, ბიჭო, გონია! — სახემოჩრდილული გლეხი ეუბნება უკნიდან.

ლურჯი ბოლი ადის და ნაკვერცხლისფერი ალი ლოკავს წითელ დეკორაციას.

— ვაიმე, ნაკვდავო სახლ-კარო! — საკუთარ სახლს ცნობს შორიდან. — დამაქციეთ, დაიქცა თქვენი ოჯახი! — თავში ირტყამს ხელებს, გაქცევას აპირებს. — გამიშვით, თქვენ რჯული და ჯილაგი, გამიშვით, ურჯულოებო, — რამდენიმე კაცს მიაგდებს გვერდზე, იქაჩება, ვერ აკავებენ. რკინის ზუმპას გადაუჭერს ჭვარტლისფერი სახის გვარდიელი, თოფის ლულას რომ წმენდდა დინჯად მანამდე. წითლად გადაერკალება სახე საფეთქლიდან ნიკაპამდე. ჯიკავ-ჯიკავით შეაგდებენ ტვინგათიშულს ბოსელში. სოფლიდან კოვილი ამოდის. წითელი ჭიაკოკონა ღუს შორს, ცეცხლი იზრდება, იდღაბნება მწვანეზე. ქალები მოთქვამენ. ზარებს რეკენ სამრეკლოზე.

ოკრიბაში რა გინდოდ!

— ...ეზეკი ვარ, ეზეკი, მორჩიძე დაგვეცა, პირადი შემადგენლობა გამიიარაღა!

— რამდენი არიან? — ხანგრძლივი ხრიალის შემდეგ ისმის ყურმილიდან.

— სამნი. არ ვიცი. აქ სამნი. ჩემი ბოლო სიტყვებია, კონტროლი დავკარგე... მომაშველეთ ჯავშნოსანი, ეზეკი, ხრესილი ვარ, ეზეკი ვარ, გესმით?!

გადაიფურცლება თეთრად, გრძლად და სადგურია ტყის პირს სვეტებით, რიკულებით, მერცხლის ბუდეებით, მოჭადრაკებული იატაკით.

— ...სამმა რანაირად გაგაიარაღათ, მე თქვენი გამოძწელავი ბებია!.. — აუღელვებლად კითხულობს ყურმილი. — სამი კაცისათვის ჯავშნოსანი მატარებელი გამოვუშვათ?!

— რაც გინდათ, ის გამოუშვეთ, გესმით?! ეზეკი ვარ, ხრესილი, ჩემი უკანასკნელი სიტყვებია!

ტელეგრაფის აპარატი იფშვნება სროლის ხმაზე. თვალებგადმოკაკლული ეზეკი დგას კედელთან აპარატიდან აწყვეტილი ყურმილით. ფოსტის მოხელე გაწოლილა მაგიდის ქვეშ მოკლე ტანით, მელოტი თავი უდევს ფიცარზე დაჭყლეტილ სახეზე.

— დაადე ყურმილი და შებრუნდი კედლისაკენ! — მიხას ხმაა.

— ვარ-დენ! — წუღის ჭვინტს უსვამს თავზე ფარნაოზი ფოსტის მოხელეს. — ვარდენ, აბრძანდით!

დგება, მაგრამ ვერ იხედება, ხელებაწეული და თავწახრილი დაბრუალობს.

მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს აშრიალებს მაუზერის ლულით ფარნაოზი, ეზეკის უახლოვდება, ჯიბეებს უსინჯავს მარცხენა ხელით, ნაგანს ამოუძრობს და გადაუგდებს ბოჩიას, შაშხანები რომ აქვს ამოღლიავებული. სკამლოგინზე აგდებს თოფების კონას, ნაგანს საკეტს უმოწმებს, ბრმად მობრიალე ვარდენს ქაჩავს პიჯაკში.

— ვარდენ, სეიფის გასაღები გვჭირდება! — ფარნაოზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზეხელებდაწყობილი და თვალდახუჭული დგას სეიფთან.

— ვარდენ, ჩვენ ვართ, გააღე სეიფი, გვაინტერესებს, შიგ რაა!

მოკლე ხელებს ჩამოიღებს დიდი თავიდან, ასავსავებს, ფეხებზე უნდა მოეხვიოს თითქოს ფარნაოზს. უკან-უკან იხევს მისდაუნებურად ფარნაოზი, მაუზერის ლულით აჩერებს, წინ წამოსვლის საშუალებას არ აძლევს.

— მადაროს მუშების ხელფასია, ფარნაოზ, სინდისს გეფიცები!.. — ხელაკანკალებული არგებს კლიტეს საკლიტურს.

— შენი რამდენია?

— ჩემი რაა, თუ ვინმე წამიგდებს, ცოტას...

— რატომ გახრჩობდნენ დღეისსწორს?

— გაბოროტებულია ხალხი, რას გაიგებ... მუშების ხელფასია, გადაგზავნა ვერ მოვახერხეთ, ა, ნახე!

სატაბელო იარაღს გამოაძრობს, დაპრესილ ასიგნაციებს აუწევს კუდს ლულით.

— ჩაკეტე, შაური არ დააკლდეს, — ნაგანს ბოჩიას გადაუგდებს ისევ. — ჩემი სახელით არავინ ისარგებლოს, თუ არ გინდათ გატეროთ რუსულად! — სკამლოგინზე დადებულ შაშხანებს გაყრის, ერთ-ერთს საკეტს ამოაცლის და ეზეკის გადაკიდებს თავდამა, ყაწიმით მხარიღლივ.

— დამდევდა და დამიჭირა! — თვალს უკრავს მიხას.

— გაიარაღებულია სუყველა, გნებდებითო, თქვეს, სხვა იარაღი არა აქვენ!— აცხადებს ბოჩია.

სამხრეებამძვრალ-აღლეტილი მილიციელები დგანან ნატყვიარ სარკესთან, დრბეულ დარბაზში. ფარნაოზი აკვირდება სათითაოდ მილიციელებს, ეზეკი დაჭყვება თოკჩაბმულივით, საკეტ-სავაზნეგამოცლილი, უკუღმა დაკიდებული რუსული შაშხანით.

— დამდევდა და დამიჭირა, ჩემს ასაყვანად ჩამოვიდა ხაშურიდან, წელწადნახევარი მოანდომა ამ საქმეს, მარა კარგად დამიჭირა.

განიარაღებულ მილიციელებს, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება არც კი უცდიათ, არ ეცინებათ, არც ეხმით კარგად, რაზეა ლაპარაკი, ქერა, თმათხელი, ტანმორჩილი კაცის დიმილს და თავდაჯერებულ ქცევას ჩაუყრია ყველა საგონებელში.

— შენ, ბიჭო, გამოდი წინ!.. — პირტიტველ ყმაწვილს გამოარჩევს მიხა. — დორეთეს ძმა ხო არა ხარ?

— კი.

— გავს, ტყუპისცალი ხომ არ არის? — ჩაილაპარაკებს ფარნაოზი. — შე ღმერთძაღლო, შენი ძმა ჩვენთან იბრძოდა და შენ მილიციაში იყავი?!

— გამიჭირდა და ჩავეწერე.

— შენც ჩემს დასაჭერად გამოგიშვეს?

— სადგურს არ გავცილებივარ, რკინიგზას ვყარაულობდი.

— გამოდი აქეთ, წადი შენს გურიაში, აქ არ დაგინახო!

— წასახსველელი პირი არა აქვს, აქაა ჩასიძებული! — ხუმრობას აპირებს ამ სიტუაციით შეთამამებული, სახეზე ფერისმჭამელებმოდებული, ზეთიანთვალებიანი მილიციელი.

— შენ გკითხა ვინმემ რამე?! — მისჩერებია და თვალში არ მოსდის. — გკითხეს რამე?!

— არა. — ვეღარაა ხასიათზე.

— აწიე ხელები! — ხვანჯარს გამოაბდღვნის, ზორტს მიარტყამს ცხვირზე. — გეჭიროს ახლა ხელით შარვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურზე გაჩერებულ ხვანჯრის ზორტს ჩამოიგდებს, სახეახურებული, შარვალხელშედაჭერილი, რაღაცით კმაყოფილიც კი.

— შენ რას გვიყურებ, წადი, გითხრეს! — მიხა ეუბნება დორეთს ძმას. — ნუ გეშინიათ, არ გესვრით!

— მე რომ წავიდე, ესენი რას იტყვიან! — ამხანაგებისაკენ იხედება. თვალებმოწკურული ადევნებს ფარნაოზი ამ სცენას თვალს.

— მართალს ამბობს! — ერთვება ლაპარაკში. — ამას ხომ უყურებ! — ეზეკის ათოთებს.

— კი! — ცოცხლად პასუხობს შექებით გათამამებული.

— დამდევდა და დამიჭირა, შენც დაიჭერ ახლა რაღაცას, ვატყობ, თუ არ წახვალ!

— იყოს ცოტა ხანს, პატიოსანი სიტყვა უნდა ჩამოვართვათ მაინც ყველას, დატოვებენ აქაურობას დღესვე, ერთი გაფრთხილება ვიცით ჩვენ მარტო! — გაბზარულ, ნატყვიარ სარკეში ხედავს ფარნაოზი მიხას, საკუთარ თავსაც.

— ეზეკი, გამოიტანე შენი ძელისტარიანი ბრაუნინგი!

— აქ არა მაქვს!

გაფართოებული თვალები და დიდი თავი შემოდის სარკეში.

— უჯრაში გიდევს ხელმარცხნივ, გამოწიე, ეზეკი, უჯრა, ზემოდან მეორე! — ხალათს გაისწორებს ქამარში. თმასაც გაკრავს ხელს. წელათრეული, მკვდრისფერდადებული შედის კაბინეტში ეზეკი. ღია კარიდან ხედავენ, როგორ აღებს გასაღებით ზემოდან მეორე უჯრას.

— ამგვნს რა ვუყოთ?! — ხმამაღლა კითხულობს ბოჩია.

— შენ იცი!

— შევყაროთ სახალხო მატარებელში და გავუშვათ, საიდანაც მოვიდნენ!

— ბიწაძეებმა რომ ყვავი დასაჯეს, თუ გახსოვს? რა ვქნათ, რა ვუყოთო და ქოთანში ჩასვეს, მოუკრეს თავი ქოთანს და დაგორეს კლდიდან. ვარდენ, როდის ჩამოდგება სახალხო?

— გამოსულია ახალდაბიდან! — ჯიბიდან ამოღებულ ოქროსძეწკვიან საათზე იხედება.

— უკრავს? — დაღვრემილი ბოჩია ეკითხება.

— არა, არა... — თვალებს აღეცებს დაფეთებული. — ძველია...

— დროს ხომ აჩვენებს! — გამოართმევს, ხელში ატრიალებს და უკან უბრუნებს გულდაწყვეტილი.

— შენი ნაჩუქარი იქნება, სამახსოვროდ შევინახავ! — ჯიბეში იკვეხებს, გაოცებულ ბოჩიას არიდებს თვალს.

თოფუკუდმა გადაკიდებული ეზეკი ზოდის ბრაუნინგშემართული. კარაბინის სამიზნეზე დასვამს მიხა შორიდან. ციცად მისჩერებია და არ იძვრის ფარნაოზი. ელის. ლულით ჩამოარომევს იარაღს. კარაბინს დაუშვებს ხასიათწამხდარი მიხა.

— არ გესროლე! — თვალში თვალს უყრის ეზეკი ფარნაოზს.

— ვერ მესროლე!.. — ღიმილით მისჩერებია. — ცოტაჯერ გამიმეტე, მე შენა დედა! — მოულოდნელად იფეთქებს. — ცოტაჯერ მესროლე!.. გითვალე, არ დამეხსენი, გაფრთხილე, არ მომეშვი, რა გინდოდა?!. ძალლივით მდიე, საცა შენმა აჯობა, იქ დაგიძვერი, თვარა ჩემი ძვალი და ნაწევარი აღარ იქნებოდა, რა გინდოდა, შენი დედის საფლავი... ახლა გავსწორდეი, თუ ჩასვრილი არა ხარ!

— ახლა! — შიგანგამოღებულ შაშხანას ახეთქებს იატაკს. — ახლა?! — ისტერიკაშია ჩავარდნილი. მატარებლის ხმა ისმის შორიდან.

— ერთი ვაგონი იარაღი და ტყვია-წამალი მოყვება შემადგენლობას, ტყიბულიდან ქუთაისში აბრუნებენ! — ყვირის ვარდენი. ორთქლმავალი კოვის და ბაქან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე გადიან. ჯგუფ-ჯგუფად, ჩრდილ-ჩრდილად ჩნდებიან, ირხევიან, ვინ ვინაა, ვინ სადაა, ძნელი გასარჩევია.

— არ მესროლო, ცოლ-შვილი მყავს!

— აიღე იარაღი!

— არ მესროლო! — ძვლისტარიანი ბრაუნინგი უგდია ფეხებთან.

ბარძაყთან უჭირავს მაუზერი და დაუმიზნებლად ესვრის რამდენჯერმე გულმუცელში. აწყდება ხმა კედლებს, დუმდება წამით ყველაფერი. ბაქანთან ავდია, ლიანდაგთან ახლო გულაღმა. ცალი ფეხი უცახცახებს თვალებამოტრიალებულს. მატარებლის დგრიალია, ხალხიც ზრიალებს თითქოს. იარაღაყრილი მილიციელები გარბიან, ჩირგვებში მიშლიგინობენ სადგურგადაღმა. სადგურის შენობის სხვადასხვა კუთხიდან თავგამოყოფილი მგზავრები ენაცვლებიან ერთმანეთს. ჩნდებიან და ქრებიან. სადღაც სხვაგან აცეცებენ თვალებს.

— არ ვესროდი და მესროდა, დედასაც მიტირებდა, სწორი არა ვარ?! — საკუთარ თავს ეჩხუბება თუ სხვას ფარნაოზი. — შენ სად იხედები?! — ზურგშექცევით დამდგარ ბოჩიას ატრიალებს. — არ უნდა მესროლა?!

არ იცის ბოჩიამ.

— ამას დახვრეტა ქვია! — მიხა ეუბნება ყრუდ.

— რა ქვია?! შენ მე ჭკუას ნუ მასწავლი, დახვრეტაც ბევრი მინახავს და დაჩახვრეტია სიაშიც ვეწერე, დივერსიული ბატალიონის წევრები თხებივით დამჭვებოდნენ ფრონტის ხაზს იქით... ბომკლა მე შენმა ჭკუის სწავლებამ!

— შენ რომ თხებივით დაგყვებოდნენ, იმნაირი ოფიცრები პარტიანკებს მირეცხავდნენ ციხეში, არავისში შეგეშალო, იცოდე; ის არ გეგონო, შენ რო ხელს გამოკრავდი ზოგ-ზოგებს!

— ვინ უნდა მეგონო, საერთოდ, ვინა ხარ, რა გინდა ჩემთან, ჩემ მხარეში, რა გინდოდა ოკრიბაში?!

— ნუ მეუფროსები, თვარა გასწავლი ჭკუას!

— ვის ასწავლი, მე შენი!..

იარაღით მიიწევენ ერთმანეთზე. დასწრებაზე არიან, ბოჩია დგას შუაში, ხან ერთს ეფარება, ხან მეორეს კოჭლობით.

— რას შობით, გადეირიეთ, რას აკეთებთ!.. მამის ტოლი კაცია, არ ქნა, მე მესროლე!

ლიანდაგი კუთავს უკვე. ორთქლმავალი კვესავს. გრძელი შუქები გადადიან განძელებზე.

— არ გააჩერებენ, სიგნალია გადაცემული! — თავგატეხილივით ყვირის საიდანღაც ვარდენი. — ჩავეტე სემაფორი და მაინც არ ანერებს!

არ ჩერდება მატარებელი.

მატარებლის სახურავზე გარბის ფარნაოზი, ვაგონიდან ვაგონს ახტება. ორთქლი, ადამიანების აჭრილი ხმა და შუქები ამოდის სახურავის თავახდილი სოროებიდან.

— რა ხლიწინია სახურავზე, რატომ არ გაჩერდა მატარებელი ხრესილში? — კითხულობს ჰალსტუხიანი, კაფანდარა მგზავრი. — საშა ჩემო, რა ხდება, გამაგებინე!

— გადარეული ვარ მეცა, ბატონო, ვერაფერი ვერ გავარკვიე! — ხელებს შლის კონდუქტორი, ფანარს კიდებს კადოზე და ისევ ტამბურში გადის.

— პატრონი არ ყავს ამ ქვეყანას, პატრონი! — ისმის სიმკრთალიდან უკმაყოფილო ხმა.

კაფანდარა, ბაკებაბურძგნილი, მელოტი თავდახრილი იხედება დია კუპეში, ვინ ეხმიანება, აინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მაინც ორპირში ჩავდივარ და რა მენაღვლება! — წამოიყივლებს ფეხშიშველი, ჩოხაჩამობებკილი, საკერებელზე საკერებელდადებული, მწიფე მაყვლისფერწვერულვაშიანი სილუეტი

— გეგელა, შე ლევანდო, ორპირშიც რო არ გაჩერდეს, რას შობი! — ყვირის ვიღაც ბოლო კუთხიდან და ისვრის კიდეც. ქალები კივიან. ერთმანეთს ეფარებიან იმ ახლომახლო.

— ტირია აქანე, საშა ჩემო? — კაფანდარაა.

— მთვრალია მაგ ჩემი ცოდვით სავსე. — ფანარს ხსნის უკან შემობრუნებული საშა, ფანარაწეული ათვალიერებს სკამლოგინებს, ვაგონის ბოლომდე არ გადის.

— ბუჭუტაა, მხეიძე! — ცნობას აწოდებს ვიღაც.

— მაგ არ ვაეზარდა მის დედას! — ქალის ხმაა.

— ისე აირია ქვეყანა, ჩემო ბატონო, რომ დედა შვილს ვეღარ აიკვანს აწი და აწი! — კათედრაზე დაყენებულ დიქციას უგავს მეტყველება პენსნიან მამაკაცს. — მატრეველს კი არა, ქვეყანას აღარა ჰყავს გამკითხავი... ეს არისო დემოკრატია, ჰმუ!.. ეს ყოფილა დემოკრატია!

ფანჯარასთან მჯდარი, გაზეთში ჩაგულისყურებული პერსონა, ვისი მისამართითაც უნდა იყოს ეს სიტყვები ბოლომოტყორცნილი, დემოკრატიის ხსენებაზე იშმუშნება, მაგრამ გამოწვევას არ იღებს.

— გვეშველება, ბატონო არსენიძე, რაიმე? — არ ეშვება მეზობელი მგზავრი.

— უსაშველო ჯერ არაფერი გვჭირს, ქალბატონო ტასია!.. — წარბ-ქუთუთოს ისრესს ბნელში კითხვით თვალებდათხრილი.

— ხრესილი გავიარეთ? — ახსენდება ვიღაცას.

— ეს ხრესილშია ისევ!

— გავიარეთ?! — შეშფოთება ერევა.

— აპა არა!

— ვინ იყო ეს?!

ორთქლმავლის ჯიხურში:

— პერონზე კაცი ეგდო! — ეუბნება მემანქანის თანაშემწე მემანქანეს.

— რა კაცი ეგდო? მოგელანდა, შიშს დიდი თვალები აქვს! — ხალისიანად უხსნის საშშვიდობოს თავდაგულებული.

— ეგდო, ერმილიჩ, ნაბადი წაიფარა ვიღაცამ, რაცხა უბედურება ხდებოდა, არ უნდა ლაპარაკი, კიდო კაი, რო არ გააჩერე!

— რა ვქენი მე, თუ მიხვდი?

— რა ქენი?

— ჯერ შევანელე, შთაბეჭდილება შევქმენი, ვითომ ვაჩერებ „სასტავს“, ამიტომ შევანელე...

— მაგი ისედაც ხო უნდა ვექნა, აბა, სადგურში რანაირად შეგრიალდებოდი?

— სწორი კითხვა მომეცი, მაგაში მართალი ბათმანი ხარ, მარა შემეძლო არ შემენელებია, ბრძანებაც საიმისო მქონდა... შევანელე, ვითომ ვაჩერებ, უკვირდები?... და ოვუჩქარე, მიყარონ აწი კაკალი!..

— ჭკვიანი ხარ, ერმილიჩ!..

— არც შენ ხარ თლათ ბოთე, იმნაირი შეკითხვა დამისვი ამისწინ, კინაღამ დავიბენი.

— მერე იყო და კაცი შემოახტა, ერმილიჩ, მატარებელს, არ მითხრა, მოგეჩვენაო, ნამდვილ შემოახტა ბოლო ვაგონს ობერთან.

— ვაფიცებ ყველაფერს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეუბნები... — რაღაცის თქმა უნდა კიდევ და ვერ ამბობს. ზმუის თუ ხიხინებს, მემანქანე ვერ გებულობს.

— რა იყო, ბიჭო, ენა ხო არ გადაყლაპე? — გვერდზე აბრუნებს თავს და სარკმელში ჩამოკიდებულ წუდა-მესტებს უყურებს, ტენდერიდან ჯიხურის კაბინაში მოძვრება ვიღაც. გონზე მოსვლამდე და თანაშემწის ენის ამოდგმამდე ხაკიხ შარვალხალათიანი კაცი ეკვეხება ორთაშუა.

— რატომ არ გაჩერე, მე შენი დედ, დაადე პირი, ჩაგთხარო უნდა, დახურულ ხემაფორზე გაიარე?! დააგდე წნევა, თავი თუ არ მოგძულებია, ფარნაოზა ვარ, მორჩიძე!

— არ მოკლა, ფარნაოზ ბიძია, მაგი კაი კაცია!

უკან იხედება გაოცებული, ხმაც ეცნაურება.

ხათქახუთქით ეხლება ძველი ბუფერები ერთმანეთს. ჩემოდნები და თავმოხინძული კალათები ცვივა ზედა თაროებიდან.

— ვიძახი იგივეს, არ გვყავს მთავრობა!

— რა შუაშია მთავრობა! — ნერვები ღალატობს გაზეთიანს.

— რა შუაშია და იმ შუაშია, ამნაირ დამოუკიდებლობას და დემოკრატიას რა ვუთხარი! — პენსნეს ირგებს კალათებში და ჩემოდნებში ჩაფლული, გაძეგილი საკვიაჟი ეცემა ზურგზე. — მიმიფურთხებია ამნაირი დემოკრატიისათვის!.. ვისია, ამას მოუკვდა პატრონი!

— პატრონთან რა გინდა, ვიღაცა ხარ!

— ყაჩაღები ამოსულან მატარებელში და არ ატეხოთ ახლა პანიკა, — აცხადებს კონდუქტორი საშა, ფანარს კიდევ უფრო მაღლა სწევს, თითქოს მგზავრებს ითვლის — არავინ დამკლდესო. — ყველამ თავის ჩემოდანს, კალათს და ხურჯინს მიხედოს, არავის არ ძარცვავენ მაგენი!

— გითხარით, უპატრონოა ქვეყანათქვა, მოუკვდა პატრონი და ძალი მიაკვდა კიდევ ზოგიერთს იქ! — თითს ბზეკს ზევით, საკვიაჟს იშორებს.

— გადაგდე იარაღი, გეხ-ვე-წები! — ქალის ძალად მინაზებული ხმაა. — გე-ხვე-წე-ბი, ბუჭუტა!

— რას ქვია, გადავაგდო! — თვალებს აბრიალებს, ეტყობა.

— ყაჩაღები ამოსულან, მომეცი, მე შეგინახავ!

— იარაღს ეძებენ, სხვას არაფერს.

— გაიგონე, რა თქვა აგრაფინამ? მომეცი, მე შევინახავ!

— რატო, თუ არა კი! — გვარიანადაა შეხაფაცებული და იხტიბარს არ იტეხს, სასმელიც უნელდება! სახეაჟინჟილებულს, მაღალს; ბოროტებისა და სიავის კვალი არ აზის მაინცდამაინც.

— მიეცი, ბუჭუტა, მიეცი! — ეძალებიან სხვა ქალები.

— ა, ბატონო, თუ ასეა! — იარაღს აბარებს ნიშნისმოგებით. — ხმა ღვთისა და ხმა ერისაო...

— მართალია... — ნიფხვის ტოტში იკვეხებს ვითომ არაფერი, შიშველ ბარძაყთან გაიელვებს და ქრება ნიკელის ტარი. ქალი კაბას ისწორებს და ხელჩანთას იღებს ზემოდან სრულიად დაწყნარებული.

— უკან მივდივართ, მოგივიდათ მშვიდობა!

— კარგია, კარგი!

გეგელა ცეკვავს იმ კუთხეში, სადაც პოლიტიკურ სიტუაციას აფიათებდნენ ცოტა ხნის წინ. დაბეჟებულ-დაკოჭრილი ფეხებით აშვარშვალებს გაფენილ გაზეთებს. ხაზგასმული გულმოდგინებით უკრავს ტაშს პირში სიგარაგაჩრილი პენსნეიანი მოქალაქე, ტაშთაც რომ ირონიულ განწყობილებას ქმნის.

წყნარი, უქარო ღღეა. უგანურ შარაზე მიჭრიალებენ ოკრაბული ურმები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაფხოკიალებენ ფრჩხილვებს და დაშაშრულ აყალოზე ტოვებენ მკრთალ ლიანდაგებს. ხიო-ხიოს ძახილით მიუძღვიან მეურმეები მძიმედ დატვირთულ სამ ურემს. ფარნაოზი, მიხა და ბოჩია მიჰყვებიან ურმებს ლაპარაკით. ეული და შქერი ყვავის გზისპირებზე, ფხეკებზე, ქანჩახში ყვიჟირი (ლურჯ-იისფერი) დასდებია ყვავილებს. ფუტკარი ბზუის.

— რას ვუზამთ ამდონ იარაღს? — აინტერესებს ბოჩიას.

— დავარიგებთ ვლეხობაში, იარაღს არ გვაძლევთო, ესა აქვთ სულ მიზეზად, უირაღოდ ხომ არ გამოგვყვებიან, მართლა და მართლა.

— მაგათი იმედი გაქვს, კაცო? — ცოტა ხნის შემდეგ კითხულობს მიხა. — მაგათ იმედზე იარა ჩემმა დამაწყევარმა, გაყიდიან ანდა მილიციას ჩააბარებენ, ასე იქნება...

— სანდო ხალხს მივაბარებთ, მასეც არაა საქმე!

— სადაა ეს სანდო ხალხი?

— არიან. დავუძახებთ, გამოვეყვებიან.

— თუ გამარჯვებული გვნახეს — კი, თუ არადა წიხლსაც კარგად მოგვაყოლებენ!

— ძალა და ორგანიზებულობა უნდა დავანახოთ ამიტომ...

წარბებს ჭმუხნის, ტუჩებს მუწავს, ასე თუა, კიო, თავდახრილი მიდის მიხა. დუმან ერთხანს, ურმის ჭრიალს აყოლებენ საფიქრალს.

— ფარნაოზ, ბიწაძეებმა რო ყვავი დასჯეს, ქოთანში რო ჩასვეს და კლდიდან დააგორეს, გატყდა ქოთანი და გაფრინდა ი ყვავი, ხომე?

— ამაზე ფიქრობდი, ბოჩია, მას მერე? — ეღიმება ფარნაოზს.

— გაფრინდა, ბოჩია, გაფრინდა! — ცას უყურებს მიხა.

უბრად მიაბიჯებენ ისევ.

— აწი ესენი, — მეურმეებზე ანიშნებს, — თვალახვეული უნდა ვატაროთ, უნდა ავურიოთ გზა-კვალი...

— თვალგახელილები ძლივს მიდიან, შიშით ისე აქვთ სინათლე დაკარგული, მარა რაცხა უნდა მოვიფიქროთ, მართალი ხარ შენ.. იქნებ გავუშვათ და ურმებს ჩვენ წოვუძღვეთ...

— შენ როგორც იტყვი!

გაინაბება და გაითიშება ამ ლაპარაკში მიხა, მიაყურადებს და შქერ-იელში გადაშლიგანდება მოულოდნელად, ხეობაში ჩაკარგულ პატარა ჭალას დააჩერდება ზერეთიდან.

მთის მდინარეში დგანან მწყემსები. სევერიან მიქაიაძის მილიცია უდგათ. ხვიფლიან ქვაზე ზის ჩრდილში სევერიანი, დოქით ღვინო, ხონჩით ხილი უწყვია.

— სანამდე არ იტყვით, სადაა მორჩიძე, — ატმის კურკას აფურთხებს. — ზეთ ვერ ამოხვალთ... სად მალავთ, სად ინახავთ ყაჩაღებს, მითხარით და ამოგიშვებთ, თუ არადა, თფუი, — აფურთხებს. — ჩაგყინავთ ყინტორში, საქონელს სამგლეულ დაგიტოვებთ!

მუხლამდე ჩქერში დიდი ხნის დგომით ამიგძიგებული მწყემსი ნაპირზე გასვლას დააპრებს და სროლის ხმაზე შებრუნდება უკანვე. ჰაერში ისვრის და იღრიჯება სევერიანი, დოლბიანით მორკალული, ჩარიწკინებული კბილები უჩანს დიდი პირიდან.

— არ ვიცი, კაცო, არ ვიცი, თვალით არ მინახავს ის ოჯახდანგრეული, გაღელდა საქონელი, ვინღა დაუყრის მაგათ აწი თავს!..

— თქვი! — სახლეჩ, მოწეულ ატამს შმითავს, კანი ცალკე მიდის, კურკა ცალკე ვარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამეყინა ფეხები! — იღრინება ერთი, თუთუნისაგან ჩაყვითლებული ულვაში ეძგიბება.

— რა ბრძანეთ?

— გამეყინა.. — ხმას იდაბლებს, წინანდელ წამომყვირალს ეძებს, მე ვიყავი თუ არაო, აინტერესებს.

— მოდი, გაგაობობ, მოიწი! — გრძელ სარეს უქნევს ასლანიძე შორიდან.

— რას მერჩი, შე ცხენიგაგდებულო!

— ა, შენი დედა!.. — კანჭზე აწვდენს მაინც.

ახალ კურკას უშვებს სევერიანი მიზანში.

— ა, ბიჭო, კაცი, — კურკამიმწვდარ შალიკიანს ათითებს. — დგას და ხმას არ იღებს, რითაა შენზე ნაკლები?!

— მაგას რა ენაღვლება, წყალშია გაზრდილი და ცალი ფეხი ხისა აქვს, სიამოვნებს კიდეც, მე მგონი, კარგადაა!

— ისე შენი ცოლი და დედა, რავარც მე კარგად არ ვიყვე ახლა!

— აბა, ხმას რატომ არ იღებ! — ინტერესდება სევერიანი.

— რას მომცემ, რო ამოვიღო.. ახალი ნაპერაციები ვარ, ფეხი მე რევოლუციას შევწირე, ჯერ არც შემხორცებია ბოლომდე...

— თქვი, სადაა მორჩიძე, თუ არა მიგამტვრევ მეორეს, სანამ პირველი მოგიშუშდება!

— არ დაუბარებია, სად ვარო, მე მაბარებს ანგარიშებს მორჩიძე, თუ იცით!

— გაუშვით ეს კაცი, ცალი ფეხით სად გაიქცევა! — პლანტატორის ქუდი ხურავს ამ სიტყვების წარმომთქმელს ანაპოდისტე ხუნდაძეს, მოწამეთაში რომ გავიცანით ორწიფობა დღეს. ზერდაგზე ამხედრებული არ ინძრევა, სტოიკურად შესცქეროდა აქამდე ამ სცენებს.

— კარგად ყრიდა ტლინკებს იმ დღეს და დადევდა ყაჩაღებს, კარგადაც გვესროდა, მე მაგის დედის საფლავი მოვ-ყან, ტაბუხის ტარიც უნდა მივუმტვრიო, ვირაშვილებმა მიატოვეს, ჩვენ მოვუარეთ და ერთი ხეირიანი საგნალი არ მოუცია მას შემდეგ, ეგდოს აქ ეგ წყლის ვირთხა, მუხლს ქვემოთ აქვს მაინც მოჭრილი, არაუშავს! — შალიკიანს უყურებს და ულვაშს ურტყამს ატმის კურკას, — შენც კაი მოშტაროკი ხარ, ნუ გეშინია!

— შენ სად მოდიხარ?! — ეკითხება ასლანიძე ცისფეროვალება, პირმრგვალ მწყემსს, ანგარიშმიუცემლად რომ გამოდის გაღმა, — არ გესმის?! — ჟვერს ურტყამს კანჭებზე, — მოდი, მოდ!

ქვებზე აბილიებული მოდის მართლაც, სიპზე ფეხაცურებულს ხვდება კესერზე. მორჩილად ბრუნდება, დგას, ძაგძაგებს, ცრემლი მოსდის თვალთაგან.

— ეს გლახაკი ყოფილ! — უკვირს სევერიანეს. — რა გატირებს, შე შობელ-ძაღლო, ვარესი რომ მოგეწიოს, რას აპირებ!

— სევერიანე ბნედიანო, აქა ვარ, მაგ ხალხთან რა გინდა?! — ზემოდან იძახის მორჩიძე. ნაბადმოხურული ჩანს შავად, სულხავივით.

— მიდი და ახლა იმას ელაპარაკე! — წამოძახებს ულვაშა და დვაფადგუფით წავა თავდაღმა.

— არ იცის, სახლი რო გადაუწვეს, თვარა ნახავდით თქვენ სეირს! — გაღმა მიკვანჭალობს შალიკიანიც, მიათრევს ხის ფეხს, რევოლუციამ რომ უსახსოვრა ნამდვილის მაგივრად.

სევერიანე ქვასაა ამოფარებული. სხვებიც საიმედო ადგილებში ჩასაფრებულან. დავიწყნიათ მწყემსები, გაღმა-გამოღმა რომ მიმოფანტულან. მუხას ეფარება მხედარიც, თუმცა ცხენის გავა-კუდი ჩანს ერთ მხარეს, თავი და სომბრეროს ფარფლი მეორე მხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სევერიანე, დამენახე, რა ვაჟკაცი ხარ!

— ფარნაოზ მორჩიძე, ჩაგვბარდი, სიტყვას გაძლევ, მთავრობასთან გიშუამდგომლებ და ჩამოხრჩობას აგაცილებ, თუ არადა ტყვეის წერა ხარ!

ტყვია ხვდება ქვას, საიდანაც ხმა ამოვიდა. ქვევიდანაც ისვრიან მოკლე ჯერებით. სიჩუმე ისადგურებს ცოტა ხანში. ტყვეისმისაწევარში არ დამდგარან, როგორც ჩანს.

— ჩემი ცხენია, არ უნდა ლაპარაკი, კუდზე ვცნობ! — თოფს აყუდებს ხეზე ბოჩია და პირზე ხელებმიდებული ყვირის: — ანაპოდისტე. უკანალი გიჩანს, მაგ ცხენზე დაჯდომას ამაზე დამჯდომოდი გერჩია, ცოცხალი მაინც გადარჩებოდი!

— ჩემზე ამბობს? — ქვას აფარებულ სევერიანეს ეკითხება. კიო, თავს უქნევს ოთხად მოკეცილი.

— მაგაზე დაჯდომას იმაზე დამჯდომოდი ჯობდაო... — უმეორებს ასლანიძე სერიოზულად.

— რა ახალგაზრდობა გვეზრდება! — სინანულით აქნევს თავს ანაპოდისტე.

— წადით, მაშინ, საქართველოდან! — ყვირის სევერიანე. — თქვენც გესაშველებათ და ჩვენც მოვისვენებთ, წადი, ფარნაოზა, ოგგეშვი!

— ჩამომშორდი შენ თვითონ, ნუ წეიხდენ თავს, დამენანები!

მინდორში ობლად დარჩენილი ნიგვზის უღლისფერი დოქი იმსხვრევა.

რუსული შაშხანა უბოლავს მიხას. ფეხზე მდგარს, ყოველნაირი საყრდენის გარეშე უსვრია.

იატაკია აყრილი ოდა სახლის ზალაში. კოლია გოგნიძე შაშხანებს აწყობს მენჩზე ფრთხილად, თავშექცევით. იატაკის ვრძელ ფიცარს აჭედებს კვლავ. ლურსმანი გაჭყავს ნალურსმნალში.

— რატომ დაიტოვე, არ დაგაძალებთო, ხომ გითხრეს, რა ეშმაკად და ოხრობად დაიტოვე... სანამ შენ თოფებს იბარებდი, გოო კინაღამ წაიყვანეს, გამოსაბდღვნელი შემექმნა... მთვარიანში იდგნენ ღობესთან, ვინ დაინახა, ღმერთმა არ იცის...

— გადი, ქალო, თუ არა გესვრი ამ ხრიკიტარს!

— გესვრიან შენ კარგად, თუ გგონია, არ მოგაკითხავენ, არ წამოგაგდებენ კვლავინდებურად კერიიდან, ბესარიონის დღე გელოდება, ამისათვის აყარე პოლი?.. ტყულა არავინ არაფერს მოგცემს, არაფერს დავიტოვებს...

— ჩახოცავენ მაგათ მალე და ამ თოფებს სვანეთში გავყიდი, საქონელზე გადავცვლი, საიასაღო ხარებს ჩამოვიყვან!..

— ვის ჩახოცავენ, მამა, ვის სიკვდილს ელოდებით?! — სალომე შემოსწრებია.

ერთმანეთს შეჰყურებენ შეცბუნებული, დანაშაულზე წასწრებული მშობლები.

— მე ამ სახლში აღარ მეცხოვრება, ჩემ სიკვდილსაც ნატრობ, მამაჩემო?!

— ნუ სულელობ, გოგო!

— პირველად არ დაგცდა ეს სიტყვები, ისინი ჩვენი სიკეთისათვის წირავენ თავს. მრცხვენია თქენი შვილობა. ვისკენა ხარ, მამა, შენ, ეშმაკებისკენ?!

— გაჩერდი, გოგო!

ბულმოსული იჯახუნებს გოგო კარს, თავწახრილი ჩარბის კიბეზე, მინდორში მიაფრიალებს თეორ მანდილს და წითელ ნაწნავებს.

— წამოაჩერჩეტებს რაღაცას და დამაქცევს, მე რომ მიტრიალებ მაგსიგრძეენას, ქალიშვილს უთხარი რაღაცა! — საგონებელში ჩავარდნილი კოლია ზის იატაკზე.

— თავი არ დაიხრჩოს, იცოდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიხრჩოს არა ის, კიდევ რას იტყვი!

— თავი არ დაიხრჩოს, კოლია, ამოგთხრი მაგ თ[illegible]ალებს!

— თქვენი დედა ვატირე მე, ამნაირ სიცოცხლეს რა ვუთხარი... სულ ერთია, მაინც მომჭრის თავს, შენი ნაშობი უგლიგარჯის მეშინია, სხვისი კი არა!

— შუშანა! — მეჩხერ, ლობიომოდებულ, გაკრეფილ ვენახში დგას ყვითელ-მწვანეში. ნამცვრევები შერჩენია ვაზს, ერთ-ერთს კუფჭლავს, პირში იყრის.

— სალომე ხარ? — შუშანა ეხმიანება აივნიდან, ტროატეხილი სამინდი ფარავს.

— აქ არი? — წიწიბოს აკრახუნებს, ნეშოში იხედება. — ფეხი არ დავადგა, მეშინია! — შეშინებულს არ გავს.

— ამოდი აქ, ამოდი!

— შუშანა ბიცოლა, როდის დაკარგე შენ ქალიშ[illegible]ალობა?

— მართლა ბოთე ხარ, გოგო, შენ?!

— ქმარმა ხომ არ გიგუა... — ახალ ნამცვრევს იყრის პირში... — არ შემხვდა მოელიო... გავიდეს, აქ თუ! — ძირს იხედება. — ვასილისკო, ვასილისკო... — ნიავიც არ არხევს ნეშოს, ყვითელ-მწვანედ ჩაფენილს. — ლესპანძი, ლესპანძი... კაბა მაცვია ზაფრანისფერი, მოშეშდი, მოთრილო, მოგეკეტო ნახორი, ნახორი... ვასილისკო, ბუსთავა ბრძენო, ვასილისკო, ფუტურო ბრძენო!..

ფრთხილად მოდის.

— ტანი რო დაგბანე დღეისწორს სოხანეზე, ხო გათვალიერე, სად ხარ დადადული? რატომ გწამობენ, აბა? ერთი ნაოჭი არ გაჩნია, ახლა რა ხარ, ადრე რა იქნებოდი!

— ეშხიანი ვიყავი!

გარეშეს ხედავს და აღარაფერს ეკითხება.

— აქა ხარ, ბარჩხალია?

ყმაწვილი დგას აივნთან ჟალტამში. დიდი, ნაღვლიანი თვალები აქვს. ტილოგადაკრული ქოთანი უჭირავს ორივ ხელით. გალუმპულ მუხლებამდე წვდება ბოკონი, უმოაჯირო, ურიკულო აივანი.

— ავი ზნის წამალი მიმაქვს მამაჩემისთვის...

დუმან ერთმანეთს უყურებენ. ნადუღს წურავს შუშანა ჩახვში. გრეხა-გრეხად კიდია ლარძაყინზე გამხმარი ბალახები, მიმღნარი ყვავილების ასხმულებია ჩამოკონწიალებული წაბლაფიცრის კედელზე. გვირილას სურნელია.

— მეც კინაღამ დავიჯერე გიორგელასი... არაო, შუშანა ბიცოლამ, მიგონებენო... ფეხი არ დავადგა შიშველი, ვიფიქრე, ცვრიანში, შემეშინდა, ახლაც მეშინია უფეხსაცმლოდ...

— შენ ყველაფრის გეშინია, ბარჩხალია, რანაირი თეთრი ხარ!.. — მკლავზე უსვამს ხელისგულს. — ბარჩხალია, ბარჩხალია, რაჩხალია ბჟე!.. გახსოვს?

— რავა არა!

— მოდი, გოგო, დალიე წაქი, კარგ დროს მოხვედი!..

— ბარჩხალია, არ გინდა წაქი?

— არა.

— მაგი არ სვამს, შენ გიყვარს, მიტომა ხარ ჭკუიერი...

სავსე ჯამი მიაქვს ბარჩხალიასათვის.

— დალიე, თბილია...

— არ შემიძლია... გიორგელას სასმელი მგონია...

— დადგი ეგ ქოთანი.

— მამაჩემი გამიჯავრდება... თუ წამოუარა, დაცოფავს ქალებს, მე ქე მომკლას იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზმოზე დალიოს, დააწყნარებს... — შუშანაა. — დილას და დაწოლისას, გათავდება და კიდო მოდი, არ გოუწყვეტოთ!

— შენ ვინ მოგკლავს, ბარჩხალია... ბარჩხალია, ბარჩხალია, რაჩხალია ბუ... — ისევ ეფერება, ორთქლადენილი ჯამი უჭირავს ცალ ხელში. — ასვი მაგ მამაშენს, გაუღე პირი და ძალით ჩაასხი. მზე ჩავა აწი, ბარჩხალია, წაიღებს სხივებს და თან წაყვებიან ჩიტები, ყველა თავის ბუდეს დაუბრუნდება.. რა აბოროტებთ ადამიანებს?

— არ ვიცი!..

თვალებმოჭუტული უსმენს შუშანა. მისჩერებია სალომეს. მზე კი ჩადის და აწითლებს ჩალას, ჩრდილები იზრდებიან. საქონელიც ბრუნდება. თხის ეფვანიც წკრიალებს შორს, სუსტად.

შემოდგომაა ოკრიბაში.

სიყვითლეს მოუგრგვლავს ტყეები. რთველი დაწყებულა. სიმინდია ასაჩალი, გადათიბულ მინდვრებში ზვინებიც დგას. მანდიკორ-გურნის კანცელარიაზე სიმშვიდეა. ეზო-გარემო მოუთენთავს წიფობისთვეს გადაშუადღეებისას. ხარიხაზე მიბმული ცხენები ფქვავენ შვრიას. თოფრაკს კიდებს ბოლო ცხენს სახელოებდაკოტავებული მილიციელი. ხიშტიანი თოფებია რამდენსამე ალაგას დაჯოჯგინებული. აინვაზე მზიყურში თვლემს ულვაშა მილიციელი. წელზე ხმალი ჰკიდია და მუხლებშუა შაშხანა აქვს გამომწყვდეული. შორტებში და წითელ-ყვითელ სვიტერში გამოწყობილ ანაპოდისტეს ცხენი მოჰყავს ავშარით, კადოზე უფსკვნის აღვირს და სხვა ცხენებთან აყენებს გავით, შუბლზე ხელისკვრით.

— ვისია ეს ცხენი? — კითხულობს მომვლელად გამწესებული მილიციელი.

— პატრონის. მოვა და წაიყვანს! — მოკლედ პასუხობს ანაპოდისტე.

— ვისია, კაცო, მე ამას ვერ ვაჭმევ!

ჭოკე ქუდს იხდის ანაპოდისტე და ჯაჯუ კისორელს ესალმება. კისორელს ‹ მაწვერგაბურძგნილი გეგელა მოჰყვება მწოფე მაყვლისფერი თვალების ყვრიალით.

— ბატონ ანაპოდისტეს ჩემი უმორჩილესი სალამი, აქეთ, ბატონო ანაპოდისტე?

— არა, პირიქით, ცხენი მოვგვარე პატრონს.

— ვისია, კაცო, — არ ისვენებს მეცხენე-მილიციელი. — სადაა ამის პატრონი?

— მოვიყვანე, ხომ არ მიმყავს, მადლობის მაგიერია?!

—მაკლდა მე ცხენები!

— ნათლობა მაქვს დღეისსწორს შვილიშვილისა, ვარდენია ჩამომდის! — იუწყება კისორელი.

— რავა ვარო?

— კარგად წოუვდა საქმე ღვთის მადლით და თქვენის წყალობით, თქვენგან გაცემული სერმია აბარტყა, ანაპოდისტეს პატივისცემას ვით გადავიხდიო. უნდა დამაფასოთ!

— დამფუძნებელი კრების სხდომები ნახლდება და თუ თბილისში არ წავედი ცოტა ადრე — აუცილებლად, ვარდენიას მადლობა უთხარი!

— გვეშველება რამე, ბატონო ანაპოდისტე?

— უსაშველო მტერმა ნუ ქნას, კარგად ბრძანდებოდეთ.

— გენახა უფროსობა... — მაინც ოდისაკენ ეპატიჟება.

— ცოტა ფარაღათად ვარ, — ტანსაცმელზე იხედება. — სხვა დროს შემოვივლი, აბა კარგად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად, ჩემო ბატონო!

— ამ კაცს შარვალი არა აქვს? — ეკითხება ბატონს გეგელა.

— მაგ კაცს ჟენევაში აქვს უმაღლესი დამთავრებული... — უკან იხედება, დამცინავ ღიმილს აყოლებს ჟენევის უმაღლესდამთავრებულ ანაპოდისტეს.

— მერე ჟენევაა თუ რაღაცაა, უშარვლოდ დადიან იქინე?

— მოდაა, შე სულელო.

— მოდა?.. აბა შენ რო ხარ გამოყრონჭილი შალის ჩოხაში და გრძელ ნიფხავში, ახლა რა გიჭირს, კვირკვობისთვეში რო იხრჩობოდი, კარგი იყო?!

— შენც კაი ფრუქტი ხარ, ნუ გეშინია!

აივანზე ადის. გულზე ხელის დადებით ესალმება ულვაშა მცველს, რომელსაც ღია თვალებით სძინავს თურმე და სალამს არ აბრუნებს. გაწბილებული კისორელი მოღუშული შედის დარბაზში, სადაც მღვდელი, პოლკოვნიკი ხომაშურიძე და გენერალი მითაიშვილი თამაშობენ კარტს.

— ჩემი უმორჩილესი სალამი, ბატონებო!

უყურადღებოდ ესალმებიან ქაღალდში ჩაგულისყურებულნი.

— როგორ გიკითხოთ, ბატონო ჯაჯუ? — კარტს ხვეტავს მითაიშვილი. დანა პირს არ უხნის ხომაშურიძეს, მღვდელი თავისას დასჩერებია.

— სალამი, მამაო ამბროსი!

— ღვთის საგმობ საქმეს ვშვრები, მართალია... აღარაა ღმერთიო და, თუ აღარაა, ე, ბატონო. მარქსის სურათები ჩამოგვიკიდა მთავრობამ ხატისა და ხელმწიფე-იმპერატორის პორტრეტების სანუფქოდ... ცოდვილი იყო ადამიანი, ცოდვილად დარჩა... — გაშლილ კარტს ჩითავს უკვე.

ულვაშა მცველი კვნესის, კბილებს აკრიჭინებს ძილში, ფეთიანივით ახელს თვალს, გეგელას მისჩერებია უაზროდ.

— რა, რა გინდა?!

— არაფერი არ მითქვია.

— მერე მე ვთქვი?.. — ნერწყვს ყლაპავს. ფხიზლდება. ულვაშებს ისწორებს. — რა მოიტანე?

— რა უნდა მომეტანა?

— როგორ რა, მესადილე არა ხარ შენ?!

— მე?

— რა გინდა, აბა, მოგზავნილი ხარ?!

— მე?.. ჯაჯუ ბატონს მოვყევი...

— ვის?!

— წყალგაღმა კი არა ვარ, მეყურება!

— რამდენს ბედავ, სად გგონია თავი, ვის მოყევი?

— ჯაჯუ კისორელს.

— შევიდა. ვიცი. შენ აქ, ის იქ. არა უშავს. მე მივეცი ნება. არ უნდა მექნა. არ შემოუშვა არავინო, ვერ დავინახე, რა გადაურჩება მაგენს... შენ არ ამოიღო ხმა. დაჯექი იქ!

—აქ?

— ცოტა უკან, გვერდზე, სტოპ! მზე არ დამიფარო, თვარა ვერ გამასწრებ!

ხელდაცლილი მღვდელი იწერს პირჯვარს ოთახში.

— წავიწყმიდე სული, მარა უფალი სულგრძელია, ისე ხომ კარგად, ბატონო?

— ნელთბილად, თქვენი კარგად ყოფნით, ვარდენია ჩამომდის, შვილიშვილი უნდა გამინათლო, ყველამ უნდა დამაფასოთ დღეისწორს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვაფრივ ხომ მშვიდობაა?.. — ბანკს ხვეტავს მითაიშვილი. — ხალხი ხომ კმაყოფილია?

— ხალხს ვერც მოფხან და ვერც უკბენ, ჩემო ბატონო, თოფის კვამლის სუნი ტრიალებს მაინც... აღარ დამედგომება საჩემოში, მამის სული ნუ წამიწყდება, მორჩიძე გამიხდა გამგებელი... ჩემი მიწები დაარიგა, საზიარო არ ვიცი მეო, ვინც შრომობს, მიწაც ამისიაო, ჩუმად მიხდიან მეოთხედს, მორჩიძემ არ გაიგოსო, ეშინიათ... ესაა საქმე, ახლა რა მიჭირს, თქვენ რო აიყრებით, გლეხობაც ვადელდება, რა ვვეშველება, არ ვიცი!

— ჩვენ აქედან არ წავალთ, ძალიანაც უნდა ზოგიერთს, მაგრამ არ წავალთ, გადაავადეს საგანგებო წესები და, თუ წავედით, გლახად წავალთ. ყაჩაღების ბუდეებს გადავწვავთ, ღამის გასათევს არ დავუტოვებ არც სტუმარს, არც მასპინძელს. ასე იქნება ეს და ნახავთ მალე. არ გვეხმარებით, ხელს არ გვიწვდით, გეშინიათ, საკუთარ ტყავს უფრთხილდებით მხოლოდ, გვტოვებ, მამაო?

— შენი ვალიც მიმყვება და საიქიოს გადაგიხდი! — პირჯვარს იწერს, ბუტბუტით გადის, გეგელას აპყრობს მზერას აივანზე. — რავა ხარ, ღვთის გლახაკო?

— დამჩაგრა უფალმა, ამბროსი, რას მერჩოდა, ბოთედ რო გამაჩინა?

— ძვირი არ თქვა, ღვთის საგმობი სიტყვა არ თქვა!

ანაფორააკეცილი ჩადის კიბეზე.

— თქვენი ხო არაა, მამაო, ეს ცხენი? — ეკითხება ეზოში მილიციელი.

— ჩემი? — მუშტრის თვალით ათვალიერებს მოჭიხვინე ულაყს. — ვისი ხარ, ქვაშორია... გაჩერდი, დრუუ!.. ჭაკის სუნი იკრა ამ სამგლემ, ამას ვეღარ გააჩერებ აწი!

— ანაპოდისტემ დატოვა, მოაკითხავს პატრონიო.

— ანაპოდისტე კაის რას დატოვებდა, ზარანდია არა ხარ შენ?

— ზარანდია ვარ, მამაო, აზნაურიშვილობაზე იყო წამოყენებული ბაბუაჩემი ხალამპრე და მაშინ ეირია მაინდამაინც ქვეყანა, ბედია ყველაფერი, თუვარა ცხენებს უნდა ვბანდე მე, ბედია ეს?..

— ძვირი არ თქვა, ღვთის ძვირი არ თქვა!

დასაპალნებული გლეხები გადმოდიან ალაგეზე წვალებით.

— სალამი, მამაო! — ესალმება ბეჭზე ჩაფშემოდგმული კოლია გოგნიძე; ბერიკაცთან ერთად მოდის. თეთრი ფაფარი ადევს მხრებზე ხურჯინიან, ხელკალათიან ყორად მოხუცებულს. აივანზე ადიან ძმიმედ.

— ჩემთან ეელოგია ემძიმებოდათ... — თვალს აყოლებს მამაო ამბროსი. — ა, შეხედე, დაჭვირთულნი მოვიდნენ.

— ძალა ალმართს ხნავს, მამაო, — სამუნელს იმარჯვებს მკლავებდაკაპიწებული ზარანდია, აზნაურიშვილობას რომ მისტირის. — საიდან მომიყვანეს ეს აჯილღა, დამიჭამს ცხენებს!

აივანზე:

— გეგელა, ჩამომადგმევინე ჩაფი!

— ღვინოა? — ყნოსავს. კალთაზე რჩება მაინც თვალი. — აქედან მოდის კაი სუნი!

— გაწიე ნიჩვი და მიდგი კუთხეში.

ბეჭზე დაფენილ სველ ჩვარს წურავს კოლია გოგნიძე. თეთრ თმა-წვერს იბიბინებს, სახესაც ინიავებს ფაფანაკით ბერიკაცი.

— თქვენი დღე იყო, ხომ? — კითხულობს მცველი.

— იყო. დეიქცეს ის დღე.

— საიდანა ხარ?

— ძუნურიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ?

— შუყერიდან. — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ პასუხობს.

— მორჩიძე იქნები, არ გაამხილო მაინც.

— გოგნიძე ვარ.

— მეზობელი ხომ ხარ, მაგენი დაიწვა ცეცხლში, მაინც ქე დაწვავენ!

— ამას ისეთი კაი ქალიშვილი ყავს, იმ დღეს კაბა ოუფრიალა ქარმა და ყველაფერი დოვუნახე.

ხმალს აძრობს საპასუხოდ ქარქაშიდან მცველი. უკან-უკან იხევს გეგელა. ხურჯინს სინჯავს მახვილით, კალათს ბუნიკით ამოწმებს.

— გადი, შე მათხოვარო! — გეგელას აგდებს კოლია.

— ამაში რა არი? — ძღვენი აინტერესებს მცველს.

— დედალია მრგვალად მოხარშული, ცხელი ჭადები და ხაჭაპურები.

— ამაში? — პირმოხნილულ ხურჯინის თვლებს დასჩერებია.

— გოჭია შემწვარი, ხმელ გვიმრაში შევფუთნე, კვახია და ტარო მოხარშული...

— მაგარი ხარ, ბებერო!

— სადილი ამნაირი ვიცოდით ძველადაც, ბატონყმობა რო გადავარდა, კაი ხანი ძველი ჩვეკა ვერ მოვიშალეთ...

— ამას რა ფერი ადევს? — ჩაფს არყევს.

— წითელი ღვინოა.

— მღუპავ?!

— რა იყო, შე კაი დედმამიშვილო, რავა შეიცხადე?!

— სადილზე თეთრი, ვახშმად წითელიო, ასეთია თქმულება, კიდევ წითელი რომ ჩამოიტანონ ნასამხრევს, რადა ვქნა!..

— მუცელს აატკივებს წითელი?

— წახვალ ახლა შუყერში და, სანამ არ დამჯდარან, გამოცვლი!

— შენ ხო კაი ჭკუაზე ხარ, სული ძლივს ამოვიყოლე აქამდე!

— წადი, გეუბნები, თვარა აქანე ამბავი ატყდება, მტრისას: რაც მიხაკოს დაემართა, საორიძეს, ის დაგემართება შენც!

— მიხაკო საორიძეს მიაკვდება ძაღლი საფლავში, რა საზიარო მაქვს მიხაკო საორიძესთან.

— შენ გეძახიან გონია, გეგელა არ ხარ, მოშორდი მაგ კალათს!.. — ჯაჯუ კისორელის ხმა გამოდის.

— უუ!

— რა გაკივლებს, შე არდასარჩენო, შედი!

— გაწიე ხმალი.

—ხმალი რას უშლის.

გაძენძერებული თავია ღრეჭოში შემოყოფილი.

— ესაა! — მითაეშვილს და ხომაშურიძეს ეუბნება კისორელი. — შემოდი!

დაფეთებული დგას. ევიწროება იქაურობა.

კარტის შეკვრას ასწორებს გრძელი თითებით ახალგაზრდა გენერალი და გეგელას ათვალიერებს.

— თქვი, სად ნახე ფარნაოზი და მისი აფხანიკები! — ჯაჯუს ბრძანებაა.

— სარბიელი გორაზე.

— ვინ და ვინ, მოყევი წვრილად.

— თხები მოვუდენე ქართაში...

— ჩემზე ამბობს. — ეხმარება კისორელი.

— გადათვალა და ერთი მაკე თხა ვეღარ მოიძია, ამან მითხრა, მოძებნე, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაც გინდა და მოიყვანე, თვარა დავამაკებ ღედაშენსო...

— რაიო? — გამოცოცხლდება მთაიშვილი.

— ყური არ დაუგდოთ!

— აბა, რაზე მოიყვანე.

— ბოთეა, ბატონო!

— ბოთე ვიყო, თუ გინდა, ღედა მაინც არ მყავს.

— რასაც გეკითხებიან, ის თქვი. — ღამილს ვერ იკავებს გენერალი.

— თხები მივუდენე, მაკე თხა დამაკლდა, ან მოიყვანე, ანდა ღედაშენსო...

— დაანებე ამ ღედაშენს თავი!

— მაინც მკუდარია და..

— აღარ აყენებთ საფლავში? მერე, მერე... — კარტს ჭრის უკვე ყურადღებადაფანტული მთაიშვილი. ხომაშურიძე სხვაგანაა, წაგებას ანგარიშობს, ეტყობა, გუნებაში.

— მერეთ, გადავარდი წკვარამში, რუჭუ, რუჭუ, ჩხრანჭი!.. — ვიკიკინე და გამაგონა. ვქაჩე რქებით, არ წამომყვა, იყოს, მე ვიფიქრე, მოიგებს ამელამ. მერე მთვარე ამოვიდა, ვიღაცამ მიკივლა, რომელი ხარო. თხაა მაკეთ, მე ვუთხარი. ამოდიო და ავედი.. ტაროს წვავდნენ ღადარში, ერთს ქე ეძინა.

— ვინ და ვინ იყვნენ?!

— ფარნაოზეი, მიხა იაშვილი, ნიკანდროს ბიჭი, ბოჩიაი, დიდი ქოჩორი აქვს. ეს მამცა, საჭყეპელაი... — შარვლის უბიდან საჭყეპელს (ხელთოფას), ჯიბიდან მუჭ კურკანტელს იღებს. — ეს ტყვიებია, რამხელა ხმა აქვს მერე, იცი, ამას? თუ გინდა, წყალს ამოვსრუტავ და მივუშვებ, რუჭუ, რუჭუ, ჩხრანჭი!

— კარგი. სად დატოვე?

— თხა?

— თხა კი არა, ვინც ჩამოთვალე, კიდევ იყო ვიღაც?

— ერთს ეძინა სარბიელზე... — საჭყეპელას ამოწმებს.

— აქვე ტრიალებენ, ბატონებო, არ შორდებიან აქაურობას, სარბიელიც არაა შორს! — ხელებს შლის კისორელი.

— ზარანდია! — ყვირის მთაიშვილი.

ჩოჩქოლი და გადაძახილია აივანზე. კურკანტელით დატენილი საჭყეპელა ვაუვარდება გეველას. საყელოში სტაცებს ხელს უცნაურ ტკაცანზე დამფრთხალი ჩაფიქრებული ხომაშურიძე.

— გამოდი, შენი, რა ისროლა ამნაირი უბედური!

— გამივარდა.

— მოგიკვდა პატრონ-მყვარებელი, გადი გარეთ!

სახელოებდაკაპიწებული ზარანდიაც შემოდის სამუნელით.

— სად იყიდე ეს კარტი? — ცხვირთან მიუტანს შეკვრას.

— საწირეში, საწირეს სადგურში, არ ვარგა?! — ყნოსავს ყოველ შემთხვევისათვის.

— ნახე, რა აწერია: „მთაიშვილო, უკანასკნელად გაფრთხილებ, აიყარე და წადი ოკრიბიდან, თუ არადა შენ ცოლს შავები შეუკერე. ფარნაოზ მორჩიძე“. მე უნდა ავიყარო თურმე მთელი კორპუსით. მე მაფრთხილებს. აგცრი და წაგიყვან მოუსვლელში. ზარანდია, სადაა ვირის ნაშობი ასლანიძე?! — კარტს ათვალიერებს, კიდევ ხომ არაფერი აწერიაო, აჭრის და აყრის.

წითელ კარში გადის.

აივანზე მიბრაგუნობს.

— აქ რა ხდება?! — გაფოცხილულვაშიან მორიგეს მისჩერებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადილი მოიტანეს, ღვინოც, მხოლოდ... — ყოყმანობს. — ღვინოა წითელი.

— სადილად თეთრი ვთქვით, ხომ გადმოგცეს ბრძანება. თვეში ერთხელ გიწევთ სარჩოს გაღება ჩვენი სისხლის საფასურად და ამასაც არ აკეთებთ. ბატონი აღარა გყავთ, ბეგარას არ იხდით, სახელმწიფოს არ ემსახურებით, ესეც აღარ გინდათ მოიტანოთ, ჩვენ უნდა დაგიცავთ თქვენ?! ასლანაძე, გაამზადე ასეული ათ წუთში, თვარა შეგაძვრენ ვირის ნაწყლში, გზაზე ეს დაგვაყენებს.

— ეს ბოთეა, ბატონო, მე გაგიძღვებით ერთხანობა! — ჯაჯუ იღებს თავს.

— ეს ბოთეა, ის ნამეტანი ჭკვიანია, რომელია ნორმალური ამ საზოგადოებაში!

— ერთი ცხენიცაა მარქაფში, ანაპოდისტემ დატოვა, რატომ — ვერ გავიგე! — კიბიდან ბრუნდება ზარანდია, სამუნელი შერჩენია ხელში.

ჭიხვინი, ყვირილი და გადაძახილია ეზოში. დედას აგინებენ ერთმანეთს, სალაშქროდ ემზადებიან.

— შენ საიდან მოდიხარ? — კოლია გოგნიძეს უყურებს, იარაღს ისხამს, სამხრეიღლიავე ღვედებს იკრავს.

— შუყერადან. — ენა ებმის კოლიას.

— გადავწვავ შუყერს, შუა სოფელში გუთანს გავატარებ, ეკალსა და ღიჭში ამოგხუთავთ, ჭყიმს და ყინტორს მოგანატრებთ საჭმელად!.. სადილზე თეთრი უნდა მოგეტანათ, ვახშამზე წითელი, არ იცოდით? იცოდით, მარა თქვენი გინდათ გაიტანოთ, თავზე უნდა დაგასხათ წესით!

— რატომ კადრულობთ, ბატონო! — გაშტერებულია ბერიკაცი.

— იმიტომ, რომ — უკან ბრუნდება. — წესრიგი არ იცით, მარტო თქვენზე არაა ლაპარაკი, მთელმა საქართველომ აიშვა, მონის ფსიქოლოგია აღმოაჩნდა ხალხს. რუსის ჩექმის გარეშე არ შეგიძლიათ ცხოვრება!

— გადაირია ჩემი მტერი, იმათ ეტირებოდეს ყოფა და თეთრსაც ამოვიტან ამელამ! — კოლია ლაპარაკობს თავისთვის.

— ისე, ახლა, ერთი თხისკენაც უნდა ითქვას, ბატონო, ნამეტანი შეგვაწუხეს ყაჩაღებმა, ვიყავით ჩვენთვის, არც ესენი გვაწუხებდნენ, ბატონო...

— მართალი ხარ, ბებერო, ამაზე უარესი დრო არ გინახავს?..

— ყოფილა, მარა მე არ შევსწრებივარ, აწი იქნება უარესიო, ეს რა�ო, ასე ეთქვათ მოწამეთაში! ღმერთო, შენ გვიშველე.

— ეს ღვინო დასაქცევია! — ასკვნის მცველი.

— ჭკუაზე აფრაკად ხო არა ხარ შენ! — იღრიჯება კოლია.

— მე დავლევ, ჯობია! — გეგელაა.

— წავიღებ უკან, მამაჩემსა აქვს ცხონება!

— წაიღებ და შინი აჯობებს — ზალას ორს აღებს თავით. — გამგელებულები მობრუნდებიან მაგენი... — ჩაფს მიაჩაჩაქებს.

ეზო დაცარიელებულია. თივის ბულულებს დაცორიალებს ნიავი. კარის მცველი აბინავებს ჯალათს, ხურჯინს, ზარას მომლოდინე გლეხებს ელაპარაკება.

სხვადასხვა მხრიდან შემოდიან ყაჩაღები.

კიბეზე ამორბის მიხა. ოთახიდან გამოსული მცველი კედელზე მიყუდებულ თოფს წვდება.

— მიხა ვარ, იაშვილი, თოფს უშვი ხელი!

— ბაგრატიონ-მუხრანსკი იყავი, თუ გინდა! — ტყვია ეჭედება წაბლის ფიცრის კედელში. თოფისაკენ გაწეულ მარჯვენას დაჰყურებს მცველი, ხომ არ მომჩვდაო. — სადაა ბანალდამწვარი ზარანდია, ჭიშკარზე ვინ იდგა!

— ხელი არ გაატოკოს არავინ! — მორჩიძის ხმაა. ჰაერში ისვრის მიყოლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. ნაბდიდან გამოშვერილი მაუზერებით მოდის. ბოჩია ბოსლის ყარაულს ანიარაღებს. მიხა კარის მცველს ხსნის ხმალს, ქამარს, ჯიბეებს და შარვლის უბეს უსინჯავს.

— ავსტრიის ომი მოგიარე და ამნაირი არაფერი დამმართია!

ბოსლის კარს ამტვრევს წიხლით ბოჩია. რიკ-საგდული არ შორდება ცალ ანჯამაზე ჩამოკონწიალებულ კარს, საჯდომით ეჯახება და გააქვს ლაწანით ჩარჩოიან-ბაზოიანად. რამდენიმე გლეხი გამოდის თვალების ჭუტვით.

— თავისუფლები ხარო, თქვენი ბუნდღა არ ვნახო აქ!

არ იძვრიან. მზის სინათლისაგან თვალნატკენნი იფარებენ თვალებზე ხელებს.

— რაზე ითრევენ ფეხს? — უკვირს ფარნაოზს.

— რას ელოდები, კაცო, შენ, გამოდი აქეთ!

— წავალ, ისევ დამიჭერენ, სიკვდილს არ დავეძებ, ოჯახს დამიქცევენ... თქვენ დღესა ხართ აქ, ხვალ ქარი ვერ მოგძებნით!

— მაინც წადით... — ფიქრობს ფარნაოზი. — წავალთ და ჩაჯექით ვირის აბანოში თქვენის ნებით, შენ ვინ გცემა?

— რას გაიგებ, ყველა გირტყამს, ვისაც არ ეზარება! — ყვრიმალებს და ქუთუთო-უპეებს ისინჯავს.

— ხართ თავშეშვერილი, ზურგწაკუზული, მეტი გეკუთვნით...

— იარალი არა გვაქვს... — უგულოდ ამბობს შედარებით ახალგაზრდა.

— იარაღის დამჭერს არ გავხარ შენ, იარაღს მოგცემ, მარა გაყიდი... თქვენ, ბატონო? — კოლიას არაფერს ეკითხება.

— ჩვენ მესადილეები ვართ... — ფაფანაკს იხდის მორჩილად.

— ამ ხნის კაცს არ გეკავს არავინ? ვის უზიდავ, რატომ უზიდავ... მორჩილებაში გალიე ალბათ ცხოვრება და შენი მესმის, წაიღეთ მაინც, რაც მოგიტანიათ.

— მაგის წამღები მე ალარა ვარ, შვილო. რავარც მიცხოვრია, ისე ვიცხოვრებ, თუ მაცოცხლეს ერთიხანობა. ნამეზავრი ხართ, გეშიებათ, შეირგეთ, მე ერთი ჭიქით დაგლოცავთ, თუ კადნიერებაში არ ჩამოშერთმევა.

— ნება შენია, ბაბუა!

— გამოვიტანო! — მზადაა გეგელა.

— რა უნდა გამოიტანო, გეგელა ღორის გაკეთებულო, რას მიცინი ყველის ვაჭარივით, ამოვალ, მოგივლი!

— აქანე გამჩერებელი ალარა ვარ! — წასვლას აპირებს. მიხა იჭერს ჩოხის საყელოთი.

— ამისთვის ვიბრძოდით ჩვენ!

— ჩემთვის? — ნამეტანი გაოცებულია.

— გეგელა, რა დამიშავებია? — კითხულობს ფარნაოზი.

— ხო მაჭამე წუხელი ტაროი...

— გაჭამე, გასვი, გაგათბე, დაგაძინე და დამასმინე?!

— ჯაჯუმ შემაცდინა, ბატონმა.

— რომელმა ბატონმა, ქართაში რომ გამწყვდევდა თხებთან?!

— მირტყამდა, როცა მოუარდა.

— მერე?

— მერე ამის ქალიშვილი ხო მოგწონს შენ, კოლიასი?

— ელაპარაკე ახლა ამას! — უკან იხედება ფარნაოზი.

— რატომ არ უნდა მელაპარაკო, რევოლუცია ჩემთვისაც ქე მოხდა...

— რა გიშველა მერე, რომ მოხდა, მაინც ჩვენი კანონებით უნდა გაგასამართლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად გაქვთ თქვენ კანონები, ხალხს ხოცავთ!

— ნუ ფსლუკუნებ, არც ისეთი სულელი ხარ, როგორც გონიათ!

— მნახა მე ექიმმა და მოთავებულიაო, ასე თქვა ჩემზე.

— ბეითალს გაასინჯეს, მართალია... — ეხმარება კოლია გოგნიძე.

— მერე, საქონლის ექიმმა, შენ გგონია, არაფერი არ იცის! — თვალებს უბრიალებს კოლიას.

— შენი სიბოთავე დადასტურებულია, მაგაზე ნუღა ინერვიულებ, ეს ერთი, მეორე: — განაგრძობს ფარნაოზი. — სარბიელის გორაზე გვნახე შენ თუ წიფლიგვერდას ხერზე?

ფიქრობს. ცხვირს იმშრალებს ქსიტინით, ცრემლს სახელოთი იწმენდს, იხსენებს.

— ნახე, როგორ ნაყვარება თავი, სად გვნახე?!

— წიფლიგვერდას ხერზე.

— რატომ გააგზავნე მერე ის კაი ხალხი სარბიელზე?

ისევ ფიქრობს. აღარ ქსიტინებს, ნესტოებზე ისვამს ჩოხის გადმოხეული სახელოს.

— შემეშელა. სარბიელის გორაზე ამბერკია ვირსალაძის ნაბუშარი შემხვდა, ჯარიდან გამოპარულიყო.

— მაგან გადაგარჩინა, შე უბედურო!.. — თავის კანტურით მისჩერებია ცოტა ხანი ფარნაოზი.

— საქონლის ექიმმა არაფერი არ იცისო, ხო თქვა, თავის ქალიშვილს მიხედოს, არ ურჩევნია!

— რა ჭირს, შე მართლა ბოთე, მისახედავი, მე შენკენ, შენ ეშმაკებისაკენ?

— რო დაფშტიალობს აღმა-დაღმა, გაათხოვე!

— არა. მაინც უნდა გავასამართლოთ, ეს არ გავს თლათ სულელს!

— მერე რას მომისჯით?

— წინასწარ ვინ გეტყვის.

სუფრას აწყობენ ამასობაში აივანზე. მეზობლის ქალებსაც მოაქვთ მოსაკითხი. შეშინებულნი დებენ, მადლობაზე იშმუშნებიან, რავა გეკადრებათო და მალევე ტოვებენ იქაურობას.

— ამოიყვანე, ბოჩია, ვინც დარჩა, გარეულიც და შინაურიც, მშიერი არავინ დარჩეს, მე ამას მოვუვლი! — იბარებს ფარნაოზი და ოთახში შედის.

— ღვინოს ჩამოვასხამ მაშინ მე! — ითხოვს გეგელა.

— გადმოაბრუნე ხელები, რა გაქვს ქაჩაჩში, აუ, ქინძი დაეთესება თავისუფლად! — შეიცხადებს ბოჩია.

— ღვინის ჩამოსხმის თავი გაქვს შენ?! — ეკითხება მიხა, შაშხანაამოღლიავებული ახვევს თუთუნს, მხიარულებაში არ იღებს მონაწილეობას.

გენერლის მაზარით გამოდის ზალიდან ფარნაოზი.

— ე! — გეგელას ანიშნებს მიხა.

მითაიშვილის მაზარა წამოუსხამს, მითაიშვილის სათადარიგო ქუდი ახურავს უკუღმა.

კითხულობს:

— საქმე ეხება თავად ჯაჯუ კისორელის ყოფილი მოჯამაგირის გეგელა თავშავიანიძის დანაშაულს. გასულ ღამეს, ამა წლის ორწიფობა თვეს ბრალდებულმა გეგელა თავშავიანიძემ წიფლიგვერდას ხერზე, მაკე თხის ძებნაში შეამჩნია ცეცხლს შეფიცხებული ოთხი პირი, მიიღო რა მათგან სითბო, საკვები, ჭკინტი ტარო, შემწვარი კვახი, წაბლი, მეორე დღესვე, ესე იგი, იმავე წელს წიფობისთვეში კარგად გამოძინებულმა დაასმინა მასპინძლები, ჩამოუტანა არასწორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა მთავრობას, წიფლიგვერდა აურია სარბიელში და ასე და ამგვარად. ყველაფერთან ერთად ბრალად ედება მთავრობის ერთგული გვარდიელების, კერძოდ: მითაიშვილის, ხომაშურაძის, ასლანიძის, კორძაიას, ზარანდიას, — იგი ამჟამად აქ გახლავთ სამუნელით ხელში, — და სხვათადა ძმათა მათთა მოტყუება, დეზინფორმაცია, ცუცხვათ-ბურნა-მანდიკორის საზოგადოების დიდი ოდის, დამსჯელი ექსპედიციის შტაბ-ბინის დაფიათება, აჯანყების მეთაურების, ბუნტისთავების მხარდაჭერა შეუგნებლად. ცნობთ თუ არა, გეგელა სულეიმანიძე-თავშავიანიძეკ, თავს დამნაშაეედ?

— ნაწილობრივ! — კარნახობს მიხა.

— ნაწილობრივ. — იმეორებს გეგელა.

— რა ეკუთვნის გამცემს, მოღალატეს, უმადურს, ვირო მადლის მქნელს, შენ თვითონ გვიპასუხე!

— ავადმყოფია, ბატონო, ძაგი, მთელი ოკრიბა დაემოწმება, ჩემი ბატონო... — ესარჩლება ბერიკაცი, გვიმრაში შეხვეული შემწვარი ვოჭი რომ მოიტანა ცხლად და ამ სასამართლოს არასერიოზულობა ვერ დაეჯერა.

— ცნობა აქვს?

— ცნობა?

— რა ეკუთვნის, ბაბუა, მითხარი, დავეჯერებ!

— რა ეკუთვნის? — კარგად არ ესმის და ხვდება, რას ეკითხებიან.

— მე ვიტყვი, რაც ეკუთვნის... — პოლო ნაფაზს ურტყამს მიხა, თითებზე მიმწვარ ნამწვს აშორებს. — ჩვენ ვიცით, რაც ეკუთვნის, ჩვენი კანონები ურყევია და სასტიკი... — ფიქრობს. — ამას არ ეხება!

საბოლოოა. განაჩენს დაფიქრება სჭირდება, მაგრამ გადასინჯვას არ ექვემდებარება.

— იცეკვოს მაშინ! — უკან იხევს ფარნაოზი. მითაიშვილის მაზარას აცმევს, მითაიშვილისვე ქუდს ახურავს სწორად.

— რაღაი ამდენი სიკეთე მიყავით, დამალევინეთ და ვიცეკვებ.

— ბებია გიჭყავა, მასე მეც ვიცეკვებ! — გული მოსდის ბოჩიას, მითაიშვილის მაზარაზეც წყდება, ეტყობა, გული.

ტაბლას უსხედან: ყაჩაღები, მილიციელები, ელეხები. ფეხზე იღმურძლება ვენერალად გამოწყობილი გეგელა. ცალ ხელში ნაგვეხა მჭადი უჭირავს, ცალში ქათმის ბუძინდღო, ჭინძავს ბასრი კბილებით.

— ოცდაექვსიანაა! — არღანს ეფერება ბოჩია.

— გადაატრიალე, მაგის დედაც ვატირე, დრო გვაქვს კიდევ ცოტა აქ და აქაც! — ყვირის და ზევით— ციხქვეშეთში იხედება მიხა.

საცეკვაოს ახვევს არღანი. გეგელა ცეკვავს დაბმული ნადირივით, მოსირმული მაზარის კალთების ფრიალით. აქეზებენ. ტაშს უკრავენ. კივიან.

გაბმული მრავალჟამიერი ეფინება ოკრიბის შეიერთსფერებულ სერებს, სერებში ჩაყუჟულ სოფლებს. სიმღერას სახალისო სროლა, სროლას სიმღერა, დღეს ღამე ენაცვლება.

ფეხით მიდიან უგზოზე და გზეთზე. ტყეში გამავალ საურმე შარაზე თენდება. მამაჩემი, რად გინდოდა ან ეგ სახლი, ან ეგ ეზო.

— ყველაზე უფრო, იცი, ვინ მენატრება?

— ვინ, ბოჩია?

— ბებიაჩემი.

— თუ ბიცოლა?

იცინიან ჩუმად, მკლავზე ხელს უჭერენ ერთმანეთს ფარნაოზი და მიხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა რო მოკვდა, ბებია საფერხეში მიწვენდა, ოთხი კლასის დამთავრებამდე ფეხებში ვეწექი...

აღარ იცინიან.

— ...რო მომკლან, მამაჩემი სახლიდან გამასვენებს?

— ჰაიტ! — დასჭყივლებს მიხა იაშვილი. — რა ლაპარაკია, ბიჭო, ეს?! — სულ სხვა ხმით: — ისე, აბრაგი ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს, მამაშენს კი თვალები ამოუღამდა თურმე შენს ლოდინში, არ თქვა მეორედ მაგნაირი...

— ძმა მოვუკალი და რანაირად შევხედავ?..

— ხდება, ყველაფერი ხდება, ძმა ძმას კლავს შემთხვევით... როგორც კი ჩაწყნარდება აქაურობა, ჩემი ხელით ჩაგაბარებ ოჯახს... — ფარნაოზი ამბობს.

— ყველაფერი როა, — განაგრძობს ბოჩია. — ზევით ცაა, ქვევით მიწაა, მეც რო ვარ, ესაა, რომ ვეღარ შევხედავ ვეღარაფერს, გული მეწურება წინასწარ... დედაჩემს თუ ვიცნობ, ნეტავი, იქ... მახსოვს და მგონია, აღარ მახსოვს, რა ვიცი, მაინც... დედაჩემის გვერდით გამიჭერით სამარე... მოგვყვება ის ოხერი. — ნუეში არ უნდა და სხვა რამეზე გადააქვს ყურადღება.

— მაინც მოდის, ხომ?!

უკან იხედებიან სამთავენი.

— რა ვუყოთ?

გეგელა მოსდევთ გენერლის ქუდითა და მაზარით. ხან გამოჩნდება, ხან დაიმალება ბურდებში წითლად.

— რა უნდა მაგ ჩემი ცოდვით საკუნეს? — კითხულობს დაღლილი ფარნაოზი.

— თქვენთან უნდა გადმოვვარდე მეცაო, საჭყეპელა მოაქვს... — მიწას დასწერებია ბოჩია.

— გავბიოურდით! — ეცინება მიხას.

— ვოვიშოროთ რამენაირად.

— ახლა მაგის ცოდვაც არ დამადებინოთ, სხვისიც მეყოფა, — უკან აღარ იხედება მიხა.

— გეგელა, დაბრუნდი, შორს მივდივართ! — ქვებს ესვრის ბოჩია.

გეგელა ეფარება ხეს. არ იძვრის. არ ფაჩუნობს, წითლად მოსირმული მაზარის კალთა და ცალი სამხრე უჩანს. შორიახლო ვარდება, ყურთან გაუჭუილებს ერთი ქვა.

მიდიან. ეკარგებათ თვალთაგან. შლიგინი ესმით ბუჩქებიდან ცოტა ხანში. არაა საშველი.

ტყეს ბუჩქნარი ენაცვლება, ბუჩქებიც მეჩხერდება, მოწითალო ფხეკები ჩნდება. ჩოჩიალა ურემია მიტოვებული. მთიბავს ხარები ჭყავს ალბათ გადენილი იალაღზე. უუღლო, დაკოჩილი, გოგორათვლებიანი, ფრჩხილებიანი ურემია. შეათვალიერებს მუშტრის თვალით და შემოაბრუნებს ფარნაოზი ჯამბარით.

— დავეშვი ახლა ამით.

— ძლივს ამოვათავეთ ეს აღმართი.

— ქვევიდან გეგელა ამომიყვანს! — ურემს ეზმანება.

— მოგკლავს პატრონი! — აფრთხილებს მიხა.

— ბოჩია, მომაწექი და შემოახტი მერე, თუ გინდა!

— გადაირია ჩემი მტერი! — კბილზე ჯდება მიხა, თუთუნის ქისას იღებს, კვესისა და კაჟის ჩხაკუნი ისმის.

ხელნებზე ხელებაჭიდებული, ქილიშებზე ფეხებმიძაგრებული ზის ფარნაოზი ნაბდით, იარაღით. ბოჩია აწვება, აგორებს, ყვირის, ახტება, ლაფათინზე ცუცქდება ფარნაოზის ზურგსუკან. ჭრიალ-ფხოკიალით მიგორავს ურემი არა ურმის სიჩქარით, ემატება სიჩქარე და უხვევს სხვა მხარეს, შარას აღარ მიჰყვება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრეკზე აგორებული ჩერდება ტყის თავთან. გეგელა ამოიფხრიწება შქერის ბურდიდან. კისრისტეხით გარბის ურმისკენ, ეპორწიალება და აჩერებს.

მიხა ახველებს, ხედავს.

გეგელა მოათრევს ურემს მარტო წელისწყვეტით. ხელიხელგადახვეული ფარნაოზი და ბოჩია მოჰყვებიან ურემს ღიღინით. მახასთან ითქვამენ სულს.

— ახლა გეგელა მოგვაწვება და უფრო სწრაფად დავეშვებით, მთავარია, იქით არ შევუხვიოთ ისეველ! — აცხადებს ფარნაოზი.

— მე თუ გაგასწარით, არ გაგიკვირდეთ!

— აღარ გინდათ, რა დალიეთ ამნაირი, გეგელა, გენერალი ხარ თუ მეურმე, გამაგებიე, გაღმა, გამოღმა ხრეითი, ღელია, ახლა კაია ქეიფი, ღელია, ეხ, ჩემო მამულო! — სახეს უშვერს ნიავს ფეხზე წამომდგარი მიხა. — ყვერაა გამოვარდნილი, ცალი გოგორა მორყეული, მოძვრება, გადაირევა პატრონი, დაანებეთ თავი! — უშლის, არ იშლიან.

— გაწვებით! — ყვირის გეგელა.

— მიაწექი შენ ყველას!

— უშვი ხელი, ყენთე!

— რუჭუ-რუჭუ, ჩხრანჭი!

ფხოკალით, ყვირილით ეშვებიან. გეგელა მისდევს ურემს გენერლის მაზარიო. მიხა აფრიალებს ყაბალახს ბრეკზე. რაღაცას ანიშნებს მრბოლელებს, მაგრამ მისკენ არ იხედებიან. ბორცვთან წვება და ისვრის. ისვრიან. წუილ-წუილით მოდიან ტყვიები აყირავებულ ურემთან, კოხის მტვერი ასდის წითელ მიწას ახლომახლო. მიხა ისვრის. ფარნაოზიც ისვრის. გადაბრუნებულ ურემთან წევს ბოჩია ცისკენ გახელილი თვალებით. აღარ ისვრიან. მდევარი თავს შველის. სიჩუმე ისადგურებს.

— მე მაინც მოვეკალი! — გეგელას ხმაა. გასისხლიანებულ სახეზე უსვამს ხელს ბოჩიას.

ფარნაოზი ურემთან არ მიდის. რა მოხდაო, მიხა ყვირის ზემოდან.

— დაეღუპეთ, გონია! — ფარნაოზის ხმაა.

— ნიკანდროს ბიჭი მოკლეს, ბოჩიაი!

მიხა მორბის, ბუჩქებს ახტება.

— დაჭრილია? — გულამოვარდნილი კითხულობს.

— თვალები აქვს გაღებული და ვერ მაყურებს, ამას აწი რაღა გააცოცხლებს!

ყაბალახგადაძრობილი უახლოვდება მიხა. თვალებს უხუჭავს, შუბლიდან მკერდამდე ჩააყოლებს ხელისგულს.

— ჩემი სიკეთილი ჯობდა ბევრად, — ასკვნის გეგელა. — აქედან დეეფარე, იქედან მოხვდა!

მტრედისფერი საყდარია გორაზე, ცაცხვებში. მზე ჩადის. ყვითლდება არე. სოფელია მიხატული მოლისფრად გარხეულ კრეტსაბმელზე. ხმაური ამოდის. ძაღლის ყეფა, შამლის ყივილი, ბავშვის ტირილი, დების სიმღერაა გადაწნული შრიალად.

სამარის ძველ, ხვიფლიან ქვაზე მწუხარე ქალია ამოკვეთილი. გვერდით ახალი გაჭრილი სამარე და ამოხორავებული ნეფლი, წითელი მიწაა.

— ნათელში ამყოფე, უფალო, — პირჯვარს იწერს მიხა. — ჩემი მოსახვედრი ტყვია შენ მოგხვდა, ბიძია, და მაინც ნუ დაგვემდურები, ყველაფერი ღვთის განგებითაა. ჩვენი ბოლოც ეგაა, იქ ვნახავთ! — ცაში ისვრის და გადის.

— არ გამთენებოდეს, ბოჩია, თუ შენ მკვლელებს ზზე დავანახო, გტოვებთ დედაშენთან, კარგა იყავი! — ძირს იხედება, ზევით ისვრის.

მიღნობილი ნეშოხ შარიშურით ცარიელდება იქაურობა. სანთელიანთ ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდება. ხეზე ბოჩიაა გაკრული. თავჩამოგდებული დაჰყურებს ღია სამარეს. ნადირი ვერ შეწვდება, ჭირისუფალი იოლად მოიძევს.

ნეშოს შხრიალი მატულობს, ლანდი ლანდს ეწევა. საყდრის ეზო ცუდად და უსისტემოდ შეიარაღებული მილიციელებით ივსება. ხმაურითა და ლაპარაკით დადიან.

ბინდდება. მთვარე ამოდის.

— აქ არავინაა! — ისმის ხმა სასაფლაოს ბოლოდან.

—კარგად მიიარ-მოიარეთ!

— საიდან იყო ის სროლა, აბა, ორჯერ ისროლეს!

— აქედან მოგვესმა აშკარად! — ჭამს ერთი.

უკეთესად შეიარაღებული ათმეთაური გამოჩნდება..

— ჩიხაბერიძე მოდის, ეს გაარკვევს ყველაფერს!

— რას ბურტყუნებ, ბიჭო, შენ?!

— ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკეთ, ასლანიჩ, საყდარი დაკეტილია, წყლიანი ვაშლი ვნახე ქვევით..

— იმ ზეით იყავი?

— იქეთ არ ავსულვართ, შემოვუარე..

— სად მიაგენი მაგ ვაშლს ამ სიბნელეში?

— გალავანთანაა, ბოლოში, ასლანიჩ!.. — ნაღინჯარს აგდებს, ხელისგულით იმშრალებს ტუჩებს.

— დაზავულია, ასლანიჩ, ხე ტოტებს ძლივს იმაგრებს! — უცნაურად მოსიარულე მილიციელი გამოდის ასპარეზზე. მაღალყელიანი წაღიდან ლანჩა აქვს ძაღლის ენასავით გადმოგდებული, ჯერ ლანჩას დებს მიწაზე, შემდეგ ტერფს ასწორებს გადაბიჯებამდე.

— ვაშლს მოეშვით, ვაშლი ვაშლია, საყდარში შედით! — ბრძანებს ათისთავი ჩიხაბერიძე.

საყდრის კარი შიგნიდან იღება ჭრიალით. მღვდელი და დიაკონი გამოდიან. მილიციელებისაკენ მოაბიჯებენ პირდაპირ.

— ამათ დანახვაზე ყვერები უნდა მოიფხანო! — ნათქვამის დემონსტრირებას ახდენს ერთი მილიციელი.

— სალამი, მამაო! — თავაზიანია ჩიხაბერიძე.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, შვილო, რაზე შეწუხებულხართ?

— სროლა იყო აქ!

— ნუ ლაპარაკობ, შენ გაიგონე, ძმაო?

არაო, თავს აყანყალებს უარის ნიშნად ანაფორის ჩაბალახში სახედაკარგული დიაკონი.

— ყაჩაღები მომრავლებულან, მამაო, თქვენკენ, მორჩილამეაო...

— მორჩიძე.

— მორჩიძე. შეწუხდა ისედაც შეწუხებული ქვეყანა, ვინ ოხერია ეს მორჩიძე?!

— არის ერთი, დაწყევლის გამჩენელი, რა გასაჩენი ის იყო!

— საყდარს ნუ დაეტავ, მამაო, ჩვენ ჩვენი მოვალეობა უნდა აღვასრულოთ... სწორს არ ვამბობ?.. ტყვიას მივაჭედებ შუბლში, თუ ვინმე გყავს დამალული, გინდა გეწყინოს, გინდა არა!

— დასწრებაზეა, ჩემო შვილო, ყველაფერი, ყველამ თავისი უნდა ეცადოს, შედით, ნახეთ, ეშმაკს არ ძინავს, იგი სულ ფხიზლობს!

შედით, შედითო, ლაპარაკის დამთავრებამდე ანიშნებს ხელქვეითებს ჩიხაბერიძე, ერთმანეთის მიყოლებით შედიან, ბოლო შეკოვნდება მხოლოდ. რამდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერმე გადაიწერს პირჯვარს და ლოცვასაც წამოიწყებს უხმოდ, ეტყობა. ხელისკვრით შეაღებს საყდარში და დიდი ურდულით გადაკეტავს მძიმე კარს მოთმინებადაკარგული დიაკონი.

— დაადგ იარაღი! — მაუზერს უმიზნებს ანაფორიდან მღვდელი ჩიხაბერიძეს.

— რა გინდა, კაცო, ვინა ხარ?! — თოფი უკარდება, უკან-უკან იხევს ბარბაცით.

— დაყარე ყველაფერი, თვარა გესვრი, ფარნაოზი ვარ, მორჩიძე.

— რა გინდა, ვიღაცა ხარ, არ ვედეერიო, ეყრი, რა გინდა?

— აწიე ხელები, თავზე დაილაგე, შებრუნდი!

საყდრის კარს ეჯაჯგურებიან შიგნიდან.

ყვირიან.

ამტვრევენ კონდახის ძირით.

— იარაღი გადმოყარეთ! — სარკმლის ქვეშ დგას მიხა, ხმელი, წელში გამართული, თავგადაპარსული, ანაფორის ჩაბალახგადაგდებული. — მიხა იაშვილი ვარ, გადმოყარეთ და წადით, თქვენთან ხელი არა გვაქვს... ცოტა ხანი გაცდით, ბომბს შემოიგდებთ მერე.

კარგი პირობაა.

ჩორქოლია. ბჭობენ კიდეც. ერთი იგინება მუქარით მაინც.

— ერთ ბომბს გავიმეტებ თქვენი ხათრით! — პირდება მიხა. საკეტს ხსნის ხელყუმბარას და ისვრის შორს, ბარდებში. საშინელი გრიალი აყრუებს იქაურობას. წითელი ვაშლები მოხრიალებენ ხიდან. წითლად იფარება ხავსიანი ხისძირები, მინდორი გალავანგადაღმა.

იარაღი ცვივა საყდრის სარკმლიდან. განიარაღებული მილიციელებიც გამოდიან.

— ქვეეთ და უკანმოუხედავად სირბილით, შენ არ გაინძრე! — ბრძანებას იძლევა და ჩიხაბერიძეს არ უშვებს ფარნაოზი.

დაწიწალაკებულნი გარბიან თავქვე მილიციელები. რამდენიმეს თავი აქვს დაღუნული, ტყვიას ემალებიან თითქოს.

მიხა იარაღს ახარისხებს უკმაყოფილოდ.

— ფუი, მოგიკვდა გამომცემელი. ხელში არ აიღება არც ერთი, შიგ შევიტანდ მაინც. საკურთხეველზე დავალაგებ.

— მე რაღას დამიტოვეთ, ხომ ჩაგბარეთ იარაღი?! — თვალები აქვს გადმოცვენაზე ჩიხაბერიძეს.

— შენ ვერ წახვალ, იმიტომ, რომ ძმა მომიკალი, მარჯვენა ბეჭი მომატეხე, ამისი ლულა ცხელია კიდევ! — ხელით სინჯავს ფარნაოზი ჩიხაბერიძის შაშხანას. მიხას რადაცას ანიშნებს და მიდის.

ხელს დაჭკრავს გალავანს და მსუბუქად გადაევლება ანაფორის ფრიალით.

— ღმერთი გწამს? — ეკითხება მიხა ჩიხაბერიძეს.

— ღმერთი? რაზე მეკითხები, შე კაი კაცო, რას მიპირებ, პირდაპირ მითხარი, ღმერთი მწამს, თუ არი, ქე მწამს!

— ილოცე, თუ გინდა!

— მერე?.. ვილოცებ და მომკლავ, ტყვიას მესვრი ანაფორაჩაცმული, სულს წეიწყმიდავ. ჩემი წვრილშვილის ცოდვას ეიკიდებ?

— ღმერთი განგვსჯის ბოლოს. იქ მივალთ ყველა — მტყუანი და მართალი. მკვლელი ხარ შენც და მოკვდები, არც მე დამტოვებენ ზეზე! — ლულით აუწევს ნიკაპს. მთვარის ბლინდში გახვეულ ხეზე მიბმულ მიცვალებულს აჩვენებს.

— არა, არა... ნამდვილია?.. მე არა, მე არაფერ შუაში არა ვარ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აწიე თავი!

არ წევს. ხე ჩანს თეთრად, მკვდარი ხისფერად. ნამდვილს და არანამდვილს ეფინება სათამაშო მთვარის სიყვითლე.

— მე ჯერ არავინ არ მომიკლავს... — ხეზე აკრულ მკვდარს გრძნობს. — არა, მე არა... ძოხალისედ წამოვედი, ჯერ არ მისვრია. ადრე კი. ახლა არა. ოთხი შვილი გავაჩინე ავადმყოფმა. ღამე არ მძინავს. ექვსი წელია, არ დამიძინია, რაც ჯარიდან გამომიშვეს, ღამით თვალი არ დამიხუჭია, ყარაულობაც მომწყინდა... მე არა ვარ მაგის მქნელი. მამაჩემის ხარებია ნიშა და წიქარა, ოთხი შვილი მყავს... ვიღამ მოხნას და ძობაროს ჩემს მაგივრად, რატომ გამაჩინე, მამაჩემო! — თვალს ხუჭავს, აღებს, მკვდარს ხედავს.

— წადი, მომშორდი!

— წავიდე? — არ სჯერა. — თუ მატყულებ, პირდაპირ მესროლე, მირჩევნია...

— წადი, სანამდე არ გადამიფიქრებია!

გარბის. კისერმოღრეცილი იხედება უკან. ეცემა. დგება. ისევ გარბის. თეთრი ხე და მკვდარი მიჰყვება.

ჰაერში ისვრის მიხა.

ამის შემდეგ დუმდება იქაურობა. კიდევ უფრო ყვითლდება სასაფლაო.

თავდაღმართში მიდიან. მთვარიან შარაში მიაბიჯებენ.

— რა ქენი? — ეკითხება ფარნაოზი.

— მოვკალი. — ყრუდ პასუხობს მიხა.

აღარაფერს ამბობენ. უფრო და უფრო უჩქარებენ ფეხს, ხიმეხიმედ გადადიან ლანდებად.

ნავთის ლამპებითაა განათებული დიდი აივანი. მეპურმარილეების ჟღრიალია. ჩოხისქალებიანი, წვერულვაშიანი თავებია ბირკვილზე გადმოწყობილი. ლანდები დაბორიალებენ ხის კედელზე, ირმის შუბლზე და ბორჯღლზე იმტკრევიან. ლანდების პატრონები ტრიალებენ სველი დოქებითა და ხელადებით, გადაგამოდიან სავსე და ცარიელი ხონჩებით.

ზალაში დიდ სარკესთან ბატის ფრთით იკრავს ჯაჯუ კისორელი ახალუხის ღილკილოებს.

ღმერთო შეიწყალე თავადი ამირინდო ჩ. ყ. წარვლენილი ვიქენ ორგულთა ზედა და თოფითა მიერ მოვიკალ ორ-მეოც და ათისა წლისა განმლეველ- მან დავუტოვე საწუთრო ესე და საყვარელი მეუღლე თვისი სევდიანი და დაევეფალ ვიწროსა სამარესა ჩ. ღ.. (არ იკითხება).

— ვარდენიასთან ვარ ალავერდი! — ყვირის თამადა და უზარმაზარი ყანწი რკალავს სუფრას სიგრძეში.

— იახშიილ! — ოსტატურად იჭერს ვარდენი და ღვინის შხეფს იშორებს ხელსახოცით.

— რა დროის ყანწია ჯერ, ბატონო!

— არ ვავსებთ ბოლომდე, ჩემსაღით შესვით!

— მე ვერ გეახლებით, ბატონო კოსტა, სტუმრებია ჯერ კიდევ მოსასვლელი!

— დამკარგავ, ვარდენ ბატონო, იცოდე!

— მერე მე სად შემიძლია, ბატონო კოსტა, თქვენოდენი! — ყანწს ავსებინებს უკვე მერიქფეს. — გამიჭირდება დალევა!

— ჩაიდგამს მუცელში ღვინიან-ყანწიანად, ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ საცოდავებმა!.. — წუხს სუფრის ერთი რიგითი წევრი. — ჩვენ რა გვეშველება, ივანე, ჩვენ?

— მეშველება-არმეშველება არ ვიცი, მარა რავარც პატარძალს არ აცდება ქორწილის დამეს, შენ რო იცი ის, ისე ამ ყანწს ვერ ავიცილებთ ჩვენ!

— გთხოვთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გადღიგრძელებთ, საყვარელო რაინდებო, რესპუბლიკის უშიშარო გუშაგებო! — თანდათან უმაღლებს ხმას მუცელმოტრიალებული ვარდენი. — ჩვენი ბარძიმ, ჩვენი მიტო!

მღვდელი და დიაკონი შემოჩინდრიკდებიან ეზოში ცხენით და ჯორით (როგორცაა წესი).

— აქეთ, მამაო, აქეთ მობრძანდით! — ეპატიჟებიან ეზოდანვე. გზას უთმობენ ორთავეს, ცხენს და ჯორს უბამენ მარგილზე.

— მობრძანდით, მობრძანდით... — აივანზეც წუხდებიან. — მიიწ-მოიწიეთ პატარაზე, ორი ადგილი გაათავისუფლეთ!

— ბატონ ჯაჯუს თხოვეთ, თუ შეიძლება!

— მოითმინეთ.

— თქვენ დაბრძანდით.

— საიდანლაც მეცნობით?! — მღვდელს მისჩერებია მითაიშვილი.

— ყველა მიცნობს ამ მხარეში...

— გასაგებია... — მაგიდაზე ათამაშებს თითებს შეფიქრიანებული.

— ვინ არიან?

— რა ვიცი, კაცო, ხო ხედავ შენ თვითონ.

— აქაურებია?

— აპა არა! — შორიდან პასუხობენ.

— დაწყნარდით თქვენ, თუ შეიძლება, თქვენ განაგრძეთ, შესვით თქვენ შემოსასწრებ!

— არ დამიმთავრებია სადღეგრძელო, რა ხდება, გამაგებინეთ?!

— აცალეთ, ბატონ ვარდენს დაცალეთ!

— მამა, გამოხედე სტუმრებს!

— მოვდივარ. — ქამარ-ხანჯალს იკრავს სარკესთან დიდი პორტრეტის ქვეშ.

— მიხედული ვართ, ბატონო, ჩვენ ნუ მოგვაქცევთ ყურადღებას... — მორიდებული ჩანს დიაკონი. — ყველაფერი სამყოფია, ღვთის მადლით...

— ხომ არ დალოცავდით სუფრას...

— ცოტა გვიანია...

— ერთი წუთით!

— თქვენ რომ არ შემოსულიყავით ჩვენს მხარეში... — ვარდენია, — ბატონი მიტო, ბატონო ბარძიმ, რავა წევდოდა ჩვენი საქმე, კაცმა არ იცის... ოკრობის საშველი რო არ იქნებოდა, ამას არ უნდა ბევრი ჭიჭინი... გვადროვეთ თუ შეიძლება, სიჩუმეს გთხოვთ... თქვენი შიშით, პირი ქვისკენ მიქნია, ცაში ფრინველს ვერ გადაუფრენია, მიწაში ბოხმეჭია ვერ გამძვრალა, უნებართვოთ, რასაკვირველია, სასახელო რაინდებო...

— არ ვღირსვართ, ბატონო, არ ვღირსვართ.

— არია სუფრა დასაწყისშივე ამ ყანწმა.

— არ უნდა გამოეტანათ.

— შეცდომა იყო, ბატონო, უდაოდ.

— გვადროვეთ, თუ შეიძლებოდეს.

— დაბრძანდით, ბატონო მიტო, ბატონო ბარძიმ.

— როგორ გეკადრებათ.

— ერთი ხომ ჩააძღლეთ დღეს...

გააჟრიალებს სუფრას, ერთმანეთს უყურებენ.

— დანარჩენებსაც ეს დღე ელით! — არცთუ დიდი რიხით და თავის გამოჩენის სურვილით ამბობს მითაიშვილი.

— დანარჩენებსაცო, სწორი ბრძანეთ, მაგის იმედი გვაქვს სწორედ... რატომ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ადექით თქვენ, რატომ არაფერს არ მიირთმევთ... — მღვდელზე და დიაკონზე უჩერდება ყურადღება ვარდენიას. — ვინ ამბობს მიდიანო, თუ მიდიოდით, უკაცრავი პასუხია, რაღას მოდიოდით.

— ესენი რომ მოდიოდნენ, ისინი მიდიოდნენ!.. — ხასიათზეა მოსული სუფრა.

ანაფორის სახელოებიდან ისვრიან. მითაიშვილი და ზომაშურიძე იკეცებიან სუფრასთან. სუფრის თეთრ საფარს ბღუჯავს სისხლიანი ხელით ზომაშურიძე. ტყვეით იმსხვრევა ლამპის შუშები. წივილ-კივილში ბნელდება. ყვავებივით მიფრიალებენ ძირს მღვდლები. გაკრეფილ ვენახში გარბიან ხმელი ხარდნების ლაწალუწით. ეზოდანაც ესვრიან ნაგვიანევად. ანთებული სანთლები გამოაქვს ქალს ზალიდან.

— მოუკლავთ, მამაჩემო, ორივე მოუკლავთ, დაგვაკლეს თავზე მთავრობის კაცები! — ყვირის შემლილი ვარდენია.

— გაჩერდი, ბიჭო, ჩვენი რა ბრალია!

— დასაწვავია ეს სახლიც, რამ ჩამომიყვანა აქ ნე, სისხლში ცურავს ორივე, სისხლს გვარწყვეიებენ, მამაია!

ცხენები ფრუტუნებენ და ფრთხვინავენ ეზოში.

— შეკარით აქაურობა!.. — ასლანიძის ხმაა. — კაცი არ გავიდეს და არ შემოვიდეს!

დიდი სახლი და დიდი ეზო ჰქონდა ოკრიბაში აზნაურ ესები მესხს. მამის დატოვებული ქონება და მეფის პენსია ყოფნიდა მევის გადაყუდებამდე მუხაესტატესა და ოლთისის გმირს. დაქვრივდა. ძოერია ავი ზნე, მოეწია რევოლუცია და უგემურად გაგრძელდა მისი ყოფა. დრო და ხასიათი უკეთესი ცხოვრების საშუალებას არ ანიჭებდა. ყავდა ერთი ვაჟი, წამალი რომ წაიღო შუშანასაგან, და ოთხი გაუთხოვარი ქალიშვილი. უმრწემესს თუ გასათხოვარი ერქვა, უფროსს გაუთხოვარი შეეფერებოდა უეჭველად. ყველაფრით უკმაყოფილო აგინებდა სოციალ-დემოკრატებს, მათ ლიდერს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, საიდან მოვიდნენ ყაჩაღება ხელისუფლებაშიო, ცოფს ყრიდა. არავითარ ლოგიკას მისი გულისწყრომა არ ემორჩილებოდა, მაგრამ ხანდახან არ ტყუოდა. ნიკოლოზ მეორის სურათი არ ჩამოუხსნიათ. იგი ეკიდა ზალაში ოვალურ, ვარაყიანი ფოტოსურათებით მოგირგლულ სარკესთან; აფურთხებდა დილა-საღამოს, რატომ ჩამოგაგდესო.

ნოე, შენი დედა!..

ასე თენდებოდა და იწყებოდა ახალი დღე ესებისათვის. რა დროს შეევსწარიო, ოხრავდა ბუხართან ნავახშმევს. ორბელიანი და ცალქალამანიძე ერთი გახდაო, გაათანაბრეს (ზოგიერთს პარიქით ეგონა) ყოველი კაცი, ერთ თარგზე გადაჭრეს ადამიანებიო. რომ არ იცოდა, გასაგებია, მაგრამ ვერც გრძნობდა, ეს მთავრობა რომ სანატრელი გაუხდებოდა მის ნაშიერს. ბოლშევიკები დაუთავებდნენ ხელს დაქცეულ ოჯახს. შემლილ სახლს და ეზოს წაიღებდა ნარშავა, შვია, ბალბა.

შემოდგომის სითბოა ჩაბუდებული იმ მხარისათვის უჩვეულო, ნახევრად სუბტროპიკული მცენარეებით დაფარულ, ხიმე-ტრიფოლიატით შემორაგულ ეზოში. ჭუკების ხმაა. კინაღამ სააღლუმედ გამოწყობილ ესების სძინავს აივანზე, სკამზე, ხვრინვაჩაგდებით.

ხიბლიხვანჯარას თამაშობენ სანთიობო ოთახში სალომე და ბარჩხალია. მარგალიტების აცმა გადადის ნაირფიგურებად ხელიდან ხელებზე. ჩამოქნილი ოთთები აქვს ვაჟს. ქალისას და ვაჟისას ვერ გაარჩევ უხელოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედის მარგალიტებია, ან ყელზე უნდა გეკიდოს, ან უნდა ითამაშო, თვარა მოკვდება მარგალიტი, მოიწყინეს უკვე, ატყობ, სალომე?

— ქალივით ყოფილა... უკულმა უყრი არათითს, ბარჩხალია!..

— ასე?

— არა, ბიჭო, ისე...

კაცის ლანდი წვება ეზოდან შემოჭრილ, ოთხკუთხედ მზეში.

ნატიფ თითებზე უშეშდება დედის ყელსაბამი ბარჩხალიას. ფარნაოზი დგას შუა კარში ნაბდით. გაოცებული სალომეს გადიდებულ თვალებში ჩანს.

— გადი, სალაპარაკო მაქვს ამ ქალთან! — ბარჩხალიას ეუბნებიან.

არ ვადის. ეშინია. გზა რომ უნდა გაუთავისუფლოს, ვერ ხვდება სტუმარი. ხელით გაწევს სალომე და ცვითავს კიდეც კარში თავს მასპინძელი. ტოვებს სანთიოობს, გარბის გაკრეფილ ვენახში.

— რა გინდა!.. ერთი ძუძუ გვაქვს ჩვენ ნაწოვი... ბარჩხალია ჩემი ძმობილია, შენ ყველას კლავ!

ხმას არ იღებს ფარნაოზი. ისევ იქ დგას, სადაც დადგა.

— შენ გგონია, არ ვიცი, რატომ მოკალი დიტიკო ძახველაშვილი?!. შენ ყველას დახოცავ, ბარჩხალიას ცოდვა არ მოგასვენებს!

სილას გაულაწუნებს მოწყვეტით და მოულოდნელად.

ლოყაზე ხელის ტკაცანი დაფრთხობს აივანზე ესების.

— ო, ო, ო, ო! — თვალებს ახელს დაფეთებული, ეზოში გაჩერებულ, თავგადაპარსულ ყაჩაღს ხედავს.

— ჰაააუ! — ჭყივის, ხმალს აძრობს ქარქაშიდან, კიბეზე ეშვება და დაუპატიჟებელი სტუმრისაკენ მიიწევს.

— გადი, კაცო, ვინა ხარ!.. — უკან-უკან იხევს მიხა იაშვილი, — გაწიე, კაცო, ხმალი, გიყია ეს ოხერი!

— ჰაა! — ყვირის ესები და ხმალდახმალ მიჰყვება. შაშხანაჩაბღუჯული მიხა ტრიფოლიატის ბურდებში ტოვებს ნაბადს. გამეტებით უქნევს ხმალს ესები და მარგილში ჩაჭედავს.

— ვინაა, კაცო, ეს! — გონზე ვერ მოსულა მიხა.

ხმალს ეჯაჯგურება, ხმლის ამოძრობა უნდა მარგილიდან ესების.

— კლავენ მამაიას! — კრჩხიალებენ დები უკვე აივანზე, კიბეზე ჩამოდიან კაბების ფოფალით და ჩხავილით:

— კლავენ მამაიას!..

— რატომ გამლახე? — ეკითხება სალომე ფარნაოზს. ვარდისფრად უელავს ცალი ლოყა. კივილი არ აწუხებს, ესების ომიც არ შეუფასებია. ეზოში დგას, სახემოღრეცილ ფარნაოზს არ აშორებს თვალს.

— უი, უი, უი! — თმას იშლის უფროსი და.

— უი, უი, უი, უი!.. — მოძახილით მიჰყვებიან დები.

— უი და არგადარჩენა არც ერთს! — ალაგზე გადადის მიხა, ჩაირბენს ბრეკს და წყარო-საცივის ყორე-სათავეს მიადგება წკიპად.

— მინადორა! — ფარნაოზის ხმაა.

მონუსხულებივით ჩუმდებიან.

— მამაშენმა დანებოს მილიციებში წანწალს თავი, თვარა, აგერ დამიფიცებია, შენი კივილი შეწვდება ცის თავანს!

— უი, უი, უი, უი!

ხელს წაავლებს ფარნაოზი სარს და მსუბუქად გადაევლება ხიმე-ტრიფოლიატას, ხელისგულზე დარჩენილ ძველი სარის მჭვარტლისფერ ნაფხვენს გაუბერავს სულს შარაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, თუ ვყოფილვარ ესები! — ხმალს ვერ აძრობს და ლულისთავმოღნიოშებული უზარმაზარი თოფი გამოაქვს ოთახიდან. — მე თქვენ გაყურებიებთ! — ლულას გადაადებს აივნის დასტანდაზს.

— არ ესროლო, მამაია, მაგას ტყვია არ ეკარება და უარესს მოგვწევს! — აგრაფინა ეძახის ქვევიდან.

— თუ არ ეკარება, ახლა ნახავთ!.. აგონ, ბლი! — თავის თავს კომანდრობს და ისვრის. ტყვია მსხლის ხეს ხედება კორძში.

— მოაწია, ხედავ, აქამდე! — თითით სინჯავს ხავსმოდებულ მსხლის ხეს გაოცებული მეხა. — ნახე, გაურტყამს, მეორე არ მოგვაყოლოს!

— ნახევარი საათი ჭირდება იმ თოფის ხელახლა დატენას... — ამშვიდებს ყარნაოზი, ნატყვიარ ხეს არ უყურებს.

აბოლებული ჯაბაირის ლულას აცილებს აივანზე შორი გზისკენ მზერამიწიწინებული ესები.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბენია ჩხარითშვილის კაბინეტში საგანგებო თათბირია. ნაუდგადფარებულ ძველ მაგიდას უსხედან სამოქალაქო პირები, სამხედროები ცალკე არიან მოკალთებულნი. სახეგაღაჟღაჟებული გუბერნატორი, წარბებზე თმა რომ აქვს და თავზე წარბები, ახლად გაღვიძებულს ჰგავს.

— ...როდესაც აჯანყების მიზეზებს განვიხილავდით, მხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ გლეხობა, ნაწილი გლეხობისა, აიყოლიეს დემობილიზებულმა, ნახევრად გადეზერტირებულმა, ბოლშევიკური პროპაგანდით მოწამლულმა ჯარისკაცებმა...

ცხელი ჭიქა შემოაქვს კოჭლობით ხვინგიას, ტილოს საბურავს აცლის ლანგარზე დადებულ მაღალ სასმისს და მაგიდაზე დებს, ტილო და თავდაღმა დამხობილი ლანგარი უკან მიაქვს.

— ...აჯანყება ჩავაქრეთ, მართალია, მაგრამ, გმადლობთ, — წრუპავს. — ვერ მოვახერხეთ ბოლშევიკური აგიტაციის ლიკვიდაცია...

— გვჯობნიან მაგაში! — ამოილაპარაკებს ერთი მოთათბირე, რომელსაც თითსასისქე და სიფართე ულვაში აქვს ბაგეზე დატოვებული, ღილკილიებიანი გადაშვებული ხალათი აცვია...

— რა ბრძანეთ, ბატონო ვატა? — წრუპავს აუჩქარებლად, თითქოს დროს იგებს.

— გვჯობნიან, მე ვთქვი, პრაპაგანდაში.

— მართალი ხართ, ჩაის ხომ არ მიირთმევთ!

— გმადლობთ.

სხვებს უყურებს, მოხალისეებს ვერ ხედავს.

— ცხელ ღვინოს სვამს, — ჩაილაპარაკებს ვატას მეზობელი. — გლინტვეინ! — და! — ამთქნარებს ვაჭართა გილდიის წარმომადგენელი ხონელიძე.

— მკითხეთ რამე?

— არაფერი, ბატონო ვატა! — უფრო ამთქნარებს.

— ...ასევე ვერ შევძელით... — ჩურჩული უშლის ხელს. — ყოფილი სალდათებისა და აჯანყებაში მონაწილეობამიღებული გლეხების განიარაღება... დიდძალი იარაღია, მოგეხსენებათ, გლეხობაში, ხალხში — საერთოდ. სანამდე იარაღს არ ამოვიღებთ, სიმშვიდეზე ზედმეტი იქნება ლაპარაკი... მართალია კომისარი სულაბერიძე, ჩვენ მოვისმინეთ მისი მოხსენება, ბატონი ვატა ჭიჭინაძეც მართალია...

— რასაკვირველია... — ერთი თითისსისქე და სიგანე ულვაშს იმოწმებს შუანა თითით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა ყოველთვის... ყურადღებით ვიყოთ, — წრუპავს. — სწორედ ამის გამო გაგვაკრიტიკეს მთავრობის საგანგებო სხდომაზე, მადლობაც გვითხრეს ჯანგების ჩახშობისათვის, მხარდაჭერისათვის, სინამდვილეში აქტიური და გადამწყვეტი მონაწილეობისათვის და — წრუპავს — დღევანდელი მძიმე კრიზისოვანური ვითარების გამოც გაგვკრეს კბილი, — წრუპავს, — რამდენადმე სამართლიანადაც, უნდა ვაღიაროთ, ვეყოს უნდა ვაჟკაცობა... რა გავაკეთეთ, გამოვედით ოკრიბიდან და ყაჩაღებს გადავაბარეთ იქაურობა? ნასალდათარისა და ნაცეხარის კონტროლს დავუქვემდებარეთ მაზრა?! იმსხვერპლეს ხომაშურიძე და მითაიშვილი, ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას, ძარცვა-გლეჯის მეტი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ შიში შეიქს სიყვარულსაო, ნათქვამი რომაა, შიში ხომ დათესეს, რა მოიმკეს, კი შევხედეთ, მაგრამ შიში იყო და მორიდება... — ზარის ღილაკს აჭერს თითს. — ახლა სულ აიშვეს, დღისით, მზისით დათარეშობენ გზებშარებზე, სოფელ-სოფელ დაძრწიან... — ლანგრით მოდის და კვლავ კოჭლობს ხვინგია, მარჯვნივ ურტყამს მარჯვენა ბეჭს, ცარიელი ჭიქა და ლანგარი გააქვს, ტილოგადაფარებულ სასმისს და ბარათს ტოვებს. — ახლა რა ვქნათ, მივატოვოთ მშვიდობიანი მოსახლეობა, მშრომელი ხალხი?.. — კონვერტს ხსნის. — ორ კაცს დდევედით ამდენი ხანიო, ვიღაც კითხულობდა, მე მგონი, კიტა ხონელიძე, თქვენ იყავით, არა?

თავს იქნევს ამ ყურადღებით ნასიამოვნები ხონელიძე.

— ორსაც დავდევდით და მრავალსაც... — ამრეზით გადახედავს ხონელიძეს და საუბარში ჩაერთვება ბრგე კაცი, სკამის მაღალ საზურგეზე ზურგით მჯდომი, ოდნავ უკანაც გადაქაჩული გუბერნიის მილიციის კომისარი შალოდია სულაბერიძე. — ახლა ორი, დღესდღისობით, ერთიც შეიძლება დარჩეს, ასეც ვვარაუდობთ, მაგრამ ხვალ ასი გახდეს, როგორ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება აქ, რუსეთის ჩვენდამი დამოკიდებულება, იმის მიხედვით...

— სწორი ხართ, შეიძლება არცა ხართ მთლიანად... — ადარ აცლის ჩხართოშვილი. ცხელ ჭიქას ანახევრებს, თანდათან ეწმინდება სახე და თვალები. — ჩვენ ვიცით, რომ მორჩიძეს კავშირი აქვს ბოლშევიკებთან, მათ ზოგიერთ ლიდერთანაც, ზოგიერთ ჩვენიანთანაც, ესეც გამოაშკარავდება, ყველაფრის გამხელა ჯერჯერობით ნაადრევია, მოვა ამის დროც... წითელი ჯარის ინტერვენციის იმედი აქვთ, რაც მთავარია, და არცთუ უსაფუძვლოდ... სარგებლობენ რა ეკონომიკური სიდუხჭირით, პოლიტიკური არასტაბილურობით, გლეხობას უმღვრევენ ტვინს და მოქმედებენ პრაქტიკულად, გვხოცავენ ბოლოს და ბოლოს... ჩვენ ვიღებთ გადამჭრელ და ენერგიულ ზომებს... ბრძანეთ... აქ რამდენიმე ამხანაგია კიდევ ჩაწერილი, ყველა ვერ მოასწრებს ალბათ გამოსვლას...

— ...მე უნდა მოგახსენოთ, — სულაბერიძე იწყებს, — რომ წინააღმდეგი ვიყავ, ეს იცით თქვენ, ოკრიბაში დამსჯელი კორპუსის გაგზავნისა, რა საჭირო იყო გენერლების, — მართალია, ყველა გენერალია ახლა ჩემს მეტი, — მივლინება. რა გააკეთა ვალიკო გოლიაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა, სინაზე გამობმული ძაღლივით რომ დადიოდა ზერე-ქვერე. ბატონი ვატა ჭიჭინაძე აღშფოთებულია კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებითა და ჩვენი უმოქმედობით. სწორიცაა, მაგრამ თუ იცის, რა სახსრები და რა ძალები გაგვაჩნია ყაჩაღებთან, ბანდიტებთან, ჯიბის ქურდებთან, ხაზინის მძარცველებთან საომრად? იცით? არ იცით და არც კითხულობთ, ლაპარაკობთ მარტო... მხოლოდ თქვენზე არაა ლაპარაკი, ბატონო ვატა...

— მე დამანებეთ, თუ შეიძლება, თავი!

— ვის ვდიოთ და რამდენს ვდიოთ, ვიჭერთ, უშვებენ. ვინ უშვებს. იცით, თქვენ, ვინც უშვებს, რა ძალებიც მოქმედებენ ჩვეს ზევით, ჩვენს თავზე... ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის რაზმში, ვინ ვის ფორმირებაში და სამმოშია შეყრილი, კაცი ვერ გაიგებს. ტყეში გავარდნილს მოვუვლით, ადრე თუ მალე დავაყენებთ თავის ადგილზე. მაგრამ ამდენ ლეგალურ ყაჩაღს, მკვლელს. გვარდიის ფორმაში გამოწყობილს რა ვუყოთ?! ერთი ფრონტის იარაღია მოსახლეობაში გატანილი... არ მოხერხდა იარაღის, ფეთქებადი მასალის ამოღება, დეკრეტები და რეზოლუციები საქმეს არ შველის... ყველა ერთეული ერთხელ საბედისწერო გაისვრის, ათიდან ერთი ასაფეთქებელი აფეთქდება გლახად... მიუხედავად ამისა, ვმუშაობთ, ვწვალობთ. ღამეებს ვათენებთ...

ხვინგიას მოტანილ ბარათს კითხულობს ამ ლაპარაკში ჩხართაშვილი:

ამხ. ბენია. რიონის წვერა მზადაა. დევს ხახალზე, რიონის ხეობის ნიავი აგრილებს. გელოდებით შენი ჭიჭიკო და წვერა.

— დაამთავრეთ თქვენ... — შუა ლაპარაკში ეჭრება სულაბერიძეს. — ცოტა უსიამო ამბავი მოვიდა, გარდაცვლილა წვერავა... ბოდიშს მოვიხდი გამომსვლელებთან და, თუ ისეთი განსაკუთრებული არაფერი გაქვთ სათქმელი, შევაჯამებდი დღევანდელ შინაარსიან, მე ვიტყოდი, სასარგებლო თათბირს, თქვენ განაგრძეთ, ბატონო შალოდია, ბოდიშს გიხდით...

— მე დავამთავრე ფაქტიურად...

— ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი, მოგიწევთ დარჩენა...

ხმაურია უკვე. ვინაა წვერავაო, ერთმანეთს ეკითხებიან.

— წვერავა რიონი, უკაცრავად, რიონი, მოითმინეთ, სიწყნარეს გთხოვთ... მართალია ბატონი სულაბერიძე, ნამდვილად მართალია და ეს სიმართლე ყველამ კარგად იცის, სამწუხაროდ, ლაპარაკი კიდევ საქმეს არ შველის, კარგად მოგეხსენებათ. რა ქნას, მართლაც, მარტო მილიციამ, სახალხო დაუძახეთ თუ ნებავთ და სახელმწიფო დაარქვით თუ გინდათ... მოსახლეობა მტრულად გვიყურებს უკვე. არა გვაქვს სურსათი, სათბობი, ენერგომატარებლები, ეკონომიკური პროგრამა არა აქვს მთავრობას. რა გითხრათ ამაზე მეტი, ბიუჯეტზე ზედეტია ლაპარაკი... გვახრჩობს ინფლაცია, გვაქვს ფულის ნიშნები და ფული არა გვაქვს... რა უნდა გავაკეთოთ ცარიელი ჯიბით და შიშველი ხელებით, ამდენ ქურდს, უქნარას, მოლაბეს, პარტიული ამბიციებით დაავადებულ ხალხს როგორ უნდა მოვუაროთ... მიუხედავად ამისა, უნდა ვიმოქმედოთ, სხვა გზას ვერ ვხედავ და ვერ ხედავთ თქვენც... თავისუფალი ბრძანდებით, მადლობელი ვარ მობრძანებისათვის, სამოქალაქო საქმეებს შეეთანხმებთ ფანჩულიძესთან. ეგ, როგორც გითხარით, წვერავას შეცხადებაზე. ბატონო შალოდია, თქვენ დარჩით.

მარტო არიან:

— ხომ არ წამოხვალ შენ, გაციეო მკვდარი, მკვდარი კი არა, თევზი.

— ვიცი, ვიცი, მოვალ, თუ მოვახერხე... დაბარებული მყავს რამდენიმე კაცი... ესენი მესხს უნდა შემოსვლა!

— ა, ა!.. — ხელებს ასავსავებს. — ჭიმაშორე, გაუშვი!

— მე კი გაუშვებ, მაგრამ მ[illegible] ამოკლავენ.

— რას დაწანწალებ მერე, დაჯდეს თავის ცხენისიმაგრეში...

— იქ მოკლავენ სწორედ...

— ასეა საქმე?

— იქნებ მე თვითონ მომედო წარი და დამეჭირა... კარგი ცნობები მოგვაწოდა ისე.. — მარნიელოს შალოდია. — ის მორჩიძე გაბორტყილია, განსაკუთრებით საშიშია ახლა...

— მერე, დაჭერას უპირებთ კიდევ? არავითარ შემთხვევაში, სასამართლოდან გაუშვებენ ან გაიყვანენ ძალით... ლეგენდებში და ზ[illegible]ში [illegible]ადვა. [illegible]ნადგურდეს უნდა, ჩვენი ინსტრუქციაა საჭი[illegible]?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცით, კაცო.

— გალიგვდა ის წვერა... ჩავრთოთ უნდა მთელი ოკრიბა, ყოველი მეორე კაცი დაამუშავო უნდა...

— აგერ მიზის რამდენიმე... მოვალ, მოკლედ. არ მინდა შეხსენება.

მკრთალად განთიებულ დერეფანში მიაბიჯებს. ცალბეჭმოგდებული ევგენი ხვინვია მიჰყვება. ღიპიანს გრძელი კისერი და ალესილი სახე აქვს მაინც; გადაშვებულ დიდჯიბეებიან ხალათზე ვერცხლით გაწყობილი ქამარი აქვს მობოშებული.

კაბინეტის კართან ფილიპე ბოცერიძეა ატუზული. წელში მოხრილი და ძოღიმარი ელოდება სალამს და მოკითხვას.

— რაო, რა ბრძანა შენმა მოსწრება შვილმა. — ეკითხება შალოდია კარის სახელურზე ხელგაჩერებული.

— ველაპარაკე, ცოტა აქეთ ვუთხარი, ბევრი იქით...

— კარგი, დაიცადე...

ცხვირწინ ეკეტება კარი ფილიპეს.

კაბინეტში გაშტრინკული ესები ზის. რამდენიმე მედალი ჰკიდია უსამხრეთ მუნდირზე.

— მიგატოვეთ მარტო, ბატონო ესები... პირდაპირი მავთულით გამოიძახეს პავლოვიჩი, რამდენიმე დღე არ იქნება... ასე მოხდა... — მაგიდაზე მიმოფრილი ქაღალდების გარჩევას იწყებს შალოდია სულაბერიძე. — იყოს აქო, დამელოდოს რამდენიმე დღეო, სადაა ის ქაღალდი? — ხვინგიას ეკითხება.

— მაგაჩია.

— ჰო, ის ამაშია?

— მაგაჩია...

კითხულობს. ხელს აწერს.

— ხმ, ხმ, კხმ! — დაბალ ტონალობაში ამოუშვებს ამ ბგერებს ესები.

— დარჩესო, მოკლედ, ასე ბრძანა... თუ არ დაიშლი, წადი, ჯობია, დარჩე... — ტელეფონის აპარატის ყურმილს აწოდებს ხვინგია. — ხო, კი. წვერავა... ცოტა დამაგვიანდება. სევერიანი უნდა მოსულიყო, მიქაიაძე... ისე, ისა მყავს კიდევ... ბატონი ესები...

— ხმ, ხმ, კხმ!.. — თავს არ არყევს სავარძლის საზურგეს ზურგარმიდებული.

— რა დღეა დღეს, ევგენი?

— ხუთშაბათი.

— ხუთშაბათი. — ფიქრობს შალოდია. — გაატარე ეს ქაღალდები, ამას ბეჭედი უნდა, მე მგონი, ის გათახსრებული შემოუშვი...

ესები გამოყავს ხელკავით ევგენის, შედიო, ანიშნებს ფილიპეს.

— დაჯექი! — თავს წევს შალოდია.

ხელებს იფშვნეტს წუდამესტებიანი ფილიპე ბოცერიძე კაბინეტში. — მადლობთ... — სკამს ემარჯვება.

შალოდია დგება. დიდი ფანჯრის ფარდებს ხსნის. ოთახს და სტუმარს ანათებს. — რატომ არ ჯდები?

— მე ვიჯდე და თქვენ ფეხზე იდგეთ.

— დაჯექი. ისე, ჯდომა არ გაკლიათ მამას და შვილს. ერთი შედიხართ, მეორე გამოდიხართ... ერთ ხეზე ხართ ჩამოსაკიდებელი ორივე.

— ვნახე, ბატონო მოკლედ... — არავითარ შეაბეჭდილებას არ ახდენს ეს ნუქარა. ფრთხილად ჯდება, სკამის მენახევრეს ელოდება თითქო.

— თანახმაა თუ არა! — ჯდება. მაგიდას უსვამს დიდ მკლავს, იდაყვით ასუფთავებს არენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანახმაა. — თვალებწაჭუტული ადასტურებს.

— ძალიან კარგი.

— ჩემს შვილს, ბატონო, ჩემსავით ვინ იცნობს, ცოტას იქით გაწევს, ცოტას აქეთ გამოწევს, მშობელ მამას არ დაინდობს ფულის გულისათვის:

— ეს კაი ჩვევა აქვს.

— უყვარს. ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

— მერე მე... — დგება. ჩექმების ჭრაჭუნით მოჰყვება ბოლთას. — შალოდია სულაბერიძე, სახალხო მილიციის უფროსი, რესპუბლიკის საგანგებო კომისარი უნდა გენდო შენ, ფილიპე ბოცერიძეს?

— თუ არ მენდობოდით, რაზე დამიძახეთ, მე, ბატონო, სწავლა-განათლება არ მივარგა, თვარა მიხვედრა კაი მაქვს, სიტყვის ჯაცი მქვია. ისე არაა საქმე, ანგარიში, ზოგს რომ გონია... ცოტას აქეთ, ცოტას იქეთ... ვიცით, დავალება ნათელია. რაც მთავარია, პატიოსნად ავასრულებთ.

— რა გზით და რანაირად, არ მაინტერესებს... — ისევ დადის და წელზე ხელებდაწყობილი აჭრაჭუნებს ახალ ჩექმებს. — შედეგი გაამართლებს ხერხს. ბხოლოდ... თვალი გამისწორე, თუ ეს ამბავი ადრე თუ გვიან გახმაურდა, ჩვენ ორის გარდა ხომ არ იცის ჯერ არავინ, ინფორმაციამ თუ გაჟონა შესრულებამდე, გინდაც შესრულების შემდეგ... — დიდხანს უყურებს — დაგიჭერ და დავახვრეტინებ შენს თავს საველე ფორმალობით, საომარი სიტუაციის გათვალისწინებით...

— აუ!.. — აჟრჟოლებს.

— ეგრე იქნება.

— ნუ შემაშინებ... — სახე უშეშდება. — საქმეს არ მოუხდება.

— დავალების შესრულების შემდეგ მიიღებთ ფულს რუსული ასიგნაციებით...

— და სამსახურს.

— სამსახურს აქ, მილიციაში... ნათელია?

— დღესავით. ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ, შეპირებული თანხის ნაწილი, ასე რომ ვთქვათ, წინასწარ, საქმისათვის ავანსად...

— აქ არ ვაჭრობენ. რაც დგებირდი, იმას დაჯერდი. რაც მთავარია, შენს გათახსირებულ შვილს აუხსენი, ეახიდან კი არ ვუშვებ მარტო, სახრჩობელის ყულფს ვხსნი... შეკითხვები გაქვს?

— არა. ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

— თავისუფალი ხარ!

— მადლობთ. — ხელის ჩამორთმევა უნდა დამშვიდობების ნიშნად. შალოდია თითბრის ზარს არაწკუნებს. უკან-უკან მიდის ბოცერიძე ნახევრად გამოწვდილი ხელით და დიდ კარში ეჯახება ხვინგია. გზას უთმობს. დგას და თვალს აყოლებს გაურკვეველი მზერითა და გამომეტყველებით.

ბეჭედდარტყმულ ქაღალდებს ულაგებს შალოდია სულაბერიძეს მაგიდაზე.

— დაჯექი, რა დღეა დღეს, გკითხე, არა?

— ხუთშაბათი.

— ხუთშაბათი... — იმეორებს დაფიქრებული.

— დარეკეს კიდევ წვერავაო...

— ხოო...

— სევერიანე გელოდება...

— დაჯექი, აიღე საწერ-კალამი, გიკარნახებ უცბად, ნუ მომჩერებიხარ იელის ნაჭამი თხასავით... — კალენდარში იხედება. — ხუთშაბათს, თორმეტ ქრისტეშობას, გუშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთშაბათი დღესაა...

— გავიგე. დღესაა, მართალი ხარ, მაგრამ ეს ცნობა ძველით გამოქვეყნდება... — თავიდან იწყებს. — გუშინ, ხუთშაბათს, საღამოს, რა დაწერე, ხუთშაბათ საღამოს...

— გუშინ ხუთშაბათს... — წერს ხვინგია. კალამს აწრიპინებს, იისფერ ასოებს ხატავს ჭვირნიშიან ქაღალდზე.

— ციხიდან გაიქცა...

— გუშინ საღამოს... — თავის დაწერილს კითხულობს. — დილით ჯობდა...

— რატომ დილით... რა წვერა აქვთ ამნაირი, ფხები დამხვდება, მე რომ ბიკვალ...

— ტუსაღი ციხიდან გარბის ღამე ან დილაუთენია.... საღამო ცოტა უხერხულია, შენ თუ გინდა, ნასადილევს დაწერ.

— კაი, ეგრე იყოს, დილაუთენია, მაჩვენე, რა დაწერე. კარგია. ხუთშაბათ საღამოს, დილას, როგორც გინდა, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაიქცა ავაზაკი, ავაზაკი არ ვარგა, ყაჩაღი, არც ყაჩაღი. ყაჩაღი ქართული არაა, რა ჩემი ფეხებია, აბა, დანარჩენი ქართული აქვთ ყველაფერი, გეგონება... მოკლედ, საგაზეთო ინფორმაციაა მოკლე წარსადგენი. დაწერე და მაჩვენე. მთავარია, რომ გუშინ, უფრო სწორად დღეს, ციხიდან გაიქცევა, თუ უკვე არ გაქცეულა, მეტად საჭირო, საჭირო რა შუაშია, მეტად საშიში დამნაშავე...

— გვარი, სახელი...

— მაგაზე ჩვენ ვიზრუნებთ, ადგილი დატოვე, მოსულია სვევრიანე?..

— თუ გული არ გიშვება, სულ მოგაშორებ მაგ რაიონს... — მიჩერებია სვევრიანეს...

— დედას ვუტირებ! — დიდი პირი აქვს მომუწული, მაგრამ კბილების ყრუ ტრაჭუნი გამოდის მდვიმიდან. — დედას!..

— კარგია... — თითებს აკაკუნებს... — ამ განწყობით რომ ხარ, კარგია-მეთქი... სიფრთხილეს თავი არა სტკივა. დულცე ეტ დეკორუმ ესტ პრო პატრია მორი! რაიო, რა დაგაბარეს?

— წვერაო, ახალი მოიტანეს კიდევ, ლურჯად გააქვთ ბზიალი...

— თუ არავინ გადამიდგა კიდევ წინ. აღარა ვარ აქ! — წასასვლელად ემზადება. — კიდევ ვინაა?

— აქ?

— არა, იქ! — მხარუკულმა წევს ცერს.

— ერთი უცხოა, ვერ ვიცანი, ჩვენ დაცვაში ვართ...

მეორე დღეს ბომბი ესროლეს შალოდია სულაბერიძის ეტლს და სოფელ ლაშეში შარაზე მოკლეს ესები მესხი. პირში ჰქონდა ტყვია მირტყმული, სარბიელის ფერდზე ეგდო 67 წლის კაცი, თათრის ომში ნაჭრუბარი, ოლთისის გმირი. ბოლოდე ვერ შეიგრძნო თავისუფლების იდეა, ვერ გაიგო დამოუკიდებლობის გემო. დამოუკიდებელი საქართველო ვერ წარმოედგინათ საქართველოში, მაგრამ საქართველო უკვე ეძებდა დამოუკიდებლობას. იგი მოდიოდა, რადგან ეძებდნენ ძებნილის სახით. რუსული რევოლუციური დემოკრატიის ლიდერები ჩხეიძე და წერეთელი გადაეშვნენ დამოუკიდებლობის ძიებაში, ინტერნაციონალში ჩაყურყმალებულნი იჭერდნენ ღლავს და იცოდნენ, იგი არც სხვა წყლებში იყო. ბოლობოლო დენიკინმაც კი აღიარა მოკლე თვეში საქართველოს სუვერენიტეტი. მას უკვე სამხრეთის საზღვრისაკენ მიარბენინებდნენ გაბერილი შარვლით და ყველაფერზე ხელი ჰქონდა აწეული.

ქრისტეშობისთვე შემოვიდა. წამოთოვა. პაპყმა თოვლმა გადაათეთრა ანტორია. შავით გაწყობილი კუბო გამოიტანეს ეზოში, დადეს თეთრზე. შაოსანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილებმა დაიწყეს ზუზუნი გაბმულად, მშვიდად. სამძიმარზე ამოვიდნენ სოფლებიდან ჯგუფებად თავშიშველი მამაკაცები, თმაგაშლილი ქალები. უკულმა დაურახტეს ნათხოვარი ცხენი. ბალიშებზე დაბნეულ წმინდა გიორგის ჯვრებს დაეცა თხელი ღრუბლიდან გამოჭვივული ათინათი.

მთავრობის წარმომადგენლები გამოცხადდნენ ტალახიანი კრაგებით, ჟოკე ქუდებით. აეტომობილი დაეტოვებინათ ლაშიღელეში. ტყავის ქურთუკიანი, შეცოებული მძღოლი რიგრიგობით აპიპინებინებდა ბავშვებს „პარპარიზთან“ დაშაგრებულ შავ ოყნას.

ბაქოში რუსის ჯარი დადგა. საქართველომ სამშვიდობო-სამეზობლო ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან, საკუთარი გაინადდა და რუსეთის იურისდიქცია აღიარა აზერბაიჯანზე. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა თვით აზერბაიჯანელი ხალხის ნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე. უკმაყოფილოდ მისჩერებია ფარნაოზი. თავადაც ეკარგება ჭამის ხალისი. — ...ყველა თავის ნასახლარს უბრუნდება, როცა ბინდი წვება, საქონელი ბოსელში შედის, ნადირი ბუნაგს ეძებს, ჩიტი — ბუდეს... — მუგუზლით უკიდებს შეხვეულს.

— შენები, ფარნაოზ, მარანში შესახლდნენ, ნასახლარი გასუფთავდა, ფიცარიც გადარჩენილა ცოტა... მარა ხარატონს თავის ტკივილები დაეწყო ისთვალ... გაუარს ალბათ და მიხედავს იქაურობას... ყველფერს ეშველება, თუ შშვიდობა იქნა... — დინჯად, დამჯდარი ხმით ლაპარაკობს კაცობაში შესული ახალგაზრდა მწყემსი. არაყს ასხამს ხელახლა დოქიდან.

— ბოჩიას სული გაანათლოს ღმერთმა! — ცეცხლზე აწვეთებს მიხა არაყს. — ნათელში გამყოფოს, ბოჩია, ვლახად ნუ მოგვიგონებ!

— ყველა დალუპული ამხანაგის ხსოვნა იყოს... — თვალი ცეცხლზე უშტერდება ფარნაოზს. — ბოჩიას ხსენება და არდავიწყება ჩვენგან...

თხელ ნისლში მოცორიალე წითელი ხარებია გაცრცვილი ტყის წინ.

— ბოჩიას ხსოვნა და არდავიწყება ყოფილიყოს! — გულგარეთ ამბობს მწყემსი. ცარიელ ყანწს ორკაპზე აცობს. მიდის.

შორიდან ისმის:

— მეემშიშე, მეემშიშე, მეემშიშე!..

— თოფის ზუმპა გადაუჭირეს მამაჩემს.

— სიბერემდე სიქაჩლეო...

— ჭამე, კაცო, რამე, მოეშვი ამ თუთუნს!

— ამასაა, გულს რომ ვაყოლებ!

— რაღაც გაწუხებს უსაშველო!

— დრო მიდის. მთვარე ამოდის, ჩადის, დაილევა, გაივსება, განათლდება, კიდევ და კიდევ... ხეს ფოთოლი დაცვივა, მწვანით შეიმოსება გაზაფხულზე... არაფერი არ მთავრდება. ერთი და იგივე მეორდება.

ამოლებს.

ელოდება ფარნაოზი.

— ...დრო არ ჩერდება, დრო მიდის, მიდის და მივეგებით... ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. ვიბრძეთ უკეთესისათვის. სულ ტყუილია. უარესი დადგება.

— ამაზე უარესი რაღა იქნება?

— იქნება. თუ კი იყო, იქნება. გამიგია: ჟამიანობის დროსო, სისხლის წვიმების დროსო... ესე იგი, ყოფილა. თუ კი ყოფილა, ისევ იქნება. დრო თუ ბრუნავს, იქნება, რაც იყო, ის იქნება...

ნაბდებში ეხვევიან ბოინა ფრანველებად.

— მეემშიშე... მეემშიშე... მეემშიშე...

ცივი მზე ჩადის. წითელი მიწა წითლდება უფრო.

— ხალხი სულ თესავდა, სულ ხნავდა, მღეროდა, ტიროდა... გავსწორდეთ ენდაო, გასწორებული არა ვართ. სიკეთის წინაშე ყველა სწორი ვართ... ამან არ იცის დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, მართალი და მტყუანი...

— დროს არაფერი გაჩერებს, მართალი ხარ, და ბრძოლაც არ დამთავრდება, ჩვენს შემდეგ სხვები იბრძოლებენ უკეთესი ცხოვრებისათვის, ჩვენთვის... თავისთვის იბრძეს ყველა სინამდილეში, სხვის დასაჩაგრავად იბრძვის, შიგნიდან სმაყრალის ამოსანთხევად იბრძვის, არ ვიცი, გეონია, მარა ადამიანს ვერ გააჩერებ, ადამიანი არ მოისვენებს, ამას ვხედავ...

მეემშიშე... მეემშიშე... მეემშიშე...

წითელ აბლაბუდაში გახვეული ქვეყანა მქრქალდება.

— შენ რა გაწუხებს, მიხა, ვიცი, ვგრძნობ... — არაყს ასხამს. — მე მაკრჯო-

ლებს რაღაცნაირად, ისპანკა არ იყოს. — სვამს. ელოდება. აძიძგინებს, ყანწს ერკპის ცალ წვერს აცვამს. — შენ სიწყნარის გეშინია, მიხა, სიჩუმემ დაგაფრთხო, მოუთმენლობამ ამიტანა მეც, ჰავრი აღარ მყოფნის, ასე მგონია... — დგება, ნაბადს აგდებს. — უნდა დავშორდეთ ერთმანეთს!

დუმან.

— რატომ?

— ბიჩიას საფლავს გეფიცები, შენი ყურება აღარ შემიძლია. ღარდობ. ძილში ყვირი... გულჩვილი გახდი. იმ დღეს საყდართან ჰაერში. გაისროლე, მტერი გაუშვი.

მეემშიშ... მეემშიშ... მეემშიშ...

— მიხვდი და არ მითხარი, გულში წყენა ჩაიდევი?

— ვერ დავიჯერე. ახლაც არ მჯერა. ჩვენ დავიღუპებით, მიხა. ის ტყვია ჩემთვის დაიზოგა. მეც რომ სხვისთვის მაგნაირად მესროლა, შენ მოგხვდებოდა!

— ბევრი ცოდვა მადევს, საშინელი სიზმრები არ მაყენებენ.

— იმ კაცმა, შენ რო გაუშვი, კვალზე გვდია, აწი აღარ მოგვეშვება, მეც მინდა თავის მოტყუება, მტრის დაზოგვა... დაღუპვის ნიშანია ეგ, მიხა, ჩემგან არ გესწავლება, წადი და ერთ-ერთი გადაკრჩებით!

დასასრულის ხმებია. გალობენ ძილისპირულს. ზამთრის ყვავილებით თმადაწნული დები მღერიან ზარების ხმაზე, აპრილისფერი წყლიდან ჩანან თვალგახელილნი.

— ტყეში მარტო რა გაგაჩერებს?

— რაც არი, ეგ არი, მარტო ვიქნები, შენ წადი!

— კარგი. — დგება. ნაბადს იგდებს ცალ ბეჭზე. იარაღს ისწორებს. თოფის ლაკეტს სინჯავს. — წავალ. ჩემი ვენახიც არ გატყიურდეს. ამათ დიდი ღღე აღარ უწერიათ. დამიძახე და გავჩნდები. — ტარგაბზარულ თოფს და ტყვიებს ტოვებს. — იცოდე, მარტო რჩები!

— ჩემ სიტყვას მაინც ვიტყვი!

— ამ დილით ბეჭი მითამაშებდა, ვიცოდი, საწყენი შემხვედებოდა... ჩემთვის წინათგრძნობას არასოდეს უღალატია. კარგა იყავი!

სწრაფად. მსუბუქად. უკანმოუხედავად ვდის. ბინდში, შქერში იკარგება.

ფარნაოზი ნაბადში იკუნტება. ცეცხლთან რჩება შავად.

უბედურად ვიცანით ლათაძის დუქანი.

რიონზეა გადაყუდებული სასადილოს დაბრეცილი აივანი. ყავრით დახურულ ქოხმახებს, ქვიანეთს ჩაჰყურებს. ლურჯად შეყინული გორა და საყდარი ჩანს მაღლა.

დიდ დარბაზში თუთუნის ბოლი, ყაყანი და მუსიკაა. ვეფხისტყაოსანის ზიჩისეული ილუსტრაციების ასლებითაა მოხატული კედლები, ნახევრად ღია ლუპეების სტოები, კამარები. წელში გაწყვეტილი ჭიქებით სვამენ რესპუბლიკის სადღეგრძელოს.

— ...დემოკრატია არ ნიშნავს ქაოსს!.. — ხითარიშვილია. ქალაქის გამგეობის ხმოსანი.

— მართალი ბრძანდებით სავსებით! — ვთანხმება ანაპოდისტე ხუნდაძე. — ოავაშვებული ხალხი ადმოვწნდით... რაღაა დასაფარავი, მთავრობა ვერ ფლობს შინაგან სიტუაციას; გვარდიას, პარტიული ჯარის პრინციპით რომ შეიქმნა, ვეღარ აკონტროლებს. ჟორდანიას რეგულარი ჯარის შექმნა ეშინიაო, ეს არ შეიტყერება მთლიანად სინამდვილეს, მაგრამ არც უმისობაა. მილიცია გაბრწინდა, ჯარი არაა, მე არ უნდა ვამბობდე, მარა ასეა, ბანდიტები და ავაზაკები დათარეშობენ, იარაღის ამოღება არ ხერხდება, ჩემო ბატონო... მიუხედავად ამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველაფრისა, მე ვსვამ თავისუფალი რესპუბლიკის საქართველოს სადღეგრძელოს, გადაგეელახოს ეს სიძნელეები, გაუმარჯოს დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოს!

დოლ-გარმონზე მღერის დარბაზში დანიელი. ჭერს ხდის სასადილოს გამყივანი პირველით:

უბედურად ვიცანიო ლაითაძის დუქანიო.

რაც ვიშოვნე, იქ დავკარგე, დავრჩი თავისუფალიო!..

— შეუბერე, დანიელა, შე ძველო, მწვანეყვავილას ყურბელავ, ჩამოვდგი დუქანი, აქა ვარ კაკიევიჩ! — ისვრის. ლამფა-ჭერში აჭედებს მაუზერის ტყვიებს ყბამოქცეული, შავი კაცი.

— კარგი ხარ, ყოფია, შენ დაგიდგა მწვანე კვირა!

— გაჩერდი, არ გაიგონოს.

— დამახტეს აგერ!

ღია კარიდან ეტლი, კოზლაზე მომჯდარი იავორა მეარღნე და აქელვებული, ლაშებზე დუქმორეული ცხენები ჩანან. წითელშალითთან სალონში მათრახამოღლიავებულ მეეტლეს სძინავს. წასახემსებლად შესულ მგზავრების მოლოდინში უკრავს იავორა სულ უკარის გარიგებაში ჩათრეული.

ნახევრად ბნელ მინაშენში უზარმაზარ კასრთან დგანან მამა და შვილი რაჟდენი და ფილიპე ბოცერიძეები. კასრზე მწნილი, პური, მწვანილი, მოთალი, ეკარტიანი ბოთლები და ქამრიანი ჭიქებია დალაგებული. რაჟდენი ჭიქაზე ხელგაშეშებული აყურადებს სროლას, კუნთი უკრთის ლოყაზე, ტუჩთან ახლო. მარას ბგერს იერიო, სიმჭლეეთ, ახალუხზე ყილეტმოცმული, კაფანდარა, ხიოჭი, სახეკანთლისფერდადებული.

— გაგიმარჯოს, მამაჩემო!.. — შეინძრევა, სროლა რომ ჩათავდება. — შენი გაგეთებული ვარ ფაქტიურად!

— დედაშენსაც ნუ დაივიწყებ, ბიჭო!

— დედაჩემის ხსოვნა იყოს! — პურს უწებს ჭიქაში, ყური დარბაზისაკენ აქვს, სროლა აღარაა, მაგრამ სროლის მოლოდინია. მუსიკაც არ ნელდება. დანიელა ახვევს ახალ მელოდიას:

ჭიჭინაძის ქალი მიყვარს,
ეძგვერაძის მულიო,
დანიელა ურიაო
ჩვენში რამ გაურიაო.

— დიდი ამაგი ქონდა შენზე, კაცი იმან გაგხადა! — ოხრავს ფილიპე, ღვინოში დამბალ პურს დებს კასრის ლინგზე ფრთხილად.

— გამხადა კი?.. შემასმინა რამე?!

მეორდება სიმღერა ჭიჭინაძის ქალზე და ეძგვერაძის მულზე. არღნის ხმაც შემოდის დაგუდულად. სროლა აღარ ისმის.

— ნაოელში დააყენონ დედაჩემი ღმერთმა, ხსოვნა იყოს! — სვამს, ცალ ლოყას ბერავს.

— შენც იყანმრთელე, ბიჭო, რაჟდენა, და იმრავალჟამიერე, ჩვენს წამოწყებულს გაუმარჯოს, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ და წინ წავალთ! — ღვინოს ახხამს საგანგებო ჩხრიალით, ზომაზე მაღლა აქვს ბოთლი აწეული.

— მიმიღებს ფარნაოზეი, რავა ფიქრობ?

— მიგიღებს... ცოტა ნდობასაც მოიპოვებ მანამდე... ცოტას აქეთ, ცოტას იქეთ... ამხანაგები არ იყავით?

— ვიყავით კი, ვირობიას რომ ვთამაშობდით, მას მერე ცხრა ტურამ იკივლა. ახლა მან სახელი იშოვნა სახრავის ხარჯზე. ჩემი აღარაფერი მოწონდა ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღოს. მე ვთვლიდი თუ რამედ!.. ვინ გადაახტა ქუთაისის ციხის გალავანს, მე ო მაგ?! ციხეში ფეხი არ დაუდგამს. გაჩერდი რა, შენი დედის სამარე! — ლოყაზე ირტყამს გამეტებით მუჭს.

გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ,

რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს!..

სიმღერას იწყებს ფილიპე. პირველ-მეორეს ამბობენ მაღალზე, ნემსის ყუნწში აძვრენენ ხმებს.

ორულდილა მრავალჟამიერ...

— ხუ, ხუ... ჩვენი ამინდიც დადგება, ბიჭო, რაჟდენა, საქართველოს გაუმარჯოს, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ, საქართველოსაც ეშველება!

— მეტი არაა ჩემი მტერი, ღმერთო, შენ უშველე! — ზევით აპყრობს მზერას.

სვამენ. რაჟდენი წინა კბილებით ციცქნის პურს.

— იოლია მერე ეგ საქმე, რავა ფიქრობ შენ?

— იოლი ღომის ჭამაა, შვილო.

— კაცის კვლა არ მიყვარდა მაინცადამაინც არასოდეს!

— მოკალიო, არც არავის უთქვია... უნდა დააჭერინო ანდა, ამათ ასე ურჩევნიათ, უნდა გაასაღებინო!

— ეს უარესი! — ლოყა ებერება და ეკუმშება.

— როგორც აჯობებს, ისე გააკეთე, შვილო!

— ასეა! — ყური კარისკენ აქვს. ვიღაც ისევ ისვრის. ამხნევებენ ყვირილით. — შეიშალა ქვეყანა, ეს საქმეა! — გამხმარ თითებს უკაკუნებს ცარიელ კასრს გვერდიდან.

— რას იზამ, უარესს უნდა ელოდო!

— დალიე ბოლომდე!

— აღარ ჩამატოვებინო წვეთი!

— ჩამოცალე, კაცო, ჩამოცალე, დაგავიწყდა, რა მიქენი იმ დღეს?!

— რა გიქენი? — ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს წრუპავს, მარილში ამოწებულ, თითზე სქლად დახვეულ პრასის ფოთოლს ახრამუნებს. ხელებს ასავსავებს ამის შემხედვარე რაჟდენი.

— რა იყო, ბიჭო? — ლუკმა ადგება, ახველებს.

— რაც შენ ნეხვი გაქვს ნაჭამი, — ზურგზე ურტყამს ხელს. — კბილები რაფრად შეგრჩა?

— შემრჩა. ახლა ამ მთავრობას გაუმარჯოს, კარგი მთავრობა გვყავს...

— მაგენი მანახა ნიორწყალში ჩაწყობილი ერთ დღეს...

— ხალხისთვის იღვწიან. სულაბერიძეს ჩინ-მედლები ჭირდება და ნარი ჩვენ უნდა გვაგლეჯინოს... ჩვენც ვერ ვხვდებით, ეგონოთ, რა გვენაღვლება... ნაულს მოგვცემენ...

— მიმიფურთხებია.

— შემოგირიგებენ, თუ არადა, ჩაგკლავენ ნანიკაშვილივით, მაგათთანა ვერაგ ხალხს ვერ ნახავ, არ დაიჯერო მაგი. ჩათრევას ჩაყოლა ჯობია, იცოდე. ბილიციაში ჩაგწერავენ. სანამდე უნდა იწანწალო, აბა?!. დაფასებული გახდები მასკვან, ჩვენ მტრებს მთავრობის სახელით გავუსწორდებით... ტარანი თვლითაა, წონით კი არაა, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ, ყველაფერი იქნება... მთავარია, არ აჩქარდე, ბიჭო, რაჟდენა, ხელობას სისუფთავე, საქმეს ოსტატი უყვარს!

— დამახვეე პრასის ფოთოლივით, მარა შენმა აჯობა... ერთი არ გამოვიდეს ეს საქმე და მერე მე ვიცი, ჯავრს შენზე ვიყრი, მაინც არც ერთი კბილი არ მივარგა...

— მერე ჩემი რა ბრალია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიტამინებს მაკლებდით!

დოლ-გარმონის ხმა შემოვარდება. დახლიდარი მოდის მიხრიგლულ ფიცრულში ოცობოცოდ, დანიელას გამყინავი პირველი მოაცილებს.

— სხვას ხო არაფერს ინებებთ? — ვიწრო და განიერი შუბლი, დაჭყეტილი თვალები აქვს.

— მოდი, ჯერ ერთი ჭიქა დაგვილიე, დაგვლოცე, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

— დალევით ვერ დავლევ, ფილიპე...

— რატომ? — ლოყაზე აქვს ხელი აფარებული რაჟდენს.

— საქმეა, ვმუშაობ, დალოცვით დაგლოცავთ!..

— ჩვენ უსაქმოდ ვართ?!

— მაგი არ მაკადრებია, ღმერთმა გაძლიეროთ, წაღმა გატაროთ! — ჭიქას ცლის, თავდაღმა დებს კასრზე. არ მიდის. კითხვის ნიშნით უყურებს ფილიპე.

— ვინ არიანო, ყოყიამ, ვინ იმღერაო?

— მედროგეები არიანთქვა უთხარი!

— რო რამე იყოსო...

— გადი, გაიხურე კარი, შენი! — წამოიყვირებს რაჟდენი.

უკანმოუხედავად გახრიგინდება დახლიდარი.

— შემოდი ისევ! — მიაძახებს ფილიპე.

მჭიდროდ იხურავს ზურგსუკან კარს, უკანმომბრუნებელს აღარ ჰგავს.

— შენ, ბიჭო, — შვილს მიჩერებია. — ნერვებმა ხომ არ გიმტყუნა, სიგლახის ნიშანია მაგი.

— გადი, თუ არა მიგაყოლებ შენც!

— რას მიმაყოლებ, ბიჭო, მამა ვარ შენი, სხვა თუ არაფერი... შენ გაკვეთებული ვარ სანახევროდო, თვითონ არ მითხარი... აწი და აწი მეტი სერიოზულობა დაგეჭირდება, მთავრობას ჩვენი იმედი აქვს, ხედები შენ!.. ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ და...

— ცოტა აქეთ და ცოტა იქეთ არ ვიცი მე. გახურებულ კეცს და ტილოში გამოკრულ ცხელ მარილს რომ მადებდით ლოყაზე, არ მახსოვს, გგონია... რატომ მირაქოვთან არ მიმიყვანდით!. მაწამებდით, მკლავდით, ჯანმრთელ კბილებს მაძრობდით ჭიანის მაგივრად, ამას გაპატიებთ?!

— გასუნელდი, ბიჭო, შენ?!

— ასე იყო ეს! — ამოთვირებულ თვალებს ატრიალებს.

— ხედავ, რა გაიხსენა!

— აბა, რა გეგონა. ყველას სამაგიეროს გადაგიხდით.. შენ შეიწირე დედაჩემი, არ შეგარჩენ, მის ცოდვას არ მოგაშორებ, არავის არაფერს არ ვაპატიებ, გაჩერდი რა! — მუჭით აშინებს კბილს.

ფილიპე, იწყებს:

ოგოგ, ოგოგ. რას მიყურებ,
რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
ხომ იცი, რომ შენ ჩემს გარდა
სხვა ვერავინ შეგიყვარებს...
ორუდილა, მრავალჟამიერ...
ჭიჭინაძის ქალი მიყვარს...
— დახურე კარი, შენი დედა!...
ორუდილა, მრავალჟამიერ...
ეძგვერაძის მულიაო...
— ქარი აღებს, ბიჭო...
ორუდილა.. ორუდილა მრავალჟამიერ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელა ურიაო!..

— ჩამოდი, ლხინო!.. ყიყოია, შენ დაგენავე მაინცდამაინც!..

ბუხრის ცეცხლი და ჭრაქი ანათებს გოგონიძეების პალატს. ნაღვერდალზე შემოდგმული ქვაბის მდუღარედან აბრეშუმის ძაფი ამოაქვს თითისტარით სალომეს და ცეცხლით აბზიალებულ დახაძახავი აბრეშუმით სავსე სპილენძის მრგვალ, დიდ ტაშტზე აგროვებს. დიასახლისი ლობიოს არჩევს ტაბლაზე, ხელისგულით ხვეტავს გადარჩეულს და ფიცრიდან ქოთანში ყრის ჩხრიალით. გოდორს რაგვავს კოლია. ლეჟვერზე ამართულ ტაბიკებზე აწყავს თხილის ხისგან დახდილ ტკეჩებს. ცეცხლში გალანჯული ნედლი თხილისა და ამომდუღრული აბრეშუმის სუნი დგას პალატში. ძროხა ზმუის ბოსელში. განის კარის ღრეჭოდან შემოდის ეს ხმა. ბუხრის ფრთის ფიქალში გაკვეხებულ კვარზე შემოდებული ჭრაქი ხრჩოლავს, ვეერზე გადახრილი ბოლი მიძვრება ბუხარში და საკვამურში იკარგება. ქარი აღებს კარს და ძაღლის ბეკა თავი ჩნდება ზღურბლთან სუსხში. ჭრიალით იხურება და კვლავ იღება კარი ქარში.

— ჭრუუ, ჭრუუუ!..

გოდრის ხსეტს ამოწმენს კოლია, თავისი ნახელავით ტკბება. ძაღლი ყეფს, კარსაც არ შორდება. კარი კი კვლავ ჭრიალებს, ჭრიალზე იღება, იხურება. ბაცი ილანდება შავად, ღამეს მოუძღვება, ჭრიალი, ყეფა-წკმუტუნი მოჰყვება გალიჟღულ ნაბდიანს.

— მშვიდობა აქაურობას! — ხმადაბლა ამბობს.

— მობრძანდი, ფარნაოზ! — ეპატიჟება ნირწამხდარი მასპინძელი.

სამხელზე დახვეულ აბრეშუმის წმინდა ძაფს დებს სალომე ჯორკოზე, სველ ხელებს იმშრალებს, გუდალა, მწყრომარე თვალებს არ აცილებს ჭენჭყში ამოზუნზღლულს, წვერგაუპარსავს, დაპატარავებულს. არც ავს ამბობს, არც კარგს.

— წყალთოვაა? — გარეთ იხედება გაოცებული კოლია.

— მთაში, ეტყობა, კი, წყლები მოდიდებულია...

— მომეცი ნაბადი! — ეუბნება სალომე. — ცეცხლს შეუზარი, დედა!

იარაღში ჩაჭედილი ჯდება ცეცხლთან, ნათხოვარი ღიმილით ათვალიერებს დაუპატიჟებელი სტუმრის ხილვით შეცბუნებულ დამხვდურთ. მოცელილივით აკეცება ნაბადი ბუხართან. ხმელი ხიმე შემოაქვს კოლიას. ძაღლი ვერ ბედავს შემოყოლას. წკმუტუნებს. დიდ ქვაბს ნაჭაზე, პატარას საკინძალზე კიდებს დიასახლისი. ცეცხლი იწყებს ბარბალს, ტკაცატკუცით იწვის ხმელი წაბლი და ხარდანი.

— შენი სახლი ყველაზე საიმედოდ მივიჩნიე, კოლია! — დიასახლისს მიჩერებია.

— ჩემი პატივია, ფარნაოზ! — გვარიანადაა შეფიქრიანებული კოლია.

— ახლავე ვახშამი იქნება, ბატონო! — თვალს არიდებს ანუსი.

— ვახშამი არ მინდა, გადასაგდებია ეგ ნაბადი, მოეშვი!.. — წუღიდან წყალი ეღვრება ნაცარში. — ბაღის ვაშლის არაყი იცი, შენ, კოლია, ის თუ მომარჩენს, იქნებ ძაგძაგმაც გამიაროს.

— სულ სველია, ძაფი არა აქვს მშრალი... — თავისთვის ლაპარაკობს სალომე. — უნდა გაიძროს ყოლფერი.

— ზეზეულად შევშრები, წყალ-წყალ კვალს ვერ იღებენ... როგორ არიან ჩემები, ხომ არ იცი?

— კარგად, ბავშვები კარგად არიან, ხარიტონს თავის ტკივილები შეუბრუნდა, მარა ექიმს წამალი გამოეწერა და ეთქვა, გაუარსო...

— ხომ არაფერს მიმალავ?

— არა. — ცივად ჭრის. — მოცვის ჩაის დავაყენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს ეზოში დგანან კიდევ, ვიცი... — ცახცახებს. სალომესთანაა პირისპირ. — პატარებმა რა დაშავეს, ან სხვამ, ან მე, რატომ გამაჩინე, დედაჩემო!..

თვალები უშტერდება სალომეს. ცრემლს ამოიღებს ცოტა ხნის შემდეგ. ერთი თვალის უპიდან ცხვირსახოცის ყურით. სუფრის გასაწყობად მოსულ დედას უთმობს ადგილს, დგება, ბრუნდება, თმებს არხევს, საკუთარ თავს უწყრება თითქოს კამოდის თავზე შემოდებულ სარკეში. არაყს დგამს გრაფინით კოლია. ხელს შეავლებს მისდაუნებურად ფარნაოზი, ტაბლაზე ატრიალებს დაფიქრებული. ერთი ფერი ადევს სასმელს და სასმისს. რაღაცას აყურადებს. ფხიზლდება. ასხამს. ისევ ესმის. ჩაკუთხული, არყიანი სქელი სირჩა უშეშდება ხელში.

— სიტკბო მოგცეთ, სიმწარე გაშოროთ! — მოგვიანებით ამბობს, ცახცახით სვამს.

მუხურულა ვაშლს ჭრის მოკლეპირიანი საჩილავი დანით კოლია. ძაღლი უნეფს შორეთს და სადღაც იქვე დაფხაჭურობს.

— შენი სახლი, კოლია, საიმედოდ მივიჩნიე! — ვაშლს ღეჭავს, ლუკმა ყელში არ გადადის, ისევ აყურადებს.

— აბა რა, ფარნაოზ, რაზეა ლაპარაკი! — დაღვრემილი ამბობს.

— მოცვის ჩაის ვამზადებ! — სარკეს შორდება სალომე.

— ჩაი არ მინდა, თავი წავდო უნდა სადმე!

— ზალაში, ზალაში გაუშალე, ბოშო! — ცალ წარბს წევს ზევით კოლია.

— ზევით, სულ ზევით, არის კი რამე?

ქვეშაგებს შლის ტახტზე სალომე. კედელზე ჩამოფენილ ნაირფერ ნოხზე ულვაშიანი კაცის დიდი ფოტო და ხმალ-ხანჯალია მიკიდებული.

— მე აქა ვარ! — ფარნაოზის ხმაა სხვენიდან.

— სად ასულა იმ სახინძავში, ვინ მოგდევს, ნეტავი ვიცოდე! ან ვინ მოვა ამ ყიამეთში, არაფერს გაედო!

ჩელტებზე ვაშლის ჩირია გაფენილი, ხარიხებზე ძროხის შარდში და ვაშლის ხის ქერქის ნახარშში გავლებული ოქროსფერი აბრეშუმის გამშრალი და გასაშრობი შულოებია გაკიდებული, დაძახული და დართული; სამუხელზე მსხვილი, ფირფიტებზე წმინდა აბრეშუმის ძაფია დახვეული.

— არ ჩამოხვალ?!

— არა, აქ მირჩევნია და ტახტზეც გაშალე!

— აქ რაღატომ, ცივა!.. — წახრილი დგას ტახტზე ხელებდაბჯენილი. პასუხს ელოდება.

— მუთაქა დადევი სიგრძივ და საბანი წააფარე!

— გავიყინე... — საბანს აფარებს მუთაქას.

— კარგი!

— რაა კარგი, მხედავ მაქედან? — გაოცებულია. ხმა კი აღარ ჩამოდის. — ჩიმ არაფერში გაებლანდე?

— კარგად ვარ, აქ მატყლია, ძველი საბნის ნაგლეჯებია... — ბუნაგდება, ...ალს ილაგებს თავსასთუმალთან, კანკალებს. — მერე სულ ზევით, ზევით, ზევით!

გაოცებული უგდებს ყურს საგდულიდან თავამოყოფილი.

— ფეხი ვერ დავადგი სწორად მიწაზე, ჯერ რა ვიცხოვრე, ასე უსახელოდ ნუ დამამთავრებინებ...

— გლახად ხარ? — თავზე წამოსდგომია.

— არ მომეკარო, სახადი არაფერი მქონდეს!

— მე არ მეშინია სახადის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოხვიდე! — უკან-უკან მიჩოჩავს, მატყლში და ბრელოში ეხვევა.

— მაინც უნდა მოვიდე, კვალზე აგდებულო ნაძირო! — იხდის წელზევით. საყვავე ლატანს ადებს კაცი ბეჭებს, მეტზე ვეღარ მიჩოჩავს. იკუნტება. — რა ულბელური ვიქნებოდი, რომ არ გამოჩენილიყავ!

— არ მოხვიდე! — არ უშვებს.

ჩურჩულით ლაპარაკობს პალატში ცოლ-ქმარი. კარის ჭრიალი და ქარი წეწავს მათ ხმებს.

— აბა, სად უნდა წასულიყო, მითხარი, სად უნდა წასულიყო! — თავს იმართლებს თუ სტუმრის საქციელს იწონებს. — შე ქალო!

— სიკვდილში და მოუსვლელში და წავა კიდეც მალე.

— ხმა ჩაიწყვიტე, ბალანამ არ გაიგოს, თავს ჩამოიხრჩობს, მეტი აღარავინ შემარჩინა მომწყველემა სენმა, მაგას შევჩერებივართ და ვუთრიოთ ბაწარი... ეს ბედი გვარგუნა განგებამ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე...

— ანაპოდისტე, ანაპოდისტე... — ქარს გააქვს ხმა, ზოგს შორს მიაქანებს, აქვე ატრიალებს ზოგს.

— სამი ცოლი ყავს გამოცვლილი, შვილს ვეღ რ გააჩენს... მერე ნათელ-მირონობა აღარაა?

— სიტყვიერადაა, მღვდელს ხომ არ უცხია მირონი?

— ხო შემოთვალა თანხმობა, ქალო, ღვდელსაც ჩავაწერინეთ სერაპიონთან ერთად სახელი ანაპოდისტე...

— აღარაარ, მერე, ღმერთი, ვეღარ გაიგე...

— გაჩუმდი, იქნებ არი, რას შობი მერე?

— დაღუპულები ვართ მაინც, რაღაც უნდა... ანაპოდისტ... იღონო... ახლა... თან... გაგვა... დაგვაქცევენ... კოლია...

— გაჩერდი, დედაკაცო, არ შემშალო!..

— რაღაც ახლა, ახლა, კოლია...

მუხლებზე დგას სალომე. სველ ტილოს წურავს და შუბლზე აფენს ფარნაოზს.

— შენ მახრჩობდი!

გულისპირს იკრავს, შიშველ ძუძუებს ფარავს.

— ნერვიულობ და იმის ბრალია, იმიტომ ვერ ახერხებ, სულ შიში, სულ ტყვიის მოლოდინი... მართლა იწვები, შე საცოდავო, მეგონა, იკონებდი... — ახალ ტილოს ასველებს წყლიან თასში. — მეგონა, მიშორებდი. ეს უკვე გაუშრია, გავარვარებულია! — გაოცებული სინჯავს ტილოს. ისევ ასველებს. წურავს.

— წვიმს?

— არა. მთვარემ ღრუბლებიც გადაყარა.

— გალობენ?

— რას შვრებიან?

ქარი თუ სისინებს და სტვენს კრამიტ-ყავარში.

— დაწყნარდი, გაგიარს, სიცხე გაგინელდება, ბობოლი, ბობოლი... ჭიებს ვეძახი...

— თუ მოკვდი, ტანისამოსი დაწვით, საგები დაწვით, ესენიც! — ბოღჩას ისვრის ცალი ხელით. გოგის მუჭას მინარცხებული ბოხჩიდან ცვივა პარიკები, ნიღბები, ოლარები.

— შენ რა მოგკლავს, ქარი ვერ გეწევა, რკინა ვერ გჭრის, ტყვია არ გეკარება, ბობოლი, ბობოლი, დაწყნარდი... სახადი რას გიზამს, ნუ შფოთავ, იქნებ დაგეძინოს, სიცხის და ქალის გეშინია, ბობოლი, ბობოლი, მშიშრები ხართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალცები, საერთოდ... — ჯორკოს აჩოჩებს მისდაუნებურად. არ ანებებს ფარნაოზი. ხელს უჭერს ფეხს ჯორკოსას.

— გავწევ ამ რკინებს, რა გული გამიხეთქე!

— არა, აქ!

— იყოს, ვინ გართმევს! — ხელყუმბარებს დაცქერის ამრეზით. — დალიე ბარემ, შეგრილდესო და გაიყინა, მოცვისაა! — შიშველ ბარძაყზე უსწორებს თავს, ისმევს. — ახლა ჩავალ და ცხელ ჩაის ამოგიტან.

— შენ რომელი ხარ?!

— სალომე, — უკან იხედება წასასვლელად გამზადებული, ბისონის ოლარი აქვს აფარებული აბრეშუმის შულოებში გახვეულს. — როგორ მიგატოვო, ალარ ვიცი!

— თოფი, თოფი!

— მანდ გიდევს ყველაფერი, თოფიც.

— ეკლესია...

დახატული ეკლესია და ბევრი ბაშები მოდიან თეთრად შემოსილნი, სანთლები მოაქვთ ანთებული, მღერიან, ხმა კი არ ისმის.

— ...არ წამოდგე, არ შეიძლება, ეგ დამალე, არ გავარდეს, აქაა ყველაფერი...

— გაწიე აბრეშუმი, ეკლესია ალარ ჩანს!

— აი, — განზე დგება. — ჩანს?

— გაზი გამოუშვეს, სუნთქვა ალარ შეიძლება, გაზით უნდა ამოგვახრჩონ, მოდის ქაფად, ქარი მოდენის გაზს, მკვდრები ყარან, მკვდრები...

— ფარნაოზ, მე ვარ!

მოულოდნელად:

— ეზოში ვინაა?

— ეზოში? ეზოში არავინ.

— ძაღლი რომელს უყეფს? — თვალები აქვს დახუჭული.

— ძაღლი? — აყურადებს სმენაგამახვილებული. — ჩვენი ძაღლი არ ყეფს, სადღაც შორიდან...

— შორიდან მოვიდნენ...

— გეჩვენება.

— არა. — თვალს ახელს. — რა გინდა აქ?.. შენ არ თქვი, ჩაის ამოგიტანო? ჩაის როცა კრეფენ ქალები ტყის პირას, ჩვენ, მე და მიხა, ბოჩია... ვიმალებით... ქალებს არ შეეშინდეთოქვა, ქალები არ დაფრთხენთქვა, ჩვენ ვიმალებით...

— ჩავალ მაშინ, ფარნაოზ, წეხან ბოდავდი, აწი კარგად იქნები! — ოფლიან შუბლს უსინჯავს.

— დარჩი. ახლა აქ არიან, შენი ძაღლიც აყეფდება.

— ისევ ავიწია! — ტიალოს ეძებს.

— გადი! — ხელით იშორებს. წამოდგომა უნდა.

—გული დაიყენე საგულეს, ულმორე ღამეა და ფიქრი დაგიმძიმდა, სიცხე იხევს და გაწუხებს, ბობოლი, ბობოლი... ძაღლი სულ ყეფს, ძაღლს რას უყურებ, ძაღლი ლანდებს, ჩრდილებს უყეფს...

— მთვარე ანათებს?

— ახლა დაბნელდა, ღრუბელი დაეფარა ისევ.

— ერთხელ კიდევ. ერთხელ კიდევ დამიფარე დაუძლურებულს... — მთვარეს ეკედრება. — ჯერ არ გამოხვიდე ღრუბლიდან, სულ ჩემი შემწე და მფარველი ყოფილ!..

— ვის ელაპარაკები?

— არ გამწირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოფის ღორბლს ყრის, ეტყობა, უკვე ძაღლი ეზოში. ფარნაოზი იარაღს ისხამს. თოფის საკეტს ამოწმებს. ვაზნებს ითვლის. პარბაცით დგება. საყვავე ჭოკს ეყუდება.

— მასპინძელო! — იღრიალებს ვიღაც.

— რომელი ხარ?! — ხმის კანკალით კითხულობს პალატიდან მასპინძელი.

— სტუმრები ვართ, გამოგვხედე!

— ვინაა? — ჩურჩულებს ანუსი.

— მილიციის უფროსი უნდა იყოს, სევერიან მიქაიაძე, რა უნდა მაგ სულ-ქაღლს, დავიღუპეთ, წმინდად დავიღუპეთ, დამლუპე შენ!

— კოლია გოგნიძეც, სტუმრები ვართ!

— სახადიანი ავადმყოფი მიწევს, ბატონო, რომელი ხარ, არ ვიცი, მარა ვერ მიგიღებთ, არ მიზრახოთ!

— კოლია ფეხებმონგრეულო, ეაჩაღი წევს შენს სახლში, ვიცით. უთხარი ცოცხლად ჩაგვბარდეს, სახლი ალყაშია, მაქედან აწი ჩიტი ვეღარ გადმოფრინ-დება!

— ბატონები მყავს ნასტუმრები, რატომ არ მიჯერებთ, წადი, სევერიან მი-ქაიაძე, შენს გზაზე, ჩემს ოჯახში ცოდვას ნუ დაატრიალებ!

— ცეცხლს გავხსნი და ამოგწვავთ, აქამდეც უნდა ამომეწვიო, ჩაგვბარდეს, თუ თქვენი სიკეთე უნდა, ცოტას გაცლით!

უსასრულოდ გრძელდება მოლოდინის წამები სხვენშიც.

სალომე: რანაირადაც შეგიძლია, ისე უშველე თავს!

ფარნაოზი: დაწვავენ სახლს!

სალომე (ფიქრობს): დაწვან!

სროლის ხმა დაფარავს ამ სიტყვასაც.

სროლა შეაფხიზლებს ახლად მიძინებულ, შობის მომლოდინე სოფელს.

ისვრიან. იწყებენ და მალევე ამთავრებენ. სიჩუმე ისადგურებს.

— ზევიდან ისროდა! — ჩურჩულებს მიწას გართხმული ლანდი ეზოში.

აჭრილი ღრუბლები რიალებენ გაიისფერებულ ცაზე. ღრუბელსა და ღრუ-ბელსშუა გამოჩნდება, გამოანათებს, გაქრება მთვარე. შავად გაიფრიალებს და დაეცემა სახლის ყურეში. უთავბოლოდ ესვრიან. დავარდნილსაც ცხრილავენ. შეწყდება სროლა და ლანდი გაიელვებს სახურავიდან მიწამდე, სადღაც ღობის გადაღმა, ხელეხურწალში ეხეთქება ხორციელად. ისევ ისვრიან და ჩერდებიან, აღარავინ ეპასუხებათ. ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან, წახრილად უახლოვდებიან შავ ნაბადს.

— ჩაძაღლდა გონია!

— არ ინძრევა.

— აქეთ მოიწი, სევერიან, ნუ გეშინია!

— მე მეშინია, შე ცხოველო?! — უზარმაზარი ლანდი გამოცალკევდება.

— ნაბადი ყოფილა ცარიელი.

— გითხარით მე, თავზე გადამახტა ვიღაცათქვა, მაყვლიანში გადახლიწინდა.

— გაყევით!

— აწი ვინღა დაეწევა.

— იმსიმაღლიდან ვინ გადმოხტებოდა, ამას მოელანდა!

— თვალი მოვკარი და ხმა გავიგონე და...

— ცარიელ ნაბადს ესროდით, თქვე პირუტყვებო?!

მთვარე გაანათებს მშრალ ეზოს: ნალიას, საბძელს, ქართას, ურემს, სევე-რიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიწუალებს ტყვია თითქო უმისამართოდ და ნახერხმოყრილ კაბდღვრიალებულ მანეჟზე ჩაიკეცება სევერიანი.

— მოძხვდა.

ღამეში ჩურჩულებენ.

— რას ამბობ, შე კაცო?!

— ფეხში ხარ დაჭრილი.

— მუცელში მომარტყა! — უფრო და უფრო იღვენთება.

ხელს აშველებენ, ზღართანით ეცემა მაინც ზურნის ჭკვიტანზე და ბნელღება სულ. მთვარე ემალებათ.

— სევერიანი მოკლეს, სევერიანი მოკლეს! — ყვირიან.

— რა დევივით კაცი წაქცია!

ყვითელი ნეშოთია დაფარული დახვეული გზები. შიშველ ხეებს დაუპატარავებია ფერდობ-ფერდობ შეფენილი სოფლები. ახლო მისულან ერთმანეთთან წითელკრამიტიანი ოდები. ჩერგილ-ჩერგილ დგანან აჩალული სიმინდები ბაყანებში. გადაბერებულ ხეებზე ზვინებია. ზამთრის მზეა ჩაბუდებული სიყვითლეში. ჩიტითავა ხურმა წითლად ჭიატობს ეზობოლოში მიღნობილ მაყვლიანში ჩამდგარ ხეზე. წკირებს ამტვრევს ხურმას ხეზე გასული სალომე.

— გამარჯობაყ! — გეგელა დგას ეზოგადაღმა. გაზინთული ფარაჯა აცვია, ფორმდაკარგული სამხედრო ქუდი ახურავს საბუდარ თავზე.

— ყყხ!

— შენ ხარ, გეგელა ბოთე? — შორს გადის ქალის ხმა სიწყნარეში.

— გადმოვალ ახლა ალაგეზე, — კიდევ ახიხინებს. — მარა ზევით არ ამოვიხედავ, რო იცოდე შენ!

— ზევით არა გაქვს პირი დაღებული, აბა, ახლა სად იხედები?

— ყხ, აქედან რა უჭირს, რომ ამოვალ და ხის ქვეშ დავდგები, თავს არ ავწევ მაინ, რო არ შეგრცხვეს.

— ვაი, გადაშენდი შენ! — კაბას იმოწმებს ცალი ხელით, მუხლისთავებს ატყუპებს. — არ გამიხდა ეგეც... — ჩამოსვლას აპირებს.

ხის ქვეშ დგას ფხეკზე ამობღოტიალებული და სალომეს ელოდება თავდახრილი. ჩიტითავა ხურმის რტოებით ჩამოდის, ხავსზე დატოვებულ ქოშებში უყრის შიშველ ფეხებს.

— შეგიძლია, აიხედო!

— აქა ხარ? — იკრიჭება და ზევითაც იხედება ყოველ შემთხვევისათვის.

— ოშოშოია მოგიტანე! — მრავალძარღვას ფოთლებს აწოდებს.

— რად მინდა, გეგელა, ოშოშოია?

— დაადევი კვირისტავზე, მოუხდება.

— ვის? — გუდალა თვალები უვიწროვდება.

— ფარნაოზას.

წკირებაფარებული უყურებს.

— ხარიტონს თავი უსკდება, იმას ბუერას ფოთლებს მივუტან, მარა ახალმთვარობაზე უნდა დაიკრიფოს.

— ეს?

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

— სად ვნახო მერე მე, გეგელა, ფარნაოზი? — ხურმიან და უხურმო, ხეშეშფოთლებიან რტოებს აწყობს თაიგულად.

— ნახავ. — თეთრი კბილები უელავს შავად გაბურდული თმა-წვერიდან. — რა დუდგვა იყო და სერესკელი იმ ღამეს, ცა იყო გადაყღივებული შილინგისაგან, რანაირყხ გადმოფრინდაო ყხ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოეჩვენათ, ჩვენსა არავინ ყოფილა იმ დამეს.

— ყყ, სული რანაირად დაყ ყვაო ძირო, აგერ დავტოვებ აქანე... — კუნძზე დებს მრავალძარღვას ფოთლებს.

— გეგელა! — გამომცდელად მისჩერებია ხურმის რტოებიდან ხურმისფერი, მკერდჭორფლიანი. — რავარია?

— მაგი არაა ჯერ დავარგებული, რო დაათოვს, მერეა კაი საჭმელი.

— მოგწონს თუ არა, დავარგება არ მიკითხია, ლამაზია?

— ლამაზი შენა ხარ.

— რას ბრძანებ!

— ასე ამბობს ცა და ქვეყანა.

— ამიტომ ამარიდე თვალი ქვევიდან?

— ხოყყ... — ახიხინებს, იცინის.

— რაინდი ხარ, გეგელა, მაგას ქეც დაგიფასებ!

— ადრე სხვანაირი კაბა გეცვა, რო აგიფრიალა ქარმა, ყველაფერი გამოგიჩნდა.

— რა გამომიჩნდა, შე მართლა ბოთე, შე ბოთე, რას დაბლოტიალობ მეგოლარე მოზვერივით, შე მატარებელში გაზრდილო, არგასაზრდელო! — თავში ურტყამს ხურმის ტოტებს გამეტებით.

— რუჭუ, რუჭუ ჩხრანჭი! — გარბის თავწახრილი, ზურგში ხვდება ხურმის ტოტები.

ბოსელს ადგას მაღალ ლირსზე აწყობილი საბძელი, კოროლით გადახურული, თივით, ფუჩეჩით, ბრელოთი გამოტენილი. ნაკელის სუნი ამოდის ბოსლის ურდუმიდან.

— საიდან შემოხეტა ეს სულელი? — წიგნს კითხულობს თივაში დაწოლილი, ტკეჩის არტაშანში ფეხგაკრული ფარნაოზი.

— ეს მოგართვა! — მრავალძარღვას შეკვრას უდებს ჯორკოზე.

— ძაღლის ყნოსვა აქვს მაგ ამოსაგდებს... — ფოთლებს ანაწილებს მისდაუნებურად, წაღმა-უკუღმა ალაგებს ყუნწშექცევით. — ჩემი აბოლების დრო დამდგარა..

— ფეხი არ გაგიშობს ჯერ, გზები შეკრულია, კაცი ვერ გადის და ვერ შემოდის ამ სოფელში უნებართვოდ. ყველგან გეძებენ, სადაც უნდა გეძებონ, იმის გარდა. მამა შობამდე არ ჩამოვა თბილისიდან. ანაპოდისტე ნათლიას წერილი გამოუგზავნია მაზრის უფროსთან. — თივაში უჯდება მუხლებმოშიშვლებული. გვერდზე აწევს ფარნაოზი. ადგილს უთავისუფლებს. — სად მიჩოჩავ? — ონტკოფას პარკს გამოარჩევს თივიდან მუხლებზე დამდგარი. — შუბლი მაჩვენე?

— არ გასკდება, გამხმარია. ახლა ყური მიგდე, საშიშია შენი აქ ყოფნა...

— გაჩნია ვისთვის... — მკერდი მიაქვს სახესთან და სროლის ხმაზე კრთება. ძაღლი აწყებს ყეფას ბნიდამორეული. იარაღებს მოიწევს ახლო ფარნაოზი.

— ისევ ისინი არიან, შენი მხსნელები! — გულისპირს იკრავს, მუხლებით ვაქვს თავა კედლამდე. — მობრძანებულან, დალევა უნდათ, შენი ვადამრჩენები!.. — აფრაკად დალაგებულ ნამორებში შუბლმიდებული ლაპარაკობს.

მრავალძარღვას ფოთოლს ფშხალავს ფარნაოზი აუჩქარებლად.

— და-გი-ჭერენ... — მარცვლავს სალიმე.

— ან მოძკლავენ... — მწვანეძარღვას დებს გვერდზე. — და შენ გაგათხოვებენ.

— ვერა. შენ ჩემი მახანტალია ხარ, შენ უნდა შემიწირო... შვილს დავიტოვებდი და გადავრჩებოდი, მარა არ შობი, ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა... — დგება. წასასვლელად ემზადება. კაბას ისწორებს. ადამკიბეზე ჩადგამს ფეხს, დამავალ მზით გაყვითლებულ ჩარჩოში იდღვებება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსანი გვარდიელები დგანან ღობესთან შაშხანებით. მოსართავი აქვს მობოშებული ერთ მხედარს და ძღივს იმაგრებს თავს უნაგირზე. ხიმეში თავგაყოფილი ძაღლი იკლავს თავს, დორბლი მოდის პირიდან.

— ვერავის გავაგონე და ვისროლე! — დიდულაშა უნტეროფიცერია, თუთუნისაგან ჩაჟანტული კბილები უჩანს.

— დედა სასაფლაოზე გავიდა და ვერ შეგიპატიჟებთ, გამოგებთ...

— სავხებით... — ცხენს ატოკებს. — ყურადღებით იყავით, ძაღლის იმედად ნუ დარჩებით!

— წადი, მურა, გაჩერდი, წადი!

კუდაძაგრული ტრიალებს შორიახლო, ბრუნდება, იღრინება, ხიმეს ღრეჩოდან აელვებს თეთრ კბილებს.

— ხომ არავის შეუწუხებიხართ ჩვენი წასვლის შემდეგ?

— არა, სიწყნარე იყო.

— როგორც კი რამე, კვამლია ნიშანი, იცით, ცეცხლს წაუკიდებთ თივას...

— აუცილებლად.

— კვამლი აუვა თივას... — უმიზეზოდ იცინის. — ამელამ ისევ ჩვენ ვუართ აქაურობას, ჩვენ და, რასაკვირველია, ბიჭოია მიქაძე.

— თქვენ იმედზე ვართ, გადი, ძაღლო!

უნაგირზე იჭიმება და გვერდზე უცურდება უნაგირი თვალებგადმოკაკლულ ბიჭოიას. გულისპირს უფარებს ხელისგულით ბიჭოიას გაყინულ მზერას სალოწე. თავგაშეშებული და მზერაგაშტერებული მიჰყავს ცხენს, ღობისძირა კბოდეზე ახახუნებინებს ცალ ფეხს.

ორღობეში მითოხარიკობენ ხიმე-ხიმე.

— მაგას რავა ვერ მოვიმწყვდევ, ერთხელ იქნება, უგლაოში! — იქადნება ცალ მხარეს გადაბრეცილი ბიჭოია.

— გაგიხერიტავს კიდეც შუბლს მაგის კურო, შეიძლება იქ ყავს კიდევაც დამწყვდეული, ბოსელში, იმას ვეძებ ახლა, თავი მოძულებული კი არა მაქვს!

— როცა ჩაიაძალებენ, მაშინ მივხედავ, მაშინ, მაგას თუ არ შემოვაღლიტე პერანგი... ჯერ ვერა... დაჭერილიც საშიშია, ჩამოხრჩობილს რო დევინახავ, ე, მაშინ ვეტაკები, მერე მკვდარი რა ფეხებს მომჭამს... ცხენია ეს, გამაკვეხებს ბურდეში საცაა, მე ამის გამომცემლის დედის...

— ვინც შენ მაგაზე შეგხვა, მე მართლა იმის დედის... — ბოლო სიტყვები ცუდად ისმის. — საერთოდ, ვინ მიგიღო შენ გვარდიაში.

— მეე? — გადავარდნაზეა მისული.

საბძელში აღარავინაა. გაოცებული წეწავს თივის ბულულებს სალომე. მღვდლის ანაფორა მოჰყვება ხელში. პარიკები და ნიღბები ცვივა ანაფორიდან. დაგორგლავს და თივაში შეჩურთავს ყველას. იროდიონ ევდოშვილის ლექსების წიგნს დაწვდება. ნახშირით აწერია ყდაზე — მ ო ვ ა ლ !

მოწყვნილი ფურცლავს წიგნს. სათაურებს აკვირდება ტუჩაბზუებული. გაფხალული მრავალძარღვით ჩანიშნავს გვერდს.

მშრალი ამინდები დაიჭირა კვლავ. ცივი ქარები ზუზუნებენ გაფიჩხულ ტოტებში. საკვამურებიდან ამოსული ლურჯი ბოლი ირხევა, იწვართება და წვება ყავარზე. ვახშმობა გადასულია. სერისკუდის დროა. კოპიტის კუნძები იწვის ბუხარში. ცეცხლი გუზგუზებს ბოგნიძეების პალატში. კოლია და ანაპოდისტე ხუნდაძე მაჭარს სვამენ წვრილი ჭიქებით. შემწვარი კვახი, მოხარშული კვეჟო ტარო, თხილი, წაბლი აწყვია ტაბლაზე.

— ...თავი სიზმარში მგონია, ანაპოდისტე ჩემო, უბედურება დამატყდა, სიკვდილს და აწიოკებას გადავურჩი რაღაცნაირად, დაპატიმრებას ავცდი შენი წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით, დროზე რომ თბილისში არ გადმოვვარდნილიყავი, შენი ავტორიტეტი, გამავლობა რო არ წამომყოლოდა, ციხეში დამალობდნენ უეჭველად; გაჭრა ნათელმირონობამ, შენი სიკეთით ვარ და ნათლული მინდა ვიდღეგრძელო!

— აღარაა ღმერთი და ხატიო, გჯერა შენ, კოლია, ნათელმირონობა? — გამომცდელად ეკითხება ცოლი.

— იმე!

— ვინღა უყურებს მერე მაგას!.. — ქსოვს და სმენა აქვს გამახვილებული.

— ნუ სცოდავ, ქალო!

— ჩვენ, სოციალისტები, ათეისტები, უღმერთოები თქვენებურად, არ უარვყოფთ ტრადიციებს, რელიგიის, უფრო კი რწმენის, სიტყვის და სინდისის თავისუფლებას ვქადაგებთ... გაუმარჯოს სალომეას, პატარა სალომეას, როგორ სწრაფად გავიდა დრო!

— ეს ერთიღა შემარჩინა განგებამ! — თვალები უჟუჟუნებს მაჭრისაგან შეფუცხუნებულს, ქალიშვილით გაამაყებულს.

— თბილისში უნდა წავიყვანოთ, ვასწავლოთ.

— უსწავლელი ადამიანი ცოდვაა, დრო მოდის იმნაირი, რო დეიჩაგრება, ეხვდები, მარა უამისობა ნამეტურ გამიჭირდება, ანაპოდისტე ჩემო.

— თბილისში არის დიდი მდინარე? მე წყლის მეშინია...

— საშიში სხვა რამეა უფრო, მდინარეც არი, რასაკვირველია, მტკვარი, რას კითხულობ, სალომე?

წიგნს აწოდებს.

— ირდიონ ევდოშვილი, — მარცვლავს ანაპოდისტე. — ო, ვიცნობდი, სხვათა შორის.

— მკვდარია?

— მოკვდა, კი.

—ცოცხალი პოეტებიც ხომ არიან; სირბილაძე, გვეტაძე იყვნენ ჩვენს სკოლაში...

— ჩვენებურებია, მართალი ხარ... — წიგნს უბრუნებს. ნახშირით აწერია ყდას — მ ო ვ ა ლ.

— ჩვენც უნდა გავერიდოთ აქაურობას, ანაპოდისტე ჩემო, აღარ დამედგომება, გვეშველება, ბატონო, რამე?

— უსაშველო ნუ ქნას ღმერთმა... კანონს მივიღებთ ამ დღეებში იარაღის აკრძალვის თაობაზე... ქურდებს, ავაზაკებს, ყაჩაღებს, დეზერტირებს ავლაგმავთ, თუ დაგვაცალეს. ბოლოდროინდელი მონაცემებით, შემცირდა კიდეც ავაზაკობა, როგორც პოეტი იტყოდა — გზებზე დაცემა გზირისა.

— თქვენ აგაშენებთ ღმერთი!

— ანარქიას მოვიღება ბოლო ერთხელ და სამუდამოდ. საგარეო პოლიტიკით იყო აქამდე მთავრობა დაკავებული, აწი შიგნითაც მივხედავთ ქვეყანას... ევროპამ გვიცნო, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაც მთავარია, ინფლაცია შეჩერდა, მართალია, კვერცხი, ქათმისა, რასაკვირველია, ერთი მილიონი ღირს, მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა. ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფომ, მაგალითად, გადალახა ეს ძომენტი, ეტაპი... ჩვენ უფრო სწრაფად ამოვყვინავთ, თუ დაგვაცალეს. რაც მეტია დაწოლა, მეტია ამომგდები ძალა. წყალი ავიღოთ, წყალი რაღაა, მარა მარტო წყალი გვაცხოვრებს, რომ გავყიდოთ.

— წყალი, კაცო? ნუ ლაპარაკობ! — გადარეულია კოლია.

— აბა! სხვაზე აღარაფერს ვამბობ: მარგანეცი, ნავთი, ღვინო.

— ჭადის ფქვილი, ლობიო, ჩვენ მაგას ვყიდით.

— ჭადი და ლობიო, — ყოყმანობს. — ისეთი არაფერი, ადგილობრივი მნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენელობის სტრატეგიული ერთიულებია. მარგანეცი სხვაა... საექსპორტოა შარ-
განეცი, სხვა და სხვა. ეკონომიკა უნდა აღორძინდეს. ეკონომიკა შეინახავს ჯარს.
ჯარი სიძლიერის ნიშანია. გავაფართოებთ რესპუბლიკის საზღვრებს ისტორიუ-
ლი, ძირძველი ქართული ილქების ხარჯზე. დარიალიდან, უფრო სწორად, და-
რუბანდიდან, აქაა დაახლოებით დარუბანდი. — ნაცარში ხაზავს. — დარუბანდი-
დან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ტუაფსემდე, იქით კიდევ, ეს პირველი ეტაპი იქნება
მზოლოდ. აფხაზეთის სამთავროს გავაუქმებთ, ავაღორძინებთ ტრაპიზონის სამე-
ფოს ვასალური, ჩვენდამი ლაქვემდებარებული სტატუსით, აქაა ტრაპიზონი, აქეთ
მთებია, კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხებია, აქ ქრისტიანობას განვამტკიცებთ,
ავაღორძინებთ, უფრო სწორად, და ფიცით შემოვამტკიცებთ ამგვენს, ბუფერული
ზონა რომ შეიქმნას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით. ახ-
ლა დააკვირდი, სად იქნება დიდი გარეწრის საზღვრები... — ჯოხით ხაზავს, ბუ-
ხარი აღარ უშვებს გარეწრეზე. — ამას, ამას გავცდებით...

— ბუხარს?

— ამ შემთხვევაში ბუხარს და გავალთ...

— თამარ მეფის საფლავი სადაა? — ბუხრის ფიტონზე დებს ძარღვებად
დარჩენილი ფოთლით ჩანიშნულ წიგნს.

— თამარ მეფის? — ნაცარს თავს ანებებს. — ზუსტად არაა ცნობილი. ამჟა-
რინდელი მონაცემები მწირია. მემატიანისა და ჟამთააღმწერლის ცნობით კი გე-
ლათშია დამარხული.

— არა!

— არა?

— ხვამლის კლდეშია.

— შენ რა იცი, სალომეა?

— ვხედავ. ჩამავალი მზე რომ შეენთება, ოქროს კუბო გაილანდება პირველ
მაისს; ოქროს კუბო კიდია ჯაჭვებით, მხოლოდ ხელს ვერ მოკიდეს, ხელი არ
ევლება... მე გავყვები დამავალი მზის სხივებს და თვალდახუჭული მივადგები... —
მიდის, დახატულ სხივებში შედის...

— ჰოპ!

— ჰოპ!

ნაბდებში გახვეულები შემოხტებიან.

ამ ხმაზე შეკავლებს და ახელს თვალს. ფარნაოზი და რაჟდენია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ანგარიშმიუცემლად ეპატიჟებიან დაბნეუ-
ლი მასპინძლები.

დგანან. არ იძვრიან.

— ჩვენი ოჯახის ნათელმირონია, მიწათმომწყობი კომისარიატის მოხელე,
ლეპუტატი ანაპოდისტე ხუნდაძე.

გადაიძრობენ ნაბდებს და მთიულური რამდენიმე ილეთს ჩაახვევენ ად-
გილზე.

მსუბუქად და მშრალადაა გამოწყობილი. თხელი, ღია წაბლისფერი თმა-წვე-
რი უბზიალებს, ღიმილი ახლავს. იარაღიც აღარ ეზედმეტება.

— სამი; ოთხი!..

იქვე დატრიალდებიან ალაგობრივ მკვახე დოლის ხმაზე.

შეთავაზებულ ჯორკოებზე სხდებიან.

კუთხეში აყუდებს წაქცეულ ნაბდებს კოლია. დიასახლისი ტაბლას ასუფთა-
ვებს თავწაკუზული.

— ჩემი ახალი ამხანაგია, რაჟდენ ბოცერიძე!

ბეწვიანი, ტყავის ჟილეტი აცვია ქაშმირის ხალათზე. ღვედზე მაუზერი, ჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზე საათის ოქროს ძეწკვი ჰკიდია. დგება და მოღვერილი ართმევს ყველას ხელს, ცალით იმძიმებს თითქოს სხეულს.

— რაჟდენი, რაჟდენი, რაჟდენი.

— დიდი სუფრა გაგვიშალე, ქალო, ზალაში, ზევით! — ბრძანებას არა ჰგავს მაინცადამაინც მასპინძლის ხმის ტონი.

— არაა, კოლია, საჭირო, აქაც კარგად გეახლებით, თუ რამე გაქვს; თავპატიჟსაც აღარ გავიდებთ, შორი გზა გვაქვს გამოელილი, ნაწილი არ ჩაგვსულია პირში... — ანაპოდისტეს უჟურებს.

— საიდანღაც მეცნობით... — იხსენებს ანაპოდისტე.

— ადვილი შესაძლებელია.

— სადღაც შევხვედრივართ... რა ხელობის ხალხი ბრძანდებით, თუ უკაცრავად არ ვიყო?

ღიმილით მისჩერებია და არ პასუხობს.

— ყარაულები ვართ. — აცხადებს რაჟდენი მოულოდნელად.

— რას ყარაულობთ? — რაჟდენს უბრუნდება დაბნეული.

— ხიდებს.

ღრმა პაუზის შემდეგ:

— კიდევ?

— რკინიგზებს, შარაგზებს, ისე გზებს, ცოტას აქეთ, ცოტას იქეთ...

— აჰა... — გვარიანად შეფიქრიანებულია. — პაკეტზე ხართ?

— დიახ, კი, თითქმის... — ვერ ხვდება, რას ეკითხებიან. — თქვენ თავად, ბატონო...

— ანაპოდისტე... — ეხმარება კოლია.

— ბატონო ანაპოდისტ, თბილისიდან ჩამობრძანდით?

— ასე ვთქვათ.

— პატივცემულო ანაპოდისტ, სტუმრად თუ რაიმეს წასაღებად?

— წასაღებად?.. სახელმწიფო მიწები და სავარგულები უნდა აეზომო. მიწებს ვერ წავიღებ თან...

— ნამეტანი კაი, პატივცემულო ანაპოდისტ. — ე-ს აკლებს სიტყვას ბოლოში, თვალებსაც ვერ ანერებს. სწრაფად გადააქვს მზერა სალომესაგან სხვაზე, სხვისაგან სალომეზე. ფარნაოზს ღიმილი არ შორდება. ზის, ძირს იხედება.

სწრაფად აწყობს ტაბლას დიასახლისი: ლობიოს ინჯრებს დებს ჯამებით, მწვანილს, მჟავეს, ყველს, ლორს ამატებს, კეცებიდან არეკილ ჭადებს აშორებს ნეშოს ნამეტანი თავგამოდებით.

ახალამოღებულ ღვინოს მოაცუხცუხებს კოლია მობრეცილი ფეხებით.

— ბუდრაამ, ბუდრაამ! — კრუხს მიდენის სალომე. — ბუდრაამ, ბუდრაამ, კრუხო, წადი საბუდარში!..

საჩჩხვე კრუხი ნაწყენია, იმუქრება, ფრთებს მიაფხოკიალებს. ულოგიკოდ ატრიალ ებს თავს და განის კართან მისული ბრუნდება, ტაბლისკენ მიდის.

— ბუდრაამ, ბუდრაამ!

ღვინით სავსე ჭიქას უცვლის ფარნაოზი მასპინძელს. თავისას კოლიას გადაუდგამს, კოლიასას მიიჩოჩებს თავად.

— გაიცინე კვერცხებს, კრუხო! — ხელს დასტაცებს მოულოდნელად და აკაკანებული გაჭყავს განის კარიო საბრეშუმეში.

ლობიოს ჯამში ამოუწებს მჭადის ნატეხს ფარნაოზი და კოლიას მიაწოდებს. — მიირთვით.

სხვისი ჯამის ლუკმას ღეჭავს შეცბუნებული მასპინძელი, ნელა ჩადის ყანყრატოში, რიგრიგობით იკეცება, იხურება და იღება ხორხის რგოლები. ღვინით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე ჭიქას გაუჩერებს თითის კვრით, ესეც დალიეო. სვამს უხმოდ. ელიან. რაღაც უცნობი რიტუალის მოწმე ჰგონია ანაპოდისტეს თავი. მჭადს გატეხს მოულოდნელად ფარნაოზი. რაჟდენი პირჯვარს გადაიწერს. გამალებით დაიწყებენ ჭამას; თავდახრილი ილუმებიან. არ ლაპარაკობენ.

— უკაცრავად, რა თქვით თქვენ, რას ვყარაულობთო? — ლაპარაკის ხასიათზე მოდის ანაპოდისტე.

— ხიდებს. — თითებს ისველებს ჭიქაში ჩარჩენილი ღვინით, ტუჩებს იწმენდს. — შარაგზებს, ისეგზებს, ბოგირებს, ბონდებს, ვაშლის ბაღებს, მეწლე ვაშლისას, ცოტას აქეთ, ცოტას იქეთ...

— საქართველოს სადღეგრძელოს ვსვამდი თქვენს მოსვლამდე.

— ნამეტანი კაი!

— გთხოვთ!

ფარნაოზს უყურებს რაჟდენი.

— გაუმარჯოს საქართველოს! — სვამს ფარნაოზი.

— საქართველოს გაუმარჯოს! — სვამს რაჟდენი.

მაინც უკმაყოფილოა ანაპოდისტე, რაღაც არ ძოსწონს, რაღაცას ვერ იხსენებს.

— რას ვყარაულობთო?..

— ხიდებს.

— სადაც შევხვედრივართ... — ფარნაოზის მისამართითაა.

— ალბათ.

— სალომეც მობრძანდა... — ჭიქებს ავსებს. — ჩასვი კრუხი, სალომე, საბუდარში?

— ჩავსვი კრუხი.

— აი, აქ დაბრძანდით.

მორჩილად ჯდება ანაპოდისტე ნათლიას გვერდით, ფარნაოზს უყურებს მოურიდებლად.

— დამოუკიდებელ საქართველოს, დემოკრატიული რესპუბლიკის სადღეგრძელო იყო!

— ცარიელ სიტყვებია ეგ, ჩემო ბატონო.

— რა ბრძანეთ?

— სიტყვები. — იღიმება. — საიდან მოხველით ხელისუფლებაში, ხალხის წინამძღვრობა ვინ ჩაგაბარათ?..

— ხალხმა. — არჩევნებმა! — თვალები აქვს გაოცებისაგან გაფართოებული, საუბრის ამნაირ შემოტრიალებას არ ელოდა.

— არჩევნებმა, — მაგიდაზე აკაკუნებს თითებს ნერვებისმომშველად. — შეყარეს ხალხი ცხვრებივით საარჩევნო სადგომებში, გეგელას, გეგელა სულელს მიაცემინეს ხმა... თქვენი იურისდიქცია არ ვრცელდება ნახევარ საქართველოში: აფხაზეთში, აჭარაში, ოსეთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ყარსში, ართვინში, სხვაში... სხვის რევოლუციაში ამოტივტივდით გამხმარი ნეხვივით. თანასწორობისათვის ბრძოლაში გაწყდა ხალხი და რა მიიღო სამაგიეროდ. მშრომელის, ბოვანოს დროც დადგებოდა, ეგონათ, არ დადგა. თქვენ თანასწორობის იდეას უდალატეთ. სამი წელი გასრულდება, რა გააკეთეთ? დაამშვიეთ ხალხი, ქვეყანა მაინც ჭრელი დატოვეთ... ქურდების, მფლანგველების, მძარცველების სახელმწიფო შექმენით!

— თქვენ ვის ელაპარაკებით, თუ იცით?!

— ან თქვენ?

ოჯალით, ზელებით, ჩახველებით ანიშნებენ — ცოლი და ქმარი — გაჩერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიო და ანაპოდისტეს ყურადღებას ვერ იმსახურებენ. თვალებწალულული, ოდნავ თავგადაგდებული სალომეც არ იღებს ხმას, ფარნაოზს არ აცილებს მზერას.

— ...ეროვნული გვარდია იპარავს, ართმევს, მაგათ ნამარცვს ვარიგებ მე, ტყე ინეხება...

— დასამალავი აღარ რჩება... — ერთვება რაჟდენი.

— ნადგურდება ბუნება, ზნე ეცემა. იყიდება სამართალი, კაცობა, სინდისნამუსი... რად გინდათ დამოუკიდებლობა, საქართველო თუ აღარ იქნება, მე თქვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას ვებრძვი და ვერ დავლევ ამ ჭიქას! — ცეცხლში ასხამს ღვინოს, ტკაცანს აუყენებს მუგუზლებს. ჭიქას დადებს. სალომეს ანიშნებს, ნუ მომჩერებიხარო.

— რატომ? — ნაწნავებს შეარხევს და იმავ პოზაში რჩება.

გამლილთითებიან ხელს იფარებს სახეზე, ვერ ვუძლებ შენს მზერასო, ანიშნებს ღიმლით და ტუქსვით.

სიამოვნებით შეუძახებს ღვინოს ბუხარში რაჟდენიც. ჭიქის ძროს გახედავს ალზე, დოქს დაწვდება და ხელახლა შეუვსებს ყველას.

— ვხვდები, ვინცა ხართ და მაინც არ მეშინია თქვენი, შენ შვილად შემეფერება, მესროლო იქნებ!

— ბოდიშს გიხდით.

— მიირთვით, ბატონო, მიირთვით, შესვით... — გამოცოცხლდება ანუსი. — ღიდი ხანია, აღარ ჩანდით და ცოტა დავიბენით... მიაქციე, კაცო, სტუმრებს ყურადღება, რა გჭირს შენ! — ტარაბუადასხმულ ქმარს ამხნევებს.

— გადაიღეთ, მიირთვით, ღარიბულ პურ-მარილს ნუ დამიწუნებთ, წიხლს ნუ მიკრავთ!

— ყველაფერი კარგია და საკმარისი, რავა გეკადრება! — კბილს იმოწმებს რაჟდენი.

— ჩვენი წასვლის დროც მოვიდა, დაგლოცავთ, წავალთ, თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო სტუმარო. არ უნდა ავყვეთ ჰატარაზე ერომანეთს, ცხადია, მარა დროა არეული, აჭრილი. ადამიანი კი ღვთის გაჩენილია, ღვთის სახიერი და სწორიაო, ასე გამიგია და ერთს მეორეზე ბატონობის უფლება არ მინიჭებია, კაცისაგან კაცის დაჩაგვრა არაკადნიერია... — ფეხზე დგას.

— მაკაში ვეთანხმებით.

— რატომ ჩქარობ, ფარნაოზ, ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა შენთვის, რა დროსაც უნდა მოხვიდე, გამეხარდება.

— რა გასახარელი კაცი მე ვარ, შიში და სიკვდილი თან დამყვება... შენი სიმართლით გაგიმარჯოს, კოლია, ყველა თავისი სიმართლით ატარონ გამჩენმა! — თვალებში ჩაჩერებია.

— ამინ, ამინ! — თვალს ვერ უსწორებს.

რაჟდენი ნაბადს ისხამს უხალისოდ, სალომესაკენ აპარებს ენებიან მზერას.

ფეხშეშლით გამოდის ფარნაოზი, კოჭლობს შეუმჩნეველად. ახრჩოლებული ჭრაქით შეაცილებს ჭიშკრამდე სალომე. ძაღლი მიდევთ. ფეხებზე სუნავს დროდადრო ფარნაოზს.

— ჩავიტანე წისქვილში აბგა საფქვავით, როგორც დამარიგე, იქაა ანაფორა, ნიღაბი, პარიკი, ტყვიები და ქალის კაბა.

— ქალის კაბა? — გაოცებულია.

— ხარიტონ ბიძიას წამალი გაუთავდა, ერთი გაკეთებაღა დარჩა...

— მიგვაქვს და მოაქვთ, იქ გავითენებთ.

— აუ, რა ყლმორე ღამეა! — ალაგზე გადასულა რაჟდენი, კიდევ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუშალეთ ნაბადს სიბნელე იმ ალაგას. ძაღლი ხედავს, ულრენს გაბმულად, დაბალზე.

— გადი, გადი, მურა, გადი! — აგდებს სალომე. კუდამოძუებული მიდის, ღრენა-ღრენით პრუნდება, ღობე-ღობე გადი-გამოდის, ადგილებსაც იმკვიდრებს ახლოძახლო ცალფეხაწეული.

— რა ჩაიდინე, ფარნაოზ, სწორი იყავი? — ხმადაბლა ეკითხება სალომე. არ პასუხობს.

— ერჩი ამ სახლს?.. მოგწონს შენი საქციელი?! — კიო, თავს უქნევს და თვალს არიდებს. — ძალიან?

— მოვალ ისევ.

— არ გაკოცო? — ჩურჩულზე გადადის.

— არა.

— არა? რომ ვეღარ დაბრუნდე?

— გული ცუდს არ მიგრძნობს ამჯერზე.

— სანამ უნდა იარო ღამეში?

— ღამეზე დიდი მეგობარი და მეკავშირე არ მყავს, ღამე...

— ამხანაგები?.. დედა, მამა?..

— ღამე... — მიდის. მოულოდნელად ბრუნდება ჭრაქთან. — და შენ. ერთადგრძი სინათლე შენ ხარ მხოლოდ, სხვა არავინ... არ გამატირო!

სიბნელეში ინთქმებიან. ჩქამი არ გამოდის შავი ორლობიდან.

ოდა სახლს უახლოვდება ჭრაქი, დაგრეხილი ბოლი მიყვება ირიბულად.

ორი ლანდი მილაპარაკობს უმთვარო შუაში. ძაღლები ყეფენ აქა-იქ. ძინავთ.

სილუეტებ-კონტურებად დარჩენილ ცივ ნისლში ჩაძირულ სახლებს, მშვიდობიან მესახლეებს, სოფელს ძინავს.

პირველი ლანდი — რატომ წამოვედით, რატომ წამომაგდე კერიიდან? მაინც რა გიგო ყოლია იმ ოჯახამოგდებულს!

II ლანდი — აბა, ცოტა ფრთხილად.

I ლანდი — მოყვრებია?

II ლანდი — აქ ყველა ჩემი მოყვარეა და ნათესავი, რომელ სახლშიც ჩემთან ერთად ფეხს შედგამ, პურს გატეხავ, ჭიქა ღვინოს აწევ, ჩემ სახლად დაიგულე. რას აკეთებ?

I ლანდი — ფეხში ხვინჭა ჩამიფარდა, დაგეწევი.

II ლანდი — გიცდი. წახვალ და წამოვალ. ყოველთვის ჩემს წინ იყო, ესეც დაიმახსოვრე!

I ლანდი — ეგ რატომ?

II ლანდი — ამნაირი მურდალი წესი გვაქვს... გავა დრო, სხვანაირად ვივლით. ახლა პირი რკინიგზისაკენ ქენი, ხმაზე მიხვდები, სახლს ვერ მოვადგები პირდაპირ.

მატარებლის რაკარუკი ისმის დაბუდულად სიბნელეში. უბრად მიდიან. წინ რაკდენია, როგორც ჩანს, უკან ფარნაოზი.

I ლანდი — რა გიგო ყოლია მართლა! — ნერწყვი აქვს მომდგარი.

II ლანდი — გითხარი, მე მგონი, გაგიმეორო?!

I ლანდი — არა. გასაგებია. ადრეც უნდა მივმხვდარიყავი... (მოულოდნელად) რა გინდა, ბიჭო, ფარნაოზა, ამ დამშეულ, გატყაულ სოფლებში?.. შენი სახელის კაცს აქ რა გაჩერებს?! ჩავიდეთ ქალაქში ამადამვე, ერთი ვაჭრის ბუნავი მაქვს შეგულებული, მილიონს მარტო ოქრო აქვს, დავეცეთ საახალწლოდ, აეიღოთ, კაცურად ვიცხოვროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ლანდი — მე ჯერ არავინ გამიძარცვავს, ნაძარცვი კი ბევრს დაუტოვებინე, არავისთვის არაფერი წამირთმევია იარაღის გარდა...

I ლანდი (ხმამაღლა) — მდიდარს წავართვით, ღარიბს მივცეთ!.. ცოტა იმას, ცოტა ამას, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

II ლანდი — არსენობას თავი დაანებე, შენი ადგილი ნახე, თუ შეგიძლია... ამ სოფლებში ჩემიანები სახლობს... ყველა სახლში, სადაც ჭრაქი კიანთობს, ჩემი მასპინძელი ფხიზლობს, ყველგან ლოგინი და ღალატი მელოდება!

I ლანდი (ხმადამჯდარი) — ცხოვრებაა მერე ეგ?!

II ლანდი — ეგ არი!

I ლანდი — თუ ეგ არი, ეგ იყოს... სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ, ვაჩარებ ჩემსა იასაჩამკლავენ, გაეხარდება სამარის კარსა ჭიასა... (ცმუის) უუუ!..

თოვს, თოვს, ხოშკაკლავს, დედაბერი ღორს დაკლავს.

და მოთოვა ოკრიბაში. ჩათეთრდა ორი მონასტერი. ჩაიკარგა ყვალწმიელა. ტყეში ხეებს მოუძრგვალდათ საწილო მიწები ფესვებთან. შეისუდრა სოფლები ბაღმა-გამოღმა. იისფერი კვამლი ამოვიდა ბუხრებიდან, ფიფქებში აიწვართნენ კვამლები.

დანახშირებული ოდა, ნახევრად ჩამწვარი, თავზეებჩახლეწილი პალატი დაფლულა თოვლში. ისლით, კაროლით დახურული სამზადი, მარანი, ქართა, ბოსელია გადარჩენილი.

წითლად ღებავს და ადნობს თოვლს სისხლი სიგრძეში. ღორს კლავენ და ღორის ჭყვირილი არ ისმის. დასას უსუფთავეს ჯაგარზე რაჟდენი.

ღორს ფუფქავენ, ატანტალებენ, აგვრიჭინებენ, ვერ ხედება, რა სიკეთეს უშვრებიან, სამაგიეროდ ხმას არ იღებს ყელჩაღდრული, ტუჩზე ირონიულ ღიმილდარჩენილი, ფეხებაპლაკული. ფემტემალარული კაცი დატრიალებს, თეთრ ხეზე შავი ყვავი ჯდება, დაიჩხავლებს და წამოყვება ბმები თოვლიანი სოფლისა. ვიღაც ოდას თოვლავს. თხილის ტოტებს ჭრის რაჟდენი გაუკეკლავეში.

ქვაბი კიდია ნაჭაზე. სუთჩათხრილი ღომი შუმდება. გამურული თუნგი და კარდალაა კერიის ღადართან მიდგმული. ედდა ცეცხლთანაა. სკამლოგინზე ზის ხილაბანდით თავწაკრული ხარიტონი. ღია კარიდან ხაჩეხში ნაბდისქუდთვალებამდე ჩამოწეული ფარნაოზი ჩანს.

— ...როდემდე, შვილო, ფარნაოზ, დავიქეცით, გავუბედურდით... ამ კაცის ყურება აღარ შემიძლია... ეს რა შობა-ახალწელიწადი გაგვითენდა, ფარნაოზ. რა შევცოდეთ, ვინ გავარისხეთ. დამრჩენ გოგოები უპატრონოდ და მაინც შენ მეცოდები, მესიზმრები. სად ხარ, სად ვძინავს, რას ჭამ, ვინ გივლის?.. ტყეში ნადირივით შედენილო, როდის დამიბრუნდები... ჩვენს ნასახლარზე ოუღა გაზაფხულდება!.. ძეხორციელი აღარ გვეკარება, ხატზე გადაცმულებივით გეერიდებიან... სალომე რომ არა, იმის გამზრდელმა იძლიერის, თოვლში ჩავიმარხებოდით. ეს კაცი უწამლოდ აღარ ვარგა. ხმას აღარ ოღებს. ზის და ფიქრობს, საფიქრალი და სატკივარი აღარ დაელია, ფიქრობს კი, ესეც აღარ ვიცი, ჩალას თუ დაუყრის ხანდახან საქონელს... ეყურება თუ არა რამე, ვეღარ ეგებულობს.

თოვლში მორბიან რაჟდენი და ბავშვები. დაბებკილ ტანსაცმელში და დაზლებში შეფუთნულებს წამდაუწუმ ძვრებათ დიდი ფეხსაცმელები. იცინიან. მოუხერხებლად ესვრიან თოვლის გუნდებს რაჟდენს. იცილებს, გარბის, იქცევა, იცდის, ისევ გარბის თხილის ჯოხებით. საჩეხში შესულს ოვალება უშტერდება წინდებისამარა დარჩენილი გოგონების შემხედვარეს, ცივ ორთქლს უშვებს პირიდან ცივ, მშვიდ ჰაერში.

— ხო, ხო, ხო, რა თოვლია... — ბაკუნობს. — აქედან ჩიჩილაკები გაკეთდება, თქვენი მოწონებული. ერთი ფატის, ერთი კატის, იქით ფქვილი, აქეთ ქატო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა პირიქით. ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ. ლხინი თქვენ, ჭარი მე. მზე შანავ, ლა-
მე გარეა. დღე გრძელია, ღამე ბნელია, საქმე ძნელია, ტყეში მგელია, დილა
დიდია, ჭალადიდია, არაშენდა, გადაშენდა, ვისაც ჩვენთვის გლახა უნდა, ასკა-
კუკუ არულად! — კერიას ჩამოუვლის ფეხის ფეხზე წაკვრით, საჩეხეში გაძო-
ვარდება გოგონების კისკისში, თოვლს ახაპავს ხელით, პირს ისველებს. — შა-
ქარყინულია პირდაპირ, შენ რას იტყვი, შენი სახელი? — სიპიტო, ბატონო! —
ფეშტემალზე იმშრალებს ხელებს სიპიტო.

— ბუშტი ამათ გაუბერე, ყვერები შენ დაიტოვე! — ბასრ დანას აძრობს
ღვედზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან, გოგონების გაუთავებელ კისკისზე ეღიმე-
ბა, ჯორკოზე ჯდება, თხილს ხდის, ფეხის ხმა ესმის, ცხვირის ნესტოებს აც-
მაცუნებს.

— ჩემებია! — ჩუმად ეუბნება კარის ზღურბლს მიყრდნობილი, გახარებუ-
ლი ბავშვების ყურებით გახალისებული ფარნაოზი.

— ვიწყებ თლას, ეს შენია, ეს იმისია, ანდა პირიქით, შენ რომელი გინდა...

— ეს.

— შენ?

— ეს.

— დაიმახსოვრეთ.

თოვლში მოიკვლევენ გზას სოფლელები, სვეტებიდან ჩანან სიგრძეში. შე-
მოლაგდებიან. ულამფო ჯარგვალში ედებიან ჯორკოებს. ცეცხლი ემატება კე-
რიას. იხდიან. ლაგდებიან. სხდებიან. კედელზე აკრული გოგონებიც ალარ იღე-
ბენ ხმას. ნახევარი რაჟდენი თლის თხილის ჯოხებს კარგარეთ, წელში იმარ-
თება დროდადრო, ნახევრის ნახევარი რჩება. ხნიერი გლეხი ლაპარაკობს, სო-
ხანე აქვს სველი ფეხებთან:

— ...ღმერთი ნათელმხილველია, ფარნაოზ, სხვამ თუ არა, იმან მაინც ხო
ცის, არ დაგვიკარგია ეს ოჯახი, ქე ვუწყობდით შენიანებს გარედან ცოტ-ცო-
ტას ხელს. სიკვდილის შვილები ვართ ყველანი და ამ სიკვდილის ქე გვეშინია
მაინც. შეგვაშინეს. ბევრი გვირტყეს, ბევრს დაგვპირდნენ. ახლა რაღაი ჯარი
გაიწვიეს, მიეხედავთ აქაურობას, ამ სახლსაც გავმართავთ, ასე გვაქვს გადაწყ-
ვეტილი... ცოტა მოსაკითხიც ქე მოვიტანეთ, მარა პატიების სათხოვნელად არ
მოვსულვართ...

— რა გჭირთ საპატიებელი, ეგ მე ვიკითხო!

— შენთან ვართ, ფარნაოზ, იარაღი მოგვე ოღონდ შენ, დაგვიძახე და გა-
მოგყვებით!.. — გულმოღეღილი, მკერდბალნიანი გლეხი ამბობს.

— შეგრჩა კიდევ ძალა?.. — ხელით სინჯავს. — ნალს გამართავ კიდევ?
მკლავი არ ეღუნება ურის ნარტყამი! — მკლავს და მკერდს უმოწმებს სხვების
დასანახავად.

— ჯამტეხა ჯაფამ მაინც, პატარაც ალარ მეთქმის... შენთან რა სახსენებელი
ვარ! — შექებამ შეაწუხა.

— ძველი ხარ, სიპიტოსძევ, ძველი, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო, თუმცა
შენთან რა უნდა ჯერ სიბერეს, ეს ჩემი ახალი ამხანაგია, რაჟდენ ბოცერიძე!

ჟილეტიდან ოქროს ძეწკვამოგდებული დადის მოუმთავრებელი ჩიჩილაკიი
და ხელს ირთმევს ყველას:

— რაჟდენი. რაჟდენი. რაჟდენი... — გოგონებსაც ჩამოართმევს წელში წახ-
რილი, — ეს შენია, ეს ამისი, ოღონდ ცოტა ხანი დამაცადეთ! — ჯდება და ელვის-
სიხწრაფით აბურბუშალებს.

შალმოხვეული სალომე მორბის გაკვალულში. სამზადისის ღია კარის არე-
ში იზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარიტონ ბიძია, რავა ხარ? — გარედანვე იწყებს, ფეხების ბაკუნით. — გამარჯვებათ თქვენი!.. — ცოტა შეცბუნებულია, ამდენ ხალხს არ ელოდა, როგორც ჩანს.

— მოდი, დედა?... ამოუღამდა ამ საცოდავს თვალები.

— ვზა იყო ჩამოქცეული ოდელიძეებში... — პალტოს და შალს კიდებს კაკოზე. — გაგიკეთო ნემსი, ხარიტონ ბიძია?

თავს უქნევს თვალში სინათლეჩამდგარი, ფეხებსაც ათამაშებს უნიათოდ სკამლოგინქვეშ.

— წყალი ხომ გაქვთ დადგმული... — თუნგს სინჯავს. — დუღდა?

— კი, დედა.

ერთმანეთზე მიდგმულ ტაბლებზე შლ•ან პურ-მარ•ლს. ერთმანეთს ეპატიჟებიან ჯორკოების ხრიგინით.

— მობრძანდით, დაბრძანდით, შენ რაღას ელოდები, დედა, სამხიოც არ ჩაგიდევს პირში.

— ველოდები, დავჯდები.

— აგერ, ფარნაოზ! — სუფრის თავში უთავისუფლებენ ად•ილს.

ხარიტონის შიშველ მკლავს ხილავს ნემსგამზადებული სალომე, ვენას ეძებს, წვალობს.

— სულ დაიკარგა, რაღა ვქნა, აღარ ვიცი, მომუჭე ხელი, ხარიტონ ბიძია, ცოტა მაგრად, ე მასე!..

ჩიჩილაკებს ანებებს თავს რაჟდენი, ენით ბერავს ლოყას, კბილს იმოწმებს და სალომეს აკვირდება.

— ბაწარი აგდია აგერ, თხის ნაბამი, გადავუჭიროთ! — თოკს ამარყუჟებს, ცალფად კვანძავს, დგება, მორჩილად გამოწვდილ იდაყვზე უჭერს ხარიტონს.

— აბა, სინჯე, ქალიშვილო!

გულისპირი ეხსნება ჩახრილ-ჩანემსგულისყურებულს. შინდისფრად დაწინწკლულ მკერდს არდებს თვალს, თავი გვერდზე აქვს შებრუნებული რაჟდენს. ნელა შეჰყავს სახეშეწუხებულ სალომეს ვენაში ნემსი და წამალი.

— ხომ არ გტკივა, ხარიტონ ბიძია? არა, ხომ? მორჩა კიდეც... — არ•ეიან ბამბას უსვამს ნანემსარზე გულდაგულ.

თოვლში მოხრაშუნობს ვიღაც მძიმედ. დანა უჩერდება თხილში რაჟდენს, ოვალებწაჭუტული აყურადებს. გერონტი რობაქიძე ბუქნაობს და იცილებს თოვლს საჩეხში.

— ვინაა?

— კეჟო! — თავს აღარ აწევს, ნედლ ბურბუშელაში შ•ერგ•ვს ცხვირს.

— გაგიჭირდა მოგნება? — ეკითხება ფარნაოზი.

— მხარი კი მეცვალა ერთ ალაგას, ჩაუჩუმქრავს გზა თოვლს, ღელეც დამშრალი მომეჩვენა, მოველი, მოკლედ, მშვიდობით, კაი გამარჯობა თქვენი, მოგილოცავთ შობას, ახალ წელს, ყოლიფერ სიკეთეს, რანაირად დაუნახშირებიათ აქაურობა, დედა; დედა... არაფერია, ჩვენ ვიყოთ კარგად, ხარიტონ ჩემო, და დანარჩენს ეშველება! — ყაბალახს და ჯუბას იხდის, არაბუნებრივად დიდ ხელის მტევნებს იფშვნეტს, დროდადრო აპარებს თვალს რაჟდენისაკენ, თავაუღებლად რომ საქმიანობს. ადგილს უთავისუფლებენ ცეცხლის მხარეს, ეპატიჟებიან. — ხელცარიელი მოვედი ამ ბაღნებთან — ეს ვეღარ გავითვალისწინე, ხარიტონს ქე მოვუტანე სამყოფი... — მიკიდებული ჯუბის ჯიბიდან მორფიუმის ამპულების კოლოფებს იღებს, გამირზე ალაგებს. — ამათ რა მივცე, მოგიკვდეთ ჩემი თავი, — თავზე ხელს უსვამს ბავშვებს. — ამათ... — ტყვიებს აჩხარუნებს ბალიფეს ჯიბეში. — ეს! — მუჭად უყრის პეშვებში დანაღვლიანებულ ბავშვებს. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლში არ ჩაყაროთ. ეს კი წამოვიღე ბლომად, აბგაში მაქვს. ცოტა ადრე მივალ, ვიფიქრე, სროლაში გაჯიბრებას მოვასწრებთქვა, ოც ნაბიჯში დავდებდი პაპიროსის კოლოფს, მარა დაჯდომილხართ უკვე, ხო ხარ კარგად, ხარიტონ ჩემო! — ჯდება. იცინის, ბოლოკს არჩევს ბოლოკებში.

— ვარ, კი! — მოგვიანებით იტყვის თვალებბრჭყვიალებული ხარიტონი, გამირბე შემოდებულ წამალს უკურებს.

ჩიჩილაკებს ლანდავს სინათლეში რაჟდენი.

— დაუძახეთ ახლა იმ კაცს!

— ახლავე, ახლავე, არ მინდა დაძახება!.. ეს კატოს, ეს ფატის ან პირიქით, ეს ფატის, ეს კატოს, ეს მე, ეს იმას! — ხან ერთს მალავს ზურგსუკან, ხან მეორეს. წაიცეკვებს და სკივრზე შემოდებს ორივეს, ჩაახუჭუჭებს იმ კუთხეს.

— და. — იცინობს გერონტი და ბოლოკს გაატარებს ყბაში ხრაშუნით.

— რით გავწყოთ, ბატონო? — კითხულობს და.

— არ უნდა გაწყობა, გოზინაყი დაადევი ზემოდან, არ უნდა მეტი არაფერი, შეხ, ფატი...

— არა, კატო...

— პირიქით მეგონა... ფატი, კატო, გაიზარდეთ, თქვენ მოესწარით მრავალ ბედნიერ და კაი ახალ წელს!.. — საშობაოს იწყებს. მღერიან. ტონს აძლევს და მიჰყვება გოგონებს რაჟდენი წკრიალ-წკრიალში. გასუსულნი და გაოცებულნი უსმენენ.

— თქვენ რა გქვიათ, ვაჟკაცურად! — ყველაზე ხნიერ გლეხს ეკითხება გერონტი, ბოლოკის ჭამას რომ მორჩება.

— მიხაკო, ჩემო ბატონო. — წამოდგომას აპირებს.

— იჯექი, არაა საჭირო, ბატონოც არ გინდა, აღარაა ბატონები, ვინც დარჩა, ჩვენ გადავაშენებთ... მიხაკო ჩემო, რამდენი კბილი გაკლია?

— სადღა მაქვს კბილები!.. — ქირქილებს.

— იმიტომაა, რომ ღონდნი, შეგატყვე, ჯაჯუ კისორელს ხორცის საკეპი მანქანა აქვს, ჩაადებს ხორცს, გაატარებს, გაცომავს, შეწვავს... ჭამას რაღა უნდა მერე და ქეც ჭამს კისორელი რბილ კატლეტებს, შენ, ჩემო მიხაკო, კი ძგელიმავ შამფურზე შემწვარ ცვრიან მწვადს, ქე ვიყურებ აგერ... იმასა აქვს ხორცის საკეპი მანქანა და შენ არა გაქვს...

— მართალია... — ჭამის ხალისი ეკარგება მიხაკოს.

— ...ესაა უთანასწორობა, მეტი კი არაფერი... ჩვენ, ბოლშევიკები ვამბობთ: კისორელს წაართვთ და მიეცით მიხაკოს. ეს არაა ლიტონი სიტყვები, ამას გავაკეთებთ, წავართმევთ კისორელს და მოგცემთ შენ, ყვავს არ ჰქონდაო და ბუს გაჰქონდაო, მარა მაგალითისათვის ვლაპარაკობ...

— მერე მაგ იგივე არ გამოვა, ბატონო? — სხვა გლეხი ერთვება ლაპარაკში.

— რანაირად გამოვა იგივე?

— ის გაღარიბდება და მე გავმდიდრდები, იმას აღარ ექნება, მე მექნება...

— არა, სწორად ვერ გამიგეთ: ჩვენ ვართმევთ მჩაგვრელს და ვაძლევთ ჩაგრულს...

— მერე იმან რა ქნას? — ინტერესდება მჭედელიც, კარგად რომ ვერ გაერკვა ამ დავაში.

— ვინ იმან? — დინჯად ახველებს, ყელს ისუფთავებს.

— ასე რომ ვთქვათ, კისორელმა?

— მოიპოვოს თავისი შრომით.

— ეგ სწორია.

— ნამდვილად სწორია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ხომ არაა ეს კატლეტის მანქანა, წავიდეს, მეორე იყიდოს...

— დავჯდეთ მერე და ვჭამოთ ეს კატლეტები!

— დაიწყე შენ! — ახალგაზრდა გლეხს ეუბნება ფარნაოზი. — არ მინდა ეს ცარიელი ლაპარაკი, რაჟდენი ვეტყვის პირველს, ჩვენც აქა ვართ.

გლეხი, ჯორკოუკანგაჩოჩებული რომ ზის მორიდებულად, ახველებს, კიდევ უფრო იხევს და დაგუდული ხავერდოვანი ტემბრით იწყებს მრავალჟამიერს. რაჟდენი მიჰყვება, მაღლა და მაღლა მიდიან. ჩაშავებულ თავხეებში ადის, ჩათეთრებულ, ჩაობინულ მიდამოს ეფინება მრავალ ჟამი ეერ!..

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — აღტაცებულია მჭედელი რაჟდენით.

— აბა, რავარი ძველებური გაიხსენა! — ეხმიანება უკბილო გლეხი, კატლეტებს რომ დაპირდა გერონტი რობაქიძე.

— ღორი როგორ დაკლა, არ გინახიათ.

— ჩიჩილაკები დაუთლია...

— და ეს არი სულ! — ძველებურად იღიმება გვარიანად შეხურებული ფარნაოზი.

— თქვენ კიდევ არ იცით, ვინ არი ეს! კარგად დააკვირდით და დაიმახსოვრეთ: ეს კაცი მომკლავს მე!

გამაოგნებელ სიჩუმეს რაჟდენის ისტერიული სიცილი შეყლაპავს, აჰყვებიან. სიცილ-ხარხარია.

— იცინეთ თქვენ, იცინეთ! — ცრემლებს იწმენდს სიცილისაგან მოისებული ფარნაოზი, — იცინეთ! — თვალებგაშტერებულ სალომეზე შეუჩერდება მზერა. ამოჩემებულ სიმღერას იწყებს რაჟდენი:

> ვოგოვ, ვოგოვ, რას მიყურებ,
> რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
> ხომ იცი, რომ შენ ჩემს მეტი
> სხვა არავინ შეგიყვარებს...

ფარნაოზი და რაჟდენი ახვევენ ამჯერზე.

— ...ორუდილა, მრავალ, მრავალ-ჟამიერ...

— ჩემს დას მივუძღვენი! — სალომესაკენ გაიხედავს, ყურადღების შეჩერებას საჭიროდ არ ჩათვლის.

— გმადლობთ. — ნაწნავებს აწვალებს ფეხზე დარჩენილი.

სადღეგრძელოებისა და ლაპარაკის ჟამი დგება.

— ...პაპაროსის ცარიელი კოლოფიც წამოვიღე, სავსეც, მოწიეთ, აგერაა, ესეც გაცლილა, — ახალს იღებს ჯიბიდან. — რაღად მინდოდა ეს ცარიელი... დაჯდებ, ვიფიქრე, ოც ნაბიჯში, მთვარიანშიც შეიძლება, მარა მთვარეც აღარა ჩანს, მგონი, დაღამდა?.. დავდებ, ვიფიქრე, დილით გავეჯიბროთ, ფარნაოზ...

ღიმილით უგდებს ყურს, არ პასუხობს.

— ვის უნდა გაეჯიბრო შენ? — კბილს ისინჯავს ლოყიდან თითით რაჟდენი. — შენ რო ერთს ისვრი, ეს ათს გაარტყამს, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

— შენ რა იცი, მე რამდენს გავარტყამ ამის ერთ გარტყმაში?! — რაჟდენს უყურებს. პირველად უსწორებენ მზერას ერთმანეთს.

— გიცნობ.

— გინახავს ჩემი სროლა?

— კი. რა სროლა გაქვს ამნაირი!.. მოსახვევიდან რომ უმიზნებ კაცს ორ მეტრში ნახევარი საათი, ამას ეძახი სროლას?.. უკანიდან...

— შენ, რაჟდენ, ხომ იცი, ვინა ხარ, ბაზრის ქურდი. — მაუზერზე იფათურებს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ვინა ხარ?! — მაუზერს ეთამაშება მალულად, დაძაბულია, არ იმჩნევს.

— მე პროლეტარიატის ინტერესებს ვემსახურები. შენთან პურიც არ უნდა გამეტეხა!

— მე შენი პროლეტარიატის, ჰირი ქვისკენ მიქნია, — ქალებისაკენ იხედება. — დედა ვატირე, შენთან მჯდომიარეს ცეხეში შესასვლელი პირი აღარ დამრჩა, გამოდი, ერთი, გარეთ!

— აბა, აბა!.. სად გგონიათ თავი! — შუაში ჩასადგომად ემზადება ფარნაოზი. — მომეცით იარაღი!

— მშრომელი ხალხის სახელით გამოგიტან განაჩენს, შენი!..

— დაადე იარაღი! — კატასავით ხტება ადგილიდან რაჟდენი.

ერთმანეთისაკენ მიიწევენ, სუფრებს და პურისმჭამელებს ედებიან. ერთმანეთს ეძებენ და ლეწავენ იქაურობას, ტაბლას აბრუნებენ, ხარიტონს გადააგდებენ ტახტიდან.

ცეცხლში ისვრის ფარნაოზი. ჩინჩხვარი გადის გარე. წითელი პწკიალია თოვლზე. კვამლი ბრუნავს, ერთმანეთს ველარ ხედავენ. ახველებენ. ტირიან. გოგონებს აწყნარებს, ეფერება სალომე. დედა იხვეწება, შვილებოო, იძახის. აყირავებულ ხარატონს ქაჩავს ერთი. სტუმრები წასვლას აპირებენ, მიიძურწებიან. ჭრაქი შემოდის და ნათდება.

— ფეხი არ მოიცვალოს არავინ, აანთეთ ლამპაც!.. სადაც იჯექით, იქ დაჯექით! — ყვირის ფარნაოზი, — ვისაც დალევა არ შეუძლია, დაანებოს თავი სმას, დაალაგეთ იარაღები. დედა, ჩაიბარე!

მორჩილად აწყობენ. ტაბლებს ასწორებენ. ძირს გადაყრილ პურ-მარილს ეძებენ. ფეხებაშვერილ, ტახტსა და კედელსშუა ჩაჭედილ ხარიტონს აძრობენ. ქორქილებს ხარატონი, რითაა გახარებული, ვინ გაიგებს.

— ბაღნებო, შეწყვიტეთ ტირილი, სტირალი არაფერია, საახალწლო შილინგი იყო, ხომ უნდა გაიგოს მტერ-მოყვარემ ჩვენი აქ ყოფნა, როგორც დაიწყეთ, ისე გააგრძელეთ, სიპიტოსძეე, შეყევი, როგორც მიყობოდი, მე ამ ქალიშვილს გავაცილებ, მალე გეახლებიო!

აღარა თოვს. მთვარიანში მიდიან.

— შეგეშინდა?

— იმ ღამის შემდეგ თუ რამე გადამრევდა, რავა ვიფიქრებდი, რომ მიატოვე, არ დაწყვიტონ ერთმანეთი?!

— არა. პირიქით, უნდა გაეცალო ამ დროს. მარტო რომ დამეტოვებინა, ერთი ერთზე, ძმები გახდებოდნენ.

ვოგოვ, ვოგოვ, რას მიყურებ!.. — სიმღერის ხმა გამოვა სინათლიდან.

რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
ხომ იცი, რომ სხვა ჩემს მეტი
შენ არავინ შეგიყვარებს...

— ...ფარნაოზ, არ ძომწონს მე ის კაცი!.. — ჭიშკარგადაღმა არიან.

— რომელი?

— ის, რომელმაც უნდა მოგკლას, არც მეორე...

ვოგოვ, ვოგოვ, რას მიყურებ,
რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს...

— ის კარგი კაცი ჩანდა...

— მიხა? — ფიქრობს. — მიხამ თავს უშველა... — იხსენებს. — და. მიხას თავისუფლება ოჯახია. გვიან გაახსენდა. ოჯახი სახელმწიფოა სახელმწიფოში. არეულ ქვეყანაში ოჯახი არ დალაგდება. დაულაგებელში კი ადამიანი თავისუფლებას ვერ ეღირსება. რა არის თავისუფლება? მეგონა, ვიცოდი. თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება სიკეთეა, სიყვარულია ალბათ. დანარჩენი თამაშია. მე თამაშში ვარ, ამ წრიდან ვეღარ გავალ!

ძგლივ თოვლში დგანან, ფეხი ღრმად აღარ ჯდება.

— მერე ასე როგორ უნდა იცხოვრო?

— ესაა ჩემი ცხოვრება. ჩემი ვარსკვლავი ანათებს, არ ბჟუტავს, სამაგიეროდ, უცბად ჩაქრება...

— რა ნახე ჯერ, რა მოასწარი?

— ბევრი ვერაფერი, მარა უკან მოხედვის მეშინია მაინც. ჩემმა სიმართლემ ხან წაღმა მატარა, ხან უკუღმა. სიტყვა არ გამიტეხია, არ მიღალატია. ღარიბი და საწყალი, ხათრიანი და მორიდებული მეცოდებოდა... ამან არ იკმარა. ახლა აღარ ვიცი, სად მომეკითხება და როდის. იმ ქვეყნად?!. როცა ყველა ერთად დავიყრით თავს?!

— ღმერთი ყველაფერს გაპატიებს.

— ან მაპატიებს, ან არა...

— მე უშენოდ არ ვიცოცხლებ... — ზერეგამძგლიებული თოვლი უტყდება. მკლავზე ეჭიდება ფარნაოზს. ელექტრონის მთვარისკენ იხედება ზევით შეწუხებული. — ყინავს უკვე, ამდენი კი არ შემიძლია, კიდევ?

ზევიდან:

ერთიც, კარგი იყო!

კუბოკრულ შალში იფუთნება:

— ფარნაოზ...

— მოწამეთას ეკლესიაში დაგელოდები.

— როდის?

— როცა შემოგითვლი. როგორცა ხარ, ისე წამოდი, ხელში არაფერი დაიჭირო!

— საკერავი მანქანა არ წამოვიღო?

— არა. თუ მანამდე მომკლეს, ვითომ არ ვყოფილვარ. წადი. არ გვინდა ტირალი. უკან არ მოიხედო. გხედავ.

მიდის. უკან არ იხედება. სიმღერა მიჰყვება შორიდან.

გოგო, გოგო, რას მიყურებ...

ყინავს მთვარიანში. წასულან სტუმრები, აულაგებელ ტაბლებზე ჯამებია ახორხლილი. ძინავს დედას სოხანეში გაჩენილ შვილებთან, უფროსი შვილის დარდჩაყოლილს სიზმარი არ ასვენებს. კერიასთან დარჩენილი ხარიტონი მუგუზლებს ისვრის ღია კარიდან.

— გადი, გადი, მაძახურა!

ლაფაროში მაკეცილ, კუდქვეშ თავშერგულ ძაღლს გაზმორება ეზარება, იღრინება მასპინძლის ხათრით, ცალი თვალით ხედავს გადაყინულზე აპწკიალებულ ნაპერწკლებს.

— გადი, შე ოხერო, მარჩხიბო, გადი, ქაჯო, მაძახურავ!

— რა იყო, ხარიტონ?! — ძილს ვერ ართმევს თავს ანა.

— ტრაკს მაჩვენებს კუდიანი, ბღალავი, შუშანა, შენი!.. — მუგუზალს ისვრის — მარჩხიბი, შუშანა!

— ბაღანა ხომ არ მობრუნებულა? — დედა კითხულობს ძილქუშში.

— გადი, გადი, მაძახურა, ქაჯო, შუშანა!

დადაღული უკანალი აქვს მოშვერილი გარედან მთვარესავით.

— უხ, შენი! — მთვარეს ემუქრება.

— ბეჭედი მოგცა? — შუშანაა ნაცარში კერიასთან.

— მომცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი ანთია ჯარგვალში. გაჭვარტლული აჯინჯალი ეშვება თავზეზან. ჭვარტლშია ულამფო ლარტყები. კვამლი ადის ჭვარტლში.

თავსაფრის ნასკვს ხსნის და ოქროს ბეჭედს აელვებს ნაკვერჩხლებზე სალომე.

— მომეცი. — სპილენძის თასში აგდებს.

გამხდარი, ჯორკოზე (მჯდარიც მაღალი, ეშხიანი შუშანა.

სპილენძის ფსკერზე იყურება ბეჭედი ფარფატით, თასში წყალი იშლება რგოლებად. გიშრისტარიანი დანით თლის ნახშირს, ბეჭდიან თასში ყრის ტუჩების ცმაცუნით.

— ...შენ მიყვარდი, სალომეა, მე. თვალს არ გაშორებდი, როცა გეზრდებოდა მკერდი, გემატებოდა სითეთრე და სიწითლე, ყვავილივით ამოხველი ბალახში. მაღლაკელიძის გერი რომ გამოგეკიდა, ცხენიდან გადმოვაგდე, მივაჩერდი და გადმოვარდა. გველს ვაჩერებ თხილის ჯოხით, მარა ჯოხი რა შუაშია, თვალია ყველაფერი. მივაჩერდი, ვაი, შენ გადმოვარდებოდე, დეესობოდე თავით მიწაშითქვა. ეებორკა ფეხები ნახშირგორელი კაცისაგან ნათხოვარ ცხენს და გაადინა ზღართანი მაღლაკელიძემ...

— შენ გადმოაგდე, შუშანა ბიცოლა?

— მე.

— ის საცოდავი...

— საცოდავი იყო, გადაფელვას გიპირებდა გახელებული...

— საცოდავი იყო მაშინაც.

— დეიხი ცოტა უკან, ხურხარ ისედაც და ალმა შეგიტკიცა ბარძაყები. გადმოვაგდე შენი გულისათვის, ახლაც სისხლს ანთხევს, ჭლექი არ ეხსნება. აქანე კი შავად იმზირება ბეჭედი, იშლება სიშავე და მაინც კუბო ამოდის, გაწყდი, ჯაქრი! — შავტარიან დანას უღერებს... — შავი არ გშორდება, რა ვქნა!

— რა უნდა ვქნა, მაინც წავალ მოწამეთაში, მარტოსულო შუშანა!.. — ოხრავს და შუშანაო, იმეორებს ვიღაც.

— შუშანა...

— შუშანაო?

— გარედანაა, რომელი ხარ, შემოდი!.. ვინ მოვიდა, ნეტაი, ამ ყიამეთში?

ბარჩხალიაა, მაზარაში გახვეული, ქუდჩამოფხატული. გულზე აკრული საქაღალდით.

ბუქი მოჰყვება, ფიფქების კორიანტელი ჩანს კარს იქით.

— მოდი, ბიჭო, გათბი!

— ეს მოგიტანე. — სალომეს მისჩერებია.

— რა მოიტანე, ბარჩხალია?

— რო მითხარი... — საქაღალდეს აძლევს, თავად ვერ ხსნის დამზრალი, გაიისფერებული ხელებით.

მაზარას ხდის შუშანა, კერიასთან სვამს.

— ქუდიც მომე.

— წმინდა ნინოა, ამოვჭერი. — სალომესაკენ აქვს თავი შებრუნებული. წმინდა ნინოს ბეჭდურ სურათს დასჩერებია სალომე.

— ეს რაა, ბარჩხალია?

— მაგი მე დავხატე, დამხრჩვალი დებია.

უკუღმა ეჭირა თურმე, შეაბრუნებს და წამოიკივლებს:

— გული ამიფართქალდა!.. — გულისცემას აყურადებს.

ცისფერი წყლიდან ჩანან გახელილი თვალებით გულაღმა ამოტრიალებული დები, ცისფერბაბთიანი ჩალის ქუდები მიაქვს წყალს.

— მაჩვენე, გოგო, რაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ:

— შუშანა ბიცოლა, გინდა, გაჩუქებ ნაწნავებს?

— რას მაჩუქებ?

— ნაწნავებს. — ორი ჭელი ნაწნავი უჭირავს მუჭით ყაჭვით. — იქ რა წესები აქვთ, აბა, მე რა ვიცი, თუ მეტყვიან შეიჭერიო, შევიჭრი და ხომ არ გადავაგდებ... ჯვარს ვიწერ, ბარჩხალია... გეწყინა?

— არა, გამეხარდა.

— აბა, ეს სიხარულის ბრჭყვიალია... — თვალებში უძვრება.

— ეს ჭირხლია, სალომე, გალღვა ცეცხლთან.

— წაქს დაგალევინებთ, ისე არ გაგიშვებთ.

— წაქი არ მინდა, შუშანა... ეს რო მაჩუქე, ბარჩხალია, მე რა გისახსოვრო?..

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო, წმინდა გიორგის საყდარი რატომ გატეხეო.

შეფიფქულია ბზა მოწამეთაში. ხავსი ჭიატობს რილოში. თეთრ-მწვანეშია მოწამეთა-ჭახათას შეფენა. იცის ასე ადრიანმა გაზაფხულმა, ხელმეორედ როცა გადაათოვს გაღიებულ ბუნებას. კვირტების ტყეს, კლდეზე გაგებულ ხავსს, ქვის ხვიფლს ეფინება კიდევ ფიფქები და ნათდება არე გადახრილი მზის სიმქრქალეში.

— შიგ ვერ შემოვალ, მამაო ამბროზიო...

ბერთა სენაკებია წარაფის ზურგზე აქეთ-იქით ჩარიგებული. წინ საყდარია ღია კარით. საკმეველი მოყვება თბილ ჰაერს, წყალწითელას ხეობაში იპნევა.

— მამა ამბროზიო, მიცნობ მე?

— გიცნობ.

ცალწარბაწეული მისჩერებია ნაბდისქუდიანი, ნაბადში გახვეული; იქნებ სხვა ეგონივარო, კიდევ არ სჯერა!

— ფარნაოზი ხარ, მორჩიძე, ამ მხარეში ყველა გიცნობს.

კიდევ ფიქრობს ამ აღმოჩენის შემდეგაც. მოთმინებით ელოდება თეთრწვერა, თავშიშველი ახალგაზრდა ამბროზიო მამაო.

— ჯვარი უნდა დავიწერო.

ახლა ამბროზიო ფიქრობს.

— რომ არა გწამს?

ფიქრობს.

— სხვისთვის მწამს, კანონიერად მინდა აღსრულდეს...

— მხევალი?

— თანახმაა.

— ვინაა?

— თანახმაა.

ერთმანეთს უყურებენ.

— როდის მოხვალთ?

— გათენებამდე. აქ არავინ არ უნდა დაგვიხვდეს.

— შეიძლება.

— რა დღე ჯობს, მამაო?

ასე ამბობს: მამა-ო, მა-მა-ო.

— დღესასწაულები, უქმეები ჯობია.

— დღეები?

— სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათ-კვირა.

— მოვალთ გათენებამდე...

უცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამშაბათს, ხუთშაბათს ან შაბათ-კვირას...

— ...კვირა-უქმე-დღესასწაულიც შეიძლება.

ელოდება.

— ხვალ, ზეგ, მაზეგ, ცოტა ადრე, ცოტა გვიან...

ფიქრობენ.

— ვთქვათ, არ მწამს?

— ხომ გინდა, რომ გწამდეს, საკმარისია.

— ჩემთვისაც ღიაა?

— ყველასთვის...

რატომ იღიმება. მამაოს რატომ ამბობს სხვანაირად. ხომ არ დაგვცინის? .რა.

— ...ქრისტე მონანეთა ღმერთია. ჩვენგან წასული ჩვენთან მოვა ხელმეორედ, მონანეთათვის მოვა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად...

— მე ბევრი ცოდვა მადევს, ბევრი მომაწერეს, თუმცა ბევრიც დამაკლეს, ჩემი მყოფნის მაინც...

— ...რამეთუ არა მოაელინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაითა დასაჯოს სოფელი, არამედ რაითა აცხოვნოს სოფელი მის მიერ...

— ყველას ყველაფერი ეპატიება, მამაო ამბროზიო?

— მონანეთ. ესრეთ იყო სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმა შეინანოს, ვიდრეცა არა ოთხმეოც და ათცხრამეტოა მათ მართალთა, რომელთა არა უხამს სინანული...

— ეგ კი არ მესმის, მამაო ამბროზიო.

დიდი ყვავი ჯდება ნანგრევებში ამოშოლტილ ხის კენწეროზე, ფრთებს ისწორებს, არაფრის გამო ჩხავის.

— ყვა, ყვა, ყვა...

თვალწაწუტული უყურებს ყვავს. ნაბალს იხსნის, ბეჭზე თავდაღმა დაკიდებულ ლულაგადაჭრილ შაშხანას ისწორებს, ღვედზე ასხმული ბომბები, ყაწმეებით მხარიღლიეზჩამოპორწიალებული მაუზრები, გადაჯვარედინებული, ტყვიებიანი სამასრე მოუჩანს.

არღნის ხმა შემოდის საიდანღაც.

— ყვა, ყვა, ყვა!..

— დახრჩობა! — თავისი ანგარიში აქვს მღვდელს, ეტყობა, ყვავთან.

— ...ცაში უფრო დიდი სიხარულით მიიღებენ ერთ მონანეე ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს...

— მამა ზოსიმე ესროდა ყვავებს?

— ესროდაო კი. ჭამდაო. მტერი ჩავარდა ხალხის ყბაში. არ ჭამდა. მტრედებს კი კლავდა წაწილებივით. ამას მეც შევესწარი. მტრედი სამსხვერპლოა და შეიძლება. ყვავებს არა, არც ვჭამთ, არც ვესვრით.

ღულმოსული ყვავი, არ ვესვრითო და, მძიმედ ჩაფრინავს ხეობაში, ნაცრისფერ ტნეებზე ალიკლიკებს ჩრდილს. ხის კენწერო ქანაობს უყვავოდ.

— სამჯერ დაგვეცენ მარტო ამ წელს, დავით და კონსტანტინეს ძელები დაგვიტოვეს მარტო...

— ერთხელ ჩემი სახელით გაძარცვეს აქაურობა. შენ არ გეცოდინება, ახალი ხარ. ჭორფელაძეები აღმოჩნდნენ. იმათ კი ვადინე ცხვირიდან შამარა, მარა ქვეყანას ვერ მოვუარე...

— ქვეყანა დიდია...

— ჩემთვის ნამეტანი უკიდეგანო... მამაო, აღარ გაიმეორო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, ბატონო?

— რაც მე ორჯერ ჩამომირეკე: ერთ მონანიე ცოდვილს უფრო დიდი სიხარულით მიიღებენო. არ უნდა გამეგო. არცოუ ისე გლახად ყოფილა ჩემი საქმე. და რა ქნას ოთხმოცდაცხრამეტმა მართალმა, მოსანანიებელი, რომ გონია, არაფერი მაქვსო. ქვეყანა, მამაო ამბროზიო, ეს თუ გაისიგრძეგანეს, მონანიე ცოდვილებით გაიტენება. თუ გაიგეს, იქაც არ დავისაჯებიო, შურისმაძიებლები დაიბადებიან. მონანიე ცოდვილებით გამაგრდება დედამიწა, იგი ისედაც სავსეა მათით... ვინ ისვრის, მამაო ამბროზიო?

— არადა იშხნელი ქეიფობს, გუშინ შვილიშვილი განათლა, გააქრისტიანა. არღნით, სროლით, შეძახილებით მოდიან მისიონერები ხვივაშში.

— არა აქვს საქეიფოდ საქმე, მე შენ გეტყვი: ცოლიდასთან ცხოვრობს სიდედრის ნებართვით, ბიჭი დაჭერილი ყავს, რძალი მალიციას გაუდვია...

— ცოდვილია ადამიანი, ცოდვილი.

— გათენებამდე გველოდე, მამაო ამბროზიო. — ტყეში შეუხვევს და გაქრება, ხვინჭა ჩაჩხრიალდება სულ ახლო, ფლატეს ჩასცდება წარაფის იმ მხარეს.

გენერალმა მაზნიაშვილმა მთავარსარდლის ბრძანებით საჯარისო შენაერთი პოზიციებიდან მოხსნა და ფონიჭალით შემოვიდა თბილისში. დამტკიცებული ბრძანების მიხედვით მიაპირდაპირა ნავთლუღს — დროებითი დისლოკაციის ალაგს. ნავთლუღშივე შემოგვესმაო, თავადვე აღნიშნა, საშინელი აფეთქების ხმაო. აყიარავეს სოღანლუღის ძველი და მკვიდრად ნაგები სარკინიგზო ხიდი, რომელიც მტერს, შემდეგ გამოირკვა, არ ჭირდებოდა. რუსი თბილისში კოჯრის გზითა და კახეთის გზატკეცილით შემოდიოდა, სოღანლული კი არ ახსოვდა. კარგად გამოძინებული ქართველთა ლაშქარი მზის ჩასვლამდე მიადგა ფარეხს — რკინიგზის სადგურს, სადაც ბევრი და ლამაზი ავტომობილი იყო გაჩერებული. ვაგზალზე, ბაქანზე რუზრუზებდნენ მგზავრები. მთავრობაც გასაქცევად იყო გამზადებული და საგანგებო მატარებლის გაწყობას ელოდა. გადიოდნენ და გადიოდნენ ერთი მიმართულებით ჩვეულებრივი მატარებლები ხალხით, ჩემოდნებით, ნახევრად საკურორტო-საბაკურიანო განწყობილებით. სადგურში ვნახეო, მოიგონა გენერალმა, პოეტები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და მწერალი ლევან მეტრეველიო. ლ. მეტრეველმა (ამნაირი მწერალი დღეს აღარავის ახსოვს) დატოვა მოგონება იმ დღისა და ტიციანი არ ახსენა. ტიციანმა თავადვე ვერა გაიხსენა რა, რადგან იმ დროს ტფილისში არ ყოფილა და, ცხადია, ვაგზალში ვერ შეხვდებოდა გენერალს; რომელსაც ბედკრული დღე პოეტურად, ეს კარგია, პოეტებით დაამახსოვრდა.

თეთრად გაწყობილ რბილ ვაგონში მატარებლის აძვრამდე შემოიტანეს ჩაი კვნიტი შაქრით და ცივი ღვეზელები. ნელთბილიაო, არ დაიწუნა მთავრობის ერთმა წევრმა, თუმცაღაო, დასძინა, მცხეთაში გაცილებით უკეთესს აცხობენო, საწინააღმდეგო მოსაზრება არავის გამოუთქვამს, თუმცა ჩურჩულიც ისმოდა. ნიე ჟორდანიამ ჩამოკიდა კიდოზე პალტო, რომლის ორივე კალთა დაწვდა იატაკს, ამას ყურადღება მიაქცია, თუმც აკეცვა ან გადაადგილება არ უცდია. იყო ვაგონში სითბო, სითეთრე, სისუფთავეც. მეხურული კარის კარბის ქვედა ნახვრეტებიდან ელექტრონის ყვითელი შუქი მოძვრებოდა და მას დაეძინა. გაიღვიძა, როგორც თავად განაცხადა, აღსტოფაში. დაწერა შემდეგ რუსულად, ითარგმნა რამდენიმე ენაზე (ქართულადაც), დაისტამბა მრავალგზის და დარჩა. აუტეხეს ერთი ამბავი: მთავრობის ხელმძღვანელმა და უმაღლესმა ერისთავმა აღსტოფა არ იცოდა სად იყო და საქართველოს ვით გადაარჩენდაო. იცოდა, როგორ არ იცოდა, მაგრამ ამ შეცდომის გასწორება თავად არ უცდია, სხვას თავი არ შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხებია, ქართველების მეტი მაინც ვერავინ მიხვდებაო, შეიძლება, ესეც კი იფიქრა და სწორედ ქართველებმა შეაჩვენეს ამისათვის. რა უნდა, მართლაც, მცხეთის იქით აღსტაფას? არაფრა, ეს იყო ლაფსუსი, წმინდა ფსიქოლოგიური შეცდომა, რომლის ანალიზი დიდ დროს არ წაიღებდა, აუცილებელი რომ ყოფილიყო. ესე იგი, დაიძინა, გაიარა მცხეთა და გაეღვიძა აღსტაფაში. მოვეშვით ახლა ამ აღსტაფას! ეტყობა, ძეგვში გაეღვიძა ან კასპში, მაგრამ თბილისის დამკარგავი მცხეთამდე რამ დაეძინა, შე კაი კაცო!

მეორე დღეს ჩავიდნენ ქუთაისში და თავზარი დასცეს ქალაქის მამებს უეცარი გამოცხადებით და ფანტასტიკური გადაწყვეტილებით: ქუთაისს გამოვაცხადებთ სატახტო ქალაქად და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს გავმართავთ გორი-ხაშური-ჩუმათელეთის ღერძზეო. ქუთაისლებს გადდაქალაქება ვერ მოენელებინათ, როცა ისინი აღყარნენ და გადაბანაკდნენ სამტრედიაში, სადაც ბოლშევიკთა არაოფიციალურ წარმომადგენლებთან გამართეს დახურული სხდომა. იგი სამტრედიის შეთანხმებად დაფიქსირდა, მაგრამ ისტორიას არ შემორჩა. თბილისში კი, ლენინის საკანგებო დავალებით, ჩამოსული იყო აბელ ენუქიძე. იგა შეაყოვნეს თბილისშივე და გამოამგზავრეს საგანგებო დანიშნულების მატარებლის კურიერის ვაგონი, მდივნით და საყვარლით. ენუქიძე რუსეთის მთავრობის სახელით ჟორდანიას საქართველოში დარჩენას და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობას შესთავაზებდა უსაფრთხოების გარანტიით, ზავზეც თუ რაღაც ამდაგვარზეც მოაწერინებდა ხელს, უეჭველია, მაგრამ იგი ჟორდანიას კი არა, გაქცეულ ჯარს ვერ მიეწია. ჯარი გზაში დაშალა, მთავრობა ბათუმიდან ევროპაში გაცურდა.

მოვა ვარდი, მოვა ია, მოვა ნიე ჟორდანია...

იგი აღარ მოვიდა. წასვლისასაც არ ჰგავდა მომბრუნებელს. სხვაზე უკეთესად გრძნობდა სიტუაციას, რეალურად აფასებდა მოვლენებს, ყველაფერს არ ამხელდა, მაგრამ ერთადერთი თუ არა, იყო ერთერთთაგანი, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის არ სჯეროდა. იგი მართავდა დროებით მთავრობას კი არა, მის კაბინეტს რომ შეარქვეს, არამედ დროებით დამოუკიდებელ საქართველოს.

სამთავრობო რეზიდენციის გასაიდუმლოებული დაცვის უფროსმა, დაცარიელებული შენობა რომ დაინახა, იყვირა:

 დულცე ეტ დეკორუმ ესტ პრო პატრია მორრი!

გუბერნიის კომისრის ჩხართიშვილის კაბინეტში თაობირია ისევ. დაორთქლილი ჭიქა უდევს წინ და ცხელ ჩაის სვამს, იქნებ სხვა რამეს. გლინტვეინ!

ბოლით, სამხედრო და სამოქალაქო პირებითაა გავსებული კაბინეტი. დაძაბული სიტუაციაა, ერთი შეხედვით მიხვდება გარედან მაყურებელიც კი, ჩხართიშვილი ინარჩუნებს გარეგნულ სიმშვიდეს; ცდილობს და ახერხებს.

— როგორც მოგახსენეთ, — ჩაის ყლუპ-ყლუპავს. — თბილისი დატოვებულია სტრატეგიული მოსაზრებით. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, დასასრულს, მაგრამ რეალური ვითარება კრიტიკულია, როგორც ხედავთ. რესპუბლიკის ჯარები — ყლუპავს. — აკონტროლებენ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, ემზადებიან რა გადამწყვეტი კონტრდარტყმისათვის — ყლუპავს. — ამაზე მთავარსარდლობის შტაბის წარმომადგენელი მოგახსენებთ. მე კი წინასწარ... — წრუპ-წრუპ. — შემიძლია გითხრათ: გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართება... — ხვრეპას თავს ანებებს. დგება. ჩექმების ჭრაჭაჭრუჭით უახლოვდება კედლის რუკას, ჯოხით ხაზავს საქართველოს უღელტეხილებს. — აქ! ჩვენ ზურგის, უკაცრავად, ზურგით ვდგავართ, იმედის გარანტიას ვიძლევით, თუკი საფრონტო ქალაქად არ გადავიქცევით, რასაკვირველია, როგორც წუხელის ითქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ რაღაცას მალავთ კიდევ! — ადგილიდან იძახის ვატა ჭიჭინაძე.

— ჩვენ აღარაფერი გვაქვს დასამალავი და დასაფარავი, რესპუბლიკის მთავრობა მოგიწოდებთ საბრძოლო მზადყოფნისათვის. ქუთაისის ოლქის ჯარების თავმოყრის სავარაუდო ადგილია სადგური ყვირილა, მაშველი კორპუსის დაკომპლექტება მოხდება შიგ ქალაქში...

— სად არის ამჟამად მთავრობა, მთავრობის ხელმძღვანელი? — არ ისვენებს ჭიჭინაძე.

— მთავრობამ იცის თვითონ... — ჯოხს დებს. ჯდება. — ასეთი ვითარებაა დღესდღეისობით, სიტუაციები იცვლება, ყველაფერი გეცოდინებათ...

რწევით შემოდის ხვინგია, ტილოგადაფარებული ახალი ჭიქა მოაქვს, ძველს ტილოშივე ახვევს და მიაქვს.

— ...აფხაზეთიდან და ფოთიდან გამოწვეული გენერლების ართმელიძისა და სუმბათაშვილის შენაერთები ხვალ შემოვლენ რიონის სადგურში. რამიშვილის ინფორმაციით — ახალ ჩაის უსინჯავს გემოს. — დღე-დღეზე მივიღებთ რეალურ... — მაგიდას დაჩერებია, თითქო კითხულობს. — დახმარებას საზღვარგარეთიდან. მდგომარეობა ქალაქში ამჟამად სტაბილურია, ახლომახლო რაიონებშიც ვინარჩუნებთ სიმშვიდეს. მთავარია, — ყლუპავს. — არ ავირიოთ, არავითარი პანიკა და დეზორგანიზაციის არავითარი მცდელობა არ იქნება. თბილისის დაცემაზე ლაპარაკი არაა, მოსახლეობას არ ჯერა და არცაა საჭირო... — აჩქარებულად. — უნდა მივადუმოთ პროპაგანდისტული კერები, მოქალაქეებმა, აქტივისტებს ევალებათ წამოწყება, თავადვე უნდა გააძევონ მასობრივი შეკრების ადგილებიდან ეჭვმიტანილი პირები, რომლებიც არეულობისა და დესტაბილიზაციისათვის იღვწიან. პასუხისმგებლობა ამ საქმეში ეკისრება კომისარ კვინიხიძეს, მილიციის კომისარ შალოდია სულაბერიძეს, არჩილის ძეს...

— ჩვენი მოხალისე აგენტების საშუალებით დადგენილია მსხვილი ბანდის მეთაურის ადგილსამყოფელი. გასაგები მიზეზის გამო, — დარბაზს ათვალიერებს. — კონკრეტულ ვერაფერს მოგახსენებთ. ჩვენ კი ყველა ღონეს ვიხმართ და დილისათვის ეს ბანდაც ლიკვიდირებული იქნება.

— პირველად არ გვესმის ეგ სიტყვები თქვენგან და ბოლო არ აღმოჩნდეს... დაძრწიან ყაჩაღები ჩვენს გარშემო, როგორც იტყვიან, ვოკრუგ ი ოკოლო და როდის ჩაგვცემენ მახვილს ზურგიდან, კაცმა არ იცის... თქვენ გადმოგეცათ რუსული ფული და ამიტომ ამოძრავდით აგენტურით, ასეც უნდა ყოფილიყო, იმოქმედეთ ენერგიულად!

— შეიძლება დაგტოვოთ!

— მიბრძანდით.

დერეფანში ელოდებიან მამაო ამბროზიო, ანაპოდისტე ხუნდაძე და კოლია გოგნიძე.

— შენი აქ გამოჩენა არც იყო საჭირო, — ეუბნება ანაპოდისტე კოლიას.

— რა ვიცი, ბატონო, მე თქვენს სიტყვას მივყვებ-მივყვები! — თვალებს აცეცებს თაღოვან კამერებში მოხვედრილი. — სალამი, მამაო.

— გამარჯვება არ მოგშლოდეთ! — კრიალოსანი უჭირავს.

შალოდია სულაბერიძე მიდის ნალების რაწკარუწკით. მიყვებიან, ძლივს უბამენ ფეხს. კაბინეტის კარს აღებს, დიდი კლიტით, გვერდზე მიმდგარ სტუმრებს აკვირდება.

— ერთხელ გადაატრიალე, ვეუბნები იმ იდიოტს, მამაო, გაკრეჭას დაგაჯერებენ და ციოლას გადარჩები ბოლშევიკების შემოსვლაზე, ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ. ილოცე, მამაო, ჩვენთვის, ჩემთვის, ყველა შემოხვევისათვის... — ანაპოდისტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოარჩევს თვალდათვალ. — ვისაც არ უნდა, სავალდებულოც არაა. — კარს აღებს. — მობრძანდით, ხელს ხომ არ შეუშლით ერთმანეთს?

არ იციან. ყოყმანობენ.

— ...კი არ უნდა მოვდიოდეთ, მივდიოდეთ...

არ ესმით.

— გემი რომ ,იძირება, ვირთხები გემბანზე არბიან...

— რა მოხდა, არჩილოვინ, წუხელის...

— ყველა ვირთხა კი არ იძირება, ცურავენ ვირთხები მოშტორიკები! ღულცე ეტ დეკორუმ ესტ პრო პატრია მორი!

ჩხართიშვილი:

— ...სანამ მთავარბანაკის წარმომადგენელს გულო ჭავჭავაძეს მოვუსმენდეთ, მინდა, გაგაფრთხილოთ: მზად უნდა ვიყოთ ქალაქის ევაკუაციისათვისაც... პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის დაკისრებული აქვს შინაგანი სამსახურის გენერალს კაკი კვირიკაძეს...

— ასეა საქმე? — წამომდგარა ვატა ჭიჭინაძე.

— რა გნებავთ, ბატონო ვატა? — აწითლებულ თავზე ისვამს ხელის თითებს.

—ღვთის ანაბარა ვრჩებით?

— ვინ რჩება, მაგიც საკითხავია... ჩვენ ვინაწილებთ, ბატონო ვატა, პასუხისმგებლობას. მოგახსენეთ ამის შესახებ, კიდევ რა უნდა გითხრათ, გადაინახეი ოქრო... — ჩოჩქოლია. მარტის მზის სხივი აწუხებს ჩხართიშვილს. თავზე ისვამს ისევ ხელს. — დიახ, ყოველნაირი ფასეულობანი, ხელოვნების ნიმუშები; ცალკე გადააწყვეთ შეტად თუ ნაკლებად ღირებული საქმიანი ქაღალდები, ვადადარია დაწვით... არ გაუშვათ! — ვატა ჭიჭინაძეს ათითებს.

— მაკავებთ?! — დიდი პორთფელი უჭირავს, კართანაა მისული.

— დაბრძანდით, თუ შეიძლება... კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პასუხისმგებელ პირთა გვარებს: კვინიხაძე, კვირიკაძე, სულკალმახიძე, კვინტრაძე, კვინტაძე.... — ვიღაცას ეძებს კიდევ. — და ჩვენ, თქვენ დაბრძანდით!

— არა გაქვთ ჩემი გაკავების უფლება, პროტესტს ვაცხადებ, თქვენ მალავთ, წუხელ აქ ტროცკი იყოო ჩამოსული...

— ტროცკი და კაუცკი...

იცინიან თავშეკავებულად.

— სადეპუტატო ხელშეუხებლობის უფლებას ვითხოვ, — ისტერია ერევა. — პროტესტს ვაცხადებ!..

— დაჯექი, თუ არა შენ მაინც მოგივლი! — მაუზერის ხის ბუდეზე იფაფურებს ხელს.

— შეიშალა ხალხი! — ოხრავს ვაჭართა გილდიის არატიპიური გვარის წარმომადგენელი — ხონელიძე.

— მოვუსმინოთ მთავარბანაკის შტაბის რწმუნებულს პოლკოვნიკ გულო ჭავჭავაძეს, — მშვიდად აცხადებს და მაუზერის ხის ბუდეს კეტავს რაკუნით.

ციცი ღამეა. ჩალურჯებულია წყალწითელას ხეობა სიცივეში. მიღნობილი ასკილის ბუჩქებთან ანთია ცეცხლი. ჯაგრცხილები ჩანან კვანჭილო მინდვრებთან, კლდის ნატეხები და მიწიდან ამორჩილი ქვები აყუდებულან ფერდობზე, ლიანდაგებს იქით, ნაბადში გახვეული რაჟდენი ძილფხიზლობს კოცონთან. ფარნაოზი დადის ბნელში.

— რა იბეუტურა იმ კაცმა... — ამოილაპარაკებს მოულოდნელად ცეცხლთან. — მართალია, დევიჯერი, რაც თქვა?!

— არ გძინავს შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა სიკვდილი დამაძინებს, კბილი მტკივა!

— თბილისი აუღიათო, თუ მართალია, იმ კვირაა აქ იქნებიან... ჩემი ამინდიც ხომ უნდა დადგეს, ჩემი დილაც ხომ უნდა გათენდეს! — მაღლა იხედება აფორიაქებული ფარნაოზი... — ადრეა არიჟვებამდე.

— დაგეტოვა მამაჩემმა მშიერი, ძილში ეჭმელეს ვხედავდი, არ მეშვება ეს კბილი, — ჯდება მშიერი, კბილატკიებული, შეციებული. — ეკვდება, გონია, და მამაჩემი ფილიპე კი არა, ვერ მიშველის ეშმაკი... — ყაბალახის ყურს ათბობს, ლოყაზე იდებს, კენესის ყრუდ. — მოდის, გონია, ლიანდაგები გადმოჭრა ვიღაცამ... — მიწას ადებს ყურს. მეგუშაგე ქვას ეფარება ფარნაოზი. კალათიანი ლანდი გამოცალკევდება უკუნიდან.

—, მამაშენია, ქვევით ჩავალ მე, წყარო მეგულება!

— აქეთ წამოდი, ცეცხლისაკენ! — მამას ეძახის.

— სადანა ხართ, ცეცხლს ვხედავ!

— წამოდი, თუ ხედავ. სად ხარ ამდენ ხანს, ნაშუაღამევს ვახშმობა ვის გაუგია!

— სალამი და კაი გამარჯობა! — აქეთ-იქით იხედება. — მარტო ხარ?

— ქვევით ჩავიდა ხელ-პირის დასაბანად.

— მთვარე ანათებდა გვიანობამდე, შუქ-ნათელში ვერ გამოვიდოდი, გზები შეკრულია, ფხიზლობენ. თანაც ათასი იხერი ჯაშუში და მამაძაღლი დადის, ცოტა აქეთ, — კალათს დებს, ამყარებს მიწაზე. — ცოტა იქეთ... სადაა?

— ამოვა, წყაროზე ჩავდათქვა, გითხარი! — თვალებთან ხელებს უთამაშებს, ზედმეტი არ თქვაო. თავს უქნევს მამა, გასაგებიაო და კალათიდან ვახშმის ამოლაგებას იწყებს.

— ...ყველას თვალი უნდა მოარიდო, ყველას ანგარიში უნდა გაუწიო. ცხელი ჭადებია, შევახვიე და არ გაცივდა, არ გაალიგვოთ ახლა, ეს ქათამია, ყველი, ტარანი. ტარანი თვლითაა, წონით კი არა, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ, ხომ ხართ მომჯობინებული, ჭამეთ, სვით, თავი არ დაზოგოთ! — ხელებით ეკითხება, სადაა, ხელებით პასუხობს აქვეაო, ენაზე იდებს თითს მუქარით.

— კიდევ რა წამოვიღე?.. — კალათში აფათურებს ხელს.

— ამოალაგე, ამოალაგე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— ამოლაგებულია, უკან არ წავიღებ არაფერს, ნუ გეშინია!

— გადმოატრიალე, აბა, კალათი!

— ა, ბიჭო, ცარიელია.

— რა ამბავია ქალაქში?

— ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, არეულობაა.

— რამ არიათ, რა უნდათ, რა დაემართათ, რა ეტაკათ, ვახ, შენი, გავწეწკეს! რაღაც, უუხ, რატომ ვერ ეტევა ადამიანი საკუთარ ტყავში, რატომ არ აჩერებს გამჩენი?!

— ბიჭო, რაჟდენა, — ჩურჩულზე გადადის. — დღესვე უნდა აღსრულდეს, გათენებამდე, ბოლო ცდა მოგვცეს, უნდა მორჩეს და დამთავრდეს, გადაგვაყოლებენ, თუ ვერ აღვასრულეთ. აბა ჰე, — ყვირის. — აგერ კალათი, აგერ პურ-მარილი!.. — ამოტრიალებულ კალათს ფერთხავს, ლეჟვერზე უტყაპუნებს ხელს. — გათენებამდეს... — ჩურჩულით. — არ დააგვიანო, ბიჭო, რაჟდენა!

— რა ვუყო ამ კბილს, ან შენ რა გიყო, რანაირად გამზარდეთ უპატრონოდ, დედაჩემი შენ გადაიყოლე, ადრე ჩაწვინე სამარეში, გაჩერდი რა! — გამეტებით ირტყამს ხელს ლოყაზე.

— თუ გული არ გიშვება, სხვას აცალე, მარა აქედან ფეხი არ უნდა მოიცალოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვინ მეკითხება?

— არ წავა, ქალს ელოდება, ისეც შენ დაგრჩება, თუ გამეცადინდება!

— ვინ დამრჩება მე, რა მითხარი?

— ის ქალი... — უკან იხევს.

— ო, შე გაფუჭებულო, მაგ სიგლახეს არ ვიზამ, ვის უბედავ საერთოდ!..

— ისე ვოქვი, კაცო, ნუ ახტები უნაიროდ... დილამდე შეიყოლიე როგორმე, აბა ჰე!.. — ყვირის. — ჭამეთ, დალიეთ, ყანწი აგერაა, ბოთლზე ჩამოვაცვი, ქათამი აქეთ, ჭადი იქეთ, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ!..

— კარგ საქმეში რომ არ გამრევდი, ვიცოდი, მარა, რაც არი, არი... ბედისწერას ვერ გავექცევით... მე კი არა, ვერავინ ვერ გაექცევა!..

— აბა ჰე, აქაა ყველაფერი, კალათი ცარიელია... სადაა ის კაცი, გალიგვდა ყველაფერი... — ღვინოს ისხამს. — გაგიმარჯოთ, თქვენს საქმეს გაუმარჯოს, სამართლიანს. შვილო ფარნაოზ, სადა ხარ, გადღეგრძელებ, გაგიმარჯოთ, მაგრა იყავით, აბა, თქვენ იცით! — სვამს. პალტოს სახელოთი იმშრალებს ტუჩებს და მიდის. ცარიელი კალათით მიშრიალებს ხმელ ბუჩქნარში, მაღლა ადის, უჩინარდება. სიჩუმე ისადგურებს კვლავ იმ ადგილში.

— წავიდა?

— ა, ო, შენ ხარ?.. წავიდა. რანაირად წამომადექი. მოდი, ჭამე. გაცივდა. ცეცხლიც ქრება, ჩაიმუხლე! — სულს უბერავს ღადარს.

ჭამენ უგულოდ. ფარნაოზი ღვინოს აწვეთებს ჭადზე.

— ბოჩიას ხსოვნა იყოს, ყველას ხსენება, ვინც ამ გზაზე დამელუპა, ყველასი, იმათიც... — ბუტბუტებს. — ნათელში გამყოფოთ!

— ნათელში ყოფილიყვნენ! — ილოცება. სვამს, ჭამის თავი არა აქვს, წინა კბილებით ილოღნება რაჟდენი.

— ჭამე და წაიძინე, თუ გინდა!

— რა დამაძინებს, თავში ჩაქუჩს მირტყამენ!

— ძილში გამოშუშდები, არაფი უნდა მოეტანა, ცივი ღვინო უარესია.

— არც არაფმა მიქნა არაფერი, პირველი ხომ არაა, ყველამ თავისი წილი წაიღო. ამომართვეს მთავარი სული; მუგუზალი უნდა ჩავითხარო პირში, სხვა საშველი არაა. ერთი მითხარი, რა ხდება, ხალხი რამ არია?

— ხალხს თავისი მოლოდინი აქვს, მე ჩემი მიჭირს, გათენდება და გაიგებ!

— ისე იქცევი, თითქოს არ მენდობი, შენც ელი, ხალხიც აფორიაქებულია, ამას ქე ვხედავ, რა იქნება, არ ვიცი, რა შეიცვლება?

— მაგასაც ნახავ. გათენდეს და დადგეს ხვალე!

— გვიან იქნეს იქნება.

— რა თქვი?

— გამოვიცვალოთ ადგილი! — მოულოდნელად წამოხტება. — დავტოვოთ აქაურობა!

— არა, აქ უნდა ვიყო, აქ ველი!

— ვის, რას?

— ხმას დაუწიე და, თუ არ იძინებ, ზედა მხარეს უყურე, მე ქკეკვით ჩავალ გზისკენ.

— გაზი არ გაქვს, გაზი?

— რა გაზი? — უკან იხედება. — ნუ ყვირითქვა, კითხარი. ჩურჩული გადის წყალგადმა, ისეთი ღამეა, ისე, ხომ არაფერი გელანდება?!

— გაზი. ხარის ლურსმნის სამჭვალი, დავითხარო უნდა ეს კბილები! — ტყვიას იღებს სავაზნიდან, დანის პირით ხსნის, წამალს იერის კბილებში.

უყურებს და არ ეუბნება. ბაცდება კიღეც მიდამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ...ცეცხლს წავუკიდებ, დავწვავ, ავაფეთქებ! — ნაბადს მიათრევს ცალი ყურით.

თენდება. ნათდება: ჭახათა, მოწამეთა, მონასტერი, ლიანდაგები, მწვანედ მოხატული პატარა ბაქანი, გაფიჩხული გლედიჩიები ბაქანუკან. თოვლის იისფერი ხორტები გაკრთება ფერდობ-ფერდობ. უფრო ნათდება. ცის კიდე წითლდება, რიჟრაჟია. კაბაჭრელი კორდიელა დაჩნდება კლდეს. კორდზე ამობნეულ ყვავილს დაჩერდება. ლურჯთვალა იაა. ფრთხილად აყავს.

— რა ნახე? — სახეზე ყაბალახაფარებული კითხულობს შორიდან რაჟდენი.

— იაა.

— იაა?

—გაზაფხული მოსულა! — საკინძეში იმაგრებს იას.

— გაზაფხული კი არა... — ყბაზე ყაბალახმიდებული მიათრევს ნაბადს. სულ სხვა მხრიდან ჩნდება უნაბდოდ, უყაბალახოდ.

— ფარნაოზ, ალყაში ვართ, ყოველი მხრიდან გვიახლოვდებიან, გითხარი, დავტოვოთ აქაურობათქვა?!..

— დაგვნებდით, ალყაში ხართ! — ისმის გარკვევით. სხვადასხვა მხრიდან ხმაურობენ.

— ალყაში ვართ! — შეშლილი სახით იმეორებს.

ნაბადს დააყენებს ფარნაოზი, ცრუ სამიზნეს აკეთებს, თავად ეფარება ქვას.

— ალყაში ვართ!.. — უაზროდ დარბის რაჟდენი.

— ნუ ღრიალებ, ზურგში დამიდექი!

დაუდგება და მაუზერის ყველა ტყვიას დააყრის ბეჭებშუა.

ჩაიჩოქებს, წაიხრება. ნელა უახლოვდება მიწას. იაა დიდდება, ლურჯად ფარავს ცივ მიწას.

— მე მოვკალი, მე მოვკალი!.. არ მესროლოთ, მე მოვკალი! — ხელებაწეული გარბის რაჟდენი.

თავდახრილი, დაშვებული იარაღით დგება მიცვალებული, მოზუზუნე ტყვიებში ვარდება კვლავ, ამოტრიალდება ნელა, გულაღმა იშოტება.

— მკვდარია, ნუღარ ესვრით! — ესმის თითქო ნაცნობი ხმა.

წელში გამართული, ლამაზი ოფიცერი დაადგება ღიღკილოში იაჩამაგრებულს. სველი ჩექმის ჭვინტით გაუსწორებს სახეს.

— რა ახალგაზრდა ყოფილა ეს შობელძაღლი!

მუყაოს მატარებელი მოჩაჩაქებს. კვამლს მოაფრიალებს ორთქლმავალი ცივ ჰაერში; ნახევარკუნძულთან ანელებს სვლას, ქვისფერ მდინარეს გამოაჩენს ჩახეთქილ კლდეში. ჯიხურის სარკმლიდან თავგამოყოფილი, გაოცებული მემანქანე მენაპარე ვვარდიელებს ხედავს. გაიარე, ნუ ჩერდებიო, ანიშნებენ ენერგიულად. ერთ სწორ ხაზზე სხლტებიან ბორბლები და მატარებელი ტოვებს სველ ლიანდაგებს, გახუნებულ გლედიჩიებს, მწვანე ბაქანს — მოწამეთას. სალომე დგას „რედიკულით“ ხის საფარზე. თეთრი ღაზლი აქვს მოხვეული ლაინის თხელ პალტოზე, ლუში ცხენი ძოვს ბაქანთან და მუქ-ლურჯად ჩანან ყველანი მჩატე ნისლში.

გოგი და მან-გოგი ვვარდიელები არიან. დიდი, მძიმე ჩექმების რახარუხით მობრიგინებენ ნისლიდან, განძელებზე გადმოდიან ხიშტიანი „ვინტოვკებით“ — დაბლები, სახეჭორფლიანები.

— საქართველოს რესპუბლიკის სახელით დაკავებული ხართ! — წვრილი ხმით ყვირის მან-გოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან-უკან იხევს იელის ყვავილისფერ თვალებში შიშჩაბუდებული. იჭერენ ხის ბაქანს იქით, ბუჩქებისაკენ მიათრევენ, აეცცვენ. ბღლარძუნ-ბღლარძუნით მიგორავენ ხემდე სამთავენი.

— გაუკავე ფეხები, შარვალს ვერ ვიხსნი, ამოღებას არ მაცლის! — კივის მან-გოგი.

თოფს აგდებს გოგი, ეხმარება მან-გოგის, ხვანჯრის გახსნას რო ვერ ახერხებს. ხელისკვრით იშორებს ქალი გოგის, მინდვრის ქვაზე თავგატეხილს ტოვებს; კაბა-პალტოშემოხეული გარბის თავად. მისდევენ. წინ მან-გოგია „ვინტოვკით“, უკან თავგატეხილი, „უვინტოვკო“ გოგი. დიდი ჩექმების ფხოკიალით მორბიან განძელ-განძელ. ბილიკზე, გაფიჩხული ტოტების გასწვრივ მიქრის ქალი, ჩახეული კაბის ფრიალით. ელვა-ელვა კრთებიან უფოთლო, თეთრი ჯაგრცხილები, ბზები. ლუში ცხენი ძოვს ფრთხილად, ყურდაცქვეტილი, არ მიდის.

— ქაჯია, ქალი კი არა, ესროლე, ვერ დავეწევით!

ჩაჩოქილი უმიზნებს გრძელ თოფს მან-გოგი. თავგასისხლიანებულ გოგის ცალი თვალი აქვს წაჭუტული სროლის მოლოდინში.

ბოლი ასდის თეთრად თოფის ლულას სიცივეში. ხმა არკი გამოდის.

— სროლაც არ იცი, მე შენი დედის საფლაკი მოვ-ყან!

— მე შენი დედა მოვ-ყან, შარვალი ვერ გამიხსენი!

ერთმანეთს აგინებენ ქართულად ადგილობრივ დიალექტზე.

შენ მამაჩემო,
დარბაისელო,
ისემც მამკვდარხარ,
ვერ მოისვენო!

იმდღეისსწორს გამოვიდა ნაქეიფარი რაჟდენი ლაითაძის დუქნიდან იაგორასთან ერთად; არღანზე შემოდებული სავსე ჭიქებით გამოჩნდნენ. ტყავის ჟილეტი და მწვანე ბლუზა ეცვა; ხმაწართმეული მღეროდა გამხმარ, გრძელხელებაწეული. დიდხანს უმიზნებდა „პარაბელუმ-08“-ს ჯაჭვის ხიდის ყურიდან გერონტი რობაქიძე. უმიზნებდა და ერხეოდა სქელი ულვაში ცალ მხარეს. აინტერესებდა, შუბლში მოვახვედრებ თუ არაო. გაარტყა წარბთან.

მიწის თხილისტოლი სიწითლე დაეჯდა და წაიქცა იმ მხარეს, საიდანაც ტყვია მოხვდა. კილის შალის ჯუბის უბეში გაიკვეხა გრძელლულიანი „პარაბელუმ-80“, გერმანელი, უნტეროფიცრები რომ ხმარობდნენ იმ წლებში, შეტრიალდა და ჩქარა წავიდა არქიელის გორისაკენ, ხორხების გზით.

კოლია გოგნიძე მოკლეს ყანაში ფერიცვალება დღეს, სიმინდს რომ ამოროდებდა. მიხა იაშვილმა განაცხადა, არ მომიკლავს, მკვლელობაშიც არ მიმიღია მონაწილეობაო.

მორჩიძის ცხედარი გადაშუადღებულს შეიტანეს ურმით ქალაქში. რკინიგზის ხიდქვეშ რომ გაატარეს, საფიჩხიის ბაქნიდან დაინახა. ხალხი იძახდა, არ არი ეგ მორჩიძე, ორეული მოუკლავთო. მიხამ წუღებით იცნო. ყაბალახით პირმობურული გაყვა წითელმოზვრებშებმულ ჩოჩიალა ურემს, რომელსაც თავდახრილი, ჟოლალ ჩოხაშელანძღული მეურმე მიუძღოდა. ლაფათინზე დასვენებულ, ტან-სახეზე ნაბადწაფარებულ მკვდარს ღია წაბლისფერი თავის კოსრო უყანყალებდა, ქუსლშეჭმული წუღიანი ფეხი განზე ჰქონდა გაწეული. მარცხენაზე უცვდებოდა ლანჩა ყოველთვის. გრძელ გადასარბენებზე და მთაში სიარული უჭირდა. წაღმა-უკუღმა გარბოდა სამაგიეროდ და ვერც მტერი ეწეოდა, ვერც მოყვარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთნაირად ისროდა მარჯვენა და მარცხენა ხელით, ერთდროულადაც კი. ღამეში ხედავდა და არ აცდენდა სამიზნეს. ცხენზე მოუხერხებლად, თუმც ღირსეული იერით იჯდა. დამცინავი, თითქო მოგონილი ღიმილი ჰქონდა; გულჩათრობილი, ახირებული, გაუგებრად ჯინიანიც იყო ხანდახან.

და ვიცოდი, ეგ იყო მაგის ბოლოო, ფიქრობდა მიხა. გულისწყვეტას სიფრთხილე ჯაბნიდა. რა ხელისუფლება მართავდა ქვეყანას, ქალაქს, არ იცოდა და ნელ-ნელა რჩებოდა ურემს, გუნდ-გუნდად მიმყოლთ. ახალმა წყობილებამ შემოირიგა ცოტა ხანში და სოფელ დღნორისაში ცხოვრების ნება დართო. მიგდებულ მხარეში ნელა, აუჩქარებლად მოდიოდა საბჭოეთი და მიხა იაშვილიც თვალში არ ეჩხირებოდა ხელისუფლებას. ხნავდა, თესავდა, მკიდა, ამათი ნდობა მაინც არ იქნებაო, ანგარიშობდა და მაინც, თანდათან კარგავდა სიფხიზლეს, ქალაქისაკენ მიუწევდა გული. რაიონის მილიციაში შევიდა. წარსული მოჰკითხეს ცოტა ხნის შემდეგ და დაიმალა. 1924 წლის აჯანყების დაფიათებისას ხელახლა გავიდა ტყეში და მთელი ოთხი წელი ვერ გამოდენეს იქიდან. დროდადრო აკითხავდა დასაწყლულ ოჯახს, ხან ერთ სოფელში გამოჩნდებოდა ულოგიკოდ, ხან მეორეში. ხანში იყო შესული, მაგრამ შიშისფეთება ჰქონდათ დაუცველად დარჩენილ სოფლსაბჭოს თავმჯდომარეებს, კომკავშირული უჯრედების ხელმძღვანელებს და სხვა წვრილ-წვრილ ნომენკლატურულ პარტიულ სასოფლო მუშაკებს. დასდევდნენ და მისი ისედაც შეზღუდული (ოკრიბა, ლეჩხუმი, ქუთაისის შემოგარენი) არეალი თანდათან ვიწროვდებოდა. კოლექტივიზაციას ეშლებოდა ხელი და ისევ შემოირიგეს; არასაუწყებო დაცვაში ჩაწერეს. ქუთაისში დასახლდა ოჯახით. 1938 წლის ზაფხულში დაიბარეს შინსახკომში, გაერიდა დაბარებისთანავე. მიუყუნდნენ და ცხელქარიან შუაღამეს, ივლისი იყო, მიაკითხეს „ემადინით". ვერ გაკოჭეს. მეზობლებმა თქვეს, ბუხრიდან აძვრა, საკვამურიდან გაიპარაო. ზოგიერთმა დაიჯერა კიდეც ეს ზღაპარი. იგი ტყეში იყო უკვე. წლინახევრის შემდეგ მატარებელში გამოეცხადა ნაცნობებს თმამოშვებული, ჟოკე ქუდითა და პორთფელით. საბარგო სადგურში მუშაობდა ომის დაწყებამდე. საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა თუ არა, მიატოვა რკინიგზა, ფრონტზე არ გამიწვევენ, მარა ჯავშანი არ მიშველის, დამიჭერენ ყოველგვარი წინაპირობის გარეშეო. სოფელში ავიდა, მეთვალთვალე რომ იყნოსა, ნაცნობ ტყეებს დაუწყო თვალიერება და დაიკარგა. დივერსანტების გადმოსხმისას (1942-43 წწ.) გაუძლიერეს დევნა და ერთ დღეს იგი მკვდარი ნახეს სოფელ კურსებთან ახლო ღელის პირას, დიდი წიფლის ქვეშ, ყვითელ, თბილ ნეშოში მოკუნტული, მთლად გათეთრებული, დაჟღლიმული ნაბადში და ძონძებში შეფუთული. ფრთხილად ააცალეს იარაღი, დაჟანგული ხელყუმბარა, თოფი და მაუზერი. ციხის ექიმმა თქვა, მადალი სიცხით (ოფლიანობის ნიშნების მიხედვით დასკვნა), არაა გამორიცხული, ფილტვების ანთებით წაუღია წერილიო.

გერონტი რობაქიძე მოკლა ხახული გიორგელიძემ შორაპანში იმავე წლის (1921 წ.) ზამთარში, ქრისტეშობისთვეს.

ანაპოდისტე ხუნდაძე დახვრიტეს 1924 წელს, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

ხახული გიორგელიძე (გერონტი რობაქიძის მკვლელი) 1938 წელს დაიჭირეს ტროცკისტობაზე და დახვრიტეს იმავე წელს სოდანლულში.

წითლები რომ შემოვიდნენ ქუთაისში საბოლოოდ, მარტის იყო მიწურული. სიხარულით შეხვდნენ ბოლშევიკებს მოქალაქენი. მთავარანგელოზების ეკლესიის სამრეკლოდან წითელი დროშები გადმოფინეს. ეს რა ხდებაო, გადირია არქიმანდრიტი ბესარიონ ლორთქიფანიძე.

საფიჩხიაზე ამაღლების ეკლესიის პატარა ეზო-სასაფლაო ადრეეე გაბაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, პირდაპირ საფლავის ლოდებზე გამოაწყვეს დახლები და სამიტინგო ალაგიც დატოვეს წინასწარი ჩანაფქრისა და მოლაპარაკების გარეშე. იმ დღეს, როცა სამრეკლოებზე ფრიალებდნენ დროშები და ქალაქის ბაღში უკრავდა სასულე ორკესტრი, იმუბნელებმა ამაღლების ეკლესიასთან აცეკვეს გეგელა. გაქცეული მთაერობის ბონები დაულაგეს მიწაზე, პირით თუ აიღებ, შენიაო. ჩამოუარა გეგელამ ნაჩუქარი, ვიწრო ჩოხის რღვევით და პრიწინ-პრიწინით, წაიკუზა, გაჩაჩხა ფეხები, წაიგრძელა კისერი, წაატანა პირი ფულს, ხელსახოცის მაგივრად რომ გაუფინეს, და მიაყოლა წიხლი გამეტებით ერთმა ახალგაზრდა სეირისმაყურებელმა, თავით ჩაამხო მტვერში და სილაში.

— რას უშობით, კაცო! — გაბრაზდა მედოლე. — რაფრად შეიძლება მაგნაირი, ეს არ ითვლება, თავიდან!

— აღარ მინდა. — ხელისგულებს ისუფთავებდა.

— აღარ გინდა, კაია!

— ა, ბატონო! — ტალახში ჩაკეცა გაუქმებული ასიგნაციები ამ სეირის წამომწყებმა. — აიღებს, მაგისია, გაკეთდება შავი დედალივით!

— აბა, ტაში, ზეიმია ისედაც! — დაცხო გამხმარი თითები ცალ მხარეზე ვაგლეჯილ დოლს მედოლემ.

მოჯგროვდნენ და მოჯგროვდნენ ფიცხელი დოლის ხმაზე ძელქვებთან, სამარის ლოდებთან ახლო. დაუარა გეგელამ, ყარა ტლინკები ერთ ალაგას, წაიკუზა, დაწვდა კიდეც ფულს და კრა წიხლი საჯდომში იმავემ, თავი შეარგვევინა აყალოში.

— რას შობი, ვინცხა ოხერი ხარ, არ აცლი კაცს?! — უფრო გაჯავრდა მედოლე.

— მარწვალებთ, მე თქვენი დედა, მარწვალებთ?!

— ვინ აწვალებს, კაცო, გიჟია ეს ვიღაცა!.. ტაში. ყველამ დაუკარით, არ გამოვა ისე არაფერი, ზეიმია, ბოლშევიკები მოვიდნენ!

— აღარ მინდა! ¡— მიწას იშორებდა გეგელა.

— ხედავ, რას ამბობს, აღარ მინდაო, აბა, ეს ხალხი რაზე მოიყვანე აქ, ზეიმი არ არი, კაცო, ბოლშევიკები მოვიდნენ?!.

— გაორმაგდა ქაღალდი და რუსულ მანეთიანს ვამატებ ზემოდან! — დაიძახა მარკიორმა და ბელტა ვერცხლი დაადო ბონებს მამლად.

— არ მომადგეს უკნიდან არავინ, თუ არა იმის დედას მოვ-ყნავ! — ფულს არ აშორებდა თვალს.

— არ მიეკაროს არავინ!

— არა, კაცო, ვინ არი მიმკარებელი!

ჩამოუარა უგულოდ. დაიხარა და ლაჯებშუა გამოიხედა თავდაღმადამხობილმა, უკან რომ ვერავინ დალანდა, ტლაპოში ჩადებულ ფულს დაუღო პირი; გამოიქცა ის კაცი, ახტა, ჰაერშივე უწიხლა და გაავორა თავფეხიანად.

— კონდრატია, — ტალახს აფურთხებდა გეგელა. — შენს ცოლისდას ჩევეფსკვენი აფუებულ ძუძუებში მაინცადამაინც!

დოლი გაუვარდა მიოსებულ მედოლეს კონდრატიას ვაგონებაზე. ისტერიულად იცინოდნენ და კონდრატიამ, არაფერ შუაში რომ არ იყო, აღარ იცოდა, ეცინა, ეტირა თუ პასუხი მოეთხოვა. ცოლისდაო და არა ცოლი და მაინც ვაჩუმება ამჯობინა, ყურიდან ყურში გაატარა გაგონილი.

— თავიდან! — ყვიროდა ისევ ვიღაც.

— ისე თქვენი დედა მოვ-ყან, მეტი თქვენ ვეღარ მომატყულოთ! — ცალი თვალით ხედავდა უკვე ლიანგს, ცალი თვალით იარა კაი ხანს დედამიწაზე იმ დღის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნაოზ მორჩიძე საღორიას ტყეში ჩაფლეს ბოლშევიკებმა სახელდახელოდ, პატივი გადაუვადეს და ვეღარ მიაგნეს რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იგი (მკვდარი) რაღაცაში დაჭირდათ. მორჩიძის სამარით აღარ დაინტერესებულან მასუკან. იქვე ყავდა მეწშევიკების მთავრობასაც მიხვრეტილი და მიწაყრილი მარდალეიშვილი, ივანოვი, სხვებიც. იქ ხვრეტდნენ კომუნისტები ერთმანეთს და საფლავებს ვეღარ აგნებდნენ. ოცდაერთი წლიდან ორმოცდათოთხმეტამდე კლავდნენ და მარხავდნენ უსათაოროდ. იები ამოდიოდნენ ვეებერთელა სამარეზე მაინც გაზაფხულის პირს, თებერვალ-მარტის მზის ათინათზე ჭიატობდნენ ინსფრად.

1921 წლის ორ ოქტომბერს (ორ წიფობისთვეს) დიდმოწამეთა, დავით და კონსტანტინეს ხსენების დღეზე, სულიწმინდის გარდამოსვლიდან მეჩვიდმეტე კვირას ჩავიდა მოწამეთაში ფეხითა და აღთქმით: ხმა არ უნდა ამოეღო, რაც უნდა მომხდარიყო. შეწირული ცხვრებით, ქათმებით და მთვრალი მამაკაცებით იყო სავსე იქაურობა. უჩვეულოდ ცხელოდა; იდგა სალომე, არ იღებდა ხმას და ახსენდებოდა ორწიფობა ათას ცხრაას თვრამეტი წლისა, ორი დასტა ზურნადოლი რომ უკრავდა დრუსოსთან. რკინის მესრის სვეტის თავზე ცეკვავდა ღიაწაბლისფერთმიანი, მოცინარი, მხარიღლიებყაწიმებგადმოგდებული, მაუზერებჩამოპორწიალებული. ცეკვავდა უფსკრულზე სროლაში და ზურნის კვრაში და იყო ტაში როკვისა, სიგიჟე სროლისა და გულშეღონებისა. სალომე გარბოდა ძარტო, წინ არავინ ჩანდა, უკან არავინ მოყვებოდა, ვის ეწეოდა, ვის ასწრებდა, ვის მისდევდა, აღარ ახსოვდა. აპრიალებული ღიანდაგები წიოლნენ საფთქლებთან მერმე. იდგა და ღრმად სუნთქავდა. ეს იყო სამი წლის წინ, სამი დიდი წელი დაძარულიყო ფოთლისფერ წყალში, სულ ქვევით, გაპობილი კლდის ძირას.

ჩემო მახანტალია.

ტანსაცმლით შევიდა. გაიხადეო, ეძახდნენ საბანაოდ ჩამოსული სპორტსაზოვადოება „შეკარდნის“ წევრი, ფერად საბანაო კოსტუმებში გამოწყობილი დარჩეული გოგონები. ესმოდა და არ პასუხობდა. იღიმებოდა და შედიოდა აკვალთული კაბით. რატომ არ იხდისო, მაინც უკვირდათ მოტკრიალე გიმნაზისტკებს. რცხვენოდა და იმიტომ არ იხდიდა. უყურებდა შიშველ ქალიშვილებს და უყვარდა ისინი, ყველანი უყვარდა. ღრმაა მანდო, ვიღაცამ უთხრა, უცნაური ღიმილიით უპასუხა, სხვაგან იხედებოდა, სხვაგან ჩადიოდა. იხრჩობაო, მიხვდნენ გვიან. წყალმა ჩაყლაპა მზისფერი ნაწნავებით, აბრეშუმის კაბით. მზის ჩასვლამდე ეძებდნენ. ჭოკებით ხილავდნენ ფსკერს, ქვევით და ქვევით ჩადიოდნენ. ქალი კი იქვე ყოფილიყო ფლატესთან, ფესვებიანი კბოდეს ქვეშ. ნახა მანდიკორელმა კაცმა, მყვინთაობას რომ ჩემულობდა და ცოლი ყოლოდა ახალი გარდაცვლილი. დაშლილი ნაწნავები მურყნის წითელი ფესვები ეგონა თურმე თავდაპირველად. დაკიდეს თავდაღმა. გააშიშვლეს. ზელვით გაულურჯეს მკლავები და მკერდი, რამდენჯერმე მოეჩვენათ კიდეც, ცოცხლდებაო. ტყუილი იყო. სული არ ბრუნდებოდა, წყლიდან არ ამოდიოდა ჯერ.

სალომე რომ დაკრძალეს, ბარჩხალია ბერად შედგა მონასტერში, თუმცაღა მონასტერი ინგრეოდა. ბოლშევიკები იკრეფდნენ ძალას და ეკლესიას ალმაცერად უყურებდნენ.

შეძლებ, შვილო, ბერობას? — სამჯერ ჰკითხა წინამძღოლმა ნაომმა.

შეძლო.

თათრებიდან ჩამოტანილი ოქრო დარჩა ხალმით ეზოში ესები მესხსო, ხმა იყო დარხეული. ორჯერ დაეცნენ, გაძარცვეს დიდი სახლი ანტორიაში და აწამეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები. მეორეჯერ აღარავინ დახვედრიათ შინ და გასაშლელი მაგიდა და გაბზარული კედლის სარკე წაიღეს. ამის შემდეგ მიაკითხეს ბარჩხალიას მონასტერში სულ სხვებმა. გვითხარი, სადა გაქვს ოქრო, თუ არა მოგკლავთო, ნიღბებით დადგნენ. არა მაქვს, არა გამაჩნია რაო და ერთს სახელი უთხრა, შენ მაინც ხომ იცი, რა მაქვს და რა არაო. მიცანი, ხომეო და ამოიდო ფეხქვეშ. დაუზოგავად ურტყეს და მოკლეს. ორი დღე იცოცხლა. ვინ იყო, მითხარიო, ეხვეწებოდა ნაომი, ესმოდა და ხმას არ იღებდა. წინამძღოლს მონასტრის მორჩილზე ჰქონდა ეჭვი. ეჭვი ღრღნიდა და სიმართლის დადგენა უნდოდა. ამოვიდნენ ჩეკადან, სულთმობრძავს დაადგნენ, გქონდა თუ არა მართლა რამე, წაიღეს თუ არაო. ყველას ყველაფერი ვაპატიეო, ამოილაპარაკა, როცა აღარავინ ელოდა. ღვინის ძაბრები ეხურათ, ეგონა, სიმართლის მაძიებელთ. მკვდარი გაჩხრიკეს მაინც და უპოვეს ხის ჯვარი წითელი თმის კუნწულით გაკრული. ქალისაო, თქვა გამოცდილმა გამომძიებელმა. ეგაა, ეტყობა, მაგის სიმდიდრეო. ხელი ჩაიქნია უფროსმა. ის იყო.

მოვიდა შემოდგომა კვლავ სიყვითლით, ფოთლებით, ხავსით, სიოქროვით. და იყვირა ჯონიმ ყველაფრის მნახველმა, ყველგან ნამყოფმა:

— ფანტასტიკო, ფანტასტიკო!

აპრილო, ზაფხულო, მწვანე სიყვარულო, რას ელი, რაღამ უნდა გაგახაროს!..

გახსოვს, კაცო, მოწამეთა? წყალწითელას სანაპიროს შეშისფერ კლდეებზე გადაყვავილებული ასკილები? მოწამეთა, დაუბრუნებელი წლების სინანული: გარღვეულ კლდეში მოდის მორკალული კლაპოტით. ხავსისფერი ედება და გუბდება შენს თვალებში წყალი გადა-შუადღებულს; ნელა ბრუნდება ნახევარკუნძული ჩამავალ მზისკენ და მიდის კლდის ხომალდი მონასტრით, ცაცხვით, ღღეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანა ოთხვანი

დაგვიანება

— რატომ არ ჩანან ენძელები
ან შერცხლები ფრთაგაშლილები, —
რად ივვიანებს გაზაფხული?

— აღდგინებულს უცდის ლაზარეს...

— თვალხატულები,
რად არ ჩანან,
მიწავ ჩემო,
შენი შვილები?

— სძინავთ სისხლიან სასთუმალზე
და... ხედავენ სიზმარს საზარელს...

ვედრება

„ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძს. უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც...“

მათე 10.28

სულო ჭეშმარიტებისა,
რომელი ხარ ცათა შინა!
შენი მსჯავრის გვეშინია,
განა მტერმა დაგვაშინა...

ეშმაკისგან ძლეულებს
კვლავ ცის ძალი გვაღირსე,
ზღვის ღელვა დაგვიწყნარე,
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე!..

სულიწმიდის გმობის,
სულის ძარცვისა და
უღმერთობის
დასასრულე ჟამი —
სახელითა მამისათა
და ძისათა
და სულისა წმიდისათა,
ამინ!

მხეკ თეძოდი წყვდიადში,
სულის კოკისპირული
ცოდვები დაგვიწყნარე...
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე!..

ო, მძლეველო სიკვდილისა,
რომელი ხარ ცათა შინა...
თვით ეკლელები გვაძრწუნებენ,
განა ეკლელმა დაგვაშინა!

შენ მოგვმადლე განწირულთ
ნიჭი გადარჩენისა,
გრიგალი დაგვიწყნარე...
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკრძალული ხილი

ჩვენ დავიბადეთ იმ სამყაროში,
სადაც ცხოვრობენ
თავლზე ხელებაფარებული
და... წყვდიადს მიღმა
მაინც ჩანხარ,
თავისუფლებავ!..

ეურჩებიან ჩვენი თავლები
ხელებს კი არა —
რკინის სალტეებს:
შენს მსუბუქ სივრცეს დაეძებენ,
ვარსკვლავებისფერს...

დაცხრილულები
ჩამონგრეულ კედლებში ვწევარო
და... ვხედავთ ცხადად,
როგორ ანათებს
იქ, მიუღწეველ შენს წიაღში
აკრძალული ხილი —
ს ი ც ო ც ხ ლ ე...

ბეღვის ხიდზე

ძნელია რაიც —
ადვილიც არის...

სასოწარკვეთამ
რომ არ დაგცეს,
უნდა იცოდე:

●

ო, აქ ბალახი აღარ ამოვა! —
ჩემი ბავშვობის ნათელ მინდვრებზე
ჯერ კიდევ ბორგავს

●

არ მეშინოდა არასოდეს
შავი სიბნელის:
თეთრი სიბნელის

დღისა და ღამის,
მზისა და მთვარის,
შუქის და ჩრდილის
თამაშია
სიკვდილ-სიცოცხლე...

წარმართთა მსხვერპლის —
ულამაზესი შავი ხარის —
ბრიალა სისხლი...

მეშინია...
სიკვდილზე მეტად!..

ვიდა

ისე უბრალოდ ხვდება გაზაფხულს, —
სტუმარს სანატრელს, —
ისე უბრალოდ! —

უსამკაულოდ,
გაცვეთილი თოვლის ხალათით...

ჩრდილები

ქარს მიაქვს ჩრდილები, ქარს მიაქვს...
ვინ გაქრა, ო, ვინ იყო?..
ეს ფერი არასდროს არ მცმია
აქამდე, დომინიკო...

ფოთლები... ნაბიჯები მკოლელების....
შემკრთალი შელამება...

ელ-გრეკოს მგლოვიარე ხელები....
ცივ ფერთა შეხამება...

სიშორის სურნელი ქარს მიაქვს...
ვინ მომკლა, ო, ვინ იყო?..
მე... შავი არასდროს არ მცმია
აქამდე, დომინიკო!...

●

ცის ნამსხვრევებით ამოივსო ჩვენი
ცხოვრება, —
ცივი, ბრმა სარკის ნამსხვრევებით, —

ველარასოდეს
ჩვენს სახეს რომ ვერ აირეკლავს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუბაბრია

ბრწყინვალე ჩონჩხები

რომანი

ერთხელაც განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა კვიმბომ აღმოაჩინა, რომ პური და წყალი გასთავებოდა. კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ მოათვალიერა სარდაფი და დარწმუნდა, მძიმე ნანგრევებს საიმედოდ და საშვილიშვილოდ ამოექალათ ყველა ნაპრალი, სარდაფის სქელ, მკვიდრად ნაგებ, ყრუ კედლებში კი აბა რა გაატანდა!

შეეშინდა და ყვირილი მორთო, თუმცა თავისივე ხმით თავზარდაცემული იმწამსვე გაჩუმდა, ყური მიუგდო, იქნებ ვინმემ ჩემი ხმა გაიგონაო... თქვენც არ მომიკვდეთ! ირგვლივ ისევ ის შემზარავი სიჩუმე სუფევდა.

კვიმბო ყველანაირად ცდილობდა თავი გაემხნევებინა და შიშს არ აჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს სახეზე მოისვა ხელი და შეძრწუნდა: აწეწილი წვერი ლამის მკერდს უწევდა. საშინაო ხალათი ისე დაფლეთოდა, რომ ველარაფერს უფარავდა. „ადრე უნდა მეღრიალა, იქნებ ვინმე გამომხმაურებოდაო“, გაიფიქრა და საკუთარი სიხარბე დაწყევლა. მაინც ატეხა ყვირილი — ხან ცოლს ეძახდა, ხან შვილებს, მაგრამ გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა...

მერე და მერე სულ დაკარგა განსჯის უნარი — კედლებს ეხეთქებოდა, აგურებზე მუშტები დაისისხლიანა... არაქათი რომ გამოელია, ტახტზე დაჯდომა მოინდომა და დაინახა — იატაკზე დაყრილ ტყავის კოლებს ტახტის კიდისთვის მიეღწიათ... წარმოიდგინა, რამხელა ფუჭად დახარჯული შრომა იყო ამისთვის საჭირო და უნებურად ჩაიღიმა, ჩაღიმებას ჩაცინება მოჰყვა, ჩაცინებას სიცილი, სიცილს ხარხარი და ბოლოს ჩამონგრეული თაღები შეშლილი კაცის ბღავილმა შეაზანზარა.

LIX. მეშვიდეოსნის თვის მეჩვიდმეტე დღე. ანტვერპენი

მთელს ანტვერპენში, ანუ მსოფლიოში ცნობილი და სახელგანთქმული იუველირი ჟან კატრენი არაჩვეულებრივ ხასიათზე გახლდათ: მან თავის სანუკვარ მიზანს მიაღწია — იმდენი ქნა, რომ ყველაზე მსხვილი და ლამაზი ბეთქოლაპურული ბრილიანტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიგდო ხელში.

აქ იყო „ცისფერი ვარსკვლავიცა“ და „ჰიპოპოტამის მზერაც“, „მარსის ათინათიცა“ და „ბრაზიანი ია‌გუარიც“, „სატანის ცთუნებაცა“ და თვით „დიდი სირიუსიც“ კი...

ამ კოლექციის შეგროვებას ჟან კატრენმა თავისი სუსტი ჯანმრთელობა, აურაცხელი დრო, ენერგია და ქონების ცხრამეტი მეოცედი შესწირა... თუმცა, დარჩენილი ერთი მეოცედი ნაწილიც

დასახ. დასაწ. იხ. „ცისკარი“ № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 1993 წ. № 1, 1994 წ. № 1-2, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისი იყო ერთი პატარა სამეფო კარის შესანახად, თავისი ჰარამხანითურთ, რასაკვირველია. მაგრამ ჟან კატრენს ჰარამხანა დიდი ხანია აღარ აღელვებდა. ღვიძლის ტკივილით გატანჯული, მკაცრ დიეტას იცავდა — ცხიმგამოცლილი ხაჭოსა და გამხმარი პურის გარდა თითქმის არაფერს ჭამდა, გამოხდილ წყალში გაზავებულ რძეს აყოლებდა და ნაღვლიანად შესცქეროდა ჩაკურატებულ ფლამანდელ ბიურგერებს, რომლებიც ნაირ-ნაირი ხორაგითა და სასუსნავით სავსე ქალაქში ბარაქიან ჭამა-ყლაპვას იყვნენ გადაგებულნი.

ერთადერთი სიამოვნება დარჩენოდა ამ მშიერი თაგვივით გაქუცულ ადამიანს — ბრილიანტები.

ყოველდღე ზუსტად სამ საათზე ჩაიკეტებოდა ხოლმე ჟან კატრენი თავის კაბინეტში, საგანგებო სამალავიდან პატიოსანი თვლებით სავსე ყუთს იღებდა, ბრილიანტებს მაგიდაზე გადმოსცლიდა და მერე საათობით უყურებდა საკუთარ საგანძურს. ჯადოსნური სხივები ერთმანეთში ირეოდნენ, კიაფობდნენ, ცელქობდნენ და მოხუცის გულს ენითაუწერელი სიხარულით ავსებდნენ.

ბრილიანტების თუნდაც უმნიშვნელო გადაადგილება ფერთა გამას სავსებით ცვლიდა, ახალ სურათს ქმნიდა.

გაიძვერა, ცბიერი და ხარბი ადამიანებით თავმობეზრებული ჟან კატრენი მთლიანად იძირებოდა ძვირფასი ქვების ციალში, ნებივრობდა და თვრებოდა; დასეირნობდა სირიუსის ცისფერ ბილიკებზე, ნათლად ხედავდა მძვინვარე იაგუარის ანიებულ თვალებს, სატანასთან ერთად ტკბებოდა ჯოჯოხეთური ცეცხლის ნაპერწკლების ციმციმით... ერთი სიტყვით, ნეტარებდა და ამ ნეტარებისთვის არაფრად უღირდა ბეთქილაპურში გაგზავნილი, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ორი კარაველა, არც დრო და ნერვები და არც არაფერი ამქვეყნად.

და აი, მშვილდოსნის თვის მეჩვიდმეტე დღეს, როცა ჟან კატრენმა ზუსტად სამ საათზე კაბინეტი ჩაკეტა და ბრილიანტები მაგიდაზე დაყარა, მოხდა უცნაური ამბავი — ქვებმა ჯერ ფერი დაკარგეს, მერე ერთბაშად არნახული ძალით აელვარდნენ და გულიანი ფეთქვა დაიწყეს. თან შეკუმშვის დროს საცოდავად უფერულდებოდნენ, ხოლო გაშლისას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თვალისმომჭრელ სხივებს აფრქვევდნენ...

მოხუცი იუველირი შეშფოთებით ადევნებდა თვალს საყვარელი ბრილიანტების ასეთ განსაცვიფრებელ მეტამორფოზებს. იგი გრძნობდა, რომ რაღაც ზებუნებრივ მოვლენასთან ჰქონდა საქმე და ერთი წამითაც არ გაუვლია გულში, ჭკუა-გონებით აეხსნა ეს ყველაფერი.

და ბოლოს მოხდა ის, რისიც, ამ მოვლენის დაწყებიდანვე ყველაზე უფრო მეტად ეშინოდა ჟან კატრენს — ძვირფასმა თვლებმა სულ უფრო მოუკლეს ფეთქვას, სულ უფრო სუსტად ანათებდნენ, ბოლოს ერთი წამით აგიზგიზდნენ და ჩაქრნენ...

ნაცრისფერი გადაეკრათ სულ ორიოდე საათის წინ ოცნებასავით მბრწყინავ ფერად-ფერად ქვებს... მერე ის ნაცრისფერიც სადღაც დაიკარგა და ჟან კატრენს მრგვალი, შავი, დანახშირებული ნამსხვრევებიღა შერჩა ხელთ.

იუველირს გააჟრჟოლა და თვალები დახუჭა. „ღმერთო, გამომაფხიზლეო“ — მამაზეციერს შეეხვეწა და ფრთხილად გაახილა თვალი — მაგიდაზე ისევ და ისევ უშნო და ყოვლად შეუხედავი ნახშირი ეყარა, რაც მხატვარს თუ გამოადგებოდა გრაფიკაში ხელის წასავარჯიშებლად...

რამდენიმე წუთის შემდეგ ანტვერპელი იუველირის ჟან კატრენის სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან დამბაჩის გასროლის ხმა გაისმა და ნაავით აფრიალებულ თეთრ ფარდას შავი ბოლი აედევნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

LX. ᲒᲚᲝᲕᲐ

თვითმკვლელობა ისეთი მდიდარი და გავლენიანი კაცისა, როგორიც ჟან კატრენი გახლდათ, კარგა ხანს ეყოფოდათ სალაპარაკოდ ევროპაში, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრილიანტების დანახშირებამ ისეთი ამბები დაატრიალა, რომ ხალხს ჟან კატრენი კი არა, თავი აღარ ახსოვდა.

რამდენიმე მზეთუნახავი ჭკუიდან გადავიდა, ათობით მილიონერი გაკოტრდა, ვაჭრები და იუველირები ხომ დასტა-დასტა მიდიოდნენ იმქვეყნად — ბევრს გული გაუსკდა. ბევრმა ანტვერპენელი იუველირის მაგალითს მიბაძა...

ძვირფასი თვლების ფასი არნახულად დაეცა, საქმიანი ადამიანები ორ ნაბიჯში აღარ ენდობოდნენ ერთმანეთს...

ბეთქილაპურის მიწისძვრამ მთელი მსოფლიო შეაქანა.

მეფეები და იმპერატორები ბრდღვინავდნენ და იმუქრებოდნენ.

რამდენიმე ქვეყანამ ომი წამოიწყო. ზღვებზე მეკობრეებმა იწყეს თარეში გაილაღეს ავაზაკებმა, თაღლითებმა, და, განსაკუთრებით, ყალბი ფულის მჭრელებმა.

სიტყვები „ბეთქილაპური“ და „ბეთქილაპურელი“ გაუგონარი თვალთმაქცობის, გაიძვერობისა და სიცრუის სინონიმად იქცნენ...

●

ერთადერთი ქვეყანა, რომელზეც სულაც არ უმოქმედია დიადი კალენდულას მიერ მსოფლიოს გაცუცურაკებას, თვით ბეთქილაპური გახლდათ.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ კალენდულას ბრილიანტებზე და მეორეც, სულიერი მამის უკვალოდ გაქრობამ იმდენად დაამწუხრა ისინი, რომ ბრილიანტების დანახშირება კი არა, ცა რომ დამხობოდათ თავზე, არაფრად დაგიდევდნენ!

მერე, რა გლოვა იცოდნენ იმ დალოცვილ ბეთქილაპურში — გაუთავებელი, და გემოვნებით, ყოველ სუფრაზე მიცვალებულის ათჯერ მაინც მოხსენებით...

გლეხი აღარ თოხნიდა, მუშა აღარ მუშაკობდა, მეცნიერი აღარ მეცნიერობდა, მოწაფე აღარ სწავლობდა...

სამაგიეროდ, ყოველი ბეთქილაპურელი მამაკაცი თავს ვალდებულად თვლიდა, დიდი ყანწით დღეში თხუთმეტჯერ მაინც დაელია ბელადის შესანდობარი.

●

კალენდულას გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი სხვა მიტინგებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ტაშისა და შეძახილების ნაცვლად აქ ტირილი და მოთქმა-გოდება ისმოდა.

ბოლოს სიტყვა აიღო მზისა და მთვარის ნეტარებამ, დიადმა მბრძანებელმა დინგ დომ:

— თანამემამულენო!

ᲞᲚᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲜᲝ!

მძიმე დრო დაგვიდგა — ჩვენს შორის აღარ არის მანათობელი ვარსკვლავი, ბრწყინვალე კალენდულა! მაგრამ გუნებაშიც არავინ გაიკვლოს, რომ იგი მოკედა! ვინ თქვა სიკვდილი თვით უკვდავებისა! არა, ბეთქილაპურელნო! კალენდულა გარდაიცვალა ამ ცნების პირდაპირი გაგებით — გარდაიქმნა, გადაიქცა მარადიულ სულად, რომელიც შემდგომ ამისა უსასრულო კოსმიურ გზებზე განეფინება! ამ სულის ნაწილი ჩვენთან დარჩება სამარადჟამოდ, გადაეცემა ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, შორეულ შთამომავლებს...

მბრძანებელმა დინგ დომ საკმაო ხანს იმეტყველა და სასახლის წინა მოედანზე შეკრებილთ კარგა ბლომად ცრემლიც ადინა, მაგრამ როცა ხალხმა გაიგო, მიცვალებულის ცხედარი არ იქნებაო, საყოველთაო გლოვა საყოველთაო განცვიფრებამ შეცვალა. მოზარეებმა აღარ იცოდნენ, რა ეყოთ თავზე წასაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი ნაცრისთვის, ანდა უმიცვალებულოდ როგორ დაეგლიჯათ საგულდაგულოდ გაშლილი თმები, ან ვის კუბოზე რტყმევით დაეხეთქათ შუბლები...

მბრძანებელმა იგრძნო ხალხის გასაჭირი და მოთმინებით განაგრძო:

— ვიცი, თანამემამულენო, კარგად მესმის თქვენი გულის წუხილი: თქვენ ელოდებით ცხედარს დიადი კალენდულასი, მაგრამ ვიმეორებ: იგი როდი იყო უბრალო მოკვდავი! კალენდულა ამაღლდა! დროებით მიგვატოვა ისე, რომ აღარაფერი დარჩა მისგან. ჩვენ კალენდულას ავუგებთ დიდებულ ტაძარს — ოცდათექვსმეტი და ექვსი მეათედი მეტრის სიმაღლის ტაძარს. თითოეულ ბეთქილაპურელს შესაძლებლობა ექნება შევიდეს და თავისი ლხინი გაუზიაროს სათაყვანებელ კალენდულას! და სანამ ეს ტაძარი იდგება, ბეთქილაპურს სიკვდილი არ უწერია! მისი მადლით ჩვენ მოვსპობთ და გავანადგურებთ მტრებს, გავუსწორდებით მოღალატეებსა და გამცემებს! გაუმარჯოს ბეთქილაპურს — პლანეტის მშვენებას! დიდება კალენდულას!

დინგ დომ ბოლო სიტყვები თითქმის კვნესით წარმოთქვა, ჩვეულებისამებრ სახე შეეშალა, თვალები გადმოეკარკლა და მხოლოდ გამოსვლის დასასრულს გაუჭირა აზრმა, იქნებ ამ შემთხვევაში ყოველივე ეს ზედმეტი იყოო, მაგრამ როცა ხალხის მძლავრი გუგუნი და შეძახილები მოესმა, დამშვიდდა.

— კალენდულა!

— დინგ დო!

— ბეთქილაპური!

მოზარეებმა, საურას მეთაურობით ცრემლი და შეძახილები ერთმანეთში აურიეს.

ზოგი თმებს იწეწავდა და მღეროდა.

თვალანთებული ბეთქილაპურელები ტრიბუნისაკენ მიიწევდნენ, ცდილობდნენ როგორმე შეხებოდნენ სალოცავ დინგ დოს.

და შუაღამემდე ძაძრწოდნენ ქუჩებში ვაჟკაცები ანთებული ჩირაღდნებით ხელში და გადაბუგვით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც კი კალენდულასა და დინგ დოს ღალატს გაიკადებდა გულში!

LXI. ყვავის ჩხავილი

კალენდულას არაჩვეულებრივი გარდაცვალების მერე დინგ დოს დიდი მოუსვენრობა დასჩემდა.

ერთი მხრივ, ღრმა სამგლოვიარო იერის მიუხედავად, თანდათან სულ უფრო და უფრო მოსწონდა თავისი ახლანდელი მდგომარეობა — შინაგანი სიმსუბუქისა და სილაღის ვანუწყვეტელი შეგრძნება. წინათ თუ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, ნებით თუ უნებლიეთ, კალენდულას მკაცრი სახე ედგა თვალწინ, ახლა ჭეშმარიტად განუსაზღვრელი ძალაუფლებით ტკბებოდა. ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებდა ხოლმე, ნეტავ ადრე მომკვდარიყო და გავთავისუფლებინეო, მაგრამ ამ უნებურ ფიქრს სასწრაფოდ იშორებდა თავიდან — მისთვის საიქიოს წასული კალენდულაც საფრთხობელას წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, კალენდულას არსებობის თვით ფაქტი უკვე უზარმაზარი მხარდაჭერა იყო დინგ დოსათვის. ახლა პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი მბრძანებელს დაწვა. ეჭვიანობის გრძნობა უკიდურესად გაუმძაფრდა. საურასა და კინკას გარდა აღარავის ენდობოდა.

ბეთქილაპურის საქმეებიც სულ უკან და უკან მიდიოდა.

ახდა დაუთას წინასწარმეტყველება — კოლა თანდათან უფასურდებოდა.

ბრილიანტების ამბით დაშინებული უცხოელები ოქროს კოლებსაც უნდობლად უყურებდნენ. დინგ დო იძულებული გახდა, საიდუმლო ბრძანება გაეცა — კოლები ოქროს ზოდებად გადაედნოთ და ისე გაეყიდათ, მაგრამ არც ამან უშველა — მარაგი განუწყვეტლივ მცირდებოდა და შევსება კი არსაიდან ჩანდა. ყოველი ბეთქილაპურელი ვალდებული იყო, მონაგარი ოქროს კოლები და, საერთოდ, ოქროულობა თვლით ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარებინა კინკას „სიფხიზლის რაზმისათვის“, „გარკვეული დროით“...

მბრძანებელმა თავისი დიადი შეშფოთება საურასა და კინკას გაუზიარა.

საურამ არაფერი თქვა, მხოლოდ ზიზღით აიბზუა ტუჩი და ოთახიდან გავიდა, კინკამ კი რამდენჯერმე კიდევ დაუარა ბეთქილაპურელებს და ტყავი გაამრო.

შედეგები უმნიშვნელო იყო.

მოსახლეობის უმრავლესობას არაფერი ებადა.

ისინი კი, ვინც „ოქროს წვიმების“ დროს რამე იშოვა, ისეთ ადგილას მალავდნენ სიმდიდრეს, რომ მერე თავადაც უჭირდათ მოძებნა.

ბოლოს მბრძანებელმა გადაწყვიტა, ბეთქილაპურელთა პატრიოტული გრძნობებისთვის მოეხმო:

— თანამემამულენო! ჩვენი ქვეყნის დაუძინებელმა მტრებმა ბინძური ხრიკების გამოყენებით შეძლეს დროებით შეეფერხებინათ ბეთქილაპურის ბრწყინვალე წინსვლა. მტერი ძლიერია და ვერაგი! მაგრამ ჩვენ მათ მოვსპობთ, გავანადგურებთ!

— დიდება დინგ დოს! გაუმარჯოს უძლეველ ბეთქილაპურს! — გუგუნებდა მოედანი.

— ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია, — განაგრძო მბრძანებელმა, როცა კი აღტაცებული შეძახილები ოდნავ მინელდა, — ჩვენ დაუღალავი შრომით უნდა გავცეთ პასუხი მოღალატეებს! და მაშინ ვერაფერი დაუდგება წინ ჩვეყნის წინსვლას! შრომა, შრომა და ისევ შრომა! ვიშრომოთ, თანამემამულენო!

— ვიშრომოთ!

— ვიშრომოთ!

— ვი-შრო-მოთ!

ერთსულოვნად გრგვინავდა ბრბო.

და ყოველი ასეთი გამოსვლით აღფრთოვანებული ბეთქილაპურელები დილამდე სვამდნენ სადღეგრძელოებს კალენდულას ხსოვნის, ბეთქილაპურისა და დიადი მბრძანებლის სადიდებლად!

დინგ დოს კი ხშირად ეჩვენებოდა, რომ დევის ხმლით ჩაჩეხილი, უძირო ხეობის კლდოვან ქარაფზე იდგა და ქვევიდან უძილო ღამის მოჩვენებებივით მოფარფატე ყვავების ჩხავილი ესმოდა.

LXII. ბამეჩრალი პაიკის ხევდა

ბეთქილაპურში მოქმედი დაუწერელი კანონის მიხედვით თითოეულ ოჯახში დიადი მბრძანებლის დინგ დოს სამი გამოსახულება მაინც უნდა ყოფილიყო. თუმცა ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც ამ სამეულით კმაყოფილდებოდნენ.

დინგ დო ფაიფურის ლარნაკებზე, მბრძანებლის ხატება უძვირფასეს ბეთქილაპურულ ხალიჩებზე ამოქსოვილი, მზისა და მთვარის ნეტარება ოქროს ჩარჩოებში ჩასმულ ფოტოებზე, სახელგანთქმულ მხატვართა ფერწერულ ტილოებზე, მისი სახე ბრინჯაოში, ქვასა და მარმარილოში...

უბედნიერესი ხალხი იყო ბეთქილაპურელები — დილიდან ღამემდე, ღამიდან დილამდე შეეძლოთ დამტკბარიყვნენ მბრძანებლის სახით, ემღერათ მისი სადიდებელი ჰიმნები, პალმის ღვინით გალიცლიცებული მარტორქის ყანწებით ესვთ აღტაცებული სადღეგრძელოები და ეკითხათ მისდამი მიძღვნილი ლექსები: პანეგირიკები, კანტატები, ოდები და მადრიგალები!

●

კამილის — წყალსადენის უფროსის თანაშემწის მეორე მოადგილის პირად მდივანს — დინგ დოს უძვირფასესი ხატება ედგა შინ და ამით თანამემამულეთა უდიდეს აღტაცებასა და დაუფარავ თუ დაფარულ შურს იწვევდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ფასი ედებოდა ღირსსახოვარი სკულპტორის, ლი-ლის ნაქანდაკარი ძეგლის ასლს. ეს ასლი თვით ლი-ლის სახელოსნოში იყო ჩამოსხმული რადაც ნარევისაგან, რომელიც საეჭვოდ წააგავდა უბრალო თაბაშირს და რომელსაც, თხრობის გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლებლად, ჩვენც თაბაშირად მოვიხსენიებთ.

ოფიციალური მონაცემებით, ჩამოსხმული სამოცი ასლიდან მხოლოდ ხუთი გადაურჩა დიდ მიწისძვრას. მიწისძვრა კი იყო ძლიერი, მაგრამ დამსხვრეული ასლების ესოდენ დიდი რაოდენობა მაინც საკვირველი გახლდათ. როგორც დავინახავთ, დინგ დოს ძვირფასი გამოსახულების შინ შენახვა გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, ასე რომ, ზოგიერთს ეჭვიც კი ეპარებოდა... არა, ჩვენ კალენდულამ დაგვიფაროს ასეთი მკრეხელური ეჭვისაგან, მაგრამ მაინც...

ხუთივე გადარჩენილი ასლი აღრიცხვაზე იყო აყვანილი. საგანგებო დეკრეტით ისინი სახელმწიფო განძად გამოცხადდა. ასე, რომ ყოველ ბეთქილაპურელს ნებისმიერ დროს შეეძლო შეეღლო კაშილისთან ძვირფასი დინგ დოს სანახავად.

თვით კაშილი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავის საუნჯეს.

მიწისძვრის, ცუნამის, ტაიფუნის, მეტეორიტის ჩამოვარდნისა და სხვა სტიქიური უბედურებების შიშით წყალსადენის ღირსეულმა მუშაკმა ქანდაკება რკინის ჩარჩოში მოათავსა და კედელზე ჭანჭიკებით საშვილიშვილოდ მიამაგრა. ყოველი შემთხვევისათვის ქვევიდან რკინისავე ბიჯგები შეუყენა, ტყვიაგაუმტარი მინები შეადუღბა და შვებით ამოისუნთქა — თაბაშირის დინგ დო საიმედოდ იყო დაცული!

●

პირველ ხანებში, განსაკუთრებით ლილის გარდაცვალების შემდეგ თაბაშირის დინგ დოს უამრავი მნახველი ჰყავდა და კაშილი სტუმრების მიღებას ვერ აუდიოდა. სულ გაკვირვებული იყო, დალუქული თიხის ამფორები რა მალე იცლებაო! კიდევ კარგი, ჰალმის ღვინოს დინგ დოს ერთი თავგამოდებული თაყვანისმცემელი უგზავნიდა საჩუქრად. კაშილის ოჯახურ რელიქვიას, ბაბუამისის მიერ მოკლული მარტორქის ყანწს, ამდენი ხმარებისაგან სულ ლაპლაპი გაუდიოდა.

როდის-როდის დაწყდა სტუმართა ნაკადი და ბოლოს ერთი-ორი პროვინციელი თუღა შემოვლიდა ხოლმე ასე, წელიწადში ორჯერ.

სამაგიეროდ, ქანდაკებას ყოველთვიურად ამოწმებდა „სიფხიზლის რაზმი“ კინკას მეთაურობით.

კაშილი ყოველ დილას საკუთარი ხელით წმენდდა საყვარელ დინგ დოს, ცივ ნიავს არ აკარებდა, საგანგებო ფხვნილით ასუფთავებდა და თერმოსტატით ოთახისა და თაბაშირის ტემპერატურას უჯერებდა ერთმანეთს, ლი-ლის შედეგრს ბზარი არსად დააჩნდესო. ის კი არა, საკუთარი ხელით მიახრჩო საყვარელი მაიმუნი ბუბა, რომელმაც გაბედა და თავისი ფაფუკი კუდი რკინის ჩარჩოს მიაკარა.

●

და აი, ერთ დღეს... ჰოი, საშინელებავ! ჰოი, უბედურებავ! კაშილის თაბაშირის ქანდაკება ხელიდან გაუვარდა და გაუტყდა!

გაშრა კაცი, ხელ-ფეხი წაერთვა, პულსიც, ჰა და ჰა... რას არ გაიღებდა, რომ ეს ერთი წამი როგორმე უკან დაებრუნებინა. ახლა მას უსაყვარლესი და უძვირფასესი დინგ დოს მოღალატედ შერაცხდნენ!

უაზროდ დასცქეროდა კაშილი თაბაშირის დინგ დოს ორად გაპობილ თავის ქალას, იატაკზე მიფშვნილ ცხვირს, სამოსის დიდებულ ნაოჭებს...

ამ დროს კარზე მარჯვენა მეზობელმა დაკაკუნა, რა მოხდაო. მას მხარს უმშვენებდა მარცხენა მეზობელიც, რომლის წვრილი თვალები მოუსვენრად დათრთინებდნენ ახალი ამბის მოლოდინში.

ხომ შავ დღეში იყო კაშილი, მაგრამ მისმა ნაწრთობმა ბეთქილაპურულმა ნებისყოფამ მაინც შეძლო, მოეთოკა მორღვეული სხეული, შეებოჭა აკანკალებული ხმა და ბუნებრივთან მიახლოებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ღიმილით ეთქმევინებინა: „არაფერია, სავარჯიშო ბირთვი დამივარდაო...“

კაშილიმ მადლობა შესწირა კალენდულას სულს, რამეთუ ქანდაკების ნამსხვრევები ვერც ერთმა მეზობელმა ვერ შენიშნა.

ამ ამბავმა გაამხნევა წყალსადენის მუშაკი და ისიც დანახვა, რა სიფრთხილე მართებდა ამიერიდან. კინკას რაზმის გამოჩენამდე, დინგ დოს შეწევნით, კიდევ ოცი დღე რჩებოდა.

კაშილი დაფიქრდა. საჭირო იყო, ეშოვა თაბაშირის ასლი, ზუსტად ისეთი, როგორიც აქამდე ჰქონდა, ხოლო ნამსხვრევები უკვალოდ გაენადგურებინა! ბეთქილაპურში, ოფიციალური მონაცემებით, კიდევ ოთხი ასლი რჩებოდა.

არაოფიციალურით?!

იმედის ნაპერწკალი აკიაფდა კაცის გულში, მაგრამ დინგ დოებთ ვაჭრობა, ბუნებრივია, კატეგორიულად იკრძალებოდა. ამაზე მეტად საშიში იყო გულდაგულ დამალული ოქროს გამოჩენა, რადგან კანონით მოქალაქეებს მთელი თავისი ოქრო სახელმწიფოს ძლიერებისთვის უნდა შეეწირათ. მაგრამ ბეთქილაპურელთა უმრავლესობა, მათ სამარცხვინოდ უნდა ითქვას, ამ კანონს არღვევდა და ოქროულობას დიდი სიფრთხილით ინახავდა.

კაშილსაც ჰქონდა მემკვიდრეობით დატოვებული ოთხი პარკი ოქრო და ახლა სწორედ ეს პარკები იყო მისი ერთადერთი იმედი. თანაც იცოდა, რომ ოქროს გულისთვის ზოგიერთი თავზეხელაღებული პიროვნება არაფერს ეპუეჩოდა და არცთუ იშვიათად რომელიმე მათგანს უდაბნოს გრძელსა და ცხელ გზას გაუყენებდნენ ხოლმე...

ერთ-ერთ ასეთ ნაძირალას — ცალთვალა აკოს კაშილიც იცნობდა.

მას ყველა შიშითა და მორიდებით შეჰყურებდა, რადგან რამდენიმე კაცი ისე გააქრო, თვალი არ დაუხამხამებია და კვალიც არ დაუტოვებია. იმასაც ამბობდნენ, ეშმაკთან კავშირი აქვს შეკრულიო!

კაშილიმ გადაწყვიტა, იმავ ღამით მოეძებნა ნაძირალა, რადგან მეტი გზა მაინც არსად ჩანდა. ახლა კი... და ახალმა შიშმა მოუწურა გული — ხვალ დამლაგებელი უნდა მოსულიყო — კინკას ერთგული ქალი, ჭეშმარიტი პატრიოტი...

მაინც გადაწყვიტა, ბედს არ დამორჩილებოდა და ყოველი ღონე ეხმარა თავის დასაძვრენად.

●

ბანდიტი აკო ის-ის იყო, ერთი ბნელი საქმიდან დაბრუნდა და ისვენებდა. „ეს რაღაც მოათრიაო“, კაშილის დანახვაზე გაიფიქრა და ბანჯგვლიანი მუცელი მოიფხანა.

კაშილიმ ჩურჩულით გაანდო თავისი გასაჭირი.

ნაძირალა ისე გაამხიარულა ამ ამბავმა, რომ სიცილით ჩაბაყირდა.

კაშილიმ სიფხიზლის რაზმი ახსენა დიდი მოწიწებით.

— ჰოო... იმათი შენ გეშინოდეს, მე რა! — ნაძირალამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც დაუწია ხმას და კაშილის ცხვირში ხელი ჩაავლო, — ხომ არ მატყუებ?!

— რა ძალა მადგას! — ამოიდუღღუნა კაშილიმ.

— კარგი, სამი ქისა დასჭირდება მაგ საქმეს.

— ერთზე მეტი არა მაქვს!

— იშოვი! — თქვა ნაძირალამ, კაშილის ხელი შეუშვა და თითები შარვალზე შეიწმინდა.

— ვერ ვიშოვი.

— ფიცარს აწევ და იშოვი!

— ჩუ! — კაშილიმ უმწეოდ მიმოიხედა გარშემო.

კმაყოფილი აკო დამცინავად უყურებდა უბედურს.

— ხომ გითხარი, იშოვი-მეთქი! ერთ თვეში გამოიარე.

— ერთი თვე ბევრია, ორ კვირაში უნდა მომიხერხო.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ხელს დაჰკრეს და კაშილიმ იქვე გადასცა ავაზაკს ავანსად ერთი ქისა. კიდევ ორ ქისას მისცემდა ნაძირალას და თვითონ კი დარჩენილ ქისას როგორმე იკმარებდა, კალენდულას შეწევნით.

●

კაშილი შინ შესვლისთანავე საწოლს ეცა, გამოსწია და მტვრიანი ხალიჩა აიღო. ერთი შეხედვით აქ ჩვეულებრივი იატაკის ფილები ეგო, ისეთი, როგორც მთელს ბინაში, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ვახლდათ. წყალსადენის მუშაკმა კედელზე საიდუმლო ზამბარას თითი დააჭირა და ერთ-ერთი ფილა თავისუფლად ამოიღო იატაკიდან. აქ ინახებოდა მთელი მისი აელა-დიდება. ნაძირალასაგან დაშინებულმა კაშილიმ დარჩენილ ოქროს სხვა სამალავი მიუჩინა და აქ კი ქანდაკების ყველაზე მსხვილი ნამტვრევები დაფლო. რაც სამალავში ვერ ჩაეტია, სამზარეულოში მოაქუჩა და დაფაქრდა. მერე განჯინიდან ჟანგიანი ქლიბი გამოიღო და თაბაშირს გაუსვა. საზიზღარი წრიპინი ატეხა ქლიბმა, იმდენად ნერვებისმომშლელი, რომ კაშილიმ ქლიბი ისევ თავის ადგილს შეინახა და ახლა ქვასანაყი გამოიღო. პირველივე დარტყმამ მთელი სახლი შეაზანზარა. კაშილი დაფეთდა და გაიტრუნა. მეზობლებისაგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ამჯერად გადარჩა და გადაწყვიტა, უფრო უხმაუროდ ემოქმედა. თაბაშირის სრესვა დაიწყო. ძნელად იფხვნებოდა თაბაშირი, შეუჩვეველ კაშილს ყოველ წუთს უსხლტებოდა ხელიდან სანაყი ქვა, თითებსა და ხელისგულზე ბებერები ამოუვიდა, მაგრამ რა ტკივილზე იყო ლაპარაკი, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა...

●

თენდებოდა.

კაშილს მთელი სახსრები სტკიოდა, თვალები თაბაშირის მტვრისაგან ჩასწითლებოდა. თავით ფეხებამდე იმავე მტვერში ამოგანგლულიყო, დახეულ-ბებერებიდან სისხლნარევი სითხე სდიოდა... ის იყო, ტანსაცმელი გამოიცვალა, თავზე ცივი წყალი გადაივლო და ლოგინის ნატვრით ტკბილად გაიზმორა, რომ კვლავ შიშის კანკალმა აიტანა — დამლაგებელი ხომ მაშინვე შეამჩნევდა ცარიელ რკინის ყუთს!

დრო აღარ ითმენდა.

კაცმა მაგარი მუყაოსაგან რის ვაივაგლახით გამოჭრა დინგ დოს სილუეტი, ზედ თეთრი ქაღალდი დააწება და კარადაში შედგა.

●

დამლაგებელი მოვიდა, ბინა მიალაგა, მტვრიან ადგილებს სველი ჩვარი მოუსვა, მინის კარადაც გაასუფთავა ისე, რომ ქანდაკებისათვის არც შეუხედავს და ბუზღუნ-ბუზღუნით გაიკეტა კარი.

„მძინარე“ კაშილიმ სიხარულით ლამის იყო სიმღერა შემოსძახა, მაგრამ გაახსენდა, დინგ დოს სადიდებელი ჰიმნი უნდა ეგალობა, სამსახურში წასულიყო და სიმწრით ამოიკვნესა. ბოლო ჩვიდმეტი წლის მანძილზე პირველად გამოტოვა ჰიმნის გალობა და სამსახურში წალასლასდა.

●

საქმე კარგად მიდიოდა.

მხოლოდ ერთხელ გადაუბრუნდა გული კაშილის, როცა კვირის ბოლოს, შუადამისას დინგ დოს ფანატიურად მოყვარული ვიღაც პროვინციელი შემოეხეტა და ქანდაკების ნახვა მოინდომა. გულისფანცქალით შეიყვანა კაშილიმ სტუმარი საკურთხეველში, მაგრამ პროვინციელი კარგი პალმის ღვინით იყო გამობრუჟული და დინგ დოს ქანდაკებას კი არა, საკუთარ მამას თუ იცნობდა, ისიც საკითხავი იყო. მაინც სიფრთხილე იხმარა კაშილიმ — კარადის თავიდან მარტორქის დამტვერილი რქა გადმოიღო და ღვინით გაუვსო სტუმარს. პროვინციელმა, რაღა თქმა უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრძანებლის სადღეგრძელო მთელი ეშხით დალია და ყანწი მასპინძელს გადულოცა. ბოლომდე უყურა, სანამ კაშალიმაც არ დასცალა ყანწი.

კაშალი ღამეში დაახლოებით კილონახევარ თაბაშირს ფხვნიდა და წყალში უშვებდა. ის კი დაავიწყდა, რომ მისივე უწყების თაოსნობით (ამ თაოსნობაში თვით კაშალის დამსახურებაც იყო), მტრების ხრიკების გამოსავლენად, კანალიზაციის მილები გამჭირვალე მინისაგან იყო გაკეთებული!

წყალი, რომელიც კაშალის ბინიდან გამოდიოდა, ამ ბოლო დროს საშინელ ეჭვებს ბადებდა მარცხნივ მცხოვრებ მეზობელში. „თეთრად რატომ იღებება წყალიო“ — ამაზე ფიქრით გაუსკდა თავი ამ მეზობელს, კინაღამ ცნობისმოყვარეობისაგან გარდაიცვალა, მაგრამ, კაშალის საუბედუროდ, გადარჩა და საიდუმლო რომ ვერ გამოიცნო, გადაწყვიტა, სიფხიზლის რაზმს დაკავშირებოდა. ცნობისმოყვარეობა ხომ კლავდა, თანაც, იმის ეშინოდა, ვაითუ, რამე გამოტყვრეს, სიფხიზლის მოდუნებისათვის პასუხს მაგებინებენ და, საერთოდ, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო!

●

ამასობაში კაშალიმ საქმე მოითავა. ნაძირალამაც დროზე ადრე მოუტანა დაპირებული ქანდაკება და კუთვნილი ოქროც ჯიბეში ჩაიჩხრიალა.

●

დადგა ღირსშესანიშნავი კვირადღეც! სიფხიზლის რაზმმა, რომელსაც ამჯერად თვით კინკა მოუძღოდა, კაშალის ბინის კარი შეაღო.

არასდროს ყოფილა ასეთი ლამაზი თაბაშირის დინგ დო — თეთრად ქათქათებდა სამაგალითოდ მოვლილი ქანდაკება.

მაგრამ კინკამ ბიუსტისაკენ არც გაიხედა.

მასპინძელს აქეთ-იქიდან ორი რაზმელი ამოუდგა.

„რა? რატომ? საიდან?“ — მხოლოდ ამასღა გამოხატავდა წყალსადენის წარჩინებული მუშაკის ერთ წუთში დაბერებული სახე და ბეჩავი პოზა.

მტრებისათვის რაიმე ცნობის გაცემა სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ კინკამ, როგორც კაშალის ძველმა ნაცნობმა, ეს წესი დაარღვია და ყურში ჩასჩურჩულა: „ჰოდა, ახლა გაჩვენებთ, როგორ უნდა ცარცისაგან ოქროს მიღება. თანაც უჩვენოდ!“

— არა! — დაიგმინა კაშალიმ, მაგრამ უცებ დინახა, როგორ გამოჰქონდათ რაზმელებს სამალაეში შენახული ქისა და ხმა გაებზარა.

— არა! არა! არა! — უკვე ეზოდან მოისმოდ მისი კვნესა.

დადარაჯებული მეზობელი კარის ჭუჭრუტანას მოსცილდა და შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა.

LXIII. ლალისფერი კუნძული

უბრალო კაცისთვის ყველა ომი წაგებულია!

ისტორიული გამოცდილება

ბეთქილაპური მთიდან დაშვებული მოთხილამურესავით სულ უფრო და უფრო სწრაფად მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

მაგრამ გამოცდილმა მოთხილამურემ კარგად იცის, სად, როდის და როგორ უნდა შეჩერდეს, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხოს.

ქვეყნის მბრძანებელმა კი ეს არ იცოდა.

სულ რაღაც ორიოდ წელიწადში მდიდარი ბეთქილაპური გაპარტახების პირას აღმოჩნდა.

ქვეყნის დაბეჩავებას უპირველეს ყოვლისა უკაცრიელი ნავსადგური აღსტურეზდა; აღებ-მიცემობა ჩაკვდა; ქარიშხალს გადარჩენილი გემები თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ეს იყო და ეს!

ყოველივე სიკეთესთან ერთად მიწისძვრა, გაუთავებელი წვიმები, წყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდობები და მეწყერები ავად შემოეჩვევნენ ბეთქილაპურს. მოქალაქენი, რომლებიც ადრე განცხრომით ცხოვრობდნენ და ნუგბარ-დარჩეულს მიირთმევდნენ, ახლა ხმელა პურის ნაჭერსაც აღარ თაკილობდნენ.

დინგ დოს, ფიდუს ტიტინ-კარნახის ნამოწაფარს, ეკონომიკაში არაფერი გაეგებოდა და არც უნდოდა გაეგო. იგი აბეზარი ბუზივით იგერიებდა მთავარ ხაზინადარს, რომელიც ცდილობდა აეხსნა მბრძანებლისთვის, რას ნიშნავდა შემოსავალი და გასავალი, რამდენი შრომა სჭირდებოდა ერთი ოქროს კოლას გამომუშავებას, როგორ უნდა შეცვლილიყო ბეთქილაპურში გადასახადების სისტემა, რა ხდებოდა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში და ა. შ.

უძილობითა და ეჭვებით დაღრღნილი მბრძანებლისთვის ყოველივე ეს გაუსაძლისი დატვირთვა იყო და კინკას აგრძნობინა, ეს კაცი მომაშორეო.

ეს საკმარისი იყო, რომ მთავარი ხაზინადარისათვის უდაბნოში ეკრათ თავი.

„რის გადასახადები, რა გადასახადებიო“, ფიქრობდა დინგ დო. მბრძანებელს უფრო ძალუმი ღონისძიებანი ჰქონდა ჩაფიქრებული მდგომარეობის გამოსასწორებლად!

●

დაკვირვებული თვალი იმდროინდელ ბეთქილაპურში ერთ უცნაურ კანონზომიერებას აღმოაჩენდა: რაც უფრო მეტად იმშეოდა ხალხი, მით უფრო მეტი ადამიანი იკრიბებოდა კალენდულას საზელობის მოედანზე და მით უფრო დიდი აღტყინებით გაიძახოდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილ პატრიოტულ მოწოდებებს.

ბეთქილაპურელებს სჯეროდათ, რომ მათი სათაყვანებელი დინგ დო მალე ისევ აავსებდა ქვეყანას ყოველგვარი სიკეთით.

ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ გაამაყებული მბრძანებელი თითქმის სრულიად კარგავდა განსჯის უნარს. ჭეშმარიტი პატრიოტებისაგან შემდგარი მთავრობა! ერთგული ქვეშევრდომები! კინკა! კალენდულას რჩეული მბრძანებელი და გაჭირვება?! მტრები, სადღაც ახლოს ჩასაფრებული მტრები — აი, ბოროტების თავი და თავი! რამდენს დაყრევინა თავები და მაინც ბოგინობენ!

●

ბეთქილაპურს ირგვლივ, როგორც გახსოვთ, თვალუწვდენელი ოკეანე ერტყა და მხოლოდ ლალისფერი კუნძული მდებარეობდა მის შორიახლოს.

მბრძანებელმა ერთ საღამოს ქვეყნის უპირველესი გეოგრაფოსი იხმო და მოწშეებს გარეშე კარგა ხანს ესაუბრა. ამ საუბრის შინაარსი თვით კინკამაც არ იცოდა. ის კი ცნობილია, რომ სასახლიდან შინ მიმავალი გეოგრაფოსი მშიერი ვეფხვის გალიაში აღმოჩნდა.

დინგ დო ამ ვიზიტის მერე დიდხანს ვერ დაწყნარდა, ბოლთას სცემდა და ბურტყუნებდა:

„ვირები, უვიცები, არ იციან, როდის უნდა დამიდგნენ მხარში... მეცნიერული ჭეშმარიტება! ჰმ, ვითომ ჭეშმარიტება საერთოდ არსებობდეს ამქვეყნად! ბრიყვები! უმეცრები!“

— კინკა!

— გისმენთ, მბრძანებელო!

— ვინმე გამოცდილი მეთევზე უნდა მომგვარო!

— არის, მბრძანებელო!

ამჯერად ბაასს კინკაც დაესწრო.

გაოგნებულ მეთევზეს დიდხანს ვერ გაეგო, რას მოითხოვდნენ მისგან.

ბოლოს მბრძანებელმა პირდაპირ ჰკითხა: იმ კუნძულზე ხომ არავინ შეგიმჩნევიაო.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, მე წყალში ვიყურები ხოლმე... თხები უნდა იყვნენ...

— თუ მაღლა არ იყურები, საიდან იცი, რომ თხები არიან?! — უხეშად შეაწყვეტინა კინკამ მოხუც მეთევზეს.

— ძალიან მაღალი კლდეებია და ბღვა იქ მუდამ ღელავს... ისე, — სასწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფიდ დააყოლა ჭკვიანმა მოხუცმა, როცა შეატყო, მბრძანებელი ჩემმა პასუხებმა მაინცდამაინც ვერ აღაფრთოვანაო, — შიგდაშიგ იქიდან სტვენის ხმები მოისმის ხოლმე, შენი ჭირიმე...

— ასეც ვიცოდი! — განაცხადა მბრძანებელმა.

ამ პასუხის გამო მოხუც მეთევზეს მბრძანებლის დეკრეტით ბეთქილაპურის უპირველესი მეთევზის ტიტული მიენიჭა.

●

დილითვე დინგ დომ საიდუმლო თათბირი მოიწვია.

თათბირს ესწრებოდნენ: ადმირალი ამიგო, საგარეო ურთიერთობათა მინისტრი კარდო და კინკა. საურა თათბირზე არ გამოცხადდა.

— თანამემამულენო! ბეთქილაპური განსაცდელშია! ალბათ, ჩვენი მეტისმეტი შემწყნარებლობისა და კაცთმოყვარეობის ბრალია, რომ კიდევ ბოგინობენ ისინი. მტრები უნდა გავანადგურო. მე დავადგინე... — მბრძანებელმა მრავალმნიშვნელოვნად გადაავლო თვალი საკრებულოს, — ...მათი ბუნაგი მეზობელ კუნძულზეა!

— ნამდვილად! — შესძახა აღფრთოვანებულმა ამიგომ, ვისაც ძილშიაც „რქიანი ლომის“ ორდენი ესიზმრებოდა.

— გველები უნდა გავსრისოთ! ვაცხადებ ლაშქრობას! ფლოტის წინამძღოლობას ვაკისრებ ადმირალ ამიგოს! წინ, კუნძულისაკენ! კალენდულა იყოს ჩვენი შემწე!

●

ამო სანახავი იყო ლაშქრობისათვის გამზადებული ფლოტილია.

ანძებზე დროშები ფრიალებდა.

მუსიკა.

ტაში.

შეძახილები.

მისასალმებელი გასროლები.

გამცილებელთა ცრემლი.

ლაშქრული სიმღერები.

●

და აი, არმადა ლალისფერი კუნძულის დასალაშქრავად გაშლილ ოკეანეში გავიდა!

მეთევზეებმა ამდენი მრისხანედ ზარბაზანმომარჯვებული ხომალდის დანახვაზე ნავები მოაბრუნეს და თავთავიანთ ქოხებში შეიყუჟნენ.

ადმირალმა ამიგომ, ვისაც ბეთქილაპურში „დიდი სტრატეგოსის“ სახელითაც იცნობდნენ, ხმალი მაღლა აღმართა.

გაისმა საზღვაო არტილერიის ვამაყრუებელი ზალპი!

კუნძულის მხრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ამიგომ ეს ჭკვიანი და გამოცდილი მტრის ვერაგობას მიაწერა, ორიოდე დღე იფიქრა და ბოლოს ქვეშევრდომთ აუწყა, კუნძულს ყოველი მხრიდან ალყა უნდა დავარტყათ და მაშინ ვეღარავინ გაგვექცევაო.

თქმა და შესრულება ერთი იყო.

გემები კოხტა წრედ შემოერტყნენ კუნძულს და ბათქაბუთქი ახალი ძალით გახურდა.

— აა! იკადრეთ პასუხი?! — წინასწარმეტყველის იერით განაცხადა ადმირალმა, — აწი კი გაჩვენებთ სეირს!

ოკეანე ადუღდა ჭურვებისაგან, რომლებსაც ხან აქ და ხან იქ გაჰქონდათ წყალზე ტყაპანი.

ბოლოს ერთი ჭურვი ფლაგმანის კიჩოზე დაეცა, აბოლდა, მაგრამ არ აფეთქდა. სასწაულით გადარჩენილი გემის კაპიტანი შორიახლო იდგა და ჭურვთან ვერ მიდიოდა.

მამაცმა ადმირალმა ამაყად გადახედა კაპიტანს, ჭურვს მიუახლოვდა და ზედ ცარცით შესრულებული წარწერა ამოიკითხა: „სიკვდილი მტრებს! გაუმარჯოს ბეთქილაპურს!“

ადმირალმა სასწრაფოდ ჰკრა ჩექმის ჭვინტი ჭურვს და წყალში გადააგდო.

კაპიტანი კი კიდევ დიდხანს იმტვრევდა თავს იმის თაობაზე, თუ რატომ გასცა ადმირალმა ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ადმირალის ბრძანება უცებ ვერ შესრულდებოდა, ღამეს რომ არ ჩამოვედო თავისი მანდილი.

მეორე დილას ამიგომ კვლავ ერთად შეჰყარა ფლოტილია და კუნძულის პირდაპირი იერიშით აღება გადწყვეტა. მაგრამ სასამისოდ შესაფერისი დრო ჯერ არ დამდგარიყო. ციცაბო ნაპირებს უზარმაზარი ტალღები ეხეთქებოდნენ და ვერც ერთი გემი ვერ გაბედავდა ახლოს მისვლას.

ადმირალმა დესანტის გადასასხმელად შედარებით უხიფათო ადგილს ძოსაძებნად ყველაზე სწრაფმავალი გემი გაგზავნა.

სწრაფმავალმა გემმა რამდენიმე საათში შეასრულა დავალება. კაპიტანმა ადმირალს მოახსენა:

—ადმირალო! თქვენი ბრძანების თანახმად კუნძულის მთელი სანაპირო ზოლი დათვალიერებული იქნა. აღმოჩენილია ერთი შედარებით უხიფათო ადგილი. მოწინააღმდეგის ფლოტს არც ერთი გემი არ ჩანს! დიდება კალენდულას! დიდება დინგ დოს! გუმარჯოს ბეთქილაპურს!

— გაგვიმარჯვნია და ეს არის. ახლა კუნძულიღა დაგვრჩა დასაპყრობი! — ქება ღირსულმა ადმირალმა და არწივისებური მზერა შორეთს მიაპყრო.

●

ზღვა ოდნავ დაწყნარდა თუ არა, ადმირალმა ფლოტი კუნძულის ნაპირებისაკენ დაძრა. მან ისე წარმატებით განახორციელა ეს ოპერაცია, რომ ერთი ფრეგატის მეტი არ დამსხვრეულა სანაპიროს კლდეებზე.

„ვაშას“ ძახილით გაცვივდნენ ბრძოლასმოწყურებული ჯარისკაცები საძულველი მტრების მოსასპობად, გასანადგურებლად.

კუნძულის თავზე ისეთი კვამლი დადგა, რომ რომელიმე თეორეტიკოს მეცნიერს ნაძვალოდ ვულკანის ამოფრქვევა ეგონებოდა. ამ ბრძოლაში, კალენდულას შეწევნით, მსხვერპლი არ ყოფილა, მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცი დაიჭრა მსუბუქად.

მამაცი ადმირალი მწვერვალზე ავიდა და ბეთქილაპურის დროშა ააფრიალა!

იქიდან მშვენიერად ჩანდა, რომ კუნძულზე ბეთქილაპურელი ჯარისკაცებისა და კლდეებს შეყუჟული თხების გარდა არავინ იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ადმირალმა ამიგომ იცოდა!

●

— მზისა და მთვარის ნეტარებავ, დიადო მბრძანებელო დინგ დო! ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ უკლებლივ ყველა მტერი განადგურებულია. ბეთქილაპურის ძლევამოსილმა არმიამ სრული და ჯერარნახული გამარჯვება მოიპოვა! დიდება ბეთქილაპურს! დიდება კალენდულას! დიდება დინგ დოს!

— ვაშა! — მწყობრად იხუვლა ჯარმა.

დინგ დომ თავისი ხელით დაპკიდა ადმირალ ამიგოს „რქიანი ლომის“ ორდენი, მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს კი მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება და უთხრა, ასეთ სასახელო ბრძოლაში მონაწილეობა თავისთავად დიდი ჯილდოა ყოველი თქვენთანისთვისო...

LXIV. ბინ ჯრაიტის მოგზაურობა

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ლალისფერი კუნძულის თავზე ბეთქილაპურული დროშა აფრიალდა. ამ შესანიშნავი გამარჯვებისადმი მიძღვნილი ზეიმებისაგან ძლივს გამოფხიზლებულმა ბეთქილაპურელებმა გაკვირვებით აღმოაჩინეს, რომ საჭმელ-სასმლის მარაგი ხავსებით გაენადგურებინათ.

თუ აქამდე მადლიანი ბეთქილაპურული მიწა ასე თუ ისე მაინც ინახავდა თავის შვილებს, დადგა ზაფხული და არნახულმა გვალვამ გაახმო და გაანადგურა ყოველივე ცოცხალი.

ქვეყანაში შიმშილი დაიწყო.

მეთევზეები თევზს ვეღარ იჭერდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეები ნადირისაგან დაცარიელდა. ყველაზე თადარიგიანმა დიასახლისებმაც კი პირწმინდად გამოასუფთავეს თავიანთი სარდაფები და საკუჭნაოები.

დამფრთხალი მაიმუნები სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ ადამიანებს.

ბეთქილაპურში მომრავლდა უკმაყოფილო სახეები. მითქმა-მოთქმა, ბუზღუნი, თუმცა ჭეშმარიტი პატრიოტების შიშით ბოლომდე მაინც ვერავინ ამბობდა სათქმელს. მოქალაქეებს უკვე აღარ სჯეროდათ, რომ ეს ყოველივე დროებითი იყო და ზოგიერთის თვით მბრძანებლის სიბრძნეშიც ეპარებოდა ეჭვი, თავისთვის. რა თქმა უნდა.

ოკეანის სანაპიროზე რომ ტყე და ფოთოლი ხმებოდა, წარმოიდგინეთ, უდაბნოში რა მოხდებოდა! მტრების დარაჯებმა თავიანთი კარვები მიატოვეს და მთებში გადაიხვეწნენ, დარწმუნებულები, რომ გაუსაძლისი სიცხე არც ერთ მოღალატეს არ დატოვებდა ცოცხლად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა! აქ უკვე იმდენი თავიანი ადამიანი — მეცნიერი და ინჟინერი სახლობდა, რომ მეუდაბნოეებს უწყლობა არც აგრძნობინეს. ღრმა არტეზიული ჭებიდან ბამბუკის მილებით განუწყვეტლივ მოწანწკარებდა სუფთა და ცივი წყალი.

სწორედ უდაბნოდან მოდიოდა მართალი და მკაცრი სიტყვა, კეთროვანთა სოფელში მრავლდებოდა და შერე მთელს ბეთქილაპურს ედებოდა. მოხეტიალე დასის საშუალებით დაუთას უდაბნოში ჩასახლებულ ხუცესყოფილ ჯოშვასთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა გაბმული და ამ არხის საშუალებით, კინკასა და მისი რაზმელების მცდელობის მიუხედავად, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა ხელით ნაწერი ფურცლები.

სიმართლე დაჟინებით მიიწევდა ბეთქილაპურელთა გონებისაკენ...

●

დიდი მიწისძვრის შემდეგ კალენდულას მოედანზე მდგარ ბრინჯაოს დინგდონს ერთი შეუმჩნეველი ბზარი გაუჩნდა. მაგრამ დრო გადიოდა, ბზარი ნელ-ნელა ღრმავდებოდა და შეიქმნა იმის საშიშროება, რომ დიადი და სათაყვანებელი მბრძანებლის ძეგლი ერთ უბედურ დღეს შუაზე გაპობილიყო. ბრინჯაოს ჩამოსხმის ოსტატები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ძეგლის გადასარჩენად. მაგრამ უშედეგოდ. თუმცა, ბეთქილაპურელმა ჭეშმარიტმა პატრიოტებმა აქაც იპოვეს საამაყო: ეს ერთადერთი ძეგლი აღმოჩნდა მთელ დუნიაზე, რომელიც ზუსტად შუაში გაბზარულიყო. საცარია, მაგრამ ამ ამბავმა რამდენიმე სენსაციების მოყვარული უცხოელი ბეთქილაპურისაკენ შორეულ გზას გაუყენა.

●

ოკეანესგაღმელი მილიონერის ვაჟიშვილი გინ პრაიტი ზამთარ-ზაფხულ აღმა-დაღმა სერავდა ზღვებსა და ოკეანეებს. კურიოზებზე გაგიჟებულ გინს არაფრად უღირდა რომელიმე სასაცილო საფლავის სანახავად ავსტრალიაში ან გრენლანდიაში გასეირნება. ამ დაუღალავმა ჯენტლმენმა არ დაიზარა, ჩასულიყო აზიის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოში, რათა საკუთარი თვალით ენახა ძეგლი ადგილობრივი ბელადისა, რომელსაც ერთი ქუდი თავზე ეხურა, ხოლო მეორე გამოწვდილ ხელში ეჭირა! გინ პრაიტისათვის დიდი ბედნიერება იყო, ჩამოერთმია ხელი კაცისათვის, ვინც გერმანიაში ყველაზე მეტ ლუდს, საქართველოში ყველაზე მეტ ღვინოს, ან რუსეთში ყველაზე მეტ არაყს სვამდა. ეს ცნობისმოყვარე პიროვნება ერთხელ კინაღამ კაცეჭამიებს შემოეჭამათ, მაგრამ პუტკუნა მზარეულით დანაყრებულებმა გინს ზედაც აღარ შეხედეს... პრაიტის მიერ დაქირავებული აგენტები მთელს პლანეტაზე დაძრწოდნენ, რათა პატრონისთვის რაიმე საცარი და საინტერესო მოვლენის შესახებ ეცნობებინათ.

როცა გაიგო, ბეთქილაპურში რაღაც ძეგლი გაბზარულაო, გინ პრაიტმა მია-

ტოვა იაპონია, სადაც დღე დღეზე ვულკანის ამოფრქვევას ელოდებოდნენ და დინგ დოს მშობლიური კუნძულისაკენ აიღო გეზი...

●

ნაშუადამევს ჩამოსული გინ პრაიტი დილაუთენია ადგა, მადიანად ისაუზმა, იახტის კაპიტანს დაუბარა: საღამოსთვის მზად იყავი, პერუსკენ მივემგზავრებით მსოფლიოში უმახინჯესი ადამიანის სანახავადო და განუყრელი მცველის თანხლებით ბეთქილაპურის მთავარი მოედნისკენ გასწია, სადაც მას არაჩვეულებრივი სანახაობა — გაბზარული ძეგლი ეგულებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჯენტლმენს მცველად ედგა ადამიანის ტანსაცმელში გამოწყობილი უზარმაზარი გორილა. თავხედი ბეთქილაპურელი მაიმუნები ტოტებში შემალულიყვნენ და შიშით უთვალთვალებდნენ პირქუშ თანამომძეს...

სამგიერად, თვით გინ პრაიტი ახდენდა არცთუ სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას. თვითონ განსაჯეთ — მოგზაურს ეცვა მოკლე ყვითელი შარვალი, საიდანაც დაგრეხილი და საოცრად ბანჯგვლიანი წვივები მოუჩანდა, თავზე სადგისფერი ჭყეტელა სომბრერო ეხურა, ხასხასა ლაჟვარდისფერ პერანგზე კი ნარინჯისფერი საყელო ჰქონდა შემოხვეული. ხალისიანად მოაბიჯებდა გინ პრაიტი და მხოლოდ ის უკვირდა, რომ ნავსადგურიდან მოყოლებული, მხრებსა და სომბრეროზე ძმაკაცურად ჩამოსკუპებული თუთიყუშები ვერა და ვერ მოიცილა...

●

სწორედ ამ დროს მბრძანებელ დინგ დოს მეუღლე საურა თავის ყოველდღიურ მოცოინს ამოავრებდა. მცველებითა და სახელმწიფო მოღვაწეების დაფეხვილი ცოლებით გარშემორტყმული ბეთქილაპურის პირველი ლედი ჩამქრალი მზერით მიუყვებოდა მაგნოლიებით დაჩრდილულ ხეივანს. სადღა იყო მისი მოგიზგიზე, მუდამ ანთებული მშვენიერი თვალები. არა, საურას სილამაზე დღესაც ბარე ორ ქალს ეყოფოდა, მაგრამ ეს უკვე ორმოცი წლის ქალის სილამაზე იყო.

გინ პრაიტს, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამ ტანკენარი არსებისათვის.

— შეხედე, ბაიბუ, — მიმართა გინმა თავის პირად მცველს, — ეს ქალი ამ ათიოდე წლის წინ რომ შემხვედროდა, ვატყოდი, მსოფლიოში ულამაზესი ქალი ვნახე-მეთქი.

ამ სიტყვებზე მცველმა გორილამ თავაზიანად მოიხადა ჩალის კანოტიე და წითელლრძილებიანი ჩაყვითლებული ღოჯები გამოაჩინა, რაც მაიმუნებში ალბათ ღიმილს ნიშნავდა.

საშინელი ცხოველის ამ მოძრაობაზე რაზმელებმა იარაღი მოიმარჯვეს.

— წყნარად! — შეაჩერა საურამ მცველები და გინ პრაიტს მიუბრუნდა, — უცხოელო, ამჯერად გაპატიებთ უღირს სიტყვებს, რადგან შესაძლოა არ გცოდნოდათ: მე საურა ვარ, ბეთქილაპურის მბრძანებლის მეუღლე და თანამებრძოლი!

— ჰოო, მაშინ გასაგებია...

— რა არის გასაგები?! — მკაცრად იკითხა საურამ.

— რაა? — შეყოყმანდა გინ პრაიტი და უნებურად მრისხანე მცველებისკენ გაექცა მზერა.

— ამათი ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა საურამ, — თანაც მათში არავინ იცის ინგლისური. მაშ, ბრძანეთ, რა არის გასაგები?

— თქვენი მოწყენილობის მიზეზი. თავს დავდებ, რომ რაც დედოფალი გახდით, ფეხი არსად გაგიდგამთ ამ თქვენი კუნძულიდან.

— არც ადრე, — წამოცდა საურას.

— აი, ხომ ხედავთ! თქვენისთანა ქალი კი მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა. ხომ არ გწყინთ, გულახდილად რომ გელაპარაკებით?

— ა-არა... — შეყოყმანდა საურა, ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა იგრძნო მთელი სიცხადით, როგორ ობეზრებოდა გამარჯვების სასახლე, მოუცილებელი ამალა, დამაქრულ-ამაღლებული სიტყვები და, განსაკუთრებით, დიადი მბრძანებელი. მოგზაურის ტრიპიკული მზით არაერთხელ ალოკილი სახე, ზღვის მარილიანი სუნთქვით გაჟღენთილი თმა, ბეთქილაპურისთვის ესოდენ უჩვეული ძალდაუტანებელი მიხრა-მოხრა საურას ახალგაზრდობის წლებს აგონებდა. ქალს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— იცით, რას გეტყვით?! — ძველი მეგობარივით მიმართა საურას მოგზაურმა, — მიაფურთხეთ ყველაფერს და ჩემთან ერთად წამოდით. თქვენ ამ კუნძულისთვის არა ხართ გაჩენილი.

— მაინც, საით წამიყვანთ?

— ჯერ პერუში, უმახინჯესი კაცის სანახავად. მერე კი ვნახოთ...

— სურინამში?

— სურინამში რა მინდა?!

— იქ თქვენ უმახინჯესი კაცის ნაცვლად ულამაზეს ქალს გაგაცნობდით. ეგ არ ჯობია?

— ნამდვილად! — სერიოზულად დაეთანხმა გინ პრაიტი, — მაშინ პირდაპირ სურინამისკენ გავწიოთ!

— ეჰ, ნეტავ...

— ეგ „ნეტავ“ თქვენზეა დამოკიდებული. შვილი გყავთ?

— არა.

— ჰოდა, გაიხსენეთ, ადამიანი თავისუფლებისათვის არის დაბადებული.

— როდის მიემგზავრებით?

— დღეს საღამოს.

— ჰოო, — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა საურამ, — მე კი მინდოდა სასახლეში მიმეპატიჟებინეთ.

— დიდი მადლობა, მაგრამ, ვშიშობ, დრო არ მექნება. კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! — გინ პრაიტმა ამალის დასანახად მოწიწებით ხელზე აკოცა საურას და სწრაფად დაუმატა, — ჩემს იახტას „პელიკანი“ ჰქვია. გელოდებით!

საურამ აშკარა ზიზღით გადახედა ამ ახალი ამბით აფორიაქებულ ამალას და მაგნოლიის ხის ჩრდილში დადგმულ მერხზე ჩამოჯდა.

●

ბრინჯაოს დინგ დოს დანახვაზე გინ პრაიტმა ნაბიჯს უმატა, კვარცხლბეკს ლამის თავით მიეხალა და საქმეში ჩახედული კაცის იერით დინჯად დაიწყო ძეგლის დათვალიერება. თვალით ნელ-ნელა აუყვა სახელგანქმულ ბზარს და დინგ დოს სახეს რომ დააკვირდა, უცებ ისეთი გულიანი სიცილი აუტყდა, რომ მოედანზე ყოველთვის მრავლად მყოფი საქმიანი თუ უსაქმური მოქალაქეების ყურადღება მიიპყრო. ისინი ჯერ გაოცდნენ, მერე კი თანდათან ჭარხლისფრად გაფერადება იწყეს — დიადსა და სათაყვანებელ დინგ დოს ვიღაც ტუტუცი გადამთიელი დაუფარავად დასცინოდა!

მართალია, მცველი გორილას შიშით მოქალაქენი თავიდან ხმას ვერ იღებდნენ, მაგრამ მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად საყოველთაო აღშფოთებაც მატულობდა...

გინ პრაიტს კი ნაკლებად აინტერესებდა, რა ხდებოდა გარშემო. სიცილისაგან ცრემლები სცვიოდა, დაოსებული, მუცელზე ხელებს იპარტყუნებდა, იჭეჭებოდა და განუწყვეტლივ ხარხარებდა. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი, უცხოელის წრეგადასული მხიარულება ერთ ბეთქილაპურელს რომ არ გადასდებოდა. იმ ერთს მალე მეორეც აჰყვა, მერე მესამე, მეოთხე და ბოლოს მთელი მოედანი ახორხოცდა... ამის დანახვაზე სტუმარი სულმთლად გადაირია — ქვაფენილზე წამოგორდა და ფეხები ჰაერში აასავსავა... მოგზაურს არც მოედანზე შეკრებილი ხალხი ჩამორჩა — სულ დაავიწყდათ გაჭირვება და პატრიოტული სულისკვეთება, შიში და მორიდება, კალენდულას უკვდავი სული და დინგ დოს სიყვარული... დაუოკებელი სიცილის ტალღა მთელს მოედანს მოედო...

კინკა თავისი რაზმით იმ დროს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა, როცა მხიარულებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. განცვიფრებული და მუდმივად მოღუშული რაზმელები ვერ ხედებოდნენ, რა ხდებოდა ირგვლივ. მათ დანახვაზე ბეთქილაპურელები შეეცადნენ, როგორმე თავი შეეკავებინათ, მაგრამ როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ამით სრულიად საწინააღმდეგო ეფექტს მიაღწიეს — სიცილის მეორე შემოტევა ვულკანის ამოფრქვევას დაემსგავსა და ისტერიკაში გადაიზარდა...

ამასობაში უცხოელი, რომელიც თავის ენაზე აქამდე ორ სიტყვას გაიძახოდა, გონს მოვიდა, ცრემლები შეიშრო, გორილა ბაიბუს დახმარებით ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიფერთხა, ერთხანს ახარხარებულ ბრბოს ინტერესით ადევნებდა თვალს, მერე მხრები აიჩეჩა, საფეთქელთან თითი დაატრიალა და ნავსადგურისაკენ წავიდა.

იახტა „პელიკანზე“ მას საურა ელოდებოდა.

●

„ცინგლიანი მბრძანებელი“ — ასე ითარგმნებოდა ის ორი სიტყვა, რომელსაც გინ პრაიტი განუწყვეტლივ წარმოთქვამდა.

ერთ მომენტში უცხოელის ასეთი თავხედობით შეურაცხყოფილი მოქალაქენი დაცხრნენ და ყურადღებით დაკვირდნენ ბრინჯაოს ქანდაკებას. ბზარს მხოლოდ გამოეკეთა, ერთგვარად ხაზი გაესვა მბრძანებლის პორტრეტისათვის. და აქ ყოველმა მათგანმა ცხადად დაინახა, თუ რა ოსტატობით გამოეძერწა ლილის დინგ დოს ხასიათი. ყოველგვარი დიდებული ატრიბუტიკის მიუხედავად, ეს იყო პორტრეტი ერთი სუსტი, გაუბედავი ადამიანისა. მისი ხელის მოქნევა, რომელიც ბეთქილაპურელ ხელოვნებათმცოდნეთა შეხმატკბილებული აზრით, კაცობრიობის ქომაგის შესაფერისად გამოიყურებოდა, ერთი მშიშარა კაცის მიერ თავის დასაცავად გაკეთებული უნებლიე მოძრაობა იყო და სხვა არაფერი. ბეთქილაპურელები დღეში ათჯერ მაინც ჩაუვლიდნენ ხოლმე ამ ძეგლს და არავის მოსვლია აზრად, დინგ დოს სახეს ყურადღებით დაკვირვებოდა.

●

რა თქმა უნდა, ამ ამბავმა კინკას ყურამდეც მიაღწია.

ბეთქილაპურის „ფხიზელ თვალს“ სიბრაზისაგან ფერმკრთალი სახე ჩაუმუქდა და რაზმელებს უბრძანა, სასწრაფოდ გაეწმინდათ მოედანი!

რაზმელები საქმეს შეუდგნენ და თან ცდილობდნენ, მათი ცალყბა მხიარულება უფროსს არ შეემჩნია...

ბოლოს კინკაც დააკვირდა დინგ დოს ძეგლს. სიტყვათა შეთანხმება: „ცინგლიანი მბრძანებელი“ მისდაუნებურად უხტოდა თავში... და აქ თვითონ კინკამ გაიღიმა!

●

ეს დღე იყო და ბეთქილაპურში წლობით დაგროვილი ღაძაბულობა რაღაცნაირად ერობაშად მოიხსნა.

შიმშილითა და ცხოვრების მძიმე პირობებით შეწუხებული მოქალაქეების შეენებაში ისეთმა ნაპერწკალმა გაიელვა, რომლის ჩაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა.

სიტყვა „ცინგლიანის“ წარმოთქმისთანავე ადამიანებს სახე მხიარულად უნათდებოდათ.

გახშირდა ანეგდოტები და შაირები იმ პიროვნების მისამართით, რომლის სახელის უბრალო ხსენებაც აქამდე შიშს ზარს სცემდა მოსახლეობას. გაწამებული ბეთქილაპურელები ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდნენ.

კინკას რაზმი გამალებული მუშაობდა.

ისედაც სავსე საპყრობილეები ხალხით გადაიჭედა, უდაბნოში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო, მაგრამ ბეთქილაპურელებს აღარაფრის ეშინოდათ — მიდიოდნენ ციხეში, ვარდებოდნენ „ვერონიკას აუზში“, შედიოდნენ ვეფხვის გალიაში და სიკვდილის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ასწრებდნენ, წამოეძახათ „ცინგლიანი“...

LXV. ბაუცხოება

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყველაზე სქელშუბლა და ყველაზე „ჭეშმარიტ“ პატრიოტებს, რომელთა რიცხვმაც „სიცილის დღის“ შემდეგ კატასტროფულად იწყო კლება, ბეთქილაპურელები კარგად გრძნობდნენ ქარტეხილების მოახლოებას, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა, იმუხტებოდა და შავდებოდა ქვეყნის თავზე ჩამოწოლილი მრისხანე ღრუბელი.

ყოველთვის დახვეწილი მგრძნობიარობით გამორჩეული დინგ დო ვერაფერს ამჩნევდა გარშემო. მლიქნელებითა და ფარისევლებით გარშემორტყმულს „ერთ-დერთობისა და განსაკუთრებულობის“ შეგრძნება სულ უფრო და უფრო ღრმად ეუფლებოდა. მბრძანებელს სჯეროდა მხოლოდ ის, რისი დაჯერებაც უნდოდა. მაგალითად, რომ ბეთქილაპურელი ხალხი მას არასდროს ულალატებდა. მეორე მხრივ, საურას გაუჩინარებამ დინგ დო დაარწმუნა: ცალკე აღებული არც ერთი ადამიანის ნდობა არ შეიძლებოდა. ყოველივე ამას კიდევ ერთი უბედურება დაერთო — ერთ დღეს მბრძანებელმა აღმოაჩინა, რომ ხელის ჩამორთმევითაც ვეღარ არჩევდა მტერს და მოყვარეს... ამის გამო ეჭვიანობა გაუსაკეცდა, საკუთარ თავში ჩაიკეტა და რეალურ ცხოვრებას სავსებით გამოეთიშა.

მან უკვე აღარ იცოდა, სად მთავრდებოდა სიზმარი და სად იწყებოდა სინამდვილე. სასახლეში ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა. მაგრამ ვერც მის გარეთ ძლებდა. ყოველ კუთხეში ჩასაფრებული მტრები ელანდებოდა. ისევ თავის ძველ ოთახს დაუბრუნდა. ფანჯრები რკინის გისოსებით დაამახინჯა, კარები ფოლადის ფურცლებით ააჭედინა, ყველგან ტყვიაგაუმტარი მინები ჩაასმევინა და მაინც, ერთი წუთითაც ვერ გრძნობდა თავს უხიფათოდ.

●

თავის თავს არ უტყდებოდა, მაგრამ საურას გარეშე ძალიან გაუჭირდა მბრძანებელს. მთელი ცხოვრება ცდილობდა, თავი მოეწონებინა ამ ქალისათვის და ვერ მოახერხა.

ყოველდღიური ჩხუბი, ერთმანეთის დაცინვა და შეურაცხყოფა, მწარ-მწარე სიტყვები, პათეტიური შეძახილები — ამ ფონზე მიედინებოდა მათი ერთობლივი არსებობა და მაინც, საურას მერე დინგ დოსთვის მთელი ქვეყანა დაცარიელდა... და ამ დროს მბრძანებელს გაახსენდა ის ერთადერთი ადამიანი ამქვეყნად, ვისაც მისი დამშვიდება შეეძლო — მეია!

●

ჯიშიანი შავი ულაყი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას კლდოვან აღმართზე. ცხენზე ამხედრებულ მბრძანებელს უკვირდა, მთელი ეს გზა ფეხით როგორ ამოვიარეო.

მხოლოდ საღამო ხანს მიუახლოვდა ჩვენთვის ნაცნობ ფერმას.

ფერმაში არავინ იყო.

დინგ დომ ცხენი მოაბრუნა და ჩანჩქერისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

მდინარის პირას დანთებულ კოცონთან მეია იჯდა. ბალახზე წამოწოლილ კაცს მის კალთაში ედო თავი.

დინგ დომ დაუთა იცნო.

მბრძანებელმა მკვეთრი მოძრაობით შემოატრიალა ცხენი და გააჭენა. მას სურდა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა აქაურობას და ნანახი სურათი დაევიწყებინა.

●

სასახლეში მობრუნებული დინგ დო განუწყვეტლივ ფიქრობდა მომხდარ ამბავზე. და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მძლავრად მოქმედებდა მის ფსიქიკაში ღრმად ჩაბუდებული თავდაცვითი მექანიზმი, რომელიც არწმუნებდა, ყოველივე მოგეჩვენაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრის ასეთი გაორება თვით დინგ დოსათვისაც კი აუტანელი აღმოჩნდა და ბოლოს მბრძანებელმა ისევ კინკას უხმო.

— გისმენთ, მბრძანებელო!

— დაუთა ცოცხალია!

— შეუძლებელია!

— თქვენ მე მართლა შეშლილი ხომ არ გგონივართ, ჩემი თვალით ვნახე!

— გასაგებია, მბრძანებელო.

— არაფერიც არ არის გასაგები... ცეცხლი, ჩანჩქერი... მე ის მეიასთან ვნახე, ფერმაში... ორივე აქ მომგვარე, ცოცხალი ან მკვდარი... არა, ქალს თავი დაანებე... დაანებე-მეთქი, გესმის?!

— მესმის.

— წადი... სწრაფად!

●

აქამდე კინკა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დაუთა უკვე დიდი ხანია, ცოცხლებში აღარ ეწერა, მაგრამ მბრძანებელთან შეხვედრის მერე ეს რწმენა უკვალოდ გაქრა. „სიფხიზლის რაზმის“ უფროსმა წლობით გამომუშავებული ჩვეული დინგ დოს სიტყვები კეთროვანთა სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების ჩვენებას შეუჯერა და პირველად დაეჭვდა თავისი ვერსიის სიმართლეში. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ კაცი, რომელიც კინკას კეთროვანთა სოფლიდან გაუსხლტა, სწორედ დაუთა იყო! მაგრამ ეს ამბავი კინკას სულაც არ გაუხარდა. მან უკვე აღარ იცოდა, მართალი იქნებოდა თუ არა თავისი ერთადერთი სალოცავის — ბეთქილაპურის წინაშე!

კინკამ იგრძნო, რომ ახლოვდებოდა გადამწყვეტი მომენტი, როცა მას არჩევანი უნდა მოეხდინა. აქამდე ცდილობდა, თავისი საქმე პატიოსნად ეკეთებინა და სულაც არ ეფიქრა, მაგრამ ის მოუსვენარი, სულის დამღრღნელი აზრები მაინც არ აძლევდნენ დამშვიდების საშუალებას. მის თვალწინ უნებურად გაიელვებდნენ ხოლმე „ბეთქილაპურის ღალატისთვის“ მსჯავრდადებული ადამიანთა სახეები და დინგ დოს სისხლიანი ნაბიჯები, რომლებიც თავის დროზე საყოველთაო აღტაცებას იწვევდა, დღეს აღარ ეჩვენებოდა გამართლებულად.

●

კინკამ თავისი სამი რაზმელი ტყის პირას დატოვა და მარტო შევიდა ფერმაში.

ორივენი შინ იყვნენ.

სტუმრის დასახვედრად გამოსულმა დაუთამ ხელით თვალები მოიჩრდილა და შეკრთა, როცა კინკა დაინახა.

— ბატონო კინკა!

— ჰო, მე ვარ, თანამემამულე დაუთა.

კინკამ ნახევრად ირონიულ ტონს მიმართა, რათა თავისი აღელვება დაეფარა. არადა, ჰომუნკულუსი მიხვდა, როგორ აკლდა ცხოვრებაში ეს ადამიანი. პირველად გაუელვა თავში: რატომ არის, რომ სხვებივით ან მამა არ მახსენდება, ან დედა, ან ძმა და ან დაო. მაგრამ ახლა ამას დრო არ იყო... მის წინაშე დაუთა იდგა და კინკას ვერ გაერკვია, ვინ იყო ეს პირმშვენიერი ვაჟკაცი — „ხალხის მტერი“ თუ... თანაც გრძნობდა, რომ ის რამდენიმე საცოდავი არგუმენტი, აქამდე რომ შემორჩენოდა, დაუთას პირველი სიტყვებისთანავე უკვალოდ აურთქლდებოდა.

და კინკამ გადაწყვიტა!

იგი დაუთასთან ახლოს მივიდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მართალი ყოფილხარ! მაგრამ ახლა ბოდიშების დრო არ არის; შენს გვერდით მიგულე. ბეთქილაპური უნდა გადავარჩინოთ!

●

— რა ჰქენი, ნახე დაუთა?! — მოუთმენლად შეეკითხა დინგ დო ფერმიდან მობრუნებულ კინკას.

— ა... არა, მბრძანებელო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბეთქილაპურის ფხიზელმა თვალმა“ თავის მბრძანებელს სიცრუე შეჰკადრა.

— რალაც გაგიჭირდა პასუხი!

— თქვენ ბრძანეთ, ჩემი თვალით ვნახეო და...

— ვნახე, არ ვნახე!.. რა მნიშვნელობა აქვს!.. აბა, რასა აქვს მნიშვნელობა?!. აგერ, ბრძენ კალენდულას შევეკითხოთ!

— მბრძანებელო!

— ჰო, კინკა, გავერთე, რას მეუბნებოდი, სად არიანო?

— დაუთა დიდი ხნის მკვდარია, მბრძანებელო, მე ჩემი თვალით...

— თვალებს თავი დაანებე, მერე?

— თანამემამულე მეიას კი ამ რამდენიმე წლის წინ გაუყიდია ფერმა და მთიანეთში გადასახლებულა.

— ჰმ, „თანამემამულე მეია!“ კარგად ყლერს... მაშ, მეიაც არ იყო?!.. რა გაეწყობა... კარგი, თავისუფალი ხარ..

●

დინგ დოს არავითარი საფუძველი არა ჰქონდა, კინკასთვის არ დაეჯერებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ ენდო და კიდევ ერთხელ მიაკითხა ფერმას.

მეიას მიერ მკაცრად გაფრთხილებულმა დედაბერმა მბრძანებელს კინკას ნათქვამი დაუდასტურა...

●

ამ ამბავმა გაცილებით უფრო ძლიერად იმოქმედა მბრძანებლის ფსიქიკაზე, ვიდრე მთელი ბეთქილაპურის ტრაგედიამ.

საკუთარი შეგრძნებების სიზუსტეში მის უსაზღვრო რწმენას ნიადაგი გამოეცალა.

LXVI. სიზმარეული

— ბატონო კალენდულა, ბატონო კალენდულა, თქვენ ხომ უკვე ყველაფერი იცით, მეც გამაგებინეთ რამე!

კალენდულა სასთუმალთან ეჯდა და მკაცრად უყურებდა. სავსე მთვარის შუქზე მის სახეს მომწვანო ფერი დაჰკრავდა.

— მითხარი-მეთქი... რა ხდება იქით, სიკვდილის მერე?!

— სიკვდილი, სიცოცხლე... რა მნიშვნელობა აქვს...

— მე რა ვქნა, თავი მოვიკლა?!

— ეგ დროც დადგება, თუმცა ხომ გეუბნები, არა აქვს-მეთქი მნიშვნელობა!

— როგორ არა აქვს, შენ ხომ მკვდარი ხარ...

— მკვდარი? აი, ჩემი ხელი... რა მიგავს მიცვალებულს?!

მართლაც, კალენდულას ხელი ზუსტად ისეთივე ძარღვიანი და დამუხტული იყო, როგორც მაშინ...

— ესე იგი, ცოცხალი ხართ?! ვერაფერი გამიგია... ბატონო კალენდულა! ბატონო კალენდულა! ჰო, რა იყო... ვინა ხარ?!

— დამშვიდდით, მბრძანებელო, აი, ეს წამალი დალიეთ!

— კინკა, შენა ხარ?

— მე ვარ, მბრძანებელო.

ეჭვით შეპყრობილმა დინგ დომ თავისი პირადი ექიმი უდაბნოში გააგდო და ახლა კინკა ადგა თავზე ღამღამობით.

— კალენდულა სად წავიდა?

— დიადი კალენდულა კარგა ხანია, რაც გარდაიცვალა, მბრძანებელო.

— სისულელეა! მე მას ამ წუთას ველაპარაკებოდი.

— ალბათ მისი უკვდავი სული გამოგეცხადათ, მბრძანებელო.

— ჩუმად! რა სული, რის სული... მე აი, ახლაც ვგრძნობ მისი ხელის შეხებას, ბალნიან მაჯას... შენ არსად წახვიდე...

— თუ გნებავთ, აქვე დავრჩები.

დინგ დოს ძალიანაც უნდოდა, რომ კინკა დარჩენილიყო, მაგრამ შიშის გამჟღავნების შიშმა მაინც იმძლავრა:

— არა! გვერდით ოთახში იყავი, თუ დამჭირდი, დაგიძახებ!

— ძილი ნებისა, მბრძანებელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, სწორედ დაძინებისა ეშინოდა დინგ დოს.

მთვარიანი ღამეების დადგომისთანავე დაეწყო ბავშვობისდროინდელი მოჩვენებები — გაცოცხლებული ქანდაკებები, ტანზე მოსეირნე სლიპინა ვირთხები... რამდენ ხანსაც შეეძლო, ფხიზლობდა, მაგრამ დგებოდა მომენტი, როცა მეტის გაძლება აღარ შეიძლებოდა და მაშინ...

სიზმრები რამდენიმე მკვრივ შრედ თუ ფენად ეკვროდნენ მის აღგზნებულ წარმოსახვას. ერთ ფენას რომ თავს დაალწევდა და ფიქრობდა, როგორც იქნა, გავიღვიძეო, იმ წამსვე შემდეგ შრეში ამოჭყოფდა თავს და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ, საბოლოო გამოფხიზლებამდე...

ჩაძინებისთანავე დაბარებულივით გამოეცხადებოდა ხოლმე მკვდრადშობილ და-ძმათა მთელი ლეგიონი. პაწაწინა, ვარდისფერბაფთიან კუბოებში მწოლიარე უდღეური არსებანი მისკენ იშვერდნენ თოთო ხელებს, სახეზე უცაცუნებდნენ, ეფერებოდნენ. გალურჯებული ცივი ტუჩებით კოცნიდნენ, მერე დამურების ფრთებით იმოსებოდნენ და მის ირგვლივ დაფარფატებდნენ... გაიბრძოლა, თითქოს გამოიღვიძა, მაგრამ არა, სხვა შრეში მოხვდა მხოლოდ!

აი, იგი ბრუნგარიტას სასახლის ბაღშია.

ხავსიანი ვეებერთელა ლოდი.

მშვენიერი სელენა, ზუსტად ისეთივე, როგორც იმ დაუვიწყარ დაბადების დღეს. იგი ჰომობასროს ეხვევა, კოცნის... თბილი და რბილი ტუჩები აქვს თავადის ტურფა ასულს, მაგრამ მალე ქალს სახე ეცვლება, თვალდათვალ ბერდება, იხრწნება, ბოლოს ჩონჩხად იქცევა და მაინც არ ანებებს თავს, კოცნის და კოცნის განუწყვეტლივ... გრძელი ფრჩხილები ტანში ესობა კაცს...

თუმცა არა, არაფერიც არ ხდება!

დინგ დო თავის ოთახშია.

ქათქათა მთვარე გრილ, მაცოცხლებელ ნიავთან ერთად აწყნარებს და ოფლიან სახეს უგრილებს.

სადღაც ხეებზე დახტიან მოუსვენარი მაიმუნები.

ისმის ბაყაყების ყიყინი.

ტყის სიღრმეში ერთი თუთიყუში მეორეს ესაუბრება.

კაცი მშვიდდება, წვება, მაგრამ უცებ თვალს მოჰკრავს სარკეში არეკლილ ვიღაცის ლანდს. წამოხტება, სინათლეს აანთებს და... არაფინაა!

მერე ის სარკე კვლავ ცოცხლდება. დინგ დოს წამოდგომ, აღარ შეუძლია.

სარკეში კი ერთმანეთის მიყოლებით ირეკლება დაჩეხილი, დასისხლიანებული, მდუმარე და სევდიანი ადამიანების უსასრულო წყება... მერე ის აჩრდილები სარკიდან გამოდიან, ქვის ქანდაკებებად იქცევიან და დინგ დოს გარშემო დაჰქრიან საშინელი სისწრაფით, სადაც არის, მოიმწყვდევენ მბრძანებელს და უმოწყალოდ გასრესენ... არა, მთვარის ნატეხი საბანზე დევს და მკრთალად ანათებს... ეს რა არის, მთვარის შუქი თუ ვიღაცის სახე?! არა, ტატეა, ნამდვილად ის არის, თმა და წვერი გასთეთრებია მხოლოდ.

— ტატე, სად იყავი, რატომ არ დამეხმარე?

ტატე დუმს.

— ტატე, ხმა ამოიღე, იქნებ დღესაც არ იყოს გვიან... შენ ერთს, შენ შეგიძლია, დამეხმარო, ტატე!

ტატის თვალებიდან ცრემლის მაკივრად სისხლი მოსდის და თეთრ წვერზე ეწვეთება. ტატე მთვარის ნათელში ქრება, სისხლი კი გუბდება და თანდათან ვეება ბლანტ მორევად იქცევა. ის დაუვიწყარი, საზიზღარი სუნი ასდის ამ მორევს... მარმარილოს ჰერაკლე თავს ძალით აყოფინებს იმ წებოვან მასაში. ეროხელ, ორჯერ, სამჯერ... დინგ დო იბრძვის, ფართხალებს...

— კინკა!

— გისმენთ, მბრძანებელო! — ისმის გვერდით ოთახიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, არაფერი,..

დინგ დოს გული ერევა. სახეზე ახლაც გრძნობს იმ საზარელ სიბლანტეს.

აბაზანაში გარბის, რამდენჯერმე პირს იბანს. სურნელოვანი საპნები, ნაირ-ნაირი ყვავილების წყალი — არაფერი შველის... გარეთ, ჰაერზე, სასწრაფოდ.

— კინკა!

გასეირნება ეტლით.

ადრიანი დილაა.

გრილა.

მოღუშული ბეთქილაპურელები თავიანთ საქმეებზე მიიჩქარიან.

ერთ გაღიმებულ სახეს ვერ შეხვდები ქუჩაში.

დინგ დო თანდათან რწმუნდება რომ ეს ყველაფერი რეალობაა და არა სიზმარი.

ეტლი ახლა მაგნოლიების ხეივანს მიუყვება.

ხეივანში სრულიად ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი სეირნობს. მას ისეთი მშვიდი ნათელი აფენია სახეზე, როგორც ამ დროს ქალებს სჩვევიათ.

— სელენა! — წამოიძახა მოულოდნელად დინგ დომ, — კინკა, გააჩერე ეტლი!

— სელენა?

— შენ არ იცი... გააჩერე-მეთქი, სასწრაფოდ!

მბრძანებელი ეტლიდან ჩამოვიდა და ქალს მიეახლა.

— გამარჯობა, სელენა!

— მე სელენა არ მქვია, ბატონო!

— არა, შენ სელენა ხარ, თავად კოვალოს ასული... ჩუმად, ხმა არ ამოიღო... ხომ იცანი შენი ჰომობასრო?!

ქალი დაფრთხა და მუდარით შეხედა კინკას.

— თქვენ შეცდით, მბრძანებელო, კარგად დააკვირდით, ეს სხვა ქალბატონია!

— მბრძანებელი?!

— დიახ, მბრძანებელი დინგ დო და არა ვიღაც ცინგლიანი ჰომობასრო! ახლავე ჩაჯექი ეტლში და სასახლეში წამოდი. მე ამას გიბრძანებ!

— ვაიმე, ბატონო!

— გაანებეთ თავი, მბრძანებელო, ფეხმძიმე ქალს...

— ფეხმძიმე?! ვინა, სელენა? რას მიედ-მიედებით... სელენა მე არ მიღალატებდა... თუმცა, მოიცა, მართლა ორსულად უნდა იყოს! ვინ გაბედა! მოვსპობ, გავანადგურებ!

შეშინებული ქალი კარგა ხანია, გაქცეულიყო. დინგ დო კი მძვინვარებდა:

— დილეგში ამოვალპობ, უნამუსოები... არა, ეშაფოტზე... მთავარ ჯალათს მიხმეთ!..

აქა-იქ უკვე ცნობისმოყვარეებიც გამოჩნდნენ.

კინკამ ორი რაზმელის დახმარებით ძლივს შეძლო, მოეთოკა აბობოქრებული მბრძანებელი და ეტლში შეებრუნებინა.

LXVII. იყო და არა იყო რა...

აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა
ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით
მმართველი ერთა,
აქაც ულრღნიათ შურსა, მტრობას
გულები ხარბად,
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ
ერთმანერთთა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე. „გოგჩა...“

საზარელი სიზმრებით გაწამებულ დიად მბრძანებელს იმ მთვარიან ღამეს ძილში ტუჩებზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა.

რაღაც ისეთი ლამაზი და მსუბუქი სიზმარი აჩუქა განგებამ, რომ გამოღვიძებისას დინგ დომ ისიც კი გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ ყველაფერი მოგვარდესო.

კარგა ხანს გაჰყვა ეს მშვენიერი განწყობილება.

ადგა, იბანავა, წვერი გაიპარსა და გაიხარა, რადგან სარკეში მხოლოდ მისი სახე ჩანდა და სხვა არაფერი. ის მეორე, სახედაღმეჭილი მაიმუნი დინგ დო, ბოლო ხანებში მოუშორებლად რომ დასდევდა თან, სადღაც გამქრალიყო.

მაგრამ თანდათან დილიდან აყოლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი უკვალოდ წაიშალა და მბრძანებელს ჩვეული მძიმე ფიქრები შემოაწვა.

არაუნებრივი სიჩუმე იდგა გარშემო.

მთელი სასახლე და მისი შემოგარენი გასუსულიყო და გატრუნულიყო რაღაცის ძოლოდნში.

დინგ დომ ერთბაშად ცხადზე უცხადესად იგრძნო აღსასრულის მოახლოება.

კალენდულას ნაწინასწარმეტყველები დიადი დღე დამდგარიყო!

— ასეა, ჩემო კარგო, — ნაღვლიანად დაუდასტურა ვიღაცამ ფიქრთა დენა.

გაკვირვებული დინგ-დო შემობრუნდა და თავის მაიმუნისმაგვარ ორეულს გადააწყდა.

ყავისფერსახიანი არსება მის ლოგინზე წამოსკუპულიყო და, მოწყენილი, თავს აკანტურებდა.

— შენც აქ ბრძანდები?!

— მაშ, სად ვიქნები?! ისე, დრო ვატარეთო, ჩვენ უნდა ვთქვათ.

— იქნებ...

— არავითარი „იქნებ“! მორჩა, გათავდა ყველაფერი. გამაგრდი! და თავი ბოლომდე ისე დაიჭირე, თითქოს მთელი ცხოვრება ხალხისთვის ზვარაკად შეგეწიროს. ხვალ თუ არა ზეგ შენს თავდაჭერას გიახსენებენ და ვინ იცის, იქნებ ვმირადაც მოგიხსენიონ. აბა, არ მოიწყინო! იქ. დაბლა შეეხვდებით ერთმანეთს!

მაიმუნი უცებ აორთქლდა.

დინგ-დო ფანჯარას ეცა — მთელი სასახლე ცხენოსანი ჯარით იყო გარშემორტყმული.

კარს იქით ფრთხილი მოძრაობა მოისმოდა.

იყო კიდევ ერთი საიდუმლო გასასვლელი აბაზანიდან, მაგრამ დინგ-დომ მხოლოდ მისთვის ცნობილი დარაბა რომ ასწია, იქაც რამდენიმე ჯარისკაცი აღმოაჩინა. მხოლოდ მისთვის? არა, კინკამაც იცოდა ამ დარაბის არსებობა!

ჰმ, ეგეც შენი ჰომუნკულუსი! ახლაღა გაახსენდა კალენდულას დარიგება, კინკა ხალხის განწყობილების ბარომეტრია და ხშირად დააკვირდიო! ესე იგი, ხალხიც განუდგა!

ლოდინს აზრი დაკარგვოდა!

დინგ-დომ სეიფი გახსნა, იქიდან კალენდულას ნაანდერძევი პატარა კოლოფი გამოიღო და თავი ახადა.

კოლოფში ცვილისმაგვარი ნივთიერება აღმოჩნდა. სახურავის შიდა კედელზე კი ამოტვიფრული იყო იმდღევანდელი თარიღი — ვერძის თვის 13!

საეჭვო აღარაფერი იყო.

კარებთან ხმაური ძლიერდებოდა.

დინგ-დომ თითი ამოუსვა კოლოფს და ცომი პირში ჩაიდო. მყისვე ბავშვობაში ამოლოკილი თაფლის გემო გაახსენდა.

●

დიადმა მბრძანებელმა დინგ-დომ ბრწყინვალე საპარადო მუნდირის ყველა ღილი შეიკრა, კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში და კმაყოფილი დარჩა. მერე ერთი ღრმად ჩაისუნთქა, მტკიცე ნაბიჯით მივიდა კართან, გასაღები გადაატრიალა და კარი გამოაღო.

მოსაცდელში საზეიმოდ გამოწყობილი უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები იდგნენ ადმირალ ამიგოს მეთაურობით.

კინკაც იქ იყო.

დინგ-დომ ყურადღებით გადახედა თითოეულ მათგანს და ძლივს შეიკავა ღიმილი, იმდენი რამ იცოდა მათ შესახებ. თვალწინ დაუდგა სცენები, როგორ იჩოქებდნენ მის წინაშე, როგორ ეფერებოდნენ და ემლიქნელებოდნენ „მზისა და მთვარის ნეტარებას“, დიდი ლომის თანავარსკვლავედს! ზოგჯერ კი მშიერი ვეფხვის ან ჯალათის ლანდით დაშინებულნი აკანკალებული წვრილი ხმებით როგორ აბეზღებდნენ ერთმანეთს.

მბრძანებლის მძიმე გამოხედვამ გენერლები, ცოტა არ იყოს, შეაჩქვიფა: ერთმა თავი ჩაღუნა, მეორემ უხერხული მშრალი ხველა ატეხა. ადმირალი ამიგო უფრო უმცროსი რანგის მეთაურს ამოეფარა...

— გამხნევდი, ადმირალო, ეს საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკაცრიელი კუნძულების დაპყრობაზე ძნელი როდია!

ასეთი მშვიდი და დამცინავი მბრძანებლის ხილვაზე გენერლები შეყოყმანდნენ, მხოლოდ კინკას გულგრილობამ და სიმტკიცემ დაუბრუნა მათ ჩვეული რიხი.

— ბეთქილაპურელი ხალხის სახელით! — მტკიცედ თქვა კინკამ და დინგ დოს მხარზე ხელი დაადო, — თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ეს წამი იყო და უკვე ყოფილ მბრძანებელს რვა მძიმედ აღჭურვილმა მეომარმა შემოარტყა ალყა.

პირქუში და დიდებული პროცესია მძიმედ გამოვიდა სასახლიდან.

სასახლის თაღები შეაზანზარა აბჯრისა და იარაღის ჟღარუნმა.

●

ქალაქის ქუჩები ამ დროს აღელვებული ხალხით იყო სავსე.

ბრბო მოუთმენლად ტოკავდა.

ბეთქილაპურელები, რომლებიც თავიდან საკმაოდ წყნარად იქცეოდნენ, მერე და მერეღა ჩასწვდნენ ბოლომდე მომხდარის შინაარსს, თანდათან ატოკდნენ, ატორტმანდნენ, გათამამდნენ და გამძვინვარდნენ...

წლობით დაგროვილმა ბოღმამ და ბალღამმა ერთბაშად იფეთქა!

თავიდან ფეხებამდე აბჯარში ჩაჭედილი შეიარაღებული მეომრები ძლივს უმკლავდებოდნენ აზვირთებულ ხალხს.

თვალანთებული, სახეშეშლილი ადამიანები ცდილობდნენ, როგორმე ახლოს მისულიყვნენ დინგ დოსთან, ჩაექოლათ და გადაეთელათ, მოესპოთ და გაესრესათ ყოფილი კერპი.

აფოფრილი დედაკაცები მეომართა ალესილ ხმლებსაც არ ეპუებოდნენ, ოღონდ კი როგორმე მისწვდომოდნენ დინგ დოს და თმები დაეგლიჯათ, სახე დაეკაწრათ მისთვის.

ყოველი მხრიდან ლაყე კვერცხები და დამპალი ხილი ცვიოდა.

ეს ის ბრბო იყო, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ მბრძანებლის მზეს ფიცულობდა და შეძახილებითა და ტაშის ცემით ცრემლიან ექსტაზში ჩავარდნილი, მზად იყო, ნაფეხურები ეკოცნა მისი.

●

— გაუმარჯოს კალენდულას! დიდება დინგ დოს! — გაისმა უცებ ქალის კივილი.

ასეთი ერთგულებით გრძნობამორეულმა დინგ დომ ზევით აიხედა და დაინახა თეთრი სახლის მეორე სართულის ღია ფანჯარასთან მდგარი ქალი, რომელიც გისოსებს ჩაფრენოდა და მთელი ხმით გაჰკიოდა კალენდულასა და დინგ დოს სადიდებელ ჰიმნს.

დინგ დოს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ეს ქალი იყო ერთ დროს ულამაზესი დარი, მისი აღმზრდელი გადია, რომელიც ჰომობასროს მოტაცების შემდეგ ჭკუაზე შეიშალა და ვისაც უკანასკნელი ოცდაშვიდი წელიწადი იმ თეთრ სახლში ჰქონდა გატარებული!

●

არა, ნამდვილად იცოდა ბრძენმა კალენდულამ თავისი საქმე!

ამდენი შეურაცხყოფისა და დამცირების მიუხედავად უცნაურად დამშვიდებული და ღირსებით აღსავსე მიუყვებოდა დინგ დო თავის უკანასკნელ გზას.

მიაბიჯებდა მტვრიან შარაზე და თანდათან სულ უფრო და უფრო ნაკლებ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

ერთი შენიშნა მხოლოდ: აღშფოთებული ბრბოს პირველ რიგებში იდგნენ სწორედ ისინი, რომლებიც გუშინ და გუშინწინ ყველაზე უფრო ხმამაღლა და თავგამოდებით უმტკიცებდნენ სიყვარულს.

მაგრამ გარშემომყოფთათვის აღარ იცალა დინგ დოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ეს უამრავი ხალხი თანდათანობით ერთ ჭრელ, უსახურ მასად გადაიქცა.

მათი ყვირილი შორეული ოკეანის გაურკვეველი გუგუნივით ჩაესმოდა ყოფილ მბრძანებელს.

მერე კი იმ ჭრელ, მოძრავ ფარდას ვიღაც გამოეყო და მისკენ გამოემართა.

ეს იყო თეთრ ტუნიკაში გახვეული, მძლავრი და მშვენიერი ბრუნგარიტა.

დიპლოდოკთა უმშვენიერეს ასულს ცეცხლისფერი თმა უელავდა და საკუთარი ვაჟიშვილის დასახმარებლად მოიჩქაროდა.

დინგ დოს მის დანახვაზე მკვახე კომში გაეჩხირა ყელში და დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ თვალზე მომდგარი ცრემლი შეეკავებინა.

ახლა კი ნამდვილად აღარ იცოდა, სიზმარში იყო თუ ცხადში.

სიამოვნებით მინებდა ზმანებას:

პატარა, გალეული ჰომობასრო დედა ბრუნგარიტამ აიყვანა და გულში ჩაიკრა. დაბადებიდან აყოლილი ოცნება აუსრულდა — რბილ თეთრ მკერდში ნებივრად გასუსულს დედა ეალერსებოდა და ამქვეყნად ჯერ ართქმულ და არგაგონილ ულამაზეს ზღაპარს უამბობდა!

●

არც გაუგია, ისე აუხვიეს თვალები, ისე მიაყენეს კედელთან...

და რა იცოდნენ ჯარისკაცებმა, რომ მათი ტყვიები უკვე აღარ აწუხებდა გრძელი სოფლის გზაზე მიმავალ ცოდვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ბაკურაძე

ხელმოწერა სიხლიზე

როცა გზისპირზე გავდიოდით
უცაბედად გვავიწყდებოდა
რომ ჩვენს მხრებს უკან გამოქვაბულში
რომელშიც მთვარე ათევს ღამეებს
ენთო კოცონი
და კედლებზე კვამლის ჩრდილივით
შავ მოსასხამში იდვა უბედურება
და თმაგაშლილი ნამტირალევი ქალი
რომელიც ყვირის „დაბრუნდით“
და ყვირილის დროს ხორხთან ძარღვები
ფრეგატის იალქნებივით ებერება.

ცნობისწადილი
გადმოიხედე აივნიდან
ჩვენ გზისპირზე ვართ გამოსული
ფიცარ-ფიცარ აგლიჯე იატაკი
რათა ღია თვალები გაიჟღინთონ ლაჟვარდით
და ვიხილოთ ის
რასაც ასორმოცდაათი დღის შემდეგ უკვე
ველარასოდეს ვიხილავთ.

გახსოვს ბავშვობა
ჩვენ შევდიოდით ცარიელ კინოდარბაზში
და ეკრანის სითეთრეს თვალს ვუსწორებდით
ისე ახლოდან რომ ზოგჯერ შუბლითაც კი ვეხებოდით

ზღვასთან ყოველი სტუმრობისას
ვყვინთავდით ღრმად ძალიან ღრმად
და მუდამ წყალქვეშ თვალებს ვახელდით

ხოლო სოფელში ავდიოდით კლდისწვერზე მაღლა
და შემდეგ ხმის ჩახლეჩამდე
ჰე-ჰეეეჰე-ეჰჰეეეეეჰეეეე, გავყვირდით.

ჩვენ ერთხელ გადავწყვიტეთ კიდეც
დავბრუნებოდით ბავშვობას მაგრამ
შავი აფრების შეცვლა გადაგვავიწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კლდიდან ზღვაში გადაეშვა
იგი ვინც დიდხანს დიდხანს გველოდა.

მდინარეო გარდუვალობის
მომაწოდე მტევანი შენი შინდისფერი
შეუერთდი მარადისობის ზღვას თავისთავში მიმოქცევადს
გაფარჩხული ბეჭდიანი თითებით

მზეს მიაცხუნე მკლავები რათა
ლურჯი ვენებით მივაკვლიოთ იდუმალ წყაროს.

ჩვენ გზისპირზე ვართ გამოსული
და მრავალი რამ გადაგვავიწყა
ქარმა რომელმაც
ცისფერ ყვავილთა სურნელების მოტანით გვამცნო
აყვავებული ზღვის გადაღმა უსასრულობა.

მდინარეო გარდუვალობის
გადახედე ჩვენს თეთრ ხელისგულს
ნუთუ ხომალდი დელოსიდან უკვე დაბრუნდა
არა რა ისმის სინუონიდან.

ხეო სურვილისა
სიმწიფის გემო რომ არ გაგდის
ლვინისფერი თვალებიდან
ამოხეთქე ჩვენს იმედებში
მოყვავილე მზის ნორჩი ფოთლების არომატით
გააბრუე ბერწი სამყარო
ფესვებით ჩასწვდი კაპილარებს ზღვათა უფსკრულის
რძე ჩაიყენე ზურმუხტოვან გულის ბუდეში
და მოქცევით
კვლავ გააცოცხლე საუკუნეთა გადამშრალი კალაპოტები.
ჩვენ გზისპირზე ვართ გამოსული
და როგორც ყოველთვის გვავიწყდება
რომ იგი მუდამ ჩვენში არის
და რომ ჩრდილებით თუ ვიმსჯელებთ
რიცხვი ჩვენი მუდამ კენტია.
ერთფეროვნება
მე მახსოვს წითლად მოსილული სულები კაცთა
მე დაძარღვული /მიწა მახსოვს
და უამრავი წითელი ყაყაჩო
შეფენილი სივრცის ფერდობზე
მახსოვს ვეება სრა-სასახლის მისაღებში
დაფენილი ფერადი ხალიჩები
და მოუსავლეთის შავი ფარდა
მომრიალე გასასვლელის სიღრმეში
და საძირკველზე ჩამომჯდარი ეშმაკის
მწარე სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთფეროვნება
ყოველ წელიწადს 15 ღვინობისთვიდან მოყოლებული
7 გიორგობისთვემდე

ყველა საქმეში ჩვენი მოწილე ჭინკაა
და ყველა ჭიშკართან ნეკისოდენა წინდა ჰკიდია.

სულ სამი დღე გვაქვს ბოძებული
ზოგს ფიქრისათვის
ზოგს ტანჯვისათვის
ზოგს კიდევ წითელ უდაბნოში ხეტიალისთვის
მესამე დღეს კი უეჭველად ფთიას ჩავაღწევთ.

გაძარცვულია ზღვისფერ სულთა საგანძურები
ზღვამ დაიბრუნა იქროს საწმისი.

იმედო ჩვენო თანამგზავრო
ერთფეროვნების ორღობეებში მობორიალეთ
თეთრკაბიანი ქაჯის ქალივით გზას რომ გვიღობავ
და დაბურცული მკერდის სურნელით გაბრუებულთ
ცოლს რომ გვაძულებ
გადაგვაცურე გარდუვალობის შინდისფერი მდინარე
ჩვენ გზისპირზე ვართ გამოსული
და უხილავის წყურვილი გვტანჯავს
და ეს სურვილი მარჯნისფერი გუმბათებიდან მიგვერეკება
შორს ზღვებისაკენ
და მკერდზე ყველას უზარმაზარი ღუზა გვაქვს ტატუირებული.
ერთფეროვნება
ჩვენ ვაბალზამებთ ტირესიას სხეულს და შემდეგ
მახსოვრობის თავდაყირამდგარპირამიდის ლაბირინთებში
ვინახავთ
გახსოვს იმედო თანამგზავრო
ოდეს ცისფერი გქონდა თვალები
და ოდეს მიმოზის ფოთლებს და ყვავილებს გულზე ვიფენდით
ჩვენ ღრმად მოხუცებულმა უკვდავებამ გზა მიგვასწავლა
ჩვენ წითელმა უდაბნომ აგვიხილა მომავალზე თვალები
და გუგებს მტვერი ქვეყნიური გადააცალა
თუმცა კი იგი მუდამ ჩვენში იყო
და შავეთში გვეზიდებოდა
მიტოვებულ ფუძეზე ფესვებგადგმულ ჭინჭრად
და აყვავებულ საადრეო ბროწეულად გარდასახული
ო სიყვარულო
სევდიანი დაფნის გვირგვინი
ჩაშაქრებული ატმისფერი მუხლები ქალის
და დარიალის ხევის სიმაღლე
გახსოვს დემეტრა ტიტებით ხელში
გადამყურე მოუსავლეთის ფეხმძიმე სივრცეში
ანდა სულაც დედა
აივანზე რომ ზაფრანათა აცმებს ჰკიდებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს ზვირთები მოქცევისა და მზე ნოაწყდა სხეულს
მაცნედ ჭეშმარიტების რომ მომავალისა აქ მხოლოდ ნისლიღაა
და თავისთავში მიმოქცევადი მარადიული ოკეანის ლურჯი ტანი
ორშაბათობით მთელი ქალაქი გადის სანაპიროზე
და მოსეს ელის
ხოლო საღამოს ოდეს ზღმარტლისფრად
ზღვა იძინებს
იგი ბრუნდება
მონადირენი მთელი სიცოცხლე დალთან წოლაზე
ოცნებობენ
ხოლო როდესაც უკვდავებას იგრძნობენ სისხლით
და ტაბლებივით დაკრძალავენ ოცნებებს
იგი ბრუნდება.

ცნობისწადილო
გადმოაფინე აივანზე მწვანე სატინა
თეთრი და შავი გადმოჰკიდე დროშები
და დაბზარული კედლიდან გულის
ლურჯი მკლავებით ჩვენს ოთახში შემოაღწიე
აათამაშე სინათლეზე მტკრის ნამცეცები
და კიდევ ერთხელ კიდევ ერთხელ
დაგვარწმუნე იმაში რომ
ხატისჭალაში კვლავ ყვავიან წმინდა მუხები
და რომ ჩვენს მკერდზე კეიპაროსის არ სუნთქავს ჩრდილი

ძველ ფესვებს ეჭვი — რეფლეზია დეპატრონა
სიყვარული
იგი პეშვებით ეზიდებოდა ზღვას საგულეში ჩაგუბებულს
ბაობაბის ფესვებისაკენ
და თან წვიმის ღმერთს ერთხელაც არ შეევდრებია

ლაჟვარდისფერი კვერცხები დადეს კაირებმა
გადაღლილ გულთა შიშველ ქიმებზე
ზღვამ ლურჯ მორევში ჩაიხვია თოლიათა შორეული ხმა
და აქცია აქტინიებად.

ერთხელ სამყაროს არყოფნაში ხეტიალისას
შენ უცაბედად წააწყდები
სუფრაზე ღვინით დაწერილ სახელს
რომლის ქვემოთაც სისხლის წვეთით ხელს მოაწერენ

ო ანდრეს ათენაიოი
ზანდუკები თქვენი ყოფისა
წარმავლობის სამკაულებით ამოავსო უსასრულობამ
და თუმც გაცვეთილ
ფრაზებს გრძნობებს და მოძრაობებს იმეორებს
და თუმც ერთგული ქოფაკებიც ვერ გცნობენ სუნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ყველას გწამთ საკუთარი განუმეორებლობა
და ალიონზე თვალს უსწორებთ ამომავალ მზეს

ურთხელებს შორის ხარები დგანან
შემდეგ მუხლებზე დაცემულნი მშვიდად კვდებიან

ა ამ ადგილას ეკლესია უნდა აშენდეს
და აშენდება კიდეც
და დიდმარხვის ორშაბათს მღვდელი მორწმუნეთ
ნაცრით დააწერს შუბლზე ჯვარს და ამას აუწყებს
მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი.

უზომო შიში გვეხმარება ჩვენ სიყვარულში.

იგი გამოდის ზღვიდან და შემდეგ
ლომვეშაპივით ძლივს მიათრევს სხეულს ხმელეთზე
და მაინც მაინც ეზიდება წყალს
ბაობაბის ფესვებისაკენ
ხოლო წვიმის ღმერთს ერთხელაც არ შეევედრება.

ჰოი სიბრმავევ თვალახელილო
შენს თეთრ გუგებზე გადაკვრულ ლიბრს
ლიბრს ყოვლისმტევადს
ბასრი ჭანგებით ისე ფხაჭნიან
რომ თვალებიდან ლურჯი სითხე მოედინება
და ჩვენ ვკარგავთ მზეს
და ყოველ ღამე გვესიზმრება რომ დავფრინავთ.
გახსოვს ბავშვობა

ჩვენ ვართ ქანდაკებები
და ყველას გვიდევს ხელისგულზე წითელი ვაშლი
რომელიც ზარბაზნის ყოველი გასროლისას ძირს გვივარდება
და მიგორავს ასფალტირებულ თავდალმართზე
ხოლო ჩვენ ამ დროს
საკუთარი თავიდან ფეხაკრეფით მივიპარებით
და ვუბრუნდებით ბავშვობას
მივსდევთ წითელ ვაშლს
თუ დავიჭირეთ და დავბრუნდით
ხომ კვლავ გადვიქცევით ქანდაკებებად
თუ არა და სამუდამოდ დავრჩებით ბავშვები.
იმედო ჩვენო თანამგზავრო
ჯანგაწყვეტილთ და მზედაკარგულებს
გამოგვეცხადე ჰიბისკუსის დიადემით და
მინდვრის ყვავილთა გირლიანდებით მოკაზმულ
პოლინეზიელ ასულის სახით
წყლის გაგვაგონე შორი ხმაური
რათა ქარმა ზღვით მობერილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ დაგვავიწყოს მრავალი რამ
თმებზე მინოის სურნელებით კვლავ
გაგვიბრუოს შთაგონება
და კვლავ გზისპირზე გამოგვიყვანოს
გადაგვაცუროს გარდუვალობის შინდისფერი მდინარე.

ჰა უკანასკნელ ღამეს ათენებს
აფროდიტესთან ადონისი
ოზირისი ემშვიდობება იზიდას
უკანასკნელი ფოთლები უგრძნობ რტოებს ეჭიდებიან
ხოლო როდესაც მიფრინავენ ხეები მაღლა
ისინი ცაში დაკიდულნი რჩებიან როგორც
გარდაცვალების ბაირაღები
ჩვენ სულთმობრძავი ქვეყნიერება
საკაცით აგვყავს გემის ბაქანზე
რათა სურვილი აუსრულოთ უკანასკნელი —
ზღვაზე მინდაო მოვკვდე

(ელი ელამდა ზღვა შიშინებდა
ზღვისპირას წითელი ხუცესი იყო
ება წითელი ხარები ხნამდა და თესამდა)

(ელი ელობდა მელი მელობდა
ზღვა ფოფინებდა წითელ ხუცესს
ხარი გაება)

(მზე შემოაქვთ რქებით ხარებს
მზე შენია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული რექვიემი

„ხელმოწერა სისხლით“ — ასე ჰქვია ჩვენთვის სრულიად უცნობი შემოქმედის პოეტურ ნააზრევს. მისი ავტორი რუხფარაჯიანი, ომგამოვლილი ახალგაზრდა კაცია. პოეტ ჯარისკაცებს ჩვენ ყოველთვის გარდასულ დღეთა მატიანეებში ვეძებდით; ვპოულობდით კიდევაც და მერე ფიქრებში დაუსრულებლად ვხსნიდით ამ ორი საპირისპირო სტიქიის — ომისა და პოეზიის საბედისწერო თანხვედრის საიდუმლოს. ამბობენ, როცა ქვემეხები გუგუნებენ, მუზები ჩუმად არიანო. ალბათ, სიმართლის მარცვალი არის ამ მოარულ ფრაზაში, მაგრამ ხომ იცნობს ლიტერატურის ისტორია ომის წიაღში დაბადებული ჭეშმარიტი პოეტური შედევრების უტყუარ ფაქტებს! ვინ იცის, იქნებ ყოფნა-არყოფნის სიცხადე უფრო სჭირდება დიდი ტკივილიანი პოეზიის დაბადებას, ვიდრე ჩვენი უღიმღამო ყოველდღიურობა. ომის შუაცეცხლიდან დანახული სამყარო, ალბათ, უფრო უცნაურია, ზღვაც უფრო მიუწვდომელი ჩანს და განცდა პოეზიისა ისეთივე ნაღდი და შეუმცდარია, როგორც გამარჯვების სურვილი.

შალვა ბაკურაძის პოეტური სამყარო ჯადოსნური ხილვებითა და მოგონებებით არის სავსე. პოეტის მზერა რეტროსპექტულადაა მიმართული ბავშვობისაკენ. წარსულის ხილვები რეალურიც არის და ილუზორულიც. მათ შორის ზღვარი წაშლილია, რეალური წარმოდგენები პოეტის სულში ღრმად არის პროეცირებული. წარმოსახვითი, ასოციაციური სახეები, თავის მხრივ, ახალ ემოციურ რეალობას ქმნიან. მათი თანაზიარი არხებობიდან იღებს სათავეს შალვა ბაკურაძის პოეტური რემინისცენციები. ლირიკული „მე“ განზოგადებული და პერსონირებულია „ჩვენ“ ფორმაში. „ჩვენ“ ვხედავთ წარსულის დღეს, როცა „კედლებზე კვამლის ჩრდილივით შავ მოსასხამში“ დგას უბედურება; „ჩვენ“ ვივსებით იმ საოცრებით, რომელსაც „ასორმოცდაათი დღის შემდეგ ვეღარასოდეს ვიხილავთ“. ეს განშორების სევდიანი პოეზიაა.

შალვა ბაკურაძე ზღვის პოეტია. ზღვა რეალობაც არის და ამოუხსნელი მისტერიაც. ამ პოეტური სტრიქონებიდან ზღვის ნიჟარაში დამწყვდეული შრიალიც ისმის და „თავისთავში მიმოქცევადი ლურჯი ტანის“ თვითკმარი იდუმალებაც იგრძნობა. „ხელმოწერა სისხლით“ ბაშვობასთან, სიყვარულთან, ზღვასთან გამოთხოვების ტრაგიკული რექვიემია.

შალვა ბაკურაძის პოეტური აზროვნება დიდი შემოქმედებითი თავისუფლებით არის შთაგონებული. მისი მხატვრული სახეები საოცარი ინდივიდუალობით გამოირჩევა: „მდინარეო გარდუვალობის მომაწოდე მტევანი შენი შინდის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი შეუერთდი მარადისობის ზღვას თავისთავში მიმოქცევადს გაფარჩხული ბეჭდიანი თითებით"; „გახსოვს დემეტრა ტიტებით ხელში გადამყურე მოუსავ-ლეთის ფეხმძიმე სივრცეში"; „ურთხელებს შორის ხარები დგანან შემდეგ მუხ-ლებზე დაცემულნი მშვიდად კვდებიან..." შეიძლება დაეთანხმო ავტორის მხატ-ვრულ გადაწყვეტილებებს ან არ დაეთანხმო, მაგრამ ეჭვგარეშეა შალვა ბაკუ-რაძის პოეტური ნიჭი და შემოქმედებითი ენერგია.

ქართული პოეტური აზროვნება ბედის ნებიერი იყო მუდამ, მაგრამ დღეს ყოვლისმომცველი პრაგმატიზმისა და განუკითხავი ქაოსის ჟამმა თავისთავად მოიტანა მდარე ლიტერატურული გემოვნების პოეზია. ამ ზოგადი უნუგეშობისა და სასოწარკვეთილების ფონზე იმედის კუნძულივით მოჩანს შალვა ბაკურაძის სააზროვნო სივრცე. მისი ფაქიზი ლირიკული პოეზია ნათლის სხივებით მოირ-წევა ჩვენი დამძიმებული სულების გასაკეთილშობილებლად.

ლანა კალანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ბერაია

ძლოცველი

...და რაც დააჩნდა ქაღალდს, არ მოგწონს,
უკვე არ მოგწონს. მაშინ მოგწონდა,
მხრჩოლავი სულით ავარდნილ კოცონს
დარდს რომ ატანდი ღვთიურ კოცონთან

და ჟრუანტელად გივლიდა სასო
და აღსარება შუქით გავსებდა...
და — წამიერი — რა კარგად გახსოვს
ცასთან შერწყმა და ღმერთთან მსგავსება.

და ენთე, ენთე, ვით ღამის მგზავრი
„ჩელას“ სიწშინდით... გამოტანჯული...
და გაჩენილი ანაზდად ბზარი
სულს გიფატრავდა, როგორც ხანჯალი

და მოვარვარე წამების მაგმა
მარადიულით გშანთავდა დამღით,
აწ კი... იმ განცდის მიწიერ თარგმანს
აკლია სისხლის თრთოლა და ჯანყი

და რაც დააჩნდა ქაღალდს, არ მოგწონს,
უკვე არ მოგწონს. მაშინ მოგწონდა,
მხურვალე სულით ავარდნილ კოცონს
დარდს რომ ატანდი ციურ კოცონთან.

მიუდგეველი

იგი ჩემია, ოდენ ჩემი,
როგორც სიცოცხლე,
თან იმ ჩიტსა ჰგავს,
სიტყვა „უცხო“ საოცრად რომ
შეეფერება.
ის ხან ანკესზე წამოცმული სატყუარაა—
ციდან ჩემთვის ჩამოგდებული,
ხანაც ბასრი ორლესული
და ზედ გულზე მაქვს მობჯენილი...
იგი ნანახის და განცდილის და
მარტოობის
ჟამს ნაფიქრალის ნაზავია
და ოცნების ხიბლიც ახლავს
და სინამდვილის სიმკაცრეც შვენის.
ის ბუდობს სულის ყველაზე შვეულ
ქარაფის თავზე
გადმოკიდებულ ჩანჩქერის პირას
და მოკაოფვ სხივების გარდა
მის სამეუფოს ვეღარ აღწევს
ვერც უსულო, ვერც სულიერი...
ხან დამაცხრება, როგორც ქორი —
ფრთების შხივილით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ... გამიაფთრეს სურვილები
და უკმარობის ნიაღვრები წამომიშალოს.
ხანაც — როს მშვიდად ვმასლაათობ
საკუთარ თავთან,
განზე გამიხმობს: შემომაფეთებს
უცაბედად ჩემს ბავშვობას და პირველი
სიყვარულის სევდით მავსებს ისევ და
ისევ...
ხან — პეპელაა. და მე მივსდევ
და როს ბადეში
მოვიმწყვდევ თითქოს, —
სხვა ყვავილზე აციმციმდება
ოქროს წვეთივით...

ხან — ვაშლია ლოყებლაჟღაჟა,
ხის კენწეროს შემორჩენილი
და მე ქარს ვნატრობ,
მაგრამ ნიავიც არ ჩამიჩუმობს...
ხდება ასედაც —
ძილში ჩაყოლილ დარდისაგან
შუაღამისას გამოღვიძებულს
დამეძგერება კაკალ გულში
სასოწარკვეთად
და აყმუვლდება... ყმუის და ყმუის...
იგი ჩემია, ოდენ ჩემი,
როგორც სიცოცხლე.
ის ჩემი გულის ცალი პინაა
და ჩემს დღეებს აწონასწორებს.

ᲨᲕᲘᲚᲘ

როგორ ახერხებს შემოქმედი —
ასე უზადოდ
შენს შვილს გადასცეს ხორცი შენი
და სულის შენის
ლტოლვა,
ტკივილი,
ჯანყი,
სიმშვიდე!
და მაინც...
იგი სულ სხვაა მაინც.
ის თავიდან იწყებს ყველაფერს —
თვით აღმოაჩენს ყოველივეს,
რაც შენ უამრავ
ღამისთევაში წვითა და დაგვით
ვითომ შენთვის მოიჯახირე
და გეგონა, უსაზღვროდ აღფრთოვანებულს,
მიუწვდომელს მისწვდი... მხოლოდ შენ.
ის თვით შეუდგამს მხრებს სიზიფეს
ლოდს,
შენ რომ ბევრჯერ ააგორე ხვნეშით
მწვერვალზე,
მაგრამ კვლავ მთის ძირას აღმოჩნდა.
ის ამ ცხოვრების უთავბოლო
ორომტრიალში

თვითონ გაარჩევს მტყუანს და მართალს,
თვითონ მიაგებს მისაგებელს
კეთილს და ბოროტს...
მხოლოდ და მხოლოდ მისია —
მისი სიყვარულით გარინდებაც,
მარცხიც და იმედგაცრეცაც,
სასოწარკვეთაც...

აქვს ჩავლებული ხელზე ხელი შენთვის
და ბრუნავს,
ბრუნავს შენთან და... მაინც თავის
თავის გარშემო.
გაგრძელებაა შენი, მაგრამ უფრო —
საწყისი

სხვა სიცოცხლის,
სხვა ტკივილის, სხვა სიხარულის...
და ეგ სხვაობა-მსგავსებაა
ფესვი და ტოტი
ამ ცხოვრებისა —
ეროიანის და მარადისის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ხვედრია რჩეულთა

ივანე ქვაჩახიას —
გალაკტიონის რუსულად მთარგმნელს

ესეც ხვედრია რჩეულთა, გმირობას უდრის ესეც —
გაბედო, მხრები შეუდგა გალაკტიონის ლექსებს.

ჯერ შენი ადნოს ძარღვები მათმა მაღალმა ძაბვამ, —
აღფრთოვანება-ნაღველის აბობოქრებამ მძაფრმა,

შენით კი სხვებმაც შეიგრძნონ, სხვათაც იგულონ ხატად,
ვინც... მჩხიბაობა შეიძლო და ჯადოსნურად ხატვა

და საქართველოს ფერთაგან — უიდუმალეს ფერთა
აღმოჩენით და ფერებით გაგვათანაბრა ღმერთთან

და შემძვრელს გულისგულამდი ჩვენც მუხლებს ვუყრით
მგოსანს,
— თუნდაც ამისთვის, — ვუმადლით, —ღირდა სამზეოს მოსვლა!

დიახ, არსებობს ქვეყანა სხვა გრძნებითა და ხმებით,
მისმა ნიჭმა რომ შეგვყარა... შენ რომ შეუდგი მხრები

და მართლაც გასაოცარი სიწრფელითა და თმენით
დაუურვებელს იურვებს ჟინი და ნება შენი...

ესეც ხვედრია ვაჟკაცთა, გმირობას უდრის ესეც —
გაბედო — მხრები შეუდგა გალაკტიონის ლექსებს.

ივან დრაჩი

მოლოდინი

ხეები უხმოდ მელოდებიან,
ფოთლები ცვივა ვიწრო ბილიკზე,
ვარსკვლავთცვენაა ჩემს ხელისგულზე,
მწვანე ბალახზე სიზმრები ცვივა.

იქ, სადაც ახლა მელოდებიან,
ჩუმად ჭრიალებს ჭიშკარი, ჩუმად,
შემომეხვევა ზეცა კისერზე,
შალის ნაქსოვი ყელსახვევივით.

იქ, სადაც ახლა მელოდებიან,
მყუდროებას ბაგეები დარაჯობს
და ენები ცხრაკლიტულში იჟანგება,
თვალები ცრემლებს მშრალად ინახავს.

იქ, სადაც ახლა მელოდებიან,
დაეხეტება ჩემი ფიქრები
და მივაბიჯებ მე თბილ წვიმაში
დაკარწახებულ შარვლის ტოტებით.

იქ, სადაც ახლა მელოდებიან,
ფეხქვეშ მიგებენ მე უხეშ ტილოს,
ხელები კი უხვად, უხვად მჩუქნიან
ჩემი ტლანქი ანდერძების სიმძიმეს.

რეცხვა

ჟანა დარკებმა, მონა ლიზებმა, მარია კიურებმა
სარეცხ მანქანებთან, დიახ, სარეცხ მანქანებთან
დაიკავეს ადგილები გამთენიისას.
დღეს აღარ ვიცით ტრფობა, გმირობა, მეცნიერება,
დღეს ჩვენ ვრეცხავთ!

ომები და ფერწერა — იქით.
ატომები საპნის ბუშტებია.
ლეონარდო ინგლისის მეფეს სწვევია.
პიზაშია ჟოლიო კიური.
დროს არაფრად ვაგდებთ —
არც წამებს და აღარც წლებს საათით არ ვამოწმებთ.
დღეს ჩვენ ვრეცხავთ!

საპნის ქაფის ღრუბლებშია თეთრეული,
სულ ერთია თუ ვისია იგი —
თუნდ კოსმონავტის, თუნდ ოინბაზის, თუნდ მონადირის,
დღეს ჩვენ ვრეცხავთ!

ხვალ კვლავაც — ტრფობა, ბავშვის შობა, ძერწვა თუ ხატვა,
გამოსაფხიზლებლებიდან ლოთი ქმრების დახსნა,
სუფთა ზეწრების დაგება საწოლზე,
შემდეგ განცვიფრება —
სად ვკარგავთო ეს ქალები სილამაზეს?
დღეს ჩვენ ვრეცხავთ! ვრეცხავთ! ვრეცხავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარლი და ჩაპლინი

პირველად მივდიოდი სტეპით, თეთრი სტეპით, წკვარამ ღამეს, — პირველად მივდიოდი მეზობელ სოფელში, კინოში. ძია კაცი ჩემს წინ იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, კინომექანიკოსი კი უმოწყალოდ ამთქნარებდა. ერთ ცხენს, თეთრს თოვლივით, ჩარლი ერქვა; მეორეს, შავს ყორანივით, — ჩაპლინი... „აჩუ, ჩარლი, ჩაპლინ, გასწით, აჩუ!..“ სამი მარილიანი ვარსკვლავი დამკაშკაშებდა, ღამეული ღანდები ცვიოდნენ, ასწლეულები ვორდიას კვანძად იკვრებოდნენ. უცებ ისე შემეშინდა ამოსუნთქვის, თითქოს სიცოცხლის ამოსუნთქვას ვაპირებდი. უკიდეგანო სტეპში პირველად ამიყვანა შემკრთალი, თავის ჯადარა ხელისგულზე: „აჩუ, ჩარლი, ჩაპლინ, აჩუ!..“ პირველად ჩამხედა ასე შემაძრწუნებლად თვალებში...

ეს საოცრება
თავს დამატყდა
ჯერ კიდევ მაშინ,
როდესაც კინოს
ხორბლის კანაში —
ახლადამოყრილ
თავთავთა შორის
აჩვენებდნენ...
გაიკვირვე შენც და
გამაკვირვე, ბედო:
„გასწი, ჩარლი,
გასწი, ჩაპლინ,
აჩუ, ცხენებო, აჩუ!“
აპეზარა თავთავიც
აქვე ნაზად ირხევა.

როგორც კი დაეცა პირველი მარილიანი ვარსკვლავი გზაზე, მე დავინახე ცეროდენა, შავი ცილინდრიო, წინ მიცუნცულებდა ჯოხით ხელში. და მხოლოდ შემდეგ ვიხილე იგი ბოსლის თეორ კედელზე, როცა მწველავებთან ერთად ვუყურებდი „ოქროს ციებ-ცხელებას“. „მე უკვე ვნახე იგი — ჩაპლინი, მე უკვე ვნახე იგი გზაზე, ჩვენს წინ ვიდოდა“, — ჩავვიროდი ყურში ძიას. „ამ პატარას ულევი ფ ა ნ ტ ა ზ ი ა აქვსო, — უცხო სიტყვა იხმარა კინომექანიკოსმა, — გაიზრდება და კინოს კეთებას დაიწყებს“. — „ო, არა, — გამომექომაგა ძია-მესაზიდრე, — მას ცხენებთან ექნება საქმე“. ამიხდა მისი წინასწარმეტყველება — ფრთოსანი ცხენები ჩემს ფანჯარასთან ჭიხვინებენ, ბურანში წასულს მათი თქარათქური ჩამესმის და გავძახი:
„აჩუ, ჩარლი, ჩაპლინ, გასწით, აჩუ!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВАСИЛ СТУСИ

ДОВЖЕНКОВІ
УКАНАСКНЕЛІ ВЕРИЛІ

Проза́їкозно, поєтебо, патріотебо!
Карга хаєна, українаші
бульбулебі брєшєлі гамісрєнєат (да ніскартебі).
Єт ар єісмінот вєхєлі матот?
О, арактат ардара, о, арактат.
Мімдімі далєат хмаурмба дедакалакі.
Аў мєудрємба мімнатрєбєа,
ме днєстріспірулі єнатрмб сімшєдєі,
гулєц шєрєдац єкт мімєшєвєі.
Шємішєт сахлші, мішєлєт, халхо,
гаємізєшо шрєлмба дєлє,
укаласкнєлад єхалєм днєпрє —
шєвавлє тавлє, мовсва шіс шєалє.
Дає, дрднан днєпрєс масвєл кмдєтма
єс шємі гулє, тканєлєанє.
Дє, єгугунот шєрнєгмєс гадєвєлул тєєбс.
гамішєт, халхо да шємішєт шємі бавшмбаші.
єаімєт дамат ме фєшєнарс шрєалє мєсімс.
Сакмєвєлс сурнєлі мімавнєбі дєвєлс сунєца
да саукунє ландєбєт мімдмбєн хєнєц,
мімдмбєн хєнєц да мєдамєаєн.
Шємішєт, халхо, шємі єрмбаші, шємі бєшмбаші.
Шємішєт, єрмт шємамєдєт, мунд цалє тавлєт,
тавлє шєвавлє тканєл-мшарє мєшас.
Сімдмрєбє лмбавс шємі дєлєа да укунєт дамєс,
ганєлєл дєлєєбсац.
Шємішєт мін да шєвісрутм — мєшєн дамєхмарєт —
мшєурвал тавлєбмт абмінєдас мхарє, —
дєдул-мамулє; рмм шєвінахо, шєвімфарм да єупатрмнм
єідрє сікєдімдє. Шємішєт мхолмд —
Прозаїкознм! Поєтебм! Патріотебм!

●

Ардр мпасухм? Думхар? єна шагєртмва нутму?
Ардра дамєгімс патієба-шєнєдмба? мшєвєлє?
Ардра дамєгімс, ганшмрбас рмм шєєгум?
Гулма, о, гулма рмгмр іршмунмс?
Думхар, єімт мартм дарчєнєлє ормулє шєлє?
Думхар, єімт шурвє? Думхар?
Думхар? Думхар, єімт шурвє?
Фєшрмб — лмдінма дамріамс хєлє?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობ — გავგიჟდე?
ამაოდ, ჩემო სიყვარულო, ამაოდ ელი.
ამაოდ, ჩემო საპყრობილევ, ვიყავ გულწრფელი.
ო, ამაოა ყოველივე და საძულველი.
ო, ამაოა ყოველივე, ძვირფასო ჩემო.
აცრემლებული აღარ დაგხვდები.
მუშტად შეკრული გელოდები გვიან ღამეში.
თავჩაკარგული — თავსასთუმალში.
არ მოიწერო. არ მიპასუხო.
გკოცნი უსიტყვოდ და გულში გწყევლი.
ყელში მომაწვა ლოდინი — უხმოდ,
ღრმად თავჩარგულს თავსასთუმალში.

პოეტის ევოლუცია

გენიალური პოეტი გაორდა
(თავისთავად და შიშად!),
ნახევარპოეტი გაორდა
(მეოთხედპოეტად და შიშად!),
მეოთხედპოეტი გაორდა
(მერვედპოეტად და შიშად!),
მერვედპოეტი გაორდა
(ერთ მწიკვ ბურნუთად და შიშად!)

და ახლა, როცა ქუჩაში მიდის,
მის თავზე თეთრი კვამლი ჰკიდია,
შეშინებული შემხვედრნი კი
მოკრძალებით და მოწიწებით
გზას უთმობენ, როგორც რიგია.

უკრაინულიდან თარგმნა
სოსო ჩოჩიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

საქართველოში გერმანელი ახალმოსახლეები ბედნიერნი იყვნენ მეფის დროს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი გაასახლეს. მე ვცდილობდი თბილისში მათ მოძებნას, მაგრამ მოთხრეს, მათი კარგი აგურის სახლები ჯერ კიდევ დგას, ოღონდ, მათგან აქ არავინ დარჩენილაო. მაგრამ ისინი ოდესღაც ცხოვრობდნენ ამ მზიურ მხარეში, აშენებდნენ ვენახებს და კარგ თეთრ ღვინოს აყენებდნენ. ყველა მათგანის სულიც ბუდობდა აქ, სადღაც ახლოს, მთებში, რაღაცას ჩურჩულებდნენ ხეების ფოთლებში, შარიშურობდნენ დაბლობთა მაღალ ბალახებში; ისინი, ყველანი, საქართველოს—აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მოსულთათვის ყოველთვის ღია, სტუმართმოყვარე ქვეყნის — **ნაწილი** გახდნენ.

მე აღვივსე ამ ბგერებითა და ხმებით, რომლებიც სხვებს არ ესმოდათ, ამ ხილვებით, რომლებიც, რატომღაც, არ მიხილავს მოსკოვში, სადაც დავიბადე და ორმოცი წელი ვიცხოვრე. აქ კი, როგორც იქნა, თავს სამშობლოში ვგრძნობდი, სადაც ჰაერი, მთები, მდინარეები, ყველაფერი შენია და ამ ჩურჩულთან და ხმებთან ერთად თან წაიღებ, საითაც უნდა წახვიდე აქედან... ძველთაძველი ქვები, ძველთაძველი ლოცვები, სახეების, სიმღერების, ცეკვების ძველისძველი სილამაზე... რა კარგია, რომ დავეწაფეთ ჩვენ ამ წყაროს — ჩვენ, ინტერნაციონალისტები და კოსმოპოლიტები. შევეყარეთ ორმილიონიან პაწაწინა ერს, რომელმაც ამდენი შთაგონებით აღგვავსო, ამდენ სილამაზეს, ცრემლს, ნაღველსა და საკუთარი სულის სიმძლავრეს გვაზიარა. და ეს იყო სიმართლე არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ, რაც უაღრესად გასაოცარია — ჩემი კალიფორნიელი ქალიშვილისთვისაც.

სულიერი მოძღვრები

საქართველოს კათოლიკოსმა ჩემთან ბევრი დრო დაჰყო, მესაუბრებოდა შამაჩემის ცხოვრებაზე, სიკვდილსა და ხვედრზე. ეს გასაკვირი არაა: მოძღვარს ყოველთვის აინტერესებს იცოდეს, რა ემართება რჯულგანდგომილს, ის ასეთი რამეებისადმი პროფესიულ ინტერესს იჩენს. მე მაოცებდა, რომ მან ამდენი გულისყური გამოიჩინა სტალინის ცხოვრების უკანასკნელი წუთებისადმი. ის თითქმის დარწმუნებული იყო (თუ პირდაპირ არ ვიტყვით — დარწმუნებული იყო), რომ ყველა რჯულგანდგომილი სიკვდილის წუთებში ფიქრებითა და

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“ № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 1993 წ. № 1, 1994 წ. № 1-2, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცდებით — თავისი უკანასკნელი შერხეეთ ღ მ ერ თ ს უბრუნდება. კათოლიკოსი არ აპირებდა ჩემთვის რაღაც „სასამოვნოს“ თქმას. არა, თავისთვის ფიქრობდა. უნდოდა გაეგო თვით მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი რაღაც.

„შეხედეთ, რა დაემართა მას, როცა განუდგა ღმერთსა და ეკლესიას, რომელიც მას თითქმის თხუთმეტ წელიწადს ზრდიდა თავის მსახურად“, — მეუბნებოდა ის. მეც ვიცოდი — და ამაზე ვწერდი „ოც წერილში“, — რომ გამოცარიელება და ურწმუნოება მას სულ უფრო და უფრო იპყრობდა. ცოლის სიკვდილისა და რამდენიმე წლის მერე მუდამ მასზე მლოცველი დედის გარდაცვალების შემდეგ სტალინი ნამდვილად სიძულვილის მორევში დაეფლო, ამ სიძულვილს კი, უდავოდ, ძალაუფლებისთვის პოლიტიკური ბრძოლა იწვევდა.

„მაგრამ ეკლესიის გავლენით აღზრდის მრავალი წელი ფუჭად არ გადის—გაანგრძობდა კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი.—ეს წლები კვალს ტოვებს. სულის სიღრმეში სუფევს სევდა ღმერთზე. და მე ღრმად მწამს, რომ ცნობიერების უკანასკნელი გამოკრთომებით ის ღმერთს უხმობდა. ეს ემართება ყველა მათ: დასასრულის წინ უკან დაბრუნება უნდათ“.

მე მოვუყევი მას ის, რაზეც ვწერდი „ოც წერილში“ — აღვუწერე მომაკვდავის ის უკანასკნელი ჟესტი, ის პირქუში მზერა, ირგვლივ მყოფთ რომ მოავლო, ისიც, მარცხენა ხელის სალოკი თითით როგორ უთითებდა ზ ე ვ ი თ კ ე ნ. ის თითი სულაც არ იყო გაშვერილი „კედელზე დაკიდებული ფოტოსურათისკენ“, როგორც ხსნიდა ამ ჟესტს შემდეგში ის, ვინც ხრუშჩოვის სახელით წერდა მის ოფიციალურ „შემუარებს“. ეს იყო სავსებით გარკვეული მუქარის გამომხატველი ჟესტი, რომელიც იქ, ზემოთ, ღ მ ერ თ ს უხმობდა მოწმედ. ამიტომ ზოგიერთებმა, ვინც საწოლთან ახლოს იდგა, უკან დაიწიეს კიდეც. ეს საშინელი, გაუგებარი რაღაც იყო იმიტომ, რომ რამდენიმე ხნით ცნობიერების დაბინდვის შემდეგ მამას ვონი წამით დაუბრუნდა და თვალებში გამოეხატა. შემდგომ მომენტში ის გარდაიცვალა. პ ა ტ რ ი ა რ ქ ი მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ ჟესტში, რაზედაც აქამდე არაფერი იცოდა, რაგან ჩემი წიგნი წაკითხული არ ჰქონდა, იყო უკანასკნელი მიმართვის დადასტურება:

პატრიარქმა მიამბო ის, რაზეც მე მანამდე არაფერი ვიცოდი. მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინს ეწვია საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მაშინდელი კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი ს კალისტრატეს მეთაურობით. ეკლესია გამარჯვებისთვის ლოცულობდა და ძალისხმევით აგროვებდა თავდაცვისთვის საჭირო სახსრებს. მათ არ იცოდნენ, რომ მთავრობამ გადწყვეტა ეკლესიის ზოგიერთი უფლების აღდგენა, მრავალი ტაძრის კვლავ გახსნა, გადასახლებებიდან მღვდლების გამოწვევა, სემინარიების დაარსება: ეს საჭირო იყო გამარჯვებისთვის, უბრალო ჯარისკაცთა სულიერად გამხნევებისთვის. დელეგაციის წევრებმა ყოველივე ამაზე არაფერი იცოდნენ და კარგს არაფერს ელოდნენ. როგორი იყო მათი გაოცება, როცა სტალინი მათ თითქმის ხვევნა-კოცნით შეხვდა, სადილით უმასპინძლა და ეკითხებოდა: „გვითხარით, რა სჭირდება ეკლესიას? ჩვენ ყველაფერს მოგცემთ“.

კალისტრატე ნანახით გაოგნებული დაბრუნდა საქართველოში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ნახა თითქმის მონანიება, ყოველ შემთხვევაში — ბრალეულობის, დამნაშავეობის აღიარება. მან ეს რამდენჯერმე უამბო ღვთისმსახურთ. საქართველოში აღდგა ეკლესიები, სამი სემინარია. — ეს მაშინ მოელ კავშირში ხდებოდა. ვინ იცის, შესაძლოა, ძველ მასწავლებლებთან მოულოდნელმა კონტაქტმა სტალინში რაღაც მივიწყებული გრძნობები გააღვიძა. საქართველოს ღვთისმსახურთა შორის არსებობდა შეხედულება, რომ სტალინი დანაშაულის გრძნობით დატანჯული კაცი იყო, — ეს მათ ვიზიტის დროს თავიანთი თვალით ნახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოების წარმომადგენლებმა ძალიან კარგად გაიგეს, რომ ი ს ი ნ ი ს ა ჭ ი რ ო ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ, რომ ეკლესია სჭირდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც სულიერი დასაყრდენი უსასტიკესი ომის დროს. ისინი ხედავდნენ, რომ პარტიის ხელმძღვანელს უნდოდა ეს მათ გაეგოთ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვიმარჩიელოთ, თუ რა ხდებოდა მაშინ სტალინის სულში, მაგრამ სულიერ მოძღვრებს (განსაკუთრებით ასეთი რანგისას), მის თანამემამულეებს, რომლებთანაც ის ქართულად ლაპარაკობდა (დაიჩივლა, ენა მავიწყდებაო), შეეძლოთ დაენახათ რაღაც, რაც ჩვეულებრივი პარტიული ბიუროკრატებისა ან ათეისტებისთვის დაფარული იყო. ისინი ელოდნენ, რომ ნახავდნენ მას, უდრეკს, ძალის პირქუშ განსახიერებას, როგორც ხატავდნენ სტალინს ომის წლებში, სინამდვილეში კი ნახეს გაორებული კაცი, რომელმაც მათ წინაშე მოულოდნელად გააშიშვლა თავისი სული და ძალიან უნდოდა მათთვის გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო.

უფრო მოგვიანებით ხრუშჩოვი კვლავ დაცხრა ეკლესიას თავისი მემარცხენე კომუნიზმის თვალსაზრისით, დახურა მრავალი სემინარია და ეკლესია. ხრუშჩოვს არ ჰქონდა არავითარი პირადი „პრობლემები“ ეკლესიასთან მიმართებაში, როგორც მეუბნებოდა კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სტალინი გატანჯული ადამიანი იყო რწმენის უარყოფის შედეგად. „მისი სიკვდილის შემდეგ ყოველთვის ვლოცულობდი მის სულზე, — მითხრა კათოლიკოსმა, — რადგანაც მის სულს ძალიან სჭირდება ვლოცა!“

მე ვიცოდი, უფრო სწორად, მივხვდი უფრო მოგვიანებით, როცა მოვიწოფე და თავად გავხდი მორწმუნე, რომ მამაჩემს რთული სული, წინააღმდეგობრივი ხასიათი და ცხოვრებასთან ხშირად გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა. ვხედებოდი, რომ მას ინსტინქტურად მიუწევდა გული წმიდა სულებისაკენ, რომ გორნიც იყვნენ მისი პირველი ცოლი ეკატერინე სვანიძე, უფრო გვიან კი — დედაჩემი, ნადია ალილუევა. ისინი მას სჭირდებოდნენ. მას სჭირდებოდა რაღაცნაირი საყრდენი და ამ საყრდენს კარგ, სუფთა ხასიათებში პოულობდა. მაგრამ ისინი მის გვერდით დიდხანს ვერ ძლებდნენ, გარდაიცვალნენ, მან თავიხი „ანგელოზები“ დაკარგა და ავმა ძალებმა სძლია. როცა ჯერ კიდევ პატარა, უცოდველი გოგონა ვიყავი, მეც ვჭირდებოდი მამას, ის ჩემს გვერდით სიმშვიდესა და ნუგეშს პოულობდა, მაგრამ როცა გავიზარდე და დავიწყე მისი თვალსაზრისისაგან განსხვავებული ადამიანების შეყვარება, ზურგი შემოგვაქცია.

გორში, სტალინის მუზეუმში ვნახეთ 1907 წლის ერთი შესანიშნავი ფოტოსურათი. სრულიად ახალგაზრდა სტალინი (28 წლისა) დგას თავისი პირველი ცოლის კუბოსთან, ცოლისა, რომელიც, მკვდარიც კი, ანგელოზურად ფაქიზი და ლამაზი იყო. ის დგას თავდახრილი, სახეზე მწუხარება აღბეჭდვია, შავი თმა შუბლზე აქვს უწესრიგოდ ჩამოშლილი. მე ეს ფოტოსურათი ბევრჯერ ვნახე, მაგრამ ბოლო დროს მუზეუმის დირექტორმა მითხრა: ჩვენ სურათი იმიტომ ჩამოვხსენით, რომ იქ თმა წესიერად არაა დავარცხნილიო. ო, წმიდა წყლის სისულელეე! მათ სჭირდებოდათ, რომ სტალინი მაშინაც ისეთი ყოფილიყო სურათზე აღბეჭდილი, როგორიცაა მონუმენტებზე: ზორბა, სქელი, მძიმე, როგორიც სიბერეშიც კი არ ყოფილა... ნერვული, ახალგაზრდა, გამხდარი სახე, აჩეჩილი თმა „არ ვარგოდა“ ექსპოზიციისთვის. მაგრამ ეს იყო სწორედ ის, რაც მასში წლების შემდეგ განჭვრიტეს ს უ ლ ი ე რ მ ა მოძღვრებმა და ეს მათთვის დამაიმედებელი ნიშანი იყო.

მუზეუმში არამც და არამც არ უნდოდათ გაედიდებინათ მამაჩემის შესანიშნავი (და ერთადერთი) ფოტოსურათი, რომელიც 1936 წელს, დედამისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად მისი უკანასკნელი მონახულების დროსაა გადაღებული. ისინი ერთმანეთის გვერდით უსხედან მაგიდას — როგორც ჩანს, დედის ოთახში; დედას ხელი აქვს ჩამოდებული შვილის მხარზე, მამაჩემს კი ისეთი ბედნიერი, ისეთი მ ო ყ ვ ა რ უ ლ ი სახე აქვს, როგორიც საერთოდ არასოდეს მინახავს. დედაჩემის დამარხვისას მამაჩემის ფოტოსურათები არ არსებობს, რადგან ის დაკრძალვაზე არ მისულა. არ შეეძლო. ის იყო მხოლოდ გამიმშვიდობებაზე, სადაც უცებ ისე გამძვინვარდა, რომ კუბოს უჯიკავა, ჯიქურ შემოტრიალდა და იქაურობას გაეცალა... მამა მრავალი წლის მანძილზე დედაჩემის თვითმკვლელობას „მუხანათურად“ მიიჩნევდა. მხოლოდ 40-იანი წლების დასასრულს გამოცემულ მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში, თარიღებისა და მოვლენების ნუსხაში, ბოლოს და ბოლოს აღნიშნული იყო „ნ. ს. ალილუევას, ი. ბ. სტალინის ცოლისა და მეგობრის, სიკვდილი“. მანამდე დედაჩემი ოფიციალურად საერთოდ არ იხსენიებოდა. ეტყობა, მან, როგორც იქნა, „აპატია“ ცოლს მისი „მუხანათობა“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინი იყო დაუჯერებლად ცივი, გულჩათხრობილი, რაღაც პირქუშ მდუმარებაში დანთქმული. სიკვდილამდე სამი თვით ადრე, მოულოდნელად, მხოლოდ ჩემს შვილებთან გახსნა გული და გამხიარულდა.

ბავშვები ისე ექცეოდნენ, როგორც ყველა ნორმალური შვილიშვილი იქცევა, და ის უცებ იქცა ჩვეულებრივ პაპად, რომელიც შვილიშვილებს ტკბილეულებით უმასპინძლდებოდა. ის, გლეზკაცის შვილი, მთელი თავისი ცხოვრება მხოლოდ პოლიტიკით ცხოვრობდა, მაგრამ რაღაც სულის მოთქმა მასაც სჭირდებოდა. დედამისს მის სულში მუდმივი ადგილი ეკავა და მისთვის საყრდენი იყო, რომელიც არასოდეს ეცლებოდა. ცოლი და შვილები მისთვის უფრო იმედის გამცრუებელნი იყვნენ. შვილიშვილებს შეეძლოთ მისი ნუგეში ყოფილიყვნენ, მაგრამ მან ყველა მათგანის ნახვისთვის ვერ მოიცალა. „ცოდვილია, დიდი ცოდვილი,—ამბობდა პ ა ტ რ ი ა რ ქ ი მასზე,—მაგრამ მე მას ხშირად ვხედავ სიზმარში, იმიტომ, რომ ვფიქრობ მასზე, მისთანებზე. მე მას იმიტომ ვხედავ, რომ ვლოცულობ მასზე და შემიძლია მასთან კონტაქტის დამყარება სიზმარში. მე ვნახე, რომ ის პირჯვარს იწერდა“.

მე ამაზე კ ა თ ო ლ ი კ ო ს ს ვერაფერი ვუთხარი; ის მოუწოდებდა სიყვარულისა და მ ი ტ ე ვ ე ბ ი ს ა კ ე ნ და ამაში ხედავდა ჩვენს სასტიკ დღეებში თავის მისიას. მე არ ვიცი და არც შემიძლია ვიცოდე, მართალია თუ არა მისი ვარაუდები, მაგრამ ერთი რამ მჯერა: სიცოცხლის უკანასკნელი წამი თითოეულ ჩვენგანს მოუწოდებს ღ ვ თ ი ს წინაშე უღრმესი პატიოსნებისკენ, ვვწამს ჩვენ ის თუ არა. და ამ აზრით, მამაჩემის უკანასკნელი ჟესტის ახსნა შეუძლებელია სპეკულირების გარეშე, მაგრამ ბევრი იქ მყოფი ხედავდა ამ ჟესტს და, შესაძლოა, ის ყველამ თავისებურად განმარტა. ეკლესიას, სამღვდელოებას და მორწმუნეთ, უეჭველია, აქვთ უფლება მოვლენები ახსნან იმ ცნებაზე დაყრდნობით, რომლებიც შეადგენენ რწმენის საფუძველს.

ᲝᲠᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

მინდა გავიხსენო 1952-1953 წლების ზამთრის ორი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა მამაჩემის სიკვდილს, და იხიც მინდა გავიხსენო, რაც მოჰყვა მის აღსასრულს. მე მათზე ჩემს წინა წიგნებში არ დამიწერია. და მათი მნიშვნელობა, რაც დრო გადის, პერსპექტივიდან უფრო ნათლად ჩნდება. ახლა მე ვფიქრობ, რომ მათ შორის ვხედავ გარკვეულ კავშირს, რომელსაც თვალნათლივ ვერ ვამჩნევდი მაშინ, როცა „ოცდაერთიანს“ ვწერდი. ორივე ამ მოვლენაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი და იგივე კაცი ფიგურირებს უცნაურად. და სწორედ იმიტომ, რომ 1984-86 წლებში, სსრკ-ში მოგზაურობის დროს მიხდებოდა მამაჩემის სიკვდილის შესახებ საეჭვო ვერსიების მოსმენა, ვფიქრობ, აუცილებელია ჩემი ძველი წიგნი შევავსო ფაქტებით, რომლებსაც აქ გთავაზობთ.

მამაჩემს უკანასკნელად 1953 წლის იანვარსა თუ თებერვალში ვესაუბრე. მან მოულოდნელად დამირეკა და, ჩვეულებისამებრ, მიუკიბ-მოუკიბავად მკითხა: „ნადირაშვილის წერილი შენ მომიტანე?“ მე არაფერი არ მომიტანია — ხომ არსებობდა რკინისებური წესი, რომ მისთვის წერილები არ მიმეტანა და „საფოსტო ყუთი“ არ ვყოფილიყავი, მაგრამ მას სურდა გაეგო, ვინ მიიტანა მისთვის გადასაცემად ეს წერილი. „შენ იცნობ მას?“ „არა, მამა, მე ასეთ კაცს არ ვიცნობ“. „კეთილი“,— და მან ყურმილი დაჯიდა.

ზემოთქმული იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ის ჩვენი უკანასკნელი საუბარი აღმოჩნდა. მარტში მასთან მიმიხმეს, როცა უკვე უგრძნობლად იყო. შესაძლოა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი საუბარი იყო, სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში გვარი — ნადირაშვილი, — ძალზე ჩვეულებრივი ქართული გვარი.

მარტში, როცა მამაჩემი გარდაიცვალა და ჩვენ, ყველანი საათობით ვიდექით სვეტებიან დარბაზში და თვალს ვაყოლებდით ხალხის ნაკადს, უნებლიეთ ძიგაქცევ ყურადღება მუშასავით ჩაცმულ მაღალ, ზონზროხა კაცს, რომელიც საქართველოს დიდი დელეგაციის შემადგენლობაში ერია. ის შეჩერდა, რითაც სხვები შეაფერხა, ქუდი მოიხადა და ატირდა. სახეზე ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და ცრემლს დაჭმუჭნილი ქუდით იწმენდდა. შეუძლებელი იყო ადამიანს ეს ზარბა კაცი არ შეეჩნია და არ დამახსოვრებოდა.

ორიოდე დღის შემდეგ ჩემი ბინის კარზე ზარი დარეკეს. კარი გავაღე და ისევ ის კაცი დავინახე. ძალიან მაღალი და მხარბეჭიანი იყო, წითელი სახე აქერცლილი ჰქონდა, გამტვრიანებული ჩექმები ეცვა. „გამარჯობათ, — თქვა მან ძლიერი ქართული აქცენტით. — მე ნადირაშვილი ვარ“, „შემოდით“, — ვუთხარი მე, როგორ არ შემომეშვა ეს უცნობი კაცი, როცა მისი სახელი სულ ცოტა ხნის წინათ გავიგონე?

ის შემოვიდა და ქაღალდებით გატენილი მძიმე პორტფელი შემოიტანა. სამზარეულოში ჩამოჯდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და ატირდა. „გვიანია, გვიანია!“ — ესღა თქვა. მე არაფერი გამეგებოდა და ვუსმენდი.

„აი ყველაფერი აქაა! — მითხრა მან და ქაღალდზე მიმითითა. — მე ამას წლების მანძილზე ვკრეფდი, ყველაფერი შევკრიბე. ბერიას ჩემი მოკვლა უნდოდა. ციხეში ჩამსვა, გიჟად გამომაცხადა. მე გავიქეცი. ის ვერ დამიჭერს, ბერია ვერასოდეს დამიჭერს! სად ცხოვრობს მარშალი ჟუკოვი, შეგიძლიათ მითხრათ? ან ვოროშილოვი?“.

მე ნელ-ნელა ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე; ნადირაშვილი მამაჩემს ბერიას შესახებ სწერდა და მამასთან ვიღაცამ მოახვედრა ეს წერილი. წერილმა ადრესატს მიაღწია, მაგრამ ადრესატმა წაიკითხა თუ არა ის? აი, რას ეხება მწარე სიტყვები: „გვიანია, უკვე გვიანია!“ რისთვის სჭირდება მას ჟუკოვი? ვოროშილოვი კრემლში ცხოვრობს, იქ ვერ შეაღწევ.

„ჟუკოვი გრანოვსკის ქუჩაზე, დიდ სამთავრობო სახლში ცხოვრობს, ბინა არ ვიცი“, — ვუთხარი მე.

„მე ჟუკოვი უნდა ვნახო. მას უნდა გადავცე ყველაფერი. ამ კაცზე ყველაფერი შევკრიბე. ის მე ვერ დამიჭერს“.

სული ეხუთებოდა, სუნთქვა ეკვროდა, ალბათ, დაღლილობისა და მღელვარებისგან, და დროდადრო ტიროდა. უბრალო ხეპრე ადამიანები ყოველთვის ასე — ბავშვებივით ტირიან. ინტელიგენტები — არასოდეს. მე ვხვდებოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოვლენათა რაღაც საიდუმლო ბადეში ვეხვეოდი, მაგრამ მისთვის ზურგის შექცევა არ შემეძლო. კაცი დამემშვიდობა და წავიდა.

არ მახსოვს, მეორე თუ იმავე დღესვე ტელეფონმა დარეკა და განცვიფრებულმა გავიგე, რომ სხვა ვინმე კი არა, თავად ბერია მირეკავდა. მე მას და მის ოჯახს მრავალი წელი ვიცნობდი, მაგრამ აქამდე არასოდეს დაურეკავს. საუბარი ძალზე თავაზიანად დაიწყო, მაუწყა, რომ „მთავრობამ აქ რაღაც გადაწყვიტა შენთვის, — ჰენსაა და ასე შემდეგ. შენ თუ რამე დაგჭირდეს, ნუ მოგერიდება, დამირეკე მე როგორც... — წამით შეჩერდა, რადგან საჭირო სიტყვებს ეძებდა, — როგორც უფროს ძმას!“ მე ყურს არ ვუჯერებდი, შემდეგ უცებ ეგრეკე, ჯიქურ მკითხა: „ის კაცი, ნადირაშვილი, შენთან რომ იყო, სად დაბინავდა?“.

საბჭოთა კავშირში ჩვენ ზოგჯერ ვვარაუდობდით, რომ ჩვენს სატელეფონო საუბრებს აყურადებდნენ, მაგრამ ეს უკვე ტექნიკის სრული საოცრება იყო. თურმე ჩემთან ვინც დაიარება, იმასაც ხედავენ. მე სავსებით გულწრფელად ვუთხარი, რომ არ ვიცოდი სად დაბინავდა ნადირაშვილი.

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა. ეს იყო ჩემი **უკანასკნელი საუბარი ბერიასთან.**

ორივე უკანასკნელ საუბარში ფიგურირებდა ერთი და იგივე კაცი — საიდუმლოებით მოცული ნადირაშვილი.

დავურეკე ე. დ. ვოროშილოვს და ვკითხე, თქვენი ქმრის ნახვას თუ შევძლებ-მეთქი. მან მათს ბინაზე, კრემლში მიმიწვია. როცა ვოროშილოვს ჩემთან უცნობი კაცის მოულოდნელი სტუმრობის ამბავი ვუთხარი, ის გაფითრდა. „შენა, რა, — მითხრა. — შარში გინდა გაეხვიო? განა არ იცი, რომ ყველა საქმის გარკვევას, რაც კი საქართველოს ეხებოდა, მამაშენი სწორედ ბერიას ანდობდა?“ „ეს ასეა, — მივუგე მე, — მაგრამ...“ ახლა კი ვოროშილოვმა პირდაპირ ამიქნია ხელი. არ ვიცი, გაბრაზებული იყო თუ საშინლად შეშინებული თუ ერთდროულად გაბრაზებულიც და შეშინებულიც. ჩაის დალევას მოვრჩი თუ არა, დიასახლისს მადლობა მოვახსენე და წამოვედი.

მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე გვიანი ხათაბალაში, იმიტომ, რომ მომდევნო დღეებში მომძებნეს აკადემიაში (1951-1954 წლამდე მე რუსულ ლიტერატურაში დისერტაციას ვამზადებდი სკკპ ცკ-თან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში) და შიშისგან გულგახეთქილმა და ცნობისწადილით შეპყრობილმა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მითხრა, რომ სასწრაფოდ მიბარებდნენ პარტიული კონტროლის კომისიაში, ამხ. შკირიატოვთან.

მიზეზებს არ მიხსნიდნენ, მაგრამ მდივანს ესმოდა, რომ რაღაც „დიდი“ მოხდა.

სტარაია პლოშჩადზე პარტიული კონტროლის კომისიაში შემიყვანეს მ. ფ. შკირიატოვთან, რომელიც მე აქამდე მხოლოდ მამაჩემის მაგიდასთან მენახა, ისიც დიდი ხნის წინათ. „აბა, როგორა ხარ, ძვირფასო?“ — საკმაოდ მეგობრულად მკითხა მან. პარტიულ წრეებში კარგადაა ცნობილი, თუ შკირიატოვი „ძვირფასოს“ გეძახის, უნდა იცოდე, რომ ცუდადაა შენი საქმე.

„აი, რა, ძვირფასო, დაჯექი და დაწერე, — თქვა მან დროის დაუკარგავად. — ყველაფერი დაწერე. საიდან იცნობ შენ ამ ცილისმწამებელ ნადირაშვილს, რატომ მოდის შენთან და როგორ უწყობდი მას ხელს. არ ვარგა, ძვირფასო, არ ვარგა. შენ პარტიაში ახალი შემოსული ხარ, გამოუცდელი ხარ, ჩვენ ამას გავითვალისწინებთ, მაგრამ მაინც მთელი სიმართლე გადმომეცი. აი, ქაღალდი, აგერ, იქ დაჯექი“.

„მე არ ვიცი, ვინაა ეს ნადირაშვილი. მე ის სვეტებიან დარბაზში შევამჩნიე და დავიმახსოვრე, შემდეგ კი ჩემს კართან ვნახე. რომ არ შემომეშვა, უხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა იქნებოდა და მე არ ვიცი, რანაირად და რაში „ვუწყობდი ხელს“ მას.

„მაგრამ ის ბორიტი ცილისმწამებელია, — შემაწყვეტინა შკირიატოვმა. — ჩვენ მას ვიცნობთ. ის ცილს სწამებს მთავრობას. მაშასადამე, ახსნა-განმარტების მოცემაზე უარს ამბობ?“

„ასახსნელი და განსამარტავი არაფერი მაქვს. მე ხომ მასზე არაფერი ვიცი“.

„ეგ სულერთია, დაჯექი და დაწერე“, — ამას პროცედურა მოითხოვდა.

ეს კომედია, როცა „შენს თავზე შენ თვითონ“ განცხადებას წერ, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. შემდეგ კი „სასტიკებში“ მიკრეს თავი — გამომიცხადეს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით — „ცნობილი ცილისმწამებლის ნადირაშვილის ხელშეწყობისათვის“. აკადემიის პარტორგანიზაციის მდივანი ამ ამბავს ფრიად კეთილგანწყობით შეხვდა და ესლა მითხრა: „ნუ ღელავთ, ყველაფერს ეშველება. ჯერ გამოგიტანენ, შემდეგ მოგიხსნიან. თქვენი ამბავი რთული რაღაცაა — მეც კი არ ამიხსნეს თუ რა მოხდა!“

ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა, რომელიც ყოველთვის მაყენებდა სამთავრობო ამბების კურსში, ასევე მირჩია, — არ მენერვიულა. „ახლა მოვლენები ისე განვითარდება, რომ ნუ იტყვი! გემუდარები, მაინცდამაინც არაფერი გაიკვირვო, შევთანხმდით? აბა, მშვიდად იყავ“.

ჩემს დისერტაციას ვამთავრებდი და ღმერთს ვმადლობდი იმისათვის, რომ კარგი მეგობრები მარგუნა. ამასობაში კრემლის საშვი ჩამომართვეს, განმიმარტეს, რომ ჩემს ყოფილ ბინაში ჩემი საარული საჭირო აღარ იყო. მე, რასაკვირველია, „ქონებაზე“ პრეტენზიას არ ვაცხადებდი — ეს წესად არ მქონდა, და წავედი კომენდატურაში საშვის ჩასაბარებლად. იქ ახალგაზრდა ოფიცერს გაოცებისაგან ლამის თვალები ბუდიდან გადმოუცვივდა: მან ველურობად ჩათვალა ის, რომ კრემლში უკვე ჩემი ყოფნა არ შეიძლებოდა! და ჩაიბურღღუნა, ეს გაუგებრობაა. „არაფერია,—გავიცინე მე. — ნუ ღელავთ! მე ვიცი, რომ ეს გაუგებრობა კი არა, გადაწყვეტილებაა“. მან ემოციებისაგან ჯერ კიდევ მოძაგძაგეს, გამომართვა უკვე არც არაფრის მაქნისი საშვი, მე კი წავედი შინ, მივაშურე ჩემს ბინას, სადაც უკვე რამდენიმე წელია ვცხოვრობდი შვილებთან ერთად.

მალე გავიგე, რომ დაპატიმრებული იყო ვასილი, ჩემი ძმა. მისმა ქალიშვილმა მითხრა: „მამა სვამდა უცხოელებთან, ჩვენ ვაფრთხილებდით, რომ ეს არ უნდა ექნა“. შემდეგ დამირეკა მისმა ცოლმა (ცურვაში ჩემპიონმა, მისი ცოლების კოლექციიდან ყველაზე სერიოზულმა და კარგმა ადამიანმა) და მითხრა, რომ ვასილი დააპატიმრეს. მე, როგორც ჩემმა მეგობარმა მირჩია, ეს არ გამკვირვებია. ვასილი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი იყო და მთავრობისა და არმიის უმაღლეს წრეებში შედიოდა. მისი ბუნების გამოისობით, ალბათ, დიდად უსიამოვნო რაღაცები გააკეთა. ეს მას შეეძლო.

1953 წლის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში მთელ დროს ჩემს წიგნებს, შვილებსა და საოჯახო საქმეებს ვახმარდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება ჩუმად ვმჯდარიყავი სახლში, არსად გავსულიყავი, მაგრამ ივლისის დასაწყისში უცებ ერთმა ჩემმა დაქალმა დამირეკა და აღელვებისაგან მოცახცახემ მითხრა: „იცი, რა? მძღოლები ამბობენ, ბრძანეს ბერიას სურათები ყველაგან ჩამოხსნანო. სადოვაიაზე კი ტანკები დგანან“. აი, ასე, ყველაზე უფრო გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი წყაროებით გავიგეთ ახალი ამბები. მაგრამ მთავრობის გარაჟის მძღოლები სანდო, უტყუარი წყაროა.

შემდეგ ბევრი ჩემი მეგობრის ნაამბობიდან თანდათან გამოიკვეთა ბერიას დაპატიმრების წარმოუდგენელი სურათი. მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდაფებში მისი დამწყვდევის, უსწრაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ტრიბუნალის მოწყობისა და — იქვე, სადრაფში — განაჩენის სისრულეში მოყვანის გარემოებანი.

მე ამის თაობაზე მესაუბრა აწ განსვენებული ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვაშნეკოკი — საბჭოთა არმიის მთავარი ქირურგი, რომელიც ყველა მადალი თანამდებობის სამხედრო პირს ახლოს იცნობდა. „აბა, დაფიქრდი, — იმეორებდა ის. — დაფიქრდი, დაფიქრდი! დაჩოქილი იმუდარებოდა, სიცოცხლე მაჩუქეთო. და ვინ? — ადამიანი, ვისიც ყველას ასე ეშინოდა! ისე ძალიან ჩქარობდნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას... როგორც ცეცხლისა, ისე ეშინოდათ მისი. საშინელებაა, საშინელება!“

შემდეგ კი დაიწყო პარტიულ ორგანიზაციებში ბერიას შესახებ სკკპ ცკ განმარტებითი წერილის კითხვა, რომელშიც მას „უცხოეთის ჯაშუშს“, „სამოქალაქო ომის დროიდან კონტრრევოლუციონერს“, „გარყვნილ ადამიანს“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ეძახდნენ. ეს კითხვა დიდხანს გაგრძელდა.

დაზვერვის, კონტრდაზვერვისა და ყველა საიდუმლო საგენტოს, უშიშროების კომიტეტის ახლა უკვე საზარელი, დამხობილი და დახვრეტილი მეთაურის სამიჯნურო თავგადასავლებს დაუზარებლად გადმოსცემდნენ და აღწერდნენ. რაღა არ ითქვა ამ კაცის კონკრეტული მოღვაწეობისა და მის მსხვერპლთა შესახებ, განსაკუთრებით კავკასიასა და მოსკოვში მასალების მომწოდებელ მოწმეთა შორის, — ისინი ბევრნი იყვნენ, — იხსენიებოდა ნადირაშვილიც. მაშასადამე, მისმა ძველმა მტერმა ნამდვილად ვერ მიაგნო და ვერ დაუპატიმრა. მე ამ კაცზე მეტი არაფერი მსმენია და მეტად აღარც მინახავს, მაგრამ მესიამოვნა, რომ ის არ დაღუპულა. ცკ-ის წერილის ბოლოში იყო ამის მოთხოვნა, დრია უშიშროების კომიტეტმა ბოლოს და ბოლოს თავისი საქმე აკეთოს და „მეორე მთავრობის“ როლის თამაშს შეეშვასო.

ამას ყველა ელოდა, ეს ყველას უნდოდა, ამას ყველა ტაშით შეხვდა. მართლაც, შემდგომ წლებში ხრუშჩოვმა შეძლო უშიშროების კომიტეტის „თავის ადგილზე დაყენება“. მაგრამ მაშინ ყველაფერი თავის გაუვნებლებლობით დაიწყო.

რამდენიმე თვის შემდეგ მე ისევ გამომიძახეს სადოვაია პლოშჩადზე, პარტიული კონტროლის კომიტეტში და უკვე სხვა ვინმემ კი არა, შკირიატოვმა მითხრა, რომ ჩემი საყვედური მოხსნილი იყო და ეს ჩემს ორგანიზაციას ეცნობებოდა. „შეეცადეთ დაივიწყოთ ეს უსიამოვნო ინციდენტი!“ — მითხრა მან ღიმილით. „ვეჭვობ, რომ ეს შეეძლო“, — მივუგე მე.

იდუმალმა ნადირაშვილმა, ჩემი ვარაუდით, მაინც შეძლო სტალინისათვის მიეწოდებინა რაღაც-რაღაცები ბერიას შესახებ. ამას მოჰყვა სტალინის ყველა უახლოესი პირის დაპატიმრება. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ დაცვის გენერალი ნ. ს. ვლასოვი, სტალინის პირადი მდივანი ა. ნ. პოსკრებაშევი. ეს იყო 1953 წლის იანვარ-თებერვალში. აკადემიკოსი ვ. ნ. ვინოგრადოვი უკვე ცოხეში იჯდა, ის კი სტალინის პირადი ექიმი იყო და, სტალინთან მის გარდა სხვა ექიმს არ უშვებდნენ. ამიტომ, რაც 1953 წლის 1 მარტს დღის მეორე ნახევარში მოახლემ მამაჩემი ტელეფონდადგმულ მაგიდასთან ახლოს იატაკზე უგონოდ მწოლარე ნახა და დაუყოვნებლივ ექიმის გამოძახება მოითხოვა, ეს არავის გაუკვირვებია.

უდავოა, რომ ვლასოვისა და პოსკრებიშევისთანა ძველი სამსახურის კაცები მთავრობისათვის შეტყობინებამდე დაუყოვნებლივ გასცემდნენ განკარგულებას და ექიმი მაშინვე მოვიდოდა. მაგრამ ამის ნაცვლად, იმ დროს, როცა მომხდარით საშინლად აღელვებული მოახლე მოითხოვდა ექიმის გამოძახებას (იქვე, მეზობელი შენობიდან, რომელშიც დაცვა იყო განლაგებული), დაცვის მაღალი ჩინის პირებმა გადაწყვეტეს დაერეკათ „სუბორდინაციით“, ჯერ თავიანთი უფროსებისათვის შეეტყობინები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ და ეკითხათ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. ამას ბევრი საათი დასჭირდა, ამასობაში კი მამაჩემი იატაკზე ისე იწვა, რომ მისთვის საექიმო ან სხვა რაიმე დახმარება არ გაუწევიათ. როგორც იქნა, მოვიდა მთელი მთავრობა, რათა თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ, რომ ნამდვილად მოხდა სისხლის ჩაქცევა — ის დიაგნოზი პირველმა დასვა კერძების მომტანმა მოტია ბუტუზოვამ.

ექიმისათვის მაინც არ დაუძახიათ. მომდევნო 12-14 საათის განმავლობაში, როცა კუნცევოში აგარაკზე დრამა თამამდებოდა, აბუნტებული მომსახურე პერსონალი და დაცვა დაუყოვნებლივ ექიმის გამოძახებას მოითხოვდნენ, მთავრობა კი მათ არწმუნებდა, პანიკიორობა საჭირო არაა. ბერია ამტკიცებდა, არაფერი მომხდარა, მას სძინავსო. და მთავრობა ამ ვერდიქტით წავიდა, რათა რამდენიმე საათის შემდეგ ისევ დაბრუნებულიყო, რადგანაც აგარაკის დაცვა და მომსახურე პერსონალი ახლა უკვე საშიშად გაშმაგდნენ. ბოლოს მთავრობის წევრებმა მოითხოვეს, რომ ავადმყოფი სხვა ოთახში გაეყვანათ, გაეხადათ და საწოლზე დაეწვინათ — ახლაც, ისევ ისე, უექიმოდ. სამედიცინო თვალსაზრისით კი ასე მოქცევა დაუშვებელია. დამბლიანი (ტვინში სისხლის ჩაქცევა) ავადმყოფების განძრევა და გადაადგილება არ შეიძლება. და ეს ხდება იმ ფაქტთან ერთად, რომ იქვე ახლოს მყოფი ექიმი არ გამოიძახეს დიაგნოზის დასასმელად.

მომდევნო დილას დაიწყო ნამდვილი ცირკი მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით — თითქოს დიაგნოზის დასასმელად აკადემია იყოს საჭირო! არა უადრეს დილის 10 საათისა, როგორც იქნა, მოვიდნენ ექიმები, მაგრამ მათ ვერა და ვერ შეძლეს მოძებნა ავადმყოფის ისტორიისა, მისი უკანასკნელი მონაცემებით, ადრე აკადემიკოს ვინაგრადოვის მიერ გაკეთებული ჩანაწერებითა და დიაგნოზებითურთ: ახლა ასე საჭირო ავადმყოფობის ისტორია სადღაც, კრემლის საავადმყოფოს საიდუმლო წიაღში იყო დამალული. ვერა და ვერ იპოვნეს.

როცა 5 მარტს, დღის მეორე ნახევარში, მამაჩემი გარდაიცვალა და მისი გვამი გასაკვეთად წაასვენეს, ბერიას განკარგულებით დაიწყო კუნცევოს მთელი აგარაკის ევაკუცია. ქველას გაჩუმება ებრძანა. აგარაკი დახურეს და კარები დალუქეს. არავითარი აგარაკი არასოდეს „არ ყოფილა“. მთავრობის ოფიციალური კომუნიკე იუწყებოდა სიცრუეს — რომ სტალინი გარდაიცვალა „თავის ბინაზე, კრემლში“. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ აგარაკზე მყოფი მომსახურე პერსონალიდან არავის შეძლებოდა დაჩივლება; არავითარი აგარაკი ამ ვითარებაში „არ არსებობდა“...

ისინი დუმდნენ. მაგრამ 1966 წელს ერთი ქალი, რომელმაც კუნცევოში თითქმის ოცი წელი იმუშავა, მოვიდა ჩემთან და მიამბო ყველაფერი, რაც ზემოთ გადმოვეცი. მე ამაზე არ ვწერდი წიგნში „ოცი წერილი მეგობარს“, წიგნი უკვე მანამდე იყო დაწერილი, ვიდრე ექიმების გამოძახებასთან დაკავშირებულ ვითარებას გავეცნობოდი. მე იმ წიგნში არაფრის შეცვლა არ მინდოდა — ის უკვე ბევრს ჰქონდა წაკითხული მოსკოვის ლიტერატურულ წრეებში. მე არ მინდოდა, რომ 1967 წელს, როცა მე სსრკ-ში არ დავბრუნდი, დასავლეთში ვინმეს ეფიქრა, რომ, უბრალოდ, პირადი განაწყენების ან შურისძიების გამო „გავიქეცი“, ეს ადვილად სავარაუდებელი იყო, თუკი მაშინ ჩემი ძმის სიკვდილზე იმასაც დავწერდი, რაც ვიცოდი.

ყაზანის გადასახლებაში მყოფ ვასილს „ხიკვდილში დაეხმარნენ“, რისთვისაც უშიშროების კომიტეტიდან ინფორმატორად მედიცინის და მიუჩინეს. ის ქალი რომ „კაგებეს“ თანამშრომელი იყო, იცოდნენ (და გაიფრთხილებდნენ) ვიშნევსკის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა და სადაც ვასილი ერთხანს იწვა გამოსაკვლევად. ის მაშინ ციხიდან ახალი გათავისუფლებული იყო ხრუშჩოვის მიერ და კუჭის წყლულით, ფეხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლძარღვთა შევიწროებით დაავადებული, სავსებით დაუძლურებული ჩანდა. სწორედ იქ „მოაჯადოვა“ იმ ქალმა, რომელიც შემდეგ გაჰყვა ყაზანშიც, სადაც უკანონოდ დაქორწინდა მასთან. უკანონოდ იმიტომ, რომ ჩემი ძმა ჯერ განქორწინებული არ იყო პირველ ცოლთან და, არსებითად, სამცოლიანი იყო ამ, მეოთხე, უკანონო ქორწინებამდე.

მაგრამ მაშას ცოლის უფლებები გარკვეული საქმისათვის სჭირდებოდა, უშიშროების კომიტეტი და მილიცია კი მას ამ ქორწინების რეგისტრაციაში დაეხმარნენ. ქალი ვასილს დამძინებელ და გამაყუჩებელ ნემსებს უკეთებდა იმის შემდეგ, რაც ის სმას განაგრძობდა, ეს კი ორგანიზმს ანგრევს. ექიმები ვასილს საერთოდ არ აძლევნებდნენ თვალყურს — მისი „სამედიცინო პერსონალი“ სწორედ მაშა იყო. ვასილის უკანასკნელი ფოტოსურათები მის სრულ გამოფიტვს ადასტურებენ: ის ცხებიც კი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა! და 1962 წლის 19 მარტს ბნელით მოცულ ვითარებაში მოკვდა. არ არსებობდა სამედიცინო დასკვნა, ცხედარი არ გაუკვეთიათ. ჩვენ ოჯახში დღემდე არ ვიცით, რითი მოკვდა ის. იყო რაღაც ხმები, დაუჯერებელი ვერსიები... მაგრამ მაშამ „კანონიერი ქვრივის“ უფლებით ისარგებლა და ვასილი სასწრაფოდ იქვე, ყაზანში დაასაფლავა. მისი ქორწინების უკანონობის დაუმტკიცებლად კი არავის შეუძლია მიეკაროს ვასილის საფლავს, ჩაატაროს ექსგუმაცია, სიკვდილის მიზეზთა გამოკვლევა... საჭიროა სასამართლოში საჩივრის შეტანა, მოწმედ პირველი განუქორწინებელი ცოლის გამოყვანა... ეს უნდათ ვასილის მეგობრებს, ეს უნდათ მის შვილებს და ეს მინდა მე, მაგრამ გრომიკომ არ ისურვა ამ საკითხზე ჩემი მიღება, როცა მოსკოვში ვიყავი და ჩემს წერილზე არც კი მიპასუხა, თუმცა დამარწმუნეს, რომ მან ეს წერილი მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ყველა გარემოების გამოაშკარავება არ უნდათ...

ვასილიმ, რასაკვირველია, მამაჩემის სიკვდილის გარემოებებზე, მე რომ ვიცი, იმაზე გაცილებით მეტი იცოდა, რადგანაც მას 1953 წლის მარტის იმ დღეებში კუნცევოს ავარაკის მთელი მოძსახურე პერსონალი ელაპარაკა. ის ცდილობდა რესტორნებში საზღვარგარეთელ კორესპონდენტებს შეხვედროდა და მათთან ესაუბრა. მას უთვალთვალებდნენ და ბოლოს და ბოლოს დაიპატიმრეს. მთავრობას არ სურდა, რომ ის თავისუფალი ყოფილიყო. შემდეგში უშიშროების კომიტეტი მას, უბრალოდ, „დეეხმარა“ სიკვდილში.

ის მხოლოდ 41 წლისა შესრულდა, ალკოჰოლიზმის მიუხედავად, ფიზიკურად დაუძლურებული არ ყოფილა. დარჩა სამი ცოლი და შვილები და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მათგან მისი სიავე არავის ახსოვს. გულუხვი იყო და ირგვლივ ყველას ეხმარებოდა, თუმცა თავისთვის ხშირად არც პერანგი ჰქონდა და არც წინდები. მის ქონებას (სახელობით იარაღს, ორდენებს, ავეჯს) მისი სიკვდილის შემდეგ დაეპატრონა ორი ქალი, რომლებიც თავიანთ „უფლებებზე“ აცხადებდნენ პრეტენზიას. ბიჭმა ვერ შეძლო მის სახსოვრად მიეღო, როგორც მითხრა, „ფანქარი მაინც“. ვასილი ყაზანში კი არა, მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე უნდა დაკრძალულიყო დედის გვერდით, დედისა, რომელსაც ვასილის ბობოქარი ბუნება ყოველთვის აფორიაქებდა. ვასილს კი დედა თავდავიწყებით უყვარდა და მისმა სიკვდილმა მოზარდს ნერვები სულ მოლად დაუწყვიტა. მთავრობას ჯერჯერობით არ სურს ყოველივე ამის გახსენება, სტალინის სიკვდილზე შექმნილია რაღაც ოფიციალური ვერსიები — სინდისგარეცხილი მწერლები, პარტიის მითითებით, ალბათ, დაწერენ, „როგორ იყო ეს ყველაფერი“. მოსკოვში ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნის დროს ამის თაობაზე რაღაცებს მოვკარი ყური — სიცრუის ფაბრიკა მუშაობს. მაგრამ როდესმე სიმართლის თქმაც საჭირო გახდება. საჭირო იქნება ძოწმეთა მასალების თავმოყრა — არსებობს ა. ნ. პოსკრებიშევის გამოუცემელი მემუარები, ნ. ს ვლასიკის ოჯახში არსებობდა ჩანაწერები და მისი კოლოსალური ფოტოარქივი სტალინის ცხოვრების შესახებ — ვლასიკი სტალინის გვერდით 30 წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა, როგორც მისი დაცვის უფროსი. ეს არქივი, ისევე, როგორც პოსკრებიშევის მემუარები უშიშროების კომიტეტმა „დააპატიმრა“, საჭირო იქნება კუნცევოს აგარაკის მომსახურე პერსონალის — ისეთების, როგორიც იყვნენ კერძების მიმწოდებელი მატრენა ბუტუზოვა, დიასახლისი ვალენტინა ისტომინა, პირადი დაცვის ოფიცრების — ხრუსტალევის, კუზმიჩევის, მიზუუხინის, ეფიმოვის, რაკოვის ჩვენებების გამოძზეურება. ისინი, ყველანი „პენსიაზე გაუშვეს“ — ეს საუკეთესო შემთხვევებში — ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინათ, მაგრამ დარჩენილია მათი ჩანაწერები და საუბრები, რადგან ხმებს არ სძინავთ.

ახლა კუნცევოს აგარაკს იშვიათად, გამორჩეულ დამთვალიერებლებს უჩვენებს ვინმე ვოლკოვი და ამტკიცებს, რომ ისიც „იქ იყო“ და ჩმახავს ტყუილებს ან ოფიციალურ ვერსიებს ჰყვება. იმ დღეებში იქ არავითარი ვოლკოვი არ ყოფილა, ეს მე ვიცი და გამოგონილი რაღაცები, რაც მოვისმინე, არ ასახავს მომხდარის ნამდვილ სურათს. მაგრამ აგარაკზე დაბრუნეს ავეჯი (ქაღალდები, წიგნები და პირადი ნივთები ჯერ არ დაუბრუნებიათ) და მას დამთვალიერებლებს მთავრობისა და უშიშროების კომიტეტის საგანგებო ნებართვით უჩვენებენ. ხრუშჩოვისშემდგომ დროში უშიშროების კომიტეტი, რასაკვირველია, ისევ სრულძალოვანი „მეორე სახელმწიფო“ გახდა.

მე არამც და არამც არ მინდოდა, რომ 1967 წელს ჩემი გაქცევა საბჭოთა მთავრობაზე ჩემს რაღაც პირად „შურისძიებად“ აღექვათ. არც ახლა მინდა, რომ ასე იფიქრონ. ამიტომ ყოველნაირად ვეკავებ თავს ჩემს პირველ ან მეორე წიგნში ზემოთ აღწერილი ამბების შეტანისაგან. მაგრამ საბჭოთა მთავრობას სწორედ ამისა ეშინოდა და ამიტომ გადაწყვიტა ჩემი წინასწარ გამოცხადება „ვიჟად, რ ო მ ლ ი ს დაჯერებაც არ შეიძლებოდა“ და პრემიერ-მინისტრმა კოსიგინმაც კი არ იუხერხულა გაეროს მაღალი ტრიბუნადან ამის თქმა. ნუთუ ჩემი ასე ეშინოდათ? რამხელა პატივია! მაგრამ მე არ ვაპირებდი საზოგადოებაში „კრემლის საიდუმლოებებზე“ სენსაციური ცნობების გადასროლას. ჰარისონ სოლსბერიმ ჩემი პირველი წიგნისგან მიღებული შთაბეჭდილება ასე ჩამოაყალიბა: „კრემლის კედლები არ დაინგრევა“. ეს ერთგვარად იმედის გაცრუებას ნიშნავდა, მაგრამ იმასაც ადასტურებდა, რომ მე მაშინ საბჭოთა მთავრობასთან საზღვარგარეთიდან ანგარიშის გასწორებას არ ვაპირებდი.

ახლა, როცა ამ უკანასკნელ, მეოთხე წიგნს ვამთავრებ, ბოლოს და ბოლოს მინდა ვთქვა ყველაფერი მამაჩემსა და ჩემს ძმაზე, რათა უთქმელი არაფერი დამრჩეს. იმ დროიდან უკვე ოცდათხუთმეტი წელი გავიდა. დროა, მომავალი ისტორიკოსი ჩემს წიგნებს საინტერესო — და ფაქტობრივ — წიგნებად მიიჩნევდეს.

მე არ მამოძრავებს არავითარი პირადი სიძულვილი ან შურისძიების გრძნობა საბჭოეთის სათავეში მდგარი ცალკეული პირების მიმართ. ბერია თავისებურად ერთადერთი პიროვნება იყო და მან შეძლო ჩვენი ოჯახის სულ ცოტა ნახევრის განადგურება, მაგრამ საქმე ეს არაა. მე მათ — ყველას ტოლფასოვან არსებებად მივიჩნევ, არც ერთი მათგანი სხვებზე არც უკეთესია და არც უარესი. ისინი ყველანი განაგრძობენ მძლავრი, უნიჭიერესი ხალხის ტანჯვას,

ჯერ კიდევ ამ სამოცდაათი წლის წინათ რომ დაიწყეს. მე მიყვარს მშვენიერი ქვეყანა, სადაც დავიბადე და ქედს ვიხრი დიდი რუსული კულტურის წინაშე, რომელიც თვით ამ სამოცდაათმა წელმაც კი ვერ მოსპო. საბჭოთა კავშირი დღესაც დაუწრეტელი წყაროა ცხოვრების, მეცნიერების, ხელოვნების ყველა სფეროში, ნამდვილი ტალანტების, ღვთისაგან ბოძებული ტალანტებისა, რომლებიც ფუფუნებასა და კომფორტში კი არა, საბჭოთა „სინამდვილის“ ბნელ, ვიწრო ცეროდენა ოთახებში ვითარდებიან. მაგრამ ისინი ჟითარდებიან სულის, გულისა და გონების ყველა ძალის არაჩვეულებრივი კონცენტრაციის შედეგად. ფუფუნება საბჭოთა მომავალ „პლატონებსა და გონებასწრაფ ნიუტონებს“ ჯერ კიდევ ვერ აღებინებს ხელს შრომაზე, რადგან ფუფუნება იქ არ არსებობს.

მე მხოლოდ ვოცნებობ იმ დროზე, როცა მრავალფეროვანი და დაუვიწყარი ხალხის მხრებიდან ბოლოს და ბოლოს ჩამოვარდება უსირცხვილო ლენინური პარტიის მძიმე ტვირთი და ადამიანები თავისუფლად ამოისუნთქავენ. ეს დღე ცხრა მთას იქით არაა. ჩემი შვილიშვილები, რასაკვირველია, ამ დღეს მოესწრებიან. მე კი მხოლოდ სიზმრებით წინასწარ დატკბობა დამრჩენია.

რუსულიდან თარგმნა
ჯუმბერ თიითმერიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ციციშვილი

გაუზიარებელი ისტორიის ფურცლები

უნივერსიტეტის ავტონომიის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ი. ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტის პროფესურისადმი დაყენებული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. უნივერსიტეტის პროფესურა ეროვნული ფუნქციის წარმატებით შესრულებას მხოლოდ დამოუკიდებელ, ხელისუფლებისაგან შეუვალ სასწავლებელში მოისაზრებდა და ამიტომ მისი ავტონომიის შენარჩუნებისათვის ბრძოლა თავის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა. ამ ასპარეზზე საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებამ განსაკუთრებით რელიეფური ბაძოხატულება ჰპოვა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალმა რეჟიმმა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაისახა უნივერსიტეტის გასაბჭოება. ეს გულისხმობდა საქართველოში უმაღლესი სკოლის საბჭოთა რუსეთის გამოცდილებათა საფუძველზე გარდაქმნას, მის „პროლეტარიზაციას". გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის შეცვლა, უნივერსიტეტში პროლეტარული ელემენტების მოხიდვა და „თავადაზნაურული", „წვრილბურჟუაზიული" შემადგენლობის შეზღუდვა-განდევნა, უნივერსიტეტის დამორჩილება წერა-კითხვის მცირემცოდნეობა-უცოდინარობის „კვეიდაციისა და „კულტურული რევოლუციის" ვიწრო, საბჭოთა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. ამ მიზნით რეჟიმების ხელისუფლებას აუცილებლად მიაჩნდა საბჭოთა კოლონიური რეჟიმის მიმართ მტრულად და უნდობლობით განმსჭვალული ე.წ. თავადაზნაურული პროფესურის ნეიტრალიზაცია, გამოყენება, შემდგომ კი კომუნისტური პარტიის ერთგული დასაყრდენი კადრების მომზადება და ძველი კადრების ურჩი ნაწილის თანდათანობითი განდევნა.

საბჭოთა ხელისუფლების მიზანდასახულობის ამოცნობას აადვილებდა უნივერსიტეტის მუშაობის გარდაქმნის ის პრაქტიკული ღონისძიებები, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრების ავტონომიის საფუძვლებს შეეხებოდა. ეს, თავის მხრივ, ი. ჯავახიშვილის, პროფესორთა საბჭოს, მეგობის და სტუდენტობის თავგამოდებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა და აძლიერებდა. ფაქტობრივად, ეს იყო ბრძოლა უნივერსიტეტის ორი, პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგო, ეროვნულ-ქართული და ინტერნაციონალურ-საბჭოური მეთოდებით მართვისა და შესაბამისი მიზნებით გამოყენებისათვის. განვითარების ორივე გზას შეეძლო უზრუნველყოფ უნივერსიტეტის დაკნინება ან ზრდა, მაგრამ მისი ეროვნული სულისკვეთების სრული შენარჩუნება მხოლოდ ძველი პრინციპების დაცვით შეიძლებოდა. ამიტომ უნივერსიტეტის მართვის საფუძვლებისა და შეუვალობის შენარჩუნება მისი ძველი პროფესურის და მათი მეთაურის, ი. ჯავახიშვილის ერთერთი უმთავრესი საბრძოლო ამოცანა გახდა.

რეჟიმების ხელისუფლებამ, მომენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ლენინის მითითებათა შესაბამისად, პირველ ხანებში ქართველი ინტელიგენციის მიმართ მეტ-ნაკლები ლოიალობა არნია: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის პროლეტარული, დაკვრითი მეთოდით შეცვლის ნაცვლად მასთან „თანამშრომლობის" ტაქტიკის მიმართა, ეს ამოცანა უშუალოდ განათლების სახალხო კომისარიატის და მასთან ორგანიზებული „აკადემიური ცენტრის" კომპეტენციად განსაზღვრა. „აკადემიურმა ცენტრმა" არ დაკოყნა და, უნივერსიტეტის გასაბჭოების მიზნით, 1921 წლის ზაფხულში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მოსთხოვა აღმოეფხვრა ძველი უმაღლესი სკოლისათვის დამახასიათებელი თეორიულ-სქოლასტიკური აკადემიზმი, სწავლების მრავალსაგნიანობა, და არ დაეშვა თეორიული სწავლების პრაქტიკისაგან მოწყვეტა. „აკადემიური ცენტრი" მიუთითებდა ძველი რუსეთის უმაღლესი სკოლისათვის დამახასიათებელ ხარვეზებს. იგი უნივერსიტეტისაგან მოითხოვდა პედაგოგიური კადრების მომზადებაზე ორიენტირებას და მორჩილებას სათანადო რეფორმების განხორციელებისას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის ძნელი არ იყო საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი ზრახვების ამოცნობა. მათ შორის უმთავრესი იყო უნივერსიტეტის ავტონომიური უფლებების ხელყოფა. საჭირო ხდებოდა სასწავლებლის სახელმწიფოებრივი შეუვალობის დაცვა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი რექტორის, ი. ჯავახიშვილის 1921 წლის 4 აგვისტოს მიმართვა „აკადემიური ცენტრის თავმჯდომარისადმი", რომელშიც ნათქვამია:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს განათლების კომისარიატს მოწერილობის

დასასრული. დასაწყისი იხილე „ცისკარი" № 1-2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსმენის შემდგომ აკადემიური ცენტრის მიერ განხრახული უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და შემდეგი დასკვნა გააკეთა: ...აღნიშნული წინანდელი უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ნაკლი სამართლიანია, მაგრამ იგი ეხება განსაკუთრებით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის გეგმა იმ თავისთვე სხვანაირად იყო შედგენილი და სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა სპეციალობისდა მიხედვით დარგებად იყო დაყოფილი, ეს გარემოება სტუდენტებს საქმეს უადვილებს და მის სპეციალობასთან დაკავშირებული საგნების შესწავლას უკარხებს. ამ გზით თავიდან აცდენილია ის მრავალსაგნიანობა, რომელსაც აკადემიური ცენტრის თავმჯდომარე უნივის...

დასასრულ უნივერსიტეტის საბჭო დარწმუნებულია, რომ განხრახული საუნივერსიტეტო რეფორმის საკითხის დრო განაილების კომისარიატის აკადემიური ცენტრი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებებს წინანდებურად ხელშეუხებლად დაიცავს და უნივერსიტეტის წარმატებას ყოველნაირად დაეხმარება".

უნივერსიტეტის ძველი პროფესურის დამორჩილების მორიგი მნიშვნელოვანი ცდა იყო ჯერ კიდევ 1922 წელს უნივერსიტეტის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების გადახალისება, უმაღლესი სასწავლებლებისათვის ახალი დებულების შემუშავება და მისი მეშვეობით ძველი საუნივერსიტეტო კანონმდებლობის ფაქტობრივი ანულირება. ამისათვის შემუშავდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სასწავლებლის დებულების ახალი პროექტი.

პროექტმა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს უნდობლობა გამოიწვია, ხოლო ი. ჯავახიშვილმა გამანადგურებელი რეცენზია შეადგინა, რომლითაც მოლიანად გააბრუა „პროექტის" მიზნობრივი პოლიტიკურ-ორგანიზაციული შინაარსი.

„... უმაღლესი სასწავლებლის დანიშნულებას სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და წარმატებისათვის ზრუნვა და ხელშეწყობაც უნდა შეადგენდეს, — წერდა ი. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელით, — მეცნიერების წარმატებაში მუდმივი მონაწილეობა მას საშუალებას მისცემს თავის მოწვევ სტუდენტებს ჩაუნერგოს ის კვლევა-ძიებისა და შეუნერგლოვი წინსვლის წყურვილი და მიღრკეკლება, რომელიც კაცობრიობის პროგრესის ნამდვილი წარმომშობელია. ამიტომ ყოველი უმაღლესი სასწავლებლის ნაყოფიერი მოღვაწეობა და დასახული მიზნების მიღწეულობის შესაძლებლობა მის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის ხათანადო ნიჭსა და მოშზადება-შერჩევაზეა დამოკიდებული".

ახალი დებულების პროექტი, ი. ჯავახიშვილის აზრით, უამრავ მიზნობრივ გაურკვევლობასა და დამახინჯებას შეიცავს. მათ შორის საგანგებოდ არის წამოწეული შემდეგი:

1. პროექტში მთავარი ყურადღება ეთმობა უმაღლესი სასწავლებლის მმართველობის იმდაგვარ გარდაქმნას, რომლის დროსაც იზღუდება პროფესორთა საბჭოს კომპეტენციები. იგი უფლებებს ხელოვნურად შექმნილ ახალ ორგანოებს, „საგნობრივ კომისიებს", „ფაკულტეტის პრეზიდიუმებს", ფაქტობრივად, არაკომპეტენტურ ორგანოებს ანიჭებს; 2. სინამდვილეში ახალი სტრუქტურული ცვლილებები მიზნად ისახავენ სტუდენტთა უფლებების გაფართოების მოტივით პროფესორთა და სამეცნიერო და სასწავლო ნაწილის თავისუფლად არჩეული წარმომადგენლობის უგულებელყოფას. საქმის ამგვარი დატრიალება პროფესორთა უფლებებს აყრას უდრის, — აღნიშნავს ი. ჯავახიშვილი და დასძენს: — „რაც ჩვენი ღრმა რწმენით უმაღლეს სასწავლებლის წარმატებისათვის არამც თუ ხელსაყრელი არ არის, დამღუპველი შეიქნება"; 3. მნიშვნელოვნად იკვეცება უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს უფლებები და მის ხარჯზე ფართოვდება სახალხო განათლების კომისრისა და კომისარიატის უფლება-მოსილება. ისე რომ, „პროექტის" მიხედვით, „ყოველი ნაბიჯის გადადგმისათვის კომისარისა და კომისარიატის დასტურია საჭირო". ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ: „ეს სრულებით შეიჭამეს უმაღლეს სასწავლებლის მუშაობას და მეტისმეტად გააჭიანურებს, ვნების მეტს არაფერს უქადის ეს უმაღლეს სასწავლებელს".

ი. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ახალი დებულების პროექტი, თუ იგი უცვლელად დაკანონებული იქნება, ჩვენი უნივერსიტეტის მოქლ წესწყობილებას ძირფესვიანად შეცვლის. უნივერსიტეტის აწ არსებულ სრულ ავტონომიაზე აკეთდა წესდებას და ამ ახალ დებულებას შორის გარდუვალი უფსკრული. პროფესორთა საბჭოს ღრმა და გულწრფელი რწმენით, ჩვენი უნივერსიტეტის წესდების ახალი ცვლილება მის წარმატებისათვის სახიფათოდ უნდა ჩაითვალოს".

არ ვიცი, რამდენად მისწვდა ადრესატების ყურს ი. ჯავახიშვილის ჩაკიბები, მაგრამ ცნობილია მათი გულისა და ტვინის ნამოქმედარი, რაც მოგვიანებით ი. ჯავახიშვილმა პირადად განიცადა.

1923 წლის 12 იანვრამდე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სრული ავტონომია ჰქონდა. 1923 წლის 10 იანვრის დამტკიცებული წესდებით, უნივერსიტეტის არჩეული პირები უნდა დამტკიცებინა განათლების კომისარს. ეს იყო ძველი უნივერსიტეტისადმი უნდობლობის გამო ახალი იურიდიული ნორმების ძალადობით დანერგვა. ხელისუფლება შეეცადა უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები სკოლის შესახებ დამტკიცებული ახალი დებულება 12 იანვრიდან აეძოქმედებინა.

ი. ჯავახიშვილმა პრინციპალად გაიღაშქრა და რექტორობიდან გადადგომაც კი მოითხოვა. „26 იანვარს პროფესორთა საბჭომ ცნობად მიიღო, რომ უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ივანე ჯავახიშვილს შემოაქვს განცხადება განთავისუფლების შესახებ. ასეთივე განცხადება შემოაქვს ყველა ფაკულტეტის დეკანს და საბჭოს მდივანს". ეს იყო მძლავრი პრეტენტი თსუ ავტონომიის ხელყოფის გამო, აგრეთვე ი. ჯავახიშვილის დასის იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობის და სიმტკიცის აშკარა დემონსტრირება. ხელისუფლება იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. ეს იყო ი. ჯავახიშვილის დასის წევრთა სერიოზული გამარჯვება.

ი. ჯავახიშვილის თანამებრძოლებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს მარტის ბოლოს, კერძოდ, 27 მარტს უნივერსიტეტის გამგეობის არჩევნებზე. მასში ყველა დეკანია არჩეული". აირჩიეს ორი პროორექტორი — შ. ნუცუბიძე, ალ. ნათიშვილი, ი. ჯავახიშვილის თანამოაზრეები. „ერთხმად დასახელებული იქნა რექტორის თანამდებობაზე პროფ. ი. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილმა კენჭისყრაზე უარი განაცხადა. საკითხი უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ გადადო შემდგომი სხდომისათვის, რომელიც 30 მარტს დაინიშნა. ეს სამი დღე არა თუ უნივერსიტეტში, მთელს ინტელიგენციის წრეებში დედაქალაქისა, ფართო რეზონანსს პოულობს... ნატარდა რექტორის არჩევნები. უნივერსიტეტის რექტორად 59 წევრმა ერთხმად (არც ერთი წინააღმდეგი) აირჩია ივანე ჯავახიშვილი". მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლო გახადა უნივერსიტეტის ავტონომიის შენარჩუნება. გამარჯვების შემდგომი განმტკიცების მიზნით უკვე 1923 წლის 5 მაისს შეიქმნა თსუ ახალი წესდება. იგი ითვალისწინებდა რეალურ ინამძღვილში მოხდარ ზოგიერთ ცვლილებას, მაგრამ ახალი წესდება მაინც ძველის ძირითად პრინციპებს ეფუძნებოდა. წესდების მიხედვით, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ავტონომიური სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა: აკადემიურ ფაკულტეტებია და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრივაც იგი სრულიად დამოუკიდებელია".

ახალი წესდების პროექტით „უნივერსიტეტს საბჭო უნივერსიტეტის ავტონომიის უზენაესი დაწესებულებაა, რომლის დადგენილებასაც მოვალენი არიან დაეშორჩილონ როგორც უნივერსიტეტის ყველა ორგანეკი და დაწესებულებანი საერთოდ, ისევე სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის ყოველი წევრი სათითაოდ..." ახალი წესდების პროექტი ახალ ვითარებაში შესაძლებელს ხდიდა უნივერსიტეტსა და მისი პროფესორთა საბჭოს მიერ ეროვნულ მიზანდასახულებათა იერიდიულ უზრუნველყოფას. მაგრამ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ჯიუტად ახორციელებდნენ უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებათა ხელყოფას.

1925 წელს პარტიული ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების კომისარიატის ღონისძიებათა საფუძველზე მიღებული იქნა „ადამჭრელი" ზომები. შემუშავდა „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დებულების პროექტი", რომელიც ეფუძნებოდა საბჭოთა უმაღლესი სკოლის წესდებას და ფორიდიულად ბოლოს უღებდა უნივერსიტეტის ავტონომიას, შესაბამისად, მის ეროვნულ მიზანდასახულებას. აღნიშნული „პროექტის" შესახებ ამომწურავ წარმოდგენას გვაძლევს ი. ჯავახიშვილის ხელით შედგენილი, 1925 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასკვნა". მისი ძირითადი შინაარსი ასეთია:

„საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების ახალი პროექტის საერთო დამახასიათებელი თვისებაა, ერთის მხრივ, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების სრული უფლებაშეზღუდულობა, მეორე მხრით, გამგეობისა და პრეზიდიუმის გაბატონება და მართვა-გამგეობის თანამდებობის პირთათვის არჩევითი წესის მაგივრ დანიშვნითი წესის შემოღება შეიძლება ჩაითვალოს. მეტადრე უნივერსიტეტის საბჭოს უფლებანი შეზღუდული ისე, რომ მას სამოქმედო თითქმის აღარაფერი აქვს დატოვებული"...

„ახალი პროექტის" მეორე დამახასიათებელი თვისებაა ახალი სტრუქტურების, „პრეზიდიუმისა" და „გამგეობის" უფლებათა უკიდურესი გაფართოება. მათთან შედარებით ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საბჭოს მცირე მნიშვნელობა აქვთ. პროექტით უნივერსიტეტის ნამდვილი მმართველი უნივერსიტეტის გამგეობაა. მაგრამ ყველაზე უფრო არსებითი ცვლილება პროექტს თანამდებობის პირთა უფლებრივ მდგომარეობაში შეაქვს... დეკანს ნიშნავს სახალხო განათლების კომისარი; უნივერსიტეტის სათავეშია და პრეზიდიუმს შეადგენენ სახალხო განათლების კომისრის მიერ დანიშნული რექტორი და სამი პროექტორი...

ამგვარად, აწ არსებული წესდების ძალით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და საბჭოს არჩეულ თანამდებობის პირთა მაგივრ უნივერსიტეტს სათავეში განათლების კომისრისაგან დანიშნულნი უნდა ჩაუდგნენ. აღსანიშნავია, რომ წესდების პროექტში ისიც კი არ არის ნათქვამი, რომ ეს განათლების კომისრისაგან დანიშნული რექტორი, პროექტორები და დეკანები უნივერსიტეტის პროფესორები უნდა იყვნენ ისე, რომ შესაძლებელია ამ თანამდებობაზე და უნივერსიტეტის ყველა ორგანეკის სათავეში უნივერსიტეტისათვის სრულებით გარეშე პირები და არა მეცნიერებიც კი მოექცნენ"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჯავახიშვილი დასძენდა: „უნივერსიტეტის შემადგენლობისათვის მეცნიერებისადმი უაღრესად უნდობლობით გამსჭვალული პროექტი... ძოულოდნელი და გაუგებარია“... „ამგვარად, — წერდა ი. ჯავახიშვილი, — უნივერსიტეტის დრმა და ერთსულოვანი რწმენით, რაკი 1923 წ. 12 იანვრის მთავრობის მიერ გამოცემული უნივერსიტეტის წესდებით განათლების კომისრის მხრივ უნივერსიტეტზე შესაძლებელი მეთვალყურეობა და კონტროლი საჭესით უზრუნველყოფილია, ახალი წესდების შედგენა ზედმეტად უნდა იქნეს მიჩნეული...“

საქართველოს ანეკსიამ და ანტისაბჭოთა-ოპოზიციურ ძალთა მნიშვნელოვანმა შესუსტებამ საბოლოოდ მოამზადა ნიადაგი უნივერსიტეტის ავტონომიის გასაუქმებლად. ი. ჯავახიშვილისა და სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებულ პროტესტს ხელისუფლება ყურად არ იღებდა. პარტიულ ხელმძღვანელობას სხვაგვარად ესახებოდა უნივერსიტეტის რექტორის და ძველი პროფესურისადმი დამოკიდებულება. ნიადაგ-მზადდებოდა ი. ჯავახიშვილის რექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების, უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმებისა და მთელი სასწავლო-სასწავლო ცხოვრების ახალ, საბჭოურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის. 1926 წლის ზაფხულიდან რაღაცნაირად იწყება ამ რეფორმების ცხოვრებაში გატარება.

1921 წლის 27 ივლისს უნივერსიტეტის რექტორმა ი. ჯავახიშვილმა საპრეზიდიუმო წერილით მიმართა აკადემიური ცენტრის თავმჯდომარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სასანიტარო ინსტიტუტის ჯანმრთელობის კომისარიატისათვის გადაცემის მცდელობის გამო. წერილში ნათქვამია: „სასანიტარო ინსტიტუტი ჩვენი უნივერსიტეტის მიერ არის შექმნილი. წინათ მთელს ამირკავკასიაში ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია არსებობდა, რომელიც მხოლოდ ჩვეულებრივს ანალიზებს აწარმოებდა. უნივერსიტეტმა ამის მაგივრ დიდი დაწესებულება შექმნა... საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფილია ყოველგვარი ასაცრელი ვაქცინებით, დეტრიტით და სხვანაირ სამკურნალო საშუალებებით, რომელნიც წინათ მხოლოდ რუსეთიდან, ან დასავლეთ ევროპიდან შემოდიოდა. წარსულ წელს ჩვენმა სასანიტარო ინსტიტუტმა არამც თუ საქართველო დაკმაყოფილა, არამედ უცხოეთსაც კი, აზერბაიჯანს, სომხეთს, საბჭოთა რუსეთს და ანგორის მთავრობასაც კი მიაწოდა დეტრიტი და ვაქცინები... ამ აუცილებლად საჭირო პრაქტიკული შუშაობის გარდა სასანიტარო ინსტიტუტის პირადი შემადგენლობა შემლებისდაგვარად სამეცნიერო კვლევა-ძიებასაც აწარმოებდა... ყველა ამის შემდგომ გასაოცარია, რომ იბადება აზრი სასანიტარო ინსტიტუტის უნივერსიტეტოდან ჩამორთმევისა და ჯანმრთელობის კომისარიატისათვის გადაცემისა და ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიუმთან შეერთების შესახებ... ამიტომაც გთხოვთ, რომ ყოველივე აზრი და ლაპარაკი სასანიტარო ინსტიტუტის უნივერსიტეტიდან ჩამოშორების შესახებ ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას...“

თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მოიხსინა თავმჯდომარის, და საბჭოს წევრის, პროფესორ ა. ბენაშვილის მოხსენება სამხედრო კომისარიატის ტოპოგრაფიული განყოფილების კავკასიის ცალკე ლაშქრის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ, ხანგრძლივად იმსჯელა ამ საკითხზე, გამოარკვია, რომ საქართველოს „ეროვნული უმნიშვნელოვანესი“ კულტურული და მეცნიერული დაწესებულება, რესპუბლიკის საკანონმდებლო დაწესებულების დაკეთილსაცავი, მხოლოდ სამხედრო სასახლო კომისრის ბრძანების ძალით გადაცემული სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსათვის ნომინალურად, ხოლო ფაქტურად კავკასიის ცალკე ლაშქრის შტაბის შემადგენლობაში... ამ გაცემით საქართველოს აკლდება კულტურულ-მეცნიერული ეკონომია“.

უნივერსიტეტის „უმაღლესმა სამეცნიერო საბჭომ დაადგინა: ა) ეთხოვოს მთავრობას დაუყოვნებლივ განკარგულება გასცეს ტოპოგრაფიული განყოფილების საქართველოსათვის უკან დასაბრუნებლად, რასა შემდეგში ეს განყოფილება გადაცემული იქნას იმ გეოგრაფიული ინსტიტუტისათვის, რომელიც აუცილებელი საჭიროების მიხედვით უნდა ახლო მომავალში დაარსებული იქნას უნივერსიტეტთან, ან დამოუკიდებლად, განათლების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ... ბ) ეცნობოს მთავრობას, რომ ტოპოგრაფიული განყოფილების გაცემით საქართველოს ეხპობა დიდი, უძვირფასესი და შეუდარებელი წყარო კულტურისა...“

სამეცნიერო საბჭოს დადგენილების შესრულების მიზნით უნივერსიტეტის რექტორმა ი. ჯავახიშვილმა 1922 წლის 15 იანვარს სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს უზენაეს ხელისუფლებას — რევოლუციურ კომიტეტს, რომელშიც ხრულად აისახა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს განწყობილება. ი. ჯავახიშვილი მიმართავდა დახასენდა, რომ „თუ ტოპოგრაფიული განყოფილება ჩვენს ხელთ არ იქნება, სრულებით შეუძლებელი ხდება ჩვენს უნივერსიტეტში ეგოდენ ბრძანებების და ასტრონომების მომზადება...

დასასრულ, თუ ვინაიცობაა, შექმნილი პირობების გამო, ტოპოგრაფიული განყოფილების ქონება გატანილი იქნა საქართველოდან, მის ხელმეორედ შესაქმნელად მოგვიხდება არანაკლებ ასი წლისა და აუარებელი ხარჯები“.

1923 წლის ზაფხულისათვის, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის მთელი შემადგენლობიდან (402 კაცი) გამოიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

159 კაცი: ფაკულტეტების საქმის მწარმოებლები (მდივნები), ბიბლიოთეკის თანამშრომლები, პრეპარატორები, ლაბორატორიის მუშაკები, მხაზველები, ბუღალტერიის თანამშრომლები, ლიტოგრაფისტები, მექანიკოსები და სხვ., რომლებიც „ტექნიკურ“ მუშაკებად ითვალენენ და ხელფასი შეუმცირეს 40 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა აღძრა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე და მოითხოვა ძველი ხელფასების შენარჩუნება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 1923 წლის 2 აგვისტოს ი. ჯავახიშვილმა სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, რომელშიც პოლიტიკური კეკლუცობის გარეშე, არგუმენტირებულად და ჩვენული სიღრმისეულობით ასაბუთებდა უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ განხორციელებული ზომების უმართებულობას. „ახეთი დადგენილება სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, — წერდა ი. ჯავახიშვილი, — რომელიც ახეთი რთული დაწესებულებაა... პირდაპირ უსამართლოა. უნივერსიტეტის თანამშრომელნი (ტექნიკურად წოდებული) არ შეიძლება ჩაითვალონ მექანიკურ მომუშავეებად. მათზე, განსაკუთრებით ერთ ნაწილზე დაკისრებული საქმე მოითხოვს საკმაო ცოდნას, გამოცდილებასა და სათანადო განათლებას... ჯამაგირის ახეთი შემცირება ბევრ მათგანს იძულებულს გახდის თავი დანებოს უნივერსიტეტში მუშაობას, რაც სწავლის ნორმალურ მსვლელობას ძლიერ შეაფერხებს“.

უნივერსიტეტის რექტორი აუწყებდა სახკომსაბჭოს, რომ ახეთი არამართებული იყო უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიმართ განხორციელებული სხვა, მსგავსი ღონისძიებები. „მოძველ წლის განმავლობაში უნივერსიტეტის პირადი შემადგენლობა იღებდა გაცილებით ნაკლებს იმაზე, რაც შრომის მიხედვით მას ერგებოდა. ზაფხულის თვეებში სარგოს შემცირება სანახევროდ იმ მოსაზრებით, რომ შეცდინება არ სწარმოებს, არ არის სამართლიანი. მოძველ წლის განმავლობაში მმაე შრომის წარმოებამ და ზედმეტი მუშაობის გაწევამ სრულიად სამართლიანად დაუმახურა პედაგოგიურ შემადგენლობას უფლება იმავე სარგოს მიღებისა, რასაც იღებდა წლის განმავლობაში. ამასთან ერთად მისაღებია მხედველობაში ის ყოველდღიური ზრდა სიძვირისა, რასაც ყველანი განვიცდიდ და აქ დროს ჩვეულებრივი ჯამაგირის შუაზედ გაყოფა ხომ სულ მთლად აუტანელ მდგომარეობას უქმნის უნივერსიტეტის სამეცნიერო შემადგენლობას“. ი. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის გამგეობის სახელით შუამდგომლობდა საქართველოს უმაღლესი ორგანოს წინაშე: „დარნეს ძველი წესი ჯამაგირის მიცემისა...“

საოკუპაციო რეჟიმის პირობებში უნივერსიტეტს მძიმე ფინანსურ-მატერიალური პირობები შეექმნა. „სახელმწიფო უნივერსიტეტის შესანახი ხარჯების გაღებას ვერ ახერხებდა“. „1921-1922 წლების უფულობამ თითქმის მთელი გამძიმეველობა შეაწვეტინა უნივერსიტეტს“. „სტუდენტთა უმრავლესობის დიდი სიღარიბის გამო სწავლის ფული მცირე თანხას ქმნიდა“. სტუდენტთა რაოდენობა კი, უნივერსიტეტის პროლეტარიზაციის პოლიტიკის გამო, სიხეტანტურად და სწრაფი ტემპებით იზრდებოდა. სასწავლებლის ხელმძღვანელობა გამოსავალს ეძებდა. მისი რექტორი ი. ჯავახიშვილი იძულებული ხდებოდა უშუალოდ საქართველოს სახალგაზდებრივ-ფინანსური დაწესებულებისათვის მიემართა მატერიალური დახმარების აღძრასაწინად. 1924 წლის 10 აგვისტოს ი. ჯავახიშვილმა მიმართა, ალბეთვე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს და სთხოვა „უნივერსიტეტის ლიოთოგრაფიისათვის კერძო დაკვეთების მიღებისა და დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარების უფლების მინიჭება“. სასწავლებლის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტთან ეკონომისტთა სამწლიანი კომერციული კურსების მოწყობის შესახებ, მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციამ დაგმო და უარყო ეს.

1926 წლის 22 თებერვალს ი. ჯავახიშვილმა მიმართა თბილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის ცალკეული კორპუსების მთელ ქალაქში დაქირაცა უშლის მის ნორმალურ მუშაობასო. რექტორი გამოთქვამდა სურვილს, ეზრუნათ მათი ერთად თავმოყრისათვის, ამასთანავე, ითხოვდა „უნივერსიტეტის აღმინისტრაციისა და ტექნიკური თანამშრომლებისათვის საცხოვრებელი სახლების აგებას“.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის დამაარსებლები და მაო მეთაური საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქტიურად იღვწიან, საუნივერსიტეტო ცხოვრების სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის. მათი მთავარი მიზანი იყო, უნივერსიტეტისათვის შეენარჩუნებინათ ავტონომია, ეროვნული სახე და მიზანდასახულობა. მაშასადამე, საოკუპაციო რეჟიმის დამყარებიანვე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ხელისუფლება დაპირისპირებული აღმოჩნდა. 1926 წლის შუა ხანებამდე მიმდინარეობდა ბრძოლა უნივერსიტეტის ეროვნული საფუძვლების, მისი ავტონომიური უფლებებისა და იმოავითვე დასახული ეროვნული მიზანდასახულობების შესრულებისათვის. უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორთა საბჭო შეუპოვრად იცავდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შემოტევებს. 1926 წლი შუახანებამდე უნივერსიტეტმა ძირითადად შეინარჩუნა ძველი სტრუქტურული აგებულება, ავტონომიური უფლებები, ხოლო ეროვნული სახე და ფუნქცია მას 30-იანი წლების ბოლოსაც არ დაუკარგავს, რაშიც უაღრესად დიდი იყო ძველი პროფესურის, უნივერსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის დამაარსებელთა, მათი მეთაურის — ი. ჯავახიშვილის და მისი დასის დამსახურება.

კომუნისტური პარტია უნივერსიტეტის ეროვნული სულისკვეთების ფიანაღლდგა ბრძოლაში.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ოქმები ნაოლად მეტყველებენ, რომ 1921-1926 წლებში უნივერსიტეტის „კომუჯრედის ბიუროს და უჯრედის კრებებს სისტემატიურად გამოჰქონდათ დადგენილებები უნივერსიტეტის გადახალისებისათვის“, მაგრამ აქედან, ფაქტობრივად, არაფერი გამოდიოდა და „ვერ სრულდებოდა“... კომუჯრედის სხდომებზე არაერთხელ აღინიშნა საერთოდ უნივერსიტეტში და „სტუდენტთა შორის კონტრრევოლუციონერთა სიჭარბე“. ამის გამო 1923 წლამდე უნივერსიტეტში რესპუბლიკის და ამიერკავკასიის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა გამოსვლაც კი ვერ ხერხდებოდა. 1925 წლამდე უნივერსიტეტის გამგეობაში კომუნისტი საერთოდ არ იყო. სტუდენტთა დარგის პროფკომი, კომუნისტი ი. თალაკვაძე 1927 წლის ოქტომბერში თავისი მუშაობის ორი წლის ანგარიშში აღნიშნავდა: „უნივერსიტეტში იმ დროს მოთავლინეს, როცა აქ კომუნისტების გავლენა უაღრესად სუსტი იყო, ე. ი. როცა ძლიერ სუსტი იყო პარტიისა და ხელისუფლების გავლენა უნივერსიტეტში. ერთადერთი კომუნისტი ვიყავი უნივერსიტეტის გამგეობაში... ვაკვარებდი კონფლიქტებს, ანუ გაუკვაბრობებს, რომელიც ზშირად ხდებოდა პროფესორებსა და სტუდენტებს შორის“. როგორც ჩანს, იგი გულისხმობდა „მეტმარჯვენე პროფესურას“ და კომუნისტ და კომკავშირელ აქტივისტებს შორის არსებულ კონფლიქტებს. ნიშანდობლივია, რომ კომუჯრედმა მისი მუშაობა უარყოფითად შეაფასა. 1926 წლის 19 ივნისს უნივერსიტეტს პარტიულ-კომკავშირული უჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ? ძოისმინა ლ. ქართველიშვილის მოხსენება „უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ და კანდელაკის მოხსენება „უნივერსიტეტის ახალი დებულების შესახებ“. ეს დოკუმენტები ფორმალურ საფუძველად დაედო უნივერსიტეტის რექტორობიდან ი. ჯავახიშვილის განთავისუფლებას და უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმებას. ამის შემდეგ უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი ძალა ვეიძინა, მაგრამ სასწავლებელში ეროვნული სულისკვეთება ვერ აღმოფხვრა. ამ სხდომაზე ლ. ქართველიშვილმა აღნიშნა: „პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფრო ადრე ჰქონდა დასახული მიზნად უნივერსიტეტის რეორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებთან შეფარდებით, მაგრამ ამაში ხელს უშლიდა ობიექტური პირობები...“ „ობიექტურ პირობებში“ უმთავრესად ი. ჯავახიშვილის დასის და პატრიოტულად განწყობილი სტუდენტობის მჭარი ანტისაბჭოთა პოზიცია იგულისხმებოდა. ამიტომ იყო, რომ სხდომის მონაწილეებმა სახტიკად გააკრიტიკეს კომუჯრედი წარსულშე უმოქმედობისა და უძლურების გამო. კამათში ბევრსულმა აქტივისტებმა არასწორად მიიჩნიეს ის აზრი, „თითქოს უჯრედს ადრე არაფერი გაუკეთებია“. მათ აღიარეს, რომ „სისტემატიურად გამოჰქონდათ დადგენილებები უნივერსიტეტის გადახალისებისათვის, მაგრამ ეს თუ დღემდე ვერ შეასრულა ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა, ეს არ იყო არც ჩვენი უჯრედის და არც ცენტრალური კომიტეტის ბრალი. ეს იყო იმ რთული პირობების ბრალი, რომელიც ჩვენს გარშემო იყო“. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ი. ჯავახიშვილის დასისა და მის მხარდამჭერთა სიმტკიცე. მაგრამ აქ თვალსაჩინოა ისიც, რომ „კომუჯრედს გამოჰქონდა დადგენილებები“, რომლებიც „ვერ შეასრულა პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა“. ეს აზრი თეორიულად ეწინააღმდეგება „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპებიდან გამომდინარე პარტიულ სუბორდინაციას, რადგან ამჯერად ქვემდგომ ორგანოს გამოაქვს დადგენილება, რომელიც ზემდგომმა უნდა შეასრულოს. სინამდვილეში აქ აისახა პრაქტიკაში დანერგული ფაქტობრივი მდგომარეობა. უნივერსიტეტის კომუჯრედი ხელმძღვანელი ორგანოებისაგან დებულობდა სიტყვიერ მითითებებს, შემდგომ კი საკუთარი ინიციატივით გამოჰქონდა დირექტივის შესაბამისი დადგენილება, რომლის შესრულებას ხელმძღვანელი ორგანოები ახორციელებდნენ. ასეთი მაგალითები იშვიათი არ არის და იმაზე მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში ზშირი იყო საქმიანი მუშაობის ფარსის გათამაშება. არადა, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება „ზემოთ“ მუშავდებოდა, ფორმულირდებოდა და ზემდგომი ორგანოების მიერვე ხორციელდებოდა. უნივერსიტეტის პარტიული სტრუქტურა, რომელიც ვითომ ცხოვრების შუაგულში იდგა და შემოქმედებითად იღვწოდა, სინამდვილეში შორმა იყო. რაც შეეხება უნივერსიტეტში არსებულ ანტისაბჭოთა განწყობილებას, იგი, როგორც ვნახავთ, შემდგომ წლებშიც საკმაოდ მყარი იყო.

დაისმის კითხვა: რას საქმიანობდა უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია 1921-1926 წლებში და როგორი იყო მისი ეფექტურობა? ამ კითხვაზე პასუხის მიზნით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადავხედოთ თხუ კომუჯრედის ოქმებს და მოვიტანოთ სათანადო ამონაწერები, უკომენტაროდ:

საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ „ობილისის მეორე რაიკომთან შეიქმნა № 23 (უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის) უმაღლესი სასწავლებლების ერთიანი კომუჯრედი. ამ ორგანიზაციაზე საერთო ხელმძღვანელად მიმაგრებული იყო კანდელაკი, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი იყო ტერუნიანი, რომლის შემცვლელი იყო სტეპანიანი“. 1923

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 21 თებერვლიდან თბილისის მეორე რაიონის კომუჯრედს ეწოდა „უნივერსიტეტთან არსებული...“ თითქმის ათი წლის განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში სწავლება და მუშაობა მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებდა, უნივერსიტეტის კომუჯრედი კი საქმიანობას 1923 წლის 24 ოქტომბრის სხდომის ჩათვლით რუსულ ენაზე წარმართავდა, სხდომის ოქმებიც რუსულად იწერებოდა. შემდეგ რუსულ-ქართული ერთმანეთს ეცვლება, ხოლო ნოემბრიდან მოყოლებული ყველა ოქმი ქართულადაა დაწერილი. თავდაპირველად უნივერსიტეტის კომუჯრედში მოვლინებული მომხსენებლები რუსულად გამოდიოდნენ. როცა უნივერსიტეტის კომუჯრედის 1924 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე რაიკომის წარმომადგენელმა მელაძემ მოხსენება რუსულად გააკეთა, შენიშნა მისცეს, ქართულადაც არისო საჭირო მოხსენების გაკეთება. ხოლო კომუნისტმა ბიბიეშვილმა აღნიშნა: „ადრე მე დავაყენე ქართულადაც ოქმულიყო; როცა მე მოვითხოვე მოხსენება ქართულადაც გადათარგმნილიყო, მე მივიღე ნაციონალისტის და უკლონისტის სახელწოდება“. კომუნისტმა სტუდენტმა მაისურაძემ აზრი გამოთქვა: „რაიკომი განვგებ არ აგზავნის მომხსენებლებს ქართულ ენაზე“.

1923 წლის 17 იანვარს კომუჯრედმა მიიღო დადგენილება, „უნივერსიტეტის ხუთი წლისთავის აღსანიშნავი 26 იანვრის ზეიმი არ აღინიშნოს“. ოქმში დადგენილებას განსხვავებული, წოდელი მელნით მიწერილი აქვს: „კომპარტიის ცეკას უარყოფითი გადაწყვეტილების გამო“. კომუჯრედმა სტუდენტთა წმენდის კომისიას დავალა, „წმენდა ჩაატაროს 26 ამ თვემდე. კომუჯრედზე მიმაგრებული იქნეს ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ლომინაძე და კახიანი“. კომუჯრედის 24 იანვრის დადგენილებით, პარტიის თბილისის მეორე რაიკომში დაწერდა მორიგეობა. კომუჯრედმა მორიგეობა შემოიღო აგრეთვე 9-11 თებერვალსაც.

1923 წლის 18 თებერვალს უნივერსიტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურომ მიიღო დადგენილება: „ეთხოვოს რაიკომის მეშვეობით თბილისის კომიტეტს მეორე რაინონის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ეკლესიის დახურვის და კერძოდ მისიონერთა ეკლესიის ჩამორთმევის შესახებ“.

13 მარტს კომუჯრედი თხოვს პარტიის სამხრეთის რაიკომს და ბათუმის პარტიის სალაქო კომიტეტს, მიაწოდოს ცნობები მუშფაკის რიგი მენშევიკების კეთილსაიმედოობის შესახებ.

1924 წლის 15 იანვარს მუშფაკის კომუჯრედის ბიურომ განიხილა საკითხი „კომუჯრედის პასუხისმგებელ მუშაკთა და უნივერსიტეტის საქმეებზე დაინტერესებულ პირთა თანბირის მოწვევის შესახებ“. ამავე სხდომაზე მოისმინეს „უმაღლესი მარქსისტული წრის დაარსების შესახებ“ (უნივერსიტეტში უკვე მოქმედი „ფილოსოფიური სემინარის“ საპირისპიროდ), რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. შ. ნუცუბიძე (ფილოსოფიაში მიმართულების იდეალისტი, რომელიც სტუდენტებს ხშირად თავს ახვევს თავის მიმართულებას). ბიურო სთხოვს რაიკომს და თბილისის კომიტეტს მოვაცეს სათანადო ხელმძღვანელი“.

1924 წლის 22 თებერვალს კომუჯრედის სხდომაზე კომუნისტებმა აღნიშნეს „სტუდენტთა შორის კონტრრევოლუციონერთა სიჭარბე“. „უჯრედი იძულებული იყო უკან დახეულიყო“, ამიტომ თბილისის კომიტეტმა „შეაერთა კომუნისტური სტუდენტობა და მოქალაქე მუშები“.

28 მარტის კომუჯრედის სხდომას დაესწრო ორახელაშვილი, „რომელიც არავვედა, ვინ როგორ იქცეოდა“. მას „ძრავალი პასუხი გაეცა“.

10 ოქტომბრის კომუჯრედის ბიურის სხდომამ განიხილა საკითხი „მენშევიკური ავანტურის შესახებ“ და მიიღო დადგენილება: „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაუწიონ წინააღმდეგობა მენშევიკურ ავანტურას“. რაიკომის მოთხოვნის თანახმად, კომუჯრედმა გამოყო რვა კომუნისტი და მიიღო გადაწყვეტილება მათი რაიკომში დაუყოვნებლივ გამოცხადების თაობაზე.

კომუჯრედის 17 ოქტომბრის სხდომის დადგენილება მოითხოვდა, ცეკას სიგნით ახლად მოწყობილ კომუნისტ და კომკავშირულ სტუდენტებს დროულად „მოეტანათ აუცილებელი საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ჩაირიცხებიან“.

24 დეკემბერს კომუჯრედის ბიუროს სხდომამ მიიღო დადგენილება 1925 წლის 27 იანვარს გამართულიყო უნივერსიტეტის არსებობის შვიდი წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სადამო. არნეული იქნა სადამოს მომწყობი კომისია შ. ელიავას თავმჯდომარეობით. წვრილს შორის არ დაუსახელებიათ უნივერსიტეტის დამაარსებლები ან ძველი პროფესურის წარმომადგენლები.

1925 წელს უნივერსიტეტში უნდა მიეღოთ 675 სტუდენტი, „მაგრამ ვინაიდან მოაწყდა აუარებელი ახალგაზრდობა, მათ შორის პარტიის წევრები და განსაკუთრებით კომკავშირელები, ამიტომ მისადებ სტუდენტთა რიცხვი 1200-მდე იქნა გადიდებული“.

ამავე დროს კომუჯრედი იღებდა დადგენილებებს „წითელი არმიის ხუთი წლისთავის“, „საქართველოს გასაბჭოების ორი წლისთავის“, „25 თებერვლის ხუთი წლისთავის“, „ხაბრველმაისი ზეიმის“ და „კომკავშირული აღდგომის“ ფარგოდ აღნიშვნის შესახებ. ოქმებში ვკითხულობთ: „საბჭოთა ფედერაცია მოელი თავისი ძალებით დაეხმარება დასავლეთ ევროპის შუშების განთავისუფლებას, თუ ისინი ხელი იგდებენ ხელისუფლებას დასავლეთ ევროპაში“; „... გერმანიის მუშათა კლასის ხსნა მხოლოდ სოციალისტურ, პროლეტარულ რევოლუციაშია. ამიტომ კომუნისტური პარტია, მთლიანად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წევრი ცალკეულად, ყოველმხრივ მიმზადებული უნდა შეხვდეს მოსალოდნელ რევოლუციას, რათა გერმანიის მუშათა კლასი გამარჯვებული გამოვიდეს ბრძოლაში, რაც დიდად გააადვილებს მხოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებას. უნივერსიტეტის კომუჯრედი თავის მხრივ არ დაზოგავს თავის ძალას და ღონეს მზურვალე მონაწილეობა მიიღოს, რითაც არ უნდა იყოს ის ვერმანიის პროლეტარიატის დახმარებაში"; „ძოიხმინა რა მოხსენება „კომკავშირული აღდგომის შესახებ" თსუ კომუჯრედი მუშფაკას კომუჯრედთან და კომკავშირის უჯრედთან ერთად აღნიშნავს, რომ ამი წლის განძავლობაში რელიგია კატორჟობას ემსახურებოდა ოპიუმად და ამუხრუჭებდა მის განვითარებას. ჩვენ ვარცხვენთ საეკლესიო თავადაზნაურობას და მათ მიერ გამოგონილ დღესასწაულებს და რელიგიას ვუცხადებთ დაუნდობელ ბრძოლას... გაუმარჯოს კომკავშირულ აღდგომას!"

თსუ პარტიული ორგანიზაციის ეს „მუშაობა" ზემოდან იკვეთებოდა. ამ მიზნებს ემსახურებოდა საერთო ცენტრის მიერ შემუშავებული „ცირკულიარები", რომლებითაც უნივერსიტეტის კომუჯრედი სისტემატურად და საგანგებოდ აღიჭურვებოდა ხოლმე. ისინი რადიკალურად ვერ ცვლიდნენ უნივერსიტეტში არსებულ ანტისაბჭოთა განწყობილებას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერების კვალობაზე სულ უფრო მეტ ახალგაზრდას განაწყობდნენ ძველი პროფესურის წინააღმდეგ. კომუნისტური აგიტაცია-პროპაგანდა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა რექტორის თანამდებობიდან ი. ჯავახიშვილის განთავისუფლების, უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმებისა და ახალი, კომუნისტი რექტორების „ზემოდან" დანიშვნის შემდეგ. ახალ რექტორებს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამოცანად უსახავდა უნივერსიტეტის გასაბჭოების რეფორმების გატარებას და ძველი „მემარჯვენე პროფესურის" წინააღმდეგობის დაძლევას. ამ მიზნით უნივერსიტეტში 1926 წლს დაინიშნა სამეცნიერო ხარისხის არმქონე ჟურნალისტი, ყოფილი მემარცხენე ფედერალისტი, კომუნისტ რექტორთა „დინასტიის" პირველი წარმომადგენელი თედო ღლონტი; მას მოჰყვნენ მალაქია ტოროშელიძე (1928-1929), ივანე ვაშაყმაძე (1930-1931), ალექსანდრე ენქიმბაშვილი (1931-1932), ლევან აღნიაშვილი (1933-1935), კარლო ორაგველიძე (1935-1937)... კომპარტიის მიერ მიზნობრივად განხორციელებული კომუნისტი და „წითელი პროფესორი" რექტორების პოლიტიკურ ოთურმას თან ახლდა ი. ჯავახიშვილის დახსნა და ხელისუფლების მოძხრეთა შორის წინააღმდეგობის გაძწვავება, ძველი პროფესურის და პარტიის გენერალური ხაზის მომხრეთა შორის არსებული უნდობლობის შემდგომი გაღრმავება, ადმინისტრირება და რეპრესიები.

ხუკის არქივის ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „1926-1927 წწ. გაძლიერდა გასაჭოების ხაზით უნივერსიტეტზე დაწოლა და მემარჯვენე პროფესურა აშკარად კონტრრევოლუციურ რელსებზე დადგა. უნივერსიტეტში... კონტრრევოლუციურ სიტყვებს სავსებით აშკარად და დიად გამოსცქვამდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობდნენ ი. ა. ჯავახიშვილი, ა. ალადაშვილი, ალ. წერეთელი, ნ. იოსელიანი და შ. ნუცუბიძე. როცა ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტში დანიშნული რექტორი იქნება, მაშინ გადაწყდა მთავრობის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა და საბჭოზე რექტორის გამოცხადებით არწევა. რექტორების თ. ღლონტის და მ. ტოროშელიძის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ძმიმე მდგომარეობა შეუქმნა უმაღლეს სკოლას".

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ი. ჯავახიშვილის დასის აქტიური წევრი პროფ. შ. ნუცუბიძე აღნიშნავდა, რომ „1926-1927 წლები ყველაზე ძმიმე იყო მემარჯვენე ანტისაბჭოთა პროფესურისათვის. უნივერსიტეტის ავტონომია ლიკვიდირებული იქნა, სტუდენტობა პროფესურის გაელენისაგან ირიყებოდა: კოლექტივის ბიურომ და პროფორგმა თავიანთ ხელში აიყვანეს სტუდენტობა. თავვაწურული ბრძოლა მიდიოდა საგნების სწავლების საკითხებზე, უნივერსიტეტის ორგანოებსა და ფაკულტეტების მმართველობის შესახებ, სტუდენტთა წმენდაზე, ახალ სტუდენტთა მიღებაზე... მემარჯვენე პროფესურა მძვინვარებდა. ფ. გოგიჩაიშვილი, გრ. წერეთელი, ა. ბეგნაშვილი, ა. რაზმაძე ჩემთან შეხვედრისას ცეცხლს აფრქვევდნენ. ჯავახიშვილი რექტორობიდან მოხსნილი იქნა. ადგილზე დავრჩით მე და კეკელიძე, მაგრამ ჩვენ არ ვცდილობდით დავხმარებოდით რექტორებს ღლონტსა და ტოროშელიძეს".

უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობას დამატებით ბუნებას საზღვრის გადალახვის დრის მოელული მეკავშირისაგან ამოღებული ფოსტის კორესპონდენცია „უნივერსიტეტის შესახებ". მასში ვკითხულობთ: „1926 წელს ი. ჯავახიშვილი მოხსნილი იქნა რექტორის თანამდებობიდან. ამ ცნობამ განაცვიფრა ქართველი სტუდენტობა და მთელი ქართველი საზოგადოება... დაწერილი იქნა ახალი სასწავლო გეგმა. განსაკუთრებით ღრმა ცვლილებები განიცადა სოციალურ-ეკონომიკურმა ფაკულტეტმა, რომელიც მთავრობის მიერ ცნობილი იქნა კონტრრევოლუციის კერად. გაუქმებული იქნა მთელი რიგი საგნები, ხოლო მათ ნაცვლად შემოღებული იქნა ისტორიული მატერიალიზმი, საბჭოთა სამართალი, კოოპერაციის ისტორია, კომპარტიის ისტორია... ახალი საგნები საჭიროებდნენ ლექტორთა კადრებს. სკ. პირდაპირ არწევდა მა.ი სანდო ადამიანებისაგან... ამავე წლიდან შეიცვალა უნივერსიტეტში მიღების წესები. ცოდნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲔᲯ ᲐᲮᲐᲠ ᲐᲮᲡᲣᲚᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲠᲝᲚᲘ... 1929 ᲬᲚᲘᲡᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲥᲪᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐᲪᲘᲗᲐᲜᲐ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡᲐᲜᲘ“ (ᲛᲗᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘᲐ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡᲐᲜᲘ“ — Გ. Ც.)... ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲧᲠᲗᲕᲐᲗ ᲙᲝᲯᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲮᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲘᲚᲔᲪᲐ ᲐᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲐᲒᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲒᲣᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲓᲐᲓᲐ, ᲐᲠ ᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲔᲗᲐᲨᲘ. ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘᲗ ᲓᲘᲙᲢᲐᲢᲣᲠᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲩᲕᲘᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲓᲔᲡ ᲓᲐᲐᲡᲯᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲜᲐᲨᲘ... ᲯᲐᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲣᲨᲜᲝᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲨᲝᲜᲘᲠᲘᲗᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲣᲨᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲒᲣᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲓᲐᲓᲐ, ᲐᲠ ᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲔᲗᲐᲨᲘ. ᲑᲝᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲘᲙᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲒᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲮᲚᲔᲜᲘᲗᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ „ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ“ (ᲛᲗᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘᲐ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡᲐᲜᲘ“ — Გ. Ც.)... ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲧᲠᲗᲕᲐᲗ ᲙᲝᲯᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲮᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲘᲚᲔᲪᲐ ᲐᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲐᲒᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲒᲣᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲓᲐᲓᲐ, ᲐᲠ ᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲔᲗᲐᲨᲘ. ᲛᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲓᲐᲮᲐᲚ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ... ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲓᲒᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲜᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ. ᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲝᲗᲐᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲠᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ. ᲠᲐᲒᲐᲪ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲐᲡᲯᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐᲪᲘᲐᲜᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲓᲐᲮᲐᲚ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ. ᲘᲚᲔᲪᲐ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲜᲔᲡ ᲔᲚᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲗᲝᲗᲐᲕᲐᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲥᲡᲘᲗ ᲣᲠᲘᲒᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲓᲘᲡᲐ. ᲠᲐᲗᲐᲛᲐ? ... ᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲑᲣᲜᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲡᲗᲝᲗᲐᲕᲐᲖᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲑᲣᲜᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲤᲢᲝᲑᲠᲘᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲜᲔᲡ ᲔᲚᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲗᲝᲗᲐᲕᲐᲖᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲛᲬᲘᲜᲓᲔᲡᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავალერიმა, კახიანმა „კომუნისტ-ინტერნაციონალისტის“ სულისკვეთებით უპასუხა: „სურთ გადახდონ ამერკვეკასიის ფედერაციის საკითხს. ასეთი სახის განწყობილებებთან ჩვენ ბრძოლა გვიხდება და ჩვენ ჩანახახმოვე ელახავთ ამ სახის განწყობილებებს“.

ქართველი, მათ შორის — უნივერსიტეტის ინტელიგენციის სამ ჯგუფად დაყოფა-გამიჯვნის ოფიციალური ვერსია 20-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო გამქელანებული ტენდენციის გაზვიადება იყო, ვიდრე საქართველოს და უნივერსიტეტის ინტელიგენციის გულსადებია და პრაქტიკული საქმიანობის ნამდვილი ასახვა. 30-იანი წლებიდან ტენდენცია გაღრმავდა, ამ პერიოდის მეორე ნახევრიდან კი ნათლად გამოიხატა მარქსისტული აზროვნების მიმდევართა მომრავლება, თუმცა ძველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი კეთილგანდებულად ანტიმარქსისტულ პოზიციაზე იდგა. ამიტომ პარტიულმა ხელმძღვანელობამ შემდგომ წლებში უნივერსიტეტის ეროვნული აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით სახეიი და სისტემატური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობაში ი. სტალინმა დანიშნა პარტიულ-სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობის გამოცდილების არმქონე, მაგრამ ჩეკისტური მუშაობისა და ინტრიგული ქსელის გამბის უნიჭიერესი დიდოსტატი, უაღრესად ენერგიული პიროვნება, იგი მოქნილად იყენებდა ყველა ძველ, ადრინდელი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელსა და ახალ — „ჩეკისტურ“ მეთოდებს, განსაკუთრებით კი პარტიის სახელმწიფოებრივ ძალაფობას, რომელსაც თავის მხრივ სტიმულს აძლევდა ახალი ეპოქის მზარდი სისტემაკეკ და დაუნდობლობა. პირად ურთიერობაში ბერიას ახასიათებდა სიხასტიკეკ და ეურაღღება-გულისხმიერებაც. იგი იმეანად ნიჭიერი ხელმძღვანელის თვისებებით ხასიათდებოდა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკასაც ეაატყო ხელი და ბევრი განაწყო საკუთარი პიროვნების მიმართ პატივისცემითა და ძალლური ერთგულებითაც. მისი ასეთი თვისებები ქველმა პარტიულ-სახელმწიფოებრივმა ხელმძღვანელობამ და ქართული ინტელიგენციის გონიერმა წარმომდგენლობამ აღვილად ამოიცნო. ერთმა ნაწილმა აშკარად მტრული დამკიდებულება გამოხატა, მეორემ თავისი შეზდულებების დფარვა არჩია, მესამე შეეცადა ბერიას პიროვნული თვისებების გამოყენებას, მეოთხე ლაქიად გაუხდა და ბერიას „უახლოეს“ თუ დისტანციურ გარემოცვაში გაერთიანდა...

უნივერსიტეტისადმი მიმართებაში ბერიას პარტიული ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა საუნივერსიტეტო სულისკვეთების ზედმიწევნით ცოდნასა და შიდასაუნივერსიტეტო კადრებს შორის არსებული მეგობრობის, იდეური ერთიანობის და, აგრეთვე, წინააღმდეგობათა აქტიურ გათვალისწინება-გამოყენებას. უნივერსიტეტის პროფესურის ძველი წარმომადგენლობის ძირითადი ნაწილი ახალ რიულ პირობებშიც ძველი ტრადიციების ერთგული დარჩა. ბეერმა მათგანმა ბოლომდე არ მიიღო საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი.

1933-ში, უნივერსიტეტის აღდგენის წლიდან დაიწყო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სრული დამორჩილებისათვის აშკარა თუ ფარული პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის შემდგომი გაძლიერება, რაც მოელი 30-იანი წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. 1933 წლის 23 დეკემბერს გამართულ უნივერსიტეტის პარტიულ კონფერენციაზე შეუტიეს პროფ. მ. გოგიბერიძეს: ლექციის თხუთმეტ წუთს ლაზღანდარობაში კარგავსო, ამხილეს ლ. ციხისთავის „დამპალი ლიბერალიზმი“, ასპირანტ თოფურიას „შერიგებლობა“; პ. გუგუშვილს და ზოგ სხვა ლექტორს აკრიტიკებდნენ „არამარქსისტული“ პოზიციისათვის. აგრეთვე ამხილეს ლექტორი გაგუა, რომელსაც გამოუთქვამს ანტიმარქსისტულ-ანტილენინური აზრი: „სტატისტიკა, როგორც პარტიული მეცნიერება, არ არსებობს“; სასტიკად გააკრიტიკეს ფოლკლორისტი ვ. კოტეტიშვილი, დუდუნავა, ლიტერატორი მ. ზანდუკელი, ასტრონომი მენაბდე, ქიმიკოსი პროფესორები: მოსაშვილი, ციცისშვილი; ფიზიკოსები: ნოდია და შალამბერიძე, ბოტანიკოსი ნ. კეკნავილი, ბიოლოგი გ. ჯავახიშვილი. ვ. კოტეტიშვილს მიმართ გამოთქვა საყვედური: „თქმენს მარტო ნამოვიანს, კონცეფცია არა აქვს, რადგან არ უნდა გაამყლავნოს თავისი მიუღებელი კონცეფცია“; დუდუნავას პროგრამას „ხალტურა“ უწოდეს; ნათვალეს, რომ მ. ზანდუკელს „აქვს ხარვილი მარქსისტულთან მიახლოებისა, მაგრამ... ვერ არის დფახებული გ. წერეთელი და იგი გამოეცვანილია ი. ჭავჭავაძისგან. პროლეტარული მწერლებიდან არ არის გამოკვეთილი დავთაშვილი, ვ. ნინოშვილი ვერ არის საკმაოდ დახასიათებული, როგორც კლასიკოსი. ლიტერატურის ისტორიას წარმოგვიდგენს, როგორც რაღაც დამოუკიდებელ ისტორიას, რომელიც არ არის დაკავშირებული პოლიტიკური ისტორიის პერიოდიზაციასთან...“ გააკრიტიკეს პროფ. მ. შალამბერიძის „იდეოლოგიურად მიუღებელი შეხედულებანი ფიზიკურ ქიმიაში“: „იგი ანტიმარქსისტებისგან ქურდობს და საბჭოთა უმაღლეს სკოლაში ასაღებს“. კომენტარებისაგან შენგებულად ვიკავებთ თავს. ამ შემოხვევაშიც ისე, როგორც ყოველთვის, თავდასხმის ობიექტია ძირითადად ძველი, დაუმორჩილებელი პროფესურა, რომლის მეცნიერული და პედაგოგიური კომპეტენტურობა საყოველთაოდ იყო აღიარებული. პარტიული ხელმძღვანელობა ერიში უდავოდ მართალი იყო: ეს პროფესურა მარქსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმისაგან შორს იდგა და თავის ᲰᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ მოღვაწეობაში ძირითადად ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ მეცნიერების მონაპოვარს ემყარებოდა. ასე რომ, პარტიული დოკუᲛᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲭᲝᲠᲐᲓ არ უნდა ჩაითვალის, არამედ აქ უნდა დავინახოთ ბრძოლა ორ რეალურ-ᲐᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡᲢᲣᲠ მსოფლმხედველობას შორის, თუმცა ეს ბრძოლა პარტიის მხრიდან დაუნდობელ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲐᲪᲐᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲗ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲠᲘᲜᲝᲛ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲯᲔᲓᲘᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲘᲓᲐᲮᲐ 1935 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲔᲠᲐᲠᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲐᲤᲠᲝᲜᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲣᲔᲠᲢᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ ფაფურას ეხაჭიროება მეტი ბრძოლა, ისტორია არ დაუშვებს არავითარ კომპრომისს, ჩვენ ფრთხილად ვდევნებთ თვალყურს. საქართველოს ისტორიის შეხწავლის საქმე არის მეტად მძლავრი საქმე. შეიძლება აღზარდოს ნაციონალისტები და კონსერვეოლეუციონერები".

განსაკუთრებით ფართოდ დაახასიათეს პროფ. შ. ნუცუბიძე. პარტიულ კრებაზე ითქვა, რომ „... შ. ნუცუბიძეს კარგი უნარი აქვს პოლიტიკური სიტყვების... ამბობს, რომ ლენინი არ არის მეცნიერი. ნუცუბიძეს ჩვენ ჭკვა უნდა ვასწავლოთ, რადგან ის ამზადებს პროლეტარულ სტუდენტობას. ნათქვამია, ქვეკრის რასაც ჩასახავს, იმას ამოვბახებსო... ჩვენ გვაკვს ყოველ შემთხვევაში პარტიული ჯგუფი ასპირანტების. როდესაც ისინი იდეოლოგიურ შეცდომებს სჩადიან, საიდან გამომდინარეობს, ამის წყარო თანდათან არის შექმნილი. ეს არის აუცილებად ჩვენი პროფესორებიდან"...

პარტიული კრების მონაწილე კომუნისტებმა უნივერსიტეტის იდეოლოგიური ამოცანები დაუკავშირეს მეორე ხუთწლედის ამოცანებს. დასახეს „... ყოფილი კულაკების ლიკვიდაცია არა მარტო ეკონომიკაში, არამედ იდეოლოგიის ფრონტზე". მათი აზრით, რადგან „უნივერსიტეტი, ეს ძველი რესპუბლიკის კულტურულ-იდეოლოგიური კერაა", ამიტომ „უნივერსიტეტში არ არის არცერთი საკითხი, რომელიც იდეოლოგიის გარეშე იდგეს..." „ყველა ძველი პარტიის წარმომადგენლები უნდა იქნან გადაცემული ძველ არქივში". „იდეოლოგიურ ფრონტზე არ გაგვეპაროს მავნე ელემენტები".

იქვე აღინიშნა, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე დათმობა შეუძლებელია და საჭიროა უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზება: „შესაძლებელია მათი განიარაღება და არა შერიგება".

კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებით საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების კრებების დოკუმენტური მასალები ზემოთ გამოქმეულ მოსაზრებებს და უნივერსიტეტში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს აზუსტებენ. სამართლის ფაკულტეტის პარტიულ კრებაზე ითქვა: „ამხანაგობა აგებული უნდა იყოს ყოველი ნაკლის გამოჭვლევებზე"; „ყველა კომუნისტმა თავი დამკვრელად უნდა გამოაცხადოს". ამხანაგს, რომ „პროფესორი ვაჩეიშვილი არ აშუქებს ლენინიზმს". სტუდენტების მიერ გაკრიტიკებული იქნენ პროფესორები ვაჩეიშვილი, ნანეიშვილი, ტატიშვილი. რეზოლუციაშიც შეუტანიათ: „ზოგიერთი ლექტორები (ვაჩეიშვილი, ტატიშვილი) არ აშუქებენ საკითხებს მარქსისტულად". ლიტერატურის ფაკულტეტის „კრებაზე კამათში გამოსულები აკრიტიკებენ ლექტორებს მარქსიზმის რევიზიის გამო". პროფ. დანელიას უთქვამს: „მარქსს ლიტერატურის საკითხებში არ უმუშავია". „დღნელია სტუდენტებს სათანადოდ არ აფასებს", — ნათქვამია კრების ოქმში. ფირცხალაიშვილზე ითქვა: „არ ხსნის პარტიისა და ლენინის როლს 1905 წლის რევოლუციაში"; „ფირცხალაიშვილი შეუფერებელია უნივერსიტეტისთვის". შეეხნენ კოტეტიშვილის და აკაკი შანიძის ნაციონალისტური განწყობილებების გამოშეღვენებას. სიტყვა „შეაწოეს" აგრეთვე მ. გოგიბერიძეს. გაკიცხეს და გაჭორეს სხვა ლექტორები.

მოტანილი დოკუმენტების ფრაგმენტები აშკარად მეტყველებენ ეროვნული აზროვნებისადმი კომუნისტების შეურიგებლობას, მაგრამ, ამასთანავე, ისინი აღიარებენ, რომ უნივერსიტეტში ანტიკომუნისტური აზროვნება ის რეალური და მძლავრად ფეხეკვამდგარი ძალაა, რომელსაც ახასრდოვებს ძველი პროფესურა და აქტიურად უჭერს მხარს უპარტიო მასა. ამასთანავე, ცხადი ხდება, რომ უნივერსიტეტის ინტელექტუალური ნაწილი ძირითადად არაკომუნისტურია, რომ თვით კომუნისტებშიც არ არის მყარი ზოგადადამიანური, მეცნიერულ-პედაგოგიური და მარქსისტულ-ლენინური პოზიციები. ჩანს, რომ კომუნისტები უნივერსიტეტში მყარ იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე არ დგანან და ხშირად ზნეობრივადაც საჩოთიროს სჩადიან არა მარტო პარტიული პოზიციები, არამედ პირადი, ზოგადადამიანური ქცევის ნორმების თვალსაზრისითაც.

ამ პერიოდში კომუნისტური ადმინისტრაცია ღევნიდა უპარტიო პროფესორებს ა. ნიკობაძას და ს. დანელიას. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კრებაზე 1936 წლის 23 მარტს ყოფილმა რევოლუციონერმა და მაშინდელმა რექტორმა წაიკითხა მოხსენება, რომელიც შემდეგ უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომებშიც გამოქვეყნდა, და რომელშიც „განადგურებული" იყო ი. ჯავახიშვილის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური" კვლევის კონცეფცია. იგი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტში ი. ჯავახიშვილის აზრის მრავალრიცხოვან მიმდევართა იდეურ განადგურებას.

1936 წლიდან ი. ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის ოპოზიციური პროფესურის მიმართ ზემოქმედება ეახცდა განსახკოთის და თსუ პარტიული ორგანიზაციის კომპეტენციას. 1936-1938 წლებში ხელისუფლებაში ი. ჯავახიშვილის და ძველი პროფესურის მიმართ დამოკიდებულებაში თავი იჩინა ორმა განსხვავებულმა ტენდენციამ: ერთი მიზნად ისახავდა დამორჩილება-ვამოყენების მიზნით მათ სახელმწიფოებრივ სტიმულირებას, ხოლო მეორე გულისხმობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დამუშავება-დაპატიმრების და საზოგადოებისაგან იზოლირებას. ეს ტენდენცია არ გამორიცხავდა მათ ფიზიკურ განადგურებას...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თენგიზ ჩხაიძე

პრეროვნება—„უხვთიერესი მოვლენა“

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, დაჰქროლა თუ არა განახლების ნიომ მწერლობაში, დაიწყო ლიტერატურულ ცხრილთა მანამდე ჩაკლული პიროვნული საწყისის გამოცოცხლება და თანდათან აღორძინება. მწერლობის ახალრეზზე საიმღეროდ გამოსული ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა, ნაცვლად გაბატონებული თეორიული დოგმების მიხედვით ორიენტაციებზე შემდგარი პერსონაჟების გამოგონებისა, ხელი მიჰყვეს თვითგამოხატვას, საკუთარი განწყობილების, განცდების, აზრების მხატვრულ ხორცშესხმას, რეალური ადამიანების წარმოჩენას. პიროვნული საწყისის წინ წამოწევა და გამოსახვა იმ ტიპის მწერლებმა უფრო მეტად და უკეთ შეძლეს, ავტორის სულიერი წყობის მონათესავე ცხრილი, ავტორის ერთგვარი ორეული რომ შექმნეს და, გარკვეულწილად, უპირატესი ადგილი დაუკავიერეს თავიანთ ნაწარმოებებში. აქ ავტობიოგრაფიული ნაკადის შემოჭრამაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონია. ამ ტიპის მწერალთა ნიშან-თვისებებით მეტ-ნაკლებად გამოირჩევიან გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, რევაზ ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე... მკაფიო ინდივიდუალური „მე“, რაც გულისხმობს თავისებურებას ხასიათისას, მსოფლშეგრძნებისას, მსოფლხედვისას, გულისხმობს საკუთარ, არასტანდარტულ დამოკიდებულებას თავის თავთან და გარესამყაროსთან, საკუთარ, ინდივიდუალურ მიმართებას სულიერ-ზნეობრივ პრობლემებთან, აუცილებელი პირობაა პიროვნების, როგორც გარკვეული მხატვრული სახის, გამოსაკვეთად.

გურამ რჩეულიშვილის პროზის თავავარ გმირს (მეტწილად ვაჟა ჯანდიერის ან სულაც გურამის სახელით გამოყვანილს სხვადასხვა მოთხრობაში) ახასიათებს ბოლომდე გამოკვეთილი ინდივიდუალობა, ბოლომდე გამოკვეთილი იმ თვალსაზრისით, რომ ძირა თვისება, რაზეც შენდება ჭეშმარიტი ინდივიდუალობა, არის მარტოობის გრძნობა, მისი სიღრმე და სისრულე. იმისათვის, რომ ადამიანი მიესწრაფოდეს ერთიანობას გარესამყაროსთან, დანარჩენ ადამიანებთან, საზოგადოებასთან, ერთან, იგი ჯერ გამოცალკევებულად, გამომიჯნულად, განმარტოებულად უნდა იგულებდეს თავს. მხოლოდ ამ ნიადაგზე წარმოშობილი სწრაფვის გზით მიღწეული ერთიანობა გარესამყაროსთან და ამგვარი გზით დამყარებული ჰარმონიული დამოკიდებულება საკუთარ თავთან ნიშნავს შეგნებულ, რთულ, სინთეზურ ერთიანობას, დამახასიათებელს პიროვნებისათვის, ჭეშმარიტი ინდივიდუალობისათვის. ხოლო ის ერთიანობა, რასაც არ გაუვლია გამოცალკევება-განმარტოვების მტკივნეული პროცესი, მტანჯველი პროცესი გამოცდისა, ინსტინქტური, პრიმიტიული, სინკრეტული ერთიანობაა. თითქოს პარადოქსულად უნდა მოგვეჩვენოს მარტოობაზე ლაპარაკი იმ გმირთან დაკავშირებით, რომელიც ერთი შეხედვით, ესოდენ სისხლსავსე, დაუღეგარი ცხოვრებით ცხოვრობს, თან „მამაცა ჰყავს, დედაც, დაც (დებიც), მრავალნი მონათესავენი“, არადა, მარტოობის განცდა რჩეულიშვილის გმირისა ძმაფრი და უშუალოა. ესაა მარტოობა არა გვიანდელი, გაუცხოებული პერსონაჟისა, არამედ ადრინდელი, რომანტიკული ყაიდის გმირისა, იმ განსხვავებით კი, რომ რჩეულიშვილის გმირი ზემოდან როდი დაჰყურებს საზოგადოებას, როდი უპირისპირდება ან ზურგს როდი უწევნებს მას. მარტოობა აქ არ არის გამოწვეული საზოგადოებისაგან გათიშვით; იგი, ასე ვთქვათ, მეტაფიზიკური მარტოობის გრძნობაა, თითქოსდა უმიზეზო. მისი საფუძველია ბუნდოვანი, გაურკვეველი რომანტიკული ,ხუვილები თუ მისწრაფებანი, ლტოლვა განუსაზღვრელისაკენ და, იმავე დროს, უშუალო ძმაფრი განცდა სიკვდილის სიცოცხლისა და გარდუვალობისა. რჩეულიშვილის გმირს სიკვდილზე ფიქრი, თვითმოსპობის განზრახვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეკვიატება უეცარი სულიერი სიმძიმილის ჟამსაც და მაშინაც, როცა ბედნიერების წუთებს განიცდის, როცა, ვთქვათ, მთაში გატარებული დღეების შემდეგ თბილისს მოეშურება მატარებლით, თბილისთან კვლავ შეხვედრის სიხარულს შეუპყრია და ხურს, სწორედ ამ ბედნიერების განცდისას გაწყდეს მისი სიცოცხლის ძაფი (ხიდი საინგრეს და მატარებელი გადაიჩეხოს). მთაში მყოფს თბილისი ენატრება, დედაქალაქის კვლავ ნახვის ხურვილი ანიჭებს გამძლეობას გასაჭირში ჩავარდნილს, მაგრამ თბილისშიც ვერ ჩერდება ღიდხანს, გული მოისკენ ან ზღვისკენ, ანდა ტრამალებისკენ მიუწევს. თავის თავს გაურბის თუ თავის თავს ეძებს? ალბათ, ერთიც არის და მეორეც. განუსაზღვრელს მიელტვის. მხოლოდ აზარტულ, სისხლჭარბ სიცოცხლეს აქვს ფასი მის თვალში; თავდავიწყებამდე რომ მიჰყავხარ, ბედნიერებას რომ გაგრძნობინებს, იმგვარ სიცოცხლეს. სიკვდილის შიშით იტყუებდეს თავს და იმ შიშის გამო ეგუებოდეს ღუნე, უფერულ, ღრუნი გაწელილ არსებობას, არ ძალუძს და არცა ხურს. სიცოცხლის ეშხს ეტრფის, ეს ეხმარება, მარტოობის გრძნობა გადალახოს. სიყვარული სიცოცხლის, ნება სიცოცხლისა და, იმაზე ღრმა, უშიშრად თვალის გასწორება სიკვდილისთვის, წარმავლობის ტრაგიკულ გრძნობასთან ჭიდილში საყრდენის პოვნა გვარის, მოდგმის გაგრძელების სახით რჩეულიშვილის ეძირის ერთი ყველაზე უფრო ფასეული თვისებაა. თუმცა, ეხეცაა: გუნამ რჩეულიშვილი ნაადრევად დაიღუპა, საგაზაფხულო სიმღერის ჰანგი შემოსძახა და დაღუმდა; მისი ნიჭი გაზაფხულის პირს გამოლებულ კეკრცხა ჰგავდა, გაფურჩქნა და აყვავება არ დასცდა, მწიფობის ჟამი არ დასდგომია.

ნოდარ დუმბაძის პროზის ლირიკული გმირის თვალში მოხახვედრი და ღირსსაცნობი თავისებურება მისი მსოფლშეგრძნებაა. ძვირფასი თვისება, სიცოცხლის ხალისი მიპმადლია გამორჩევით, თვისება, რომლის ცნებაც ცოტა არ იყოს გაბანალურებულა უადგილო და ზშირი ხმარებისაგან; უსარი თუ ნიჭი დაქყოლია ყოფნით ხარების, სხვა ადამიანებთან, მოელ გარემოსთან საკვირველი თანაზიარობის. ტკბილი, გასაჭირი, ცხოვრების ტრაგიკული მხარე უცხო როდია მისთვის, არც ამას ერიდება, არსებობის უფსკრულს ჩაჰხედის, ოღონდ, იმ უფსკრულის თავზე ამოსული ერთი ყვავილივით, პირი მზისკენ აქვს ხოლმე ძმარუნებული. ტკბილად როდია, რომ მზეს, სიმბოლიკას მზისას, როგორც წყარის სიცოცხლისას დ სინათლისას, განსაკუთრებული ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ნოდარ დუმბაძის მთავარი ქმნილებები, მოყოლებული „მე, ბებია, ილიკო და ილარიონოდან“ ვიდრე „მარადისობის კანონამდე“, — მწვრილის ცხოვრებისა და გამოცდილების თავისებურად შემაჯამებელ რომანამდე, — გადაგვიშლის არსებითად ერთი და იმავე ბუნების მქონე ადამიანის სულიერი მიიკრაფიის სხვადასხვა ეტაპს, განსხვავებულს ასაკის, დროისა და ცხოვრების ეამოდღეების კვალობაზე; გვიხატავს გმირის ცხოვრების მთავარ ეტაპებს ბავშვობიდან დაკაცებამდე, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიპოვებამდე და სოციალურ თვითდამკვიდრებამდე. ამ გმირის სულიერ მიიკრაფიას წითელ ზოლად გასდევს შინაგანი ჭიდილი თუ აპკარა ბრძოლა პირველყოფილ სულიერი პარმონიის შესანარჩუნებლად, რაიმე მიზნით დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. რაკიდან გასაკვირიც უნდა იყოს, დუმბაძის გმირის პარმონიული სამყარო, სანეტარო ხანა ბავშვობისა და სიყრმის ხანაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეშირს დაობლების ხიმწარეც უწვნეია და ომის ხუსხიანი დროებაც წამოსწრებია. მართლაცდა, ხომ ძნელია დაახასელი თანამედროვე ჩვენს მწვრილობაში მეორე ნაწარმოები, საიდანაც იფრქვევიდეს სიცოცხლის ისეთი ხალახი, როგორიც მოჩქეფს ნოდარ დუმბაძის პირველი პროზაული ნიმუშიდან, ამ ეს ოელ ხალახი ქმნილებიდან, სადაც იუმორი ავტორის მსოფლშეგრძნების განუყოფელი ნაწილია. ფრიად საკურადსაბმოა, რომ დუმბაძის გმირი (ოშერ ბარამიძე „მზიანი ღამიდან“) ნატრობს, ადამიანის ზრდა-განვითარება სიბერისკენ კი არ მიდიოდეს, წლები კი არ ვეკმატებოდეს, პირიქით, ვეკკლებოდეს, თანდათან მეკიქეცოდეთ ბავშვობისკენ, ბოლოს კი ვერთვოდეთ ღედის წიაღს ისევე უმტკივნეულოდ, როგორც ეიშვით. რაც უფრო ღრმად შედის ხსენებული გმირი ცხოვრების ტკვრში, რაც უფრო ღრმად ითრევს წუთისოფლის მორევი, მით უფრო უძნელდება, შეინარჩუნოს პირველყოფილი სულიერი პარმონია, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყობა ხეიერობა და პარმონიზების დაკვიანას. მწარე ეამოცოლობას შესძინს ცხოვრება, მასთან შიხლა. მისი სიბინძურის შიხება, იმდენად მწარეა ოა ძმაბეს, ლამის თიხიური ია სულიერი ერახის ოსპაო ფაუოდეს ის, ოუმაა სამოოოოო მაინა ახერხებს, არ ეაპყდეს, არ ეაბორეტდეს, არ ოაარიოს სიცოცხლის სიყვარული ოა ადამიანის რწმენა.

არჩილ სულაკაურის, როგორც მწერლის, ოარადღება და ინტერესი უმთავრესად მიმართულია ადამიანებში (მოყოლებული უკვე მოზარდის ასაკიდან) ეაოლეი ია ბორეტი საწილის ოარნეიანაკენ. ამ ორი ხაწილის ურთიერთოაპირისპირების ეიენებისაკენ. ადამიანში ადამიანურის ოარსებიერ ია ოა ეიეიშეიერენისაკენ. ეიი მხატვრული ასახვის სანად მიგნილად ირჩევს ეიოოკარ-ს, ეიაოლეიოს. ბაბუის, ეიეიეიენის, მაგი თიაოლით ოანაწულ ეარსასმაოოს, ოოკოს მიაოენიბს მათი თიეიშეკენების ეამეიეიეიძასა ოა განვითარებას, სულიერი დეკენის, პიროვნებად

ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გეგონოთ, აქ ჩვეულებრივ ლიტერატურულ გაზვიადებასთან გვქონდეს საქმე, ნამდვილად მომხდარს მოგითხრობთ. ავტორი ეშყარება იმ წლების რეალურ ამბებს, უდანაშაული ოჯახებისა და სტუდენტი ახალგაზრდების რეპრესიების ფაქტებს, ოღონდ, ყოველსავე ამას მხატვრულად გადამუშავებულს, გააზრებულსა და გახზოგადებულს გვაწვდის.

ჯერ სხვების თავზე ტრიალებს ცხოვრების დრამა, ჯერ მხოლოდ მონაყოლით იცის წუთისოფლის სიმუხთლე რომანის გმირმა, სკოლის მოწაფემ, თუმცა, აქვე ეძლევა ბიძგი მის ცნობისწყაროს, სურვილს, შეიცნოს ჭეშმარიტება, გარკვეოს ავი და კარგი, სამართლიანობა და უსამართლობა. მერე უახლოდება ეს დრამა, გვერდით უდარაჯებს, ბრჭყალს გაკერავს, სატრფოს დაკარგვინებს; თანდათან ვიწროდება წრე ახალგაზრდა კაცის გარშემო, ავბედით შემთხვევებისა და მოვლენების ალაფნი ქქცევს, შემთხვევებისა და მოვლენებისა, რომელთა მიღმა ფარული კანონზომიერება მოქმედებს.

ძიებისა და შეცნობის ძნელ გზაზე შემდგარი, რომანის მთავარი გმირი იმ საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის არსში გარკვევას ესწრაფვის, რომელშიც ცხოვრება უზდება. იგივე კითხვა, იგივე საფიქრალი განსჭვნოთ სხვა პერსონაჟებსაც — ოზო ბოდაველის მამას სანდრო ბოდაველს, ოზოს მეგობარს ლეკა ჯორჯაძეს, ძველი ინტელიგენციის უკანასკნელ მოჰიკანს ლადო ცხაკიას, რომლის სახეც ეხოდენ სიმპათიურად და მიმზიდველად არის დახატული რომანში. სიმართლის, ჭეშმარიტების ძიებას მარტოოდენ საკუთარ ბედზე ფიქრი და წუხილი როდი უკარნახებს რომანის მთავარ გმირს, მისი შინაგანი ფორიაქის მიზეზი უფრო ღრმაა — ეს არის თვალებზე ლიბრგადაცილილი ახალგაზრდა კაცის ძალუნებური ღიქრი და წუხილი თავისი სამშობლოს ბედზე. პირადად ნანახ-განცდილია და ახლობელთაგან მოსმენილი ამბებიც საკმარის საოუძველს აძლევს მას, ზოვიერთი საეულისხმო დასკვნა გამოიტანოს.

გაბატონებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ ისტორიული საყოველი მოუყია ერს — დაშალა, დაარბია ტრადიციული სოფელი, კერა ეროვნული თავისთავადობის, წინაპართა ზნე-ჩვეულების დაცვისა, ერის ფიზიკური და ზნეობრივი ხიკარსაღისა. მწყემს ოთომის თავადასაკალი და სოფელ ნისლაურას მდგომარეობა მეტეველი სურათია ეაოატანილი უბედურების, ერის მიმართ ჩადენილი ბოროტების. ოთომის თავადასაკალი, მხატვრული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი რომანისა, პირველ წიგნშია ძოთხრობილი. კიდევ უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მეორე წიგნის ის ეპიზოდი, სადაც აღწერილია ოზოსა და ლუკას ბოლო ჩასვლა ნისლაურაში და შეხვედრა მის უკანასკნელ მკვიდრთან — ვეფოონ ობანაშვილთან. ეს კაცი ძარტოდძარტო, უპატრონოდ დარჩენილა სუფეველასგან მიტოვებულ სოფელში, დარჩენილა შეგნებულად, რა არის ბოლოდე ეამოხატოს ერთგულება შშობლიური მიწა-წყლისადმი. საკუთარი ხელით დაუშენებია კუბო, საფლავის ქვა, საკუთარი ხელითვე გაუთხრია საფლავი — აქ, ამ მაპაპაპეულ ალგის უნდა იყოს მისი ხანუდამო განსახეენებელი. მთელი ეს ეპიზოდი აღწერილია იშეიათი ადამიანური სითბოთი და სიფაქიზით, თვალწინ დაეიდგებათ სულის შემძვრელი სურათი. მდგომარეობის მოეეტებულ ტრაგიკულობას ანელებს თავად ობანაშვილის რწმენის სიწმინდე, მისი სულის ურყეობა. იგი გამოხოვებისას ხავგარეული ვერცხლის ჯვრებს ჩამოაკიდებს კისერზე ოზოსა და ლუკას. ეს სიმბოლური აქტია. ქრისტიანული რწმენისაკენ, ქრისტიანული ზნეობისკენ მიქცევა ორივე ამ გმირის შინაგანი მისწრაფებაცაა. ამავე დროს, მთავარი გმირის სულიერი კონტაქტი გარდასული ხანის ღირსეულ, კეთილშობილ წარმომადგენელთან (ისევე, როგორც ლადო ცხაკიასთან) სიმბოლურად მიგვანიშნებს მთავარი ემირის ლტოლვას წარსულის კულტურასთან, წარსულის ტრადიციასთან ხელოვნურად ეაწყვეტილი კავშირის აღდგენისაკენ.

განვლო უშუალოდ სოციალურ (კლასობრივ) ნიადაგზე გაჩაღებულმა ბრძოლამ, ადამიანთა განუკითხავი მასობრივი თრგუნვის, დევნისა და მოსპობის ეტაპმა. მაგრამ დარჩა პოლიტიკური ტრანსა, კვლავ მოქმედებს, თუმცა ძველებური აშკარა სახით კი აღარა, უფორეე შენიღბული ფორმით, დაორგუნეის ხასელმწიფოებრივი მექანიზმი; არადა, ამასობაში ახალი თაობები ეამოზრდილან, ახალ ხზოვადოებრივ კარეშში აღზრდილნი. ბრძად, თვითმზნუნად მოქმედებს ეს ხაშინელი მექანიზმი თუ ეამოზნულად; იცის, ეისა და რას ებრძოლის? რომანის მთავარ პერსონაჟთა კრიტიკული, მძიმებელი აზრი ამ კითხვის პასუხისკენაც მიიკვლევს გზას.

1956 წლამდე ყველა რეპრესირებული პოლიტიკური ბრალდების საფუძველზე ხალხის მტრად ითვლებოდა. როცა მასობრივი რეპრესიების საკითხს პირველად ეახსნა ტაბუ (ხრუშჩოვის დრეს), „ხალხის მტრები" წინანდელი ხელისუფლების თვითნებობისა და უკანონო ქმედების მსხეერპლად გამოცხადდნენ. უფრო სწორად რომ ეთქეეთ, ამოდენა უბედურება და ბოროტება ერთი კაცის თვნებობამ დაიბადოს და ხელიც იმას შეახოცეს. მწერლობას მაშინ ლიტერატურულ პერსონაჟთა რეპრესიის საოუძველად რაიმე უმნიშვნელი მიზეზი. გაუკვრობა ან შემთხვევითობა მოჰყავდა (თვალსაჩინო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითი: „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ ხოლ-ქეტიცინისა. გამოქვეყნდა 1962 წელს ჟურნალ „ნოვი მირში“).

როცა მეორედ მიიტანეს იერიში სტალინზე (ეორბანოვისობას), ტენდენცია „ანტიქვეყნის ეაცის“ დაუზოგავი ემრობისა უზარმაზარი ისტორიულ-ძორალური პასუხისმგებლობის, უკეთ, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად აშკარად, უკიდურესი სიშიშვლით გაცხადდა. მოელი წარსული უსაძარცლობა და ტრაგედია ეეტერეელა ქვეყნის ძრავალნილოიანი ხალხისა ახლა კიდევ უფრო ურცხვად მიაწერეს ერთი ადამიანის ბორტ ნებას, ლამის მანიაკურ ახირებასა თუ ხალისტურ ბუნებას (ისიც კი სცადეს, ეს ბუნება როგორმე ერთვნული კუთვნილებით, ეროვნული ხასიათის თავისებურებებით აეხსნათ.) რუსულ-საბჭოურმა მწერლობამ მყის მხარი აუბა ამ ხასიათო მისტიფიკაციის პროპაგანდას (ნიშანდობლივი ლიტერატურული მაგალითი: ა. რიბაკოვის „არბატის შვილები“. ამ რომანის ახალეაზრდა ემირს, ექტიურ კომკავშირელს, დაიჭერენ და გაალმბირებენ კურიოზული წერილმანის გამო).

სამაგერეოდ, დაემხო თუ არა საბჭოური წყობილება, თითქმის ყველა კალმოსანი ერობამად სულ სხვა ჰანგზე ამღერდა. თუ წინათ საქმის ვითარებას ისე სახავდნენ, თითქოს ყველანი ერთგულნი იყვნენ საბჭოური წყობისა და შემოხვევით ხვდებოდნენ ცოხეში, ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე არავის ეულზე არ ეხატებოდა ეს წყობა, ეარული მოწინააღმდეგენიც კი იყვნენ მისი, ებრძოდნენ კიდეც თავისებურად. ახლა ერთმანეთს ეკიბრებოდნენ, ვინ უფრო „წამებულად“ გამოჩნდებოდა საზოგადოების თვალში, ვის უფრო მეტად შეეფერებოდა ეკლის გვირგვინი. ზოგმა პოეტმა ჩვენში, ასე ეახინჯეთ, წაეიკლეკვებაც სცადა, ვითომდა ლამის დედის მუცლიდან დაჰყოლოდა ოპოზიციური სული და ეაწყობილება.

ანრილ ხულკაური არ არის მოდიხა თუ ფეხის ხმის ამყოლი მწერალი, იაფფასიანი პოპულარულობის მოიეარული; მას ამოძრავებს საკუთრივ მხატვრულ-შემეცნებითი ინტერესი, ხელოვანის სურვილი, ხასწავლის ჭეშმარიტებას, წარმოაჩინოს მოილანის არსი. მართალია, მისი რომანის პერსონაჟები (ეოეი ზედელაშვილი და ეტი შელაა) სსტეიკად ისაუბრან, ეროი შეხედეთ, კურიოზული ან წერილმანი შემოხვევის გამო (რიბაკოეის ემრისა არ იყოს), ოღონდ ეაარზრება ცხოვრების ზედაპირზე მოტივეიე ფაქტებისა აქ სიღრმისეულია. ამ მხრივ მეტად საეულისხმოა ოზოს მაჭის, სანლრო ბოდაველის მსჯელობა, მის მიერ გამოთქმული აზრი: ეს ობოამოვლილი, ცხოვრებანანახი კაცი იდუმალ ფიქრს უმხელს შვილს, პირადი მწარე გამოცდილების საფუძველზე იგი ამბობს: „...ბევრი ვიფიქრე და იცი, რას მივხვდი, ოზო? ეგენი საბას ექ კი არ ეძებენ, ხალაც არის, ვთქვათ, ტყე-ღრეში, ხოფელში ან ქალაქში, საბას ეძებენ, ეძებენ, ანუ პიროვნებაში... შენ ეგონია, მარტო მე ვარ პირნმით გამოშეებული? შენც, ლუკაც, სხვა შენი ნეგობრებიც, ახობთ, ათასობით ადამიანი, თითქმის ყველანი პირობითა ვართ საპატიმროდან გამაეიხუელებულნი. თუ ვალიარებთ საბას არსებობას, საკაში დაგეპრუნებენ უმალვე.“

ითოამი და ხაბა მამა-შეილნი არიან, გამორწეულნი ადამიანური და პატრიოტული თვისებებით. ითოამი თავისი ქეეყნის სიკეთეზე ფიქრობს, ხურს უანგარიდ ემსახუროს ხამშობლოს, რაეე ხარეებლობა მოუტანოს, იეი ხელს მოჰკიდეეს მაუოლშეილურ ეაშოეყეებას, ეადაშენებს პირას მისული ქართული ჯიშის თეთრი ცხენის მოშენებას, ანსაკუთრებული ჯიშისა და მნიშვნელობის მქონე ცხენისას, რომელიც ბეეელთაგანეე ქართველი კაცის ხაიეედო ძალა იყო ბრძოლისა თუ შრომის დროს. შეილიც მამის ეიელს ადეას. მაგრამ ახალი დროეა უსამართლოდ ექცეეა, ხასტიკად უსწორდება მამა-შეილს. ახალი დრო მარტო მათ როდი ექცეეა ულმობლად. იეი თრეუნავს, ანადეკურებს რომანის სხვა პერსონაჟებსაც, ხაზოგადოების რჩეულ, ყველაზე ღირსეულ წარმომაეეენელთ. აქ წამოიჭრება ჩაკლული სულის პრობლემა, რასაც ამაეე სახელწოდების რომანი მოემეღნა ერეიოლ რობაქიძეს (წიგნი ეამოეიდა 1933 წელს ეერმანიაში). მან გვიჩეენა ბოლშეეიკურ-საბჭოური ხისტემის არსი ახალი ხაზოგადოების ჩამოყალიბების შედარებით ადრეულ ეტაპზე, ოციანლოდაოთანი წლების ზღვარზე; ანრილ ხულკაური ეეიზენებს იმაეე ხაზოგადოების რაობას საბჭოური ხისტემის ზოგიან ეამს, ორმოციან-ორმოეეაოდენიანი წლების მიჯნაზე: მწერლის თვალი ამჩნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების ზოგ მონაწილეს ეპატარავება კიდეც პირველი მოთხრობებიდანვე, ეს წრაფვოდა ადამიანის პიროვნული საწყისის საზღვრის გაფართოებას. ამ რომანში იგი აგრძელებს ამავე გზას. ფრთხილად, შინაგანი სიფაქიზის დაცვით ცდილობს, გაფართოოს ადამიანური ურთიერთობის საზღვრები, დაძლიოს ზნეობაზე შექმნილი ზოგიერთი მეშნაური შეხედულება თუ ცრურწმენა, სულიერების საწყისი შეიტანოს ისეთ კავშირურთიერთობაში, რაც შესაძლოა საჩოთიროდ მოგვეჩვენოს ტრადიციული გაგების თანახმად. ეს ეხება არა მარტო მთავარი გმირის ცხოვრების ინტიმურ-ეროტიულ სფეროს, არამედ „ხევსურული სამკუთხედის" ლიტერატურული ტრადიციისადმი ახლებური, ყოველ შემთხვევაში, არათანმლონური მიდგომის ცდას. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ქმრს ღალატობს ოზო ბოდაველთან, თავის ყოფილ მეტრფესთან. ეს ხელს არ უშლის ოზო ბოდაველს, დაინახოს მოტყუებული ქმრის ღირსება, კეთილშობილება და წრფელი პატივისცემით განიმსჭვალოს მის მიმართ.

არჩილ სულკაური ნელი, დინჯი, ოდნავ მძიმე ეპიკური თხრობის მანერისკენ არის მიდრეკილი. მთავარი გმირის სულიერი დრამა, ესა თუ ის დამპაუი ვითარება ძირითადად შშვიდი ეპიკური თხრობის ყალიბშია მოქცეული. ამბების დალაგება-გადმოცემას ქრონოლოგიის პრინციპი განსაზღვრავს, მოვლენათა განვითარება დროისმიერი თანმიმდევრობით ხდება. თხრობას ერთვის ფაქიზი ლირიკული ნაკადი, ზოგჯერ ლირიკული ინტონაცია და ლირიკული წიაღსვლა ზედაპირზე აღმოჩნდება ხოლმე, მეტწილად კი ქვედინებად მიპყვება თხრობას. საჭიროა სათანადო გულისყური და სმენის გამახვილება, რათა არჩილ სულკაურის თხრობის სიწრფელისა და შეფარული პათოსის ყაღრი გაიგო, უამისოდ შესაძლოა ოდნავ ღუნე მოგვეჩვენოს მისი წერის მანერა, მით უმეტეს, რომ იგი არ გამოირჩევა გარეგნული მხატვრული ეფექტის მოხდენისკენ მიდრეკილებით, არც მჭეფფარე ტემპერამენტით, იმდაგვარით, როგორიც, ვთქვათ, ნოდარ ღუმბაძეს ახასიათებდა.

„თეთრ ცხენს" დასრულებული ოსტატის ხელი ატყვია, ოსტატისა, რომელსაც უნარი შეხწევს, მთლიანად დაიმორჩილოს მასალა. თვალსაჩინოდ გამოკვეთილია საგნისა თუ ადამიანის ხატი. შენიშნული და წარმოჩენილია ხოლმე პერსონაჟის ესა თუ ის ფაქიზი სულიერი მოძრაობა. ავტორისეული კომენტარი, მსჯელობა, ანალიზი მეტწილად ზომიერად არის მოშველიებული, მასალაგებულ-შეწონილია პერსონაჟის ქცევასა და მოქმედებას, მის შინაგან მდგომარეობას, შექმნილ სიტუაციას. საერთოდ, ავტორის კომენტარის, განსჯა-ანალიზისა და პერსონაჟის ქცევა-მოქმედების ურთიერთშესაბამისობისა თუ უერთიერთთანაფარდობის საკითხი მნიშვნელოვანი სტილისტიკური საკითხია. ეს თანაფარდობა

მწერლის ნიჭის თავისებურებით განისაზღვრება ხოლმე, იმისდა კვალობაზე, ვისთვის როგორი სტილია უფრო ორგანული და ბუნებრივი. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მასალის რაგვარობასაც. არიან მწერლები, რომლებიც უაღრესად ძუნწად იშვილიებენ ავტორისეულ მსჯელობა-ანალიზს, უპირატესად საგნისა თუ მოვლენის პლასტიკურ სახვას ენდობიან, იმის აღბეჭდვას, რასაც უშუალოდ აღიქვამს თვალი, აკრეთვე იმისას, რაც უშუალოდ ჩაეხმის ყურს (პირველ ყოვლისა, დიალოგი). ამგვარი მწერლის ყველაზე უფრო გამოკვეთილი და გამორჩეული ტიპი ჩვენში თანამედროვეთაგან რეკეზ ინანიშვილი იყო. არიან მეორეგვარი მწერლებიც. მათს ქმნილებებში ხატვის პრინციპს ჩრდილავს გაბმული ავტორისეული მსჯელობა, ფსიქოლოგიური ანალიზი, არცთუ იშვიათად იქცე, სადაც ეს საჭირო არ არის; ერთი მხრივ ეხედავთ თითქმის უმოქმედო, ინერტულ პერსონაჟს, მეორე მხრივ — ავტორის თავშეუზღუდავ ხკას, ანალიტიკურ თხრობას მასზე, ზოგჯერ ეკექნება შთაბეჭდილება, მწერალი პერსონაჟის დახატვას ან ამოქმედებას კი არ ცდილობს, ამ პერსონაჟზე თავისი სუბიექტური წარმოდგენების ზორცშესხმას ცდილობს. აქ ლაპარაკი არ არის ინტელექტუალური პროზის სტილისტიკურ თავისებურებაზე. ლაპარაკია სწორედ მოჭარბებული, მოუზომავი მსჯელობის მანერაზე, როცა შესაძლებელია ერთგვარი გათიშულობა, შეუსაბამობა პერსონაჟის პასიურ ქცევა-მოქმედებასა, მის შინაგან ინერტულობასა, სტატიკურობასა და ავტორის დინამიურად გაშლილ, გრძლად გაჭიმულ, დაწერილ-მანებულ თხრობა-მსჯელობას შორის (ზოგჯერ ამ თხრობა-მსჯელობას ფორმალურად პერსონაჟის შინაგანი მეტყველების იერი ენიჭება). წერის ამგვარმა მანერამ, ამგვარმა სტილურმა ტენდენციამ თავი ინინა ჩვენში სამოცდაათიანი წლებიდან და თავისებური დაღი დასვა ზოგიერთი ნიჭიერი პროზაიკოსის ქმნილებებს. ეს ტენდენცია ყველაზე უფრო მკაფიოდ ოთარ ჭილაძის რომანებში გამოიხატება.

„თეთრ ცხენში“ მოვლენების შინაგანი დრამატიზმი ეპიკური თხრობის ფონზე იმითაც არის შენარჩუნებული, რომ კომენტარს, მსჯელობას, ანალიზს ავტორი უმთავრესად იქ და იმ ზომით იყენებს, სადაც და რა ზომითაც ეს საჭიროა. ოღონდ, ჩემი აზრით, ერთი-ორი ეპიზოდი ზედმეტად გაწელილია, რაც ერთგვარად ანელებს რომანის შინაგან დრამატულ განვითარებას. ამგვარია ზაფხულში კახეთში მოგზაურობისას ოზო ბოდაველის შეხვედრა უნივერსიტეტის მეგობართან ზანეურაშვილთან და მასთან სოფელში სტუმრად გატარებული დროის დაწვრილებითი აღწერა. თავისთავად ეს აღწერა კარგი და კოლორიტულია, მაგრამ ავტორს ეს ეპიზოდი იმ უმთავრესი მიზნისთვის ესაჭიროება, ოზო ბოდაველი შეახვედროს და გააცნოს სალომე ცინცაძეს, ამას კი უფრო მოკლე, შეკუმშული თხრობა შეეფერებოდა. ოზო ბოდაველის დასასვენებლად გაგზავრება ციხისძირს, იქიდან ბათუმში ამაოდ ჩასვლა სალომეს სამეგობროდან, შეხვედრა ზიზისთან — მთელი ეს საკმაოდ ვრცლად მოთხრობილი ეპიზოდი, ჩემი აზრით, არა მარტო აღუნებს რომანის დრამატულ ძარღვს, ნაკლებად ახდენს ნაწარმოების აუცილებელი, მოუკვეთელი ნაწილის შთაბეჭდილებასაც. ყოველ შემთხვევაში, ჩვეული მშვიდი, აუჩქარებელი თხრობის მანერა აქ ერთგვარად ეწინააღმდეგება რომანის თანდათან მზარდ დამბალულ ატმოსფეროს. ზოგჯერ მწერალი შეგნებულად განმუხტავს ხოლმე ნაწარმოებში შექმნილ დამბალულ ვითარებას; აქ ეს მიზანი არ არის. არადა, ზიზისთან შეხვედრა ახალს არსებითად აღარაფერს მატებს არც ზიზის ხასიათს, არც ზიზისა და ოზოს ურთიერთობას, ამ წყვილის სიუჟეტური ხაზი მანამდეც დამთავრებული ჩანს. ავტორს, ეტყობა, ის განზრახვაც ჰქონდა, ეს ეპიზოდი საიმისოდ გამოეყენებინა, რამდენიმე შტრიხით კიდევ უფრო განეზოგადებინა გარემომცველი საზოგადოების ინდივიდუალურობა და გულგრილობა. ამას ორი შემთხვევა მიგვანიშნებს. ზღვაში ბანაობისას კინაღამ დაიხრჩობა ოზო. მშველელს ვერავის დაიგულებს. მეორე შემთხვევაში ვიღაც ქალიშვილი იხრჩობა წყალში. არავინ ოზოს გარდა არ მიეშველება, თუმცა იქვე, პლაჟზე, მობანავე ახალგაზრდები ბევრნი არიან. ისინი გულგრილნი რჩებიან გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის ბედისადმი. ორივე ეს შემთხვევა ეცდა ავტორისა, ჯამუქოს ფერები გარემომცველი საზოგადოების სახის წარმოჩენისას, ხელოვნურია, მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული. კიდევ კარგი, მწერალი აქ საკმაო სიფრთხილით უდგება თავისი ტენდენციის გამოხატვას და მისი განზრახვა თითქმის შეუმჩნევლია, თორემ ტენდენციურობის გამჟღავნება ზადად დაარნდებოდა შინაგანი პატიოსნებითა და ობიექტურობის გრძნობით ნაკარნახევ მხატვრულ ქმნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური ჭკუადამჯდარი, ცხოვრებაში ჩახედული მწერალი გახლავთ და ეეჭვება, „ვაის" რომ გეყურება ადამიანი, მაინცდამაინც სამოთხის ღია კართან ამოყოს თავი. რომანის ეპილოგში იგი აღწერს 1953 წლის მარტის ცნობილ დღეებს და ბოლოს ასე ამთავრებს: „ველა გრძნობდა, რომ მთავარი ურემი გადაბრუნდა და უსათუოდ გამოჩნდებოდა გზა, რაღაც სულ სხვა, ახალი, თუმცა რა გზა იქნებოდა, ეს ნათლად არავის ჰქონდა წარმოდგენილი".

ია-ვარდით რომ არ იქნებოდა ეს გზა მოფენილი, ამას თავად მწერლის შემოქმედებაზე დაკვირვებაც გავარაუდებინებდა კაცს, გავარაუდებინებდა ზოგიერთი უარყოფითი ადამიანის სახე, უწინარეს ყოვლისა, ისევ „თეთრ ცხენში" (პირველ წიგნში) გამოყვანილი არაკაცის ტიპი, ბარნაბიშვილი, ის ბოროტება, რასაც ეს ლიტერატურული ტიპი განასახიერებს.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ იმ დროს, როცა ჭეშმარიტად ახალ გზას უნდა დავდგომოდით ტაძრისაკენ მიმავალს, ათასგვარი ჯურის ბარნაბიშვილმა აიწვიტა ლაგამი და მოედანზე გამოპარპაშდა საავაზაკოდ. ტყუილად რადი მოიხსენიება ბარნაბიშვილი რომანში მურვან ყრუდ და ჯალალ-ედინად. მართლაც, გადამთიელის ურჯულოებით ანადგურებენ საკუთარ ქვეყანას მსხვილფეხა და წვრილფეხა ბარნაბიშვილები. ამას უკვე აღარ ეოქმის თავზე მოგდებული ქაფი თუ ჭუჭყი. ეს საშიშ სენზე უფრო მეტყველებს.

საქართველოს მომავლის რწმენის გამოსახატავად არჩილ სულაკაურმა თეთრი ცხენის სიმბოლიკა შექმნა. გრიგოლ რობაქიძემ ისეთიჯე რწმენის გამოსახვისთვის რომან „მცველნი გრაალისა"-ში წმინდა გრაალის სიმბოლო გამოიყენა.

მოინახება თუ არა გადანახული წმინდა გრაალის თასი? შეიცხება იგი, დაშრეტილი, ზედაშედ დაწურული მტევნების წვენით? გამოჩნდება ისევ ჩვენი ქვეყნის ხერებზე თეთრი ცხენი? ინავარდებს ჩვენს ჭალებში ქართული ჯიშის თეთრი ცხენის რემა? აი, თავსატეხი კითხვა, ყოველი შეგნებული ქართველის წინაშე მთელი სიმწვავით რომ დაისმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

ცრურწმენის მორევი

როგორც კი წაიკითხე ვანო ჩხიკვაძის „**მორევი**“[1] („ცისკარი“, 1991 წ. № 2), ეს ოცდაერთფურცლიანი მოთხრობა ჩემს წარმოსახვაში უცებ გადაიქცა... ლიტერატურულ ნემსად! დიახ, აქ იგი ნემსის როლს შეასრულებს იმ მოსაზრებით, რომ სწორედ ამ „ნემსის“ საშუალებით უნდა ავუწიწკნო თავი იმ ლიტერატურულ მუწუკს, რომელიც დიდი ხანია რაც მაწამებს, როგორც მკითხველს და არ მინდა, საფლავში ისე ჩავიდე, არავის გავუზიარო ეს ჩემი გულისტკივილი და მოსაზრება. მით უმეტეს, რომ აქ მსჯელობის ქვაკუთხედია ყველა ჩვენთაგანის სათაყვანო საგანი — **სიყვარული** და **ქართველი ქალი**, უფრო ზუსტად, **ქმრიანი ქართველი ქალი.**

მაშ, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ საქმეს.

მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: საქართველოს ტელევიზიის სადადგმო-სასცენარო განყოფილების თანამშრომელს, მწერალს, ცოლ-შვილზე ისედაც გულაცრუებულ ერეკლეს სხვა, ქმრიანი ექიმი ქალი, ლალი შეუყვარდება თავდავიწყებით, მიატოვებს ოჯახს და მასთან გაბამს ფარულ ურთიერთობას, მაგრამ მერე თანდათან ეხლება თვალი: ლალი თურმე სულაც არა ყოფილა ისეთი, **როგორიც** ერეკლეს სურდა და ეგონა. ამიტომ ბოლოს ლალიზეც აეკრება გული და ყელამდე ჩაეფლობა ბაურკვევლობისა და მეშჩანური წვრილმანების **მორევში.**

ერეკლესა და ლალის გაცნობა ასე მოხდება: გულის პირველი შეტევით შეშინებული ერეკლე მყისვე მიადგება თავის ექიმ მეგობარს, **ლეოს** — ერთი რიგიან კარდიოლოგს გამასინჯეო.

ახლა ვნახოთ, მწერალს რა ჰგონია სიყვარული, უფრო სწორად, როგორ გვიხატავს ერეკლესა და ლალის **„სიყვარულს“** გაცნობის წამიდან, ვიდრე სხვის აგარაკზე, სხვის ლოგინში მათ ერთად ჩაწვენდეს. ვინაიდან მე არც უფლება მაქვს და არც სურვილი, ეს საკამათო მომენტი ჩემი სიტყვებით გადმოვცე, ამიტომ ჯერ თვით ავტორს მოვუსმინოთ და თან მხედველობაში იქონიეთ — შიგადაშიგ ნახმარი სამი წერტილი ავტორისეულია და, ამდენად, მოყვანილი ციტატა მთლიანი და სრულია. მაშ, ასე: ლეომ ერეკლე „ერთი სართულით მაღლა აიყვანა და კარდიოლოგიურ კაბინეტში ახალგაზრდა ქალს წარუდგინა.

— ლალი, გენაცვალე, ეს ყმაწვილი ჩემი სტუდენტობის მეგობარი და ჩემი უფროსი ბიჭის ნათლიაა... გარდა ამისა, ორმოცი წლის ასაკშიც კი ნიჭიერ, იმედისმომცემ მწერლად ითვლება და ნუ დავუკარგავთ ამ იმედს საქართველოს... ერთი შენებურად გამისინჯე.

— მკლავ, შე უღმერთო? — წაიჩურჩულა ერეკლემ, — ამ ანგელოზმა ხელი რომ მომკიდოს, გული ხომ მართლა გამისკდება.

ლეოს პირზე რა დადგებოდა.

ქალი, ეტყობა, შეჩვეული იყო ქათინაურებს. ლეოს მოწყალე ღიმილით მოუსმინა და ერეკლეს სთხოვა, პერანგის სახელო აიკეცეთო.

— გულის გარდა რას უჩივით?

— უფულობას. — დაასწრო ლეომ.

— მართალი არ გეგონოთ. იმდენი მაინც ყოველთვის მაქვს, თქვენს საკადრის ყვავილებს რომ ეყოფა.

ექიმს ისევ გაეღიმა.

წნევის აპარატზე ვერცხლის ზოლი ქვემოთ მიცოცავდა.

ქალმა თვალი ჩააყოლა და ფონენდოსკოპი მოიხსნა,

---

[1] ხაზგასმა აქაც და შემდეგაც მხოლოდ ჩემი იქნება **(ავტორი).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაიმე აშკარა ცვლილება არ შეინიშნება, წნევაც ნორმალური გაქვთ, მაგრამ კარდიოგრამა მაინც გადავიღოთ.

„აშკარა ცვლილება“ არც კარდიოგრამამ უჩვენა. მხოლოდ ერეკლემ იცოდნო სული როგორ გაუნათა გაუცხოებულმა, მივიწყებულმა შუქმა, განაცრისფერებული, ერთფეროვანი ყოფა თითქოს მოულოდნელმა, გაზაფხულის წვიმამ ჩამორეცხა და ზედ მხოლოდ კამკამა წვეთების ფერადი ბუროტლები შეატოვა.

ჩამოიშალა სიყვარულის ზღვავი და ქვეშ მოიყოლა. ერეკლეს მხოლოდ ლალი კი არა, საავადმყოფოს მოუფლელი ბაღი, უწყლობით დაგვიჯული ნაძეები და ის სანიტარი ქალიც კი უყვარდა. წითელ ვარდებს რომ გაატანდა ხოლმე, ჩვენ რომ ვიცით, იმას მიართვეო.

ქალი შეთქმულივით თვალს ჩაუკრავდა, შეხსენიება რად მინდაო და სქელი ქვედატანის რხევით ადიოდა კიბეზე.

„სულელები არიან კაცები“. — ეღიმებოდა ლალს, მაგრამ თანდათან ამ „სისულელემ“ თავადაც მოხიბლა. სანიტარი როგორც კი გავიდოდა, მაშინვე ფანჯრიდან უთვალთვალებდა ნაცნობნომრიან მანქანას და მის ბარონს, ჩაჯდომისას სიგარეტს რომ მოუკიდებდა ხოლმე.

ერეკლეს წასვლის შემდეგ ტელეფონი რეკავდა, ვარდები თუ მოგვწონთო.

ჩემს მეუღვაივილს მშვენერი გემოვნება აღმოაჩნდა, ძალიან მიყვარს წითელი ვარდი, მაგრამ მეშინია, ფიროსმანივით არ გაკოტრდეთო...

მერე, **რამდენჯერმე ლეოსთან შეხვდნენ სუფრაზე** და ერეკლე მიხვდა, რომ ამაოდ არ უგზავნიდა ეკლიან, მაგრამ მაცდურ შუამავლებს.

ერთხელ **თვითონ ლალიმ დაურეკა,** რაიონში დედდა მყავს ცუდად, მეუღლე ქალაქში არ არის და თუ გცალია, იქნებ წამიყვანოო.

„მოიცალა“. — თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა“.

ციტატას აქ შეეწყვეტ. ნაწარმოებში ავადმყოფი დედა საერთოდ არ ჩანს. „ეგეულით“ მიმავალ ერეკლესა და ლალის თავშესაწყენი მასლაათი ჟურნალის ოთხ გვერდზე ჭიანურდება. მერე ავტორი მოულოდნელ ნახტომს აკეთებს და ისე არხეინად წერს — **„უკვე ბინდდებოდა, უკან რომ ბრუნდებოდნენ“**-ო, რომ გაუგებარი რჩება: **ავადმყოფი დედა,** ვისი გულისთვისაც ქმრიანმა ქალმა თავისი ერთ-ერთი პაციენტი და, ჩემი აზრით, ერთობ ზერელე თაყვანისმცემელი შეაწუხა და იმ სიმორეზე მარტოკა გაჰყვა, რა მდგომარეობაში დაუხვდა. ამრიგად, ნაწარმოების დასაწყისშივე შეიქმნა ვეებერთელა სიცარიელე, რის გამოც შემდეგ ბევრი რამე აღიქმება უკვე როგორც სიუჟეტურ-ლოგიკურად გადაუბმელი.

აქეთობას ერეკლე მცხეთაში გადაუხვევს და თავისი თბილისელი მეგობრისა და თანამშრომელის, ფარნას აგარაკს ღამის ვასათევად ისე მიაყენებს ლალის, რომ ამ უკანასკნელის მხრიდან არავითარი კაკვირება, შეცხადება, უარი, წინააღმდეგობა — ყასდად მაინც! ეგაც თქვენი **ავადმყოფი დედა!!!** წაიგახშმებენ. მერე ფარნა აიღებს თავის ლოგინს და სამზარეულოში გაიძურწება. ესენი კი აინუნშიაც არ აგდებენ, რომ კარს იქით შევიწროებულ, გაძევებულ და დამცირებულ მასპინძელს „ძინავს“ — ხორცელ ტკბობას მიეცემიან, რასაც ისე ვრცლად და მონდომებით აგვიწერს ავტორი, თითქო ეს იყოს მთავარი და არსებითი!

სხვისი არ ვიცი და მე კი პირში ჩალაგამოვლებული დავრჩი, ვინაიდან, როგორც მკითხველმა, მივიღე არა დიდი ამბით მინიშნებული **სიყვარულის** ჩასახვა-განვითარების ამსახველი მხატვრულ-ლირიკული პროცესი, არამედ ამ „სიყვარულის“ მხოლოდ შიშველი ჟინსარულების აღწერა. მწერალმა ვერ შესძლო ეჩვენებინა ის სულიერი წიაღსულები და კატაკლიზმები, რის გავლენითაც ქმრიანი ქალი იქამდე მივიდა, რომ **სხვა მამაკაცს** თვითონვე სთხოვა „ავადმყოფ დედასთან“ რაიონში წაყვანა, მერე კი **სხვის** აგარაკზე მიჰყვა და **სხვის** ლოგინშივე მწოფე ვაშლივით ჩაუგორდა! აბა, გაიხსენეთ ციტატა: გაცნობის წამიდან დეიდასთან გამგზავრებამდე რა საერთო **სულიერი, ზნეობრივი, იდეური** თუ **ინტელექტუალური** ნიშან-თვისება აკავშირებდა ამ ორ თანამედროვე, ისაკრულსა და საკმაო ჭირვარამგამოვლილ ინტელიგენტს — მწერალ კაცსა და ექიმ ქალს? თითქმის არაფერი, გარდა იმისა, რომ ერეკლე ლალის **სანიტრის ხელით** (!) ვარდებს უგზავნიდა და, როგორც ავტორი გვამცნობს მშრალად და სხვათა შორის, „მერე **რამდენჯერმე** ლეოსთან შეხვდნენ **სუფრაზე“**. აი, მათი „**სულიერი**“ დაახლოების მწირი ისტორია, მეტი არაფერი. მერე კი უცბად „ავადმყოფი დეიდა“ და ხელად ლოგინში!!!

ავტორი ისე უხვად აფრქვევს ერთმანეთის საწინააღმდეგო თუ გამაბათილებელ ფრაზებსა და აზრებს, აშკარა ხდება — პროზა მისი საქმე არ არის. აბა, დააკვირდით: ერეკლე და ლალი დეიდის სანახავად მიქრიან. უკვე გაშნაურებული ერეკლე აი, რას ეუბნება ქალს: „არ გაგეცინოს და, იცი, პირველად რომ განახე, რა გავიფიქრე? **ნეტავი სულიც თუ ასეთი ლამაზი აქვს-მეთქი!**“

გაიხსენეთ დასაწყისში: ავტორმა მათი პირველი ნახვისთანავე არ გვახარა დიდი ამბით — ჩამორჩენილა **სიყვარულის ზღვავი** და ერეკლე ქვეშ მოიყოლაო. მაგრამ მაშინ ერეკლე თუ არ იცნობდა, და ისე უცებ არც შეიძლება ამოეცნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის **სული, სული**, რომელიც **სიყვარულის** უპირველესი და უმთავრესი ბალავარია, მაშ, **სიიდან** და როგორღა უნდა ჩამოშლილიყო ის **ყბადაღებული სიყვარულის ზვავი?** აქ, უბრალოდ, საქმე გვაქვს **ხარიელ ენონთან** და არა **სიყვარულის** ზვავთან, რაც მწერალს ასე საბელდისწეროდ გრეფა ერთმანეთში. ამიტომ, აკვირდებით ერეკლეს და, აშკარა ხდება — მკაფიო, დასრულებული ტიპი ვერ იკვეთება. ავტორი ერეკლეს თავიდან გვიხატავს როგორც დინჯ, მოტიტვებულ ცოლ-შვილზე მოდარდე კაცს, ნიშიერ კალმოსახს, დაკვირვებულ და მოზომილ ადამიანს, სანდო მეგობარს. ლალის ერთ დანაბვაზე კი უცებ აკაუნტრუშებს და პირდაპირ სიყვარულის ზვავის ქვეშ უკრავს თავს. ხოლო მერე სასწაულებრივად დარბაისელი და წინახდენილი ხდება ერეკლე: ლალის თანამშრომლებს სალაპარაკო რომ არ მისცეს, ვარდების თაიგულს სანატრის ხელით გაუგზავნის ხოლმე! მაგრამ ლალი რომ დაურეკავს — რაიონში დეიდა მყავს ავად და თუ გცალია, იქნებ წამიყვანო, ეს სიდარბაისლე საპნის ბუშტივით ქრება და ავტორი შეუფერებელი ალტაცებით გვაუწყებს: მოიცალა და **თავქუდმოგლეჯილი გამოვარდაო!**

(თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა! — ღმერთო ჩემო, შეიძლება გარემოს, ასაკის, ახალგაზრდაკული ურთიერთობის ხასიათისა და ფსიქოლოგიური დინების აუწონ-დაუწონავად ასე როიალად წერა?! აბა წარმოიდგინეთ: ორმოცი წლის კაცი, ცოლშვილიანი, თანაც მწერალი, **თავქუდმოგლეჯილი** როგორ **გამოვარდა** და **გარბის** ახალგაცნობილი ქალის პირველი დაძახებისთანავე — აქ სურათი ხომ პირდაპირ კარიკატურა-კომიკურობაში გადადის და თავიდან ერთობ რიხიანად დახატული, ხელშესახები ტიპიდან აჩრდილივ. ალარ გვრჩება ხელში!!!

მოკლედ, მოთხრობას პირდაპირ კოტეგზე ეტყობა: ავტორს საერთოდ უპირს ტიპაჟის, გარემოს, კონკრეტული სიტუაციის თუ მოქმედ პირთა ურთიერთობის ფსიქოლოგიური დინების ჯერ ობიექტური გააზრება, მერე კი მისი **დამაჯერებელი გადმოცემა.** აი, ამის ერთი მკაფიო მაგალითი. ავტორმა, ცხადია, წინასწარ იცის, რომ „ავადმყოფი დეიდის“ სანახავად მიმავალი ლალი და ერეკლე აქეთობას მცხეთაში უნდა მიიყვანოს და მერე სხვის ლოგინში ბაგა-ბაგის ალსაზრდელებივით ერთად უდავიდარაბოდ ჩააწვინოს! ამიტომ ეს აქტი **„სამართლებრივი“** რომ გამოუვიდეს და, რაც მთავარია, მისი აზრით, **სიყვარულის** მანტიით დამშვენებული შემოგუსაღოს, აი, რას **ითქმევინებს** (სწორედ რომ **ავტორი** ითქმევინებს!) ლალის, რომელმაც ჯერ **არ** იცის, დეიდა ცოცხალი დახვდება თუ მკვდარი და ადგილზე რომ მიეკენ, ღმერთმა უწყის, რა მოვალეობები, საზრუნავი და თავსატეხი შეიძლება გაუჩნდეს. აბა, მოუსმინეთ:

— „იცი, ძალიან ძნელია, როცა პირანგს ან წინდას რეცხავ და არ გიყვარს, უფრო სწორად, გძულს მათი პატრონი. უფრო იუტანელია, როცა ის შენი პატრონიც არის. გიწყრება, გკარნახობს, გაძრანებლობს, **გეხვევა, ტანზე გიფათურებს შემზარავ ხელებს, გიწვება ლოგინში და ცოლქმრული წესების აღსრულებას გაძალებს...**“

არა, ბატონებო, თქვენ რაც გნებავთ, ის მიბრძანეთ, მაგრამ ისეთი **„გამოცდილი მონადირე“** (ეს **ლეოსეული დახასიათებაა!**) როგორიც ქალბატონი ლალია, ასე **წინდაწინ** და **წინდაუხედავად** თავს არ დაიმცირებდა და ჯერ კიდევ მაინც უცხო მამაკაცს ასეთი გასაშტერებელი ურცხვობითა თუ დებილური გულუბრყვილობით არ ჩამოუფეთქავდა ცოლქმრული ურთიერთობის წვრილმანებს. თან წვრილმანიც არის და წვრილმანიც: ქალმა უცებ საბანი გადაიხადა და პირდაპირ **ტანზე ქმრის შემზარავი ხელების ფათურითა** და მისი მხრიდან **ცოლქმრული წესების დაძალებით** დაიწყო!!! აი, ამგვარი ნაადრევი, უადგილო და, ამდენად, დამაჯერებლობას მოკლებული ინტიმურ-ეროტიული აღსარება-ჩივილი ნაწარმოების სიუჟეტურ-ფსიქოლოგიურ ჩარჩოში თავის კუთვნილ ადგილს ვერ პოულობს და მოვლენათა დინებას ბუნებრივად ვერ ერწყმის. ამიტომ გეჩვენებათ — ლალის მაგერ კულისებში ჩამალული ავტორი გველაპარაკება ხმაშეცვლით. თუმცა დავუშვათ და ლალი ცამდე ალალ-მართალია და უხეირო ქმრის ხელში მისი ყოფა მართლაც გაუსაძლისია, თუ ღმერთი გწამთ, ერთი აი, რა ამიხსენით: **უხეირო ქმრის** ხელში **ლალის** ჯოჯოხეთური ყოფა **ლალისა** და **ერეკლეს უეჭველი სიყვარულის** სადაური ანდა რანაირი თამასუქია?! რა გამოდის: რაკი ლალის ყოველად უვარგისი ქმარი ჰყოლია, ნუთუ ეს ამავე დროს ავტობატურად იმასაც ნიშნავს, რომ სამაგიეროდ უეჭველად **შემთხვევით გაცნობილ ერეკლესთან** იპოვის დიდი ხნის ნანატრსა და გეშოგაუსინჯავ სიყვარულს?! კი მაგრამ, სად არის **გარანტია,** რომ **ერეკლე** ლალის **ქმარზე გაცილებით უხეირო** არ გამოდგება და **ლალი** უფრო უარეს სატანჯველში არ ჩავარდება?

ჩემი მკითხველო, ეს **გარანტია** გვექნებოდა, მწერალს ჭეშმარიტების გზით რომ ევლო. სამწუხაროდ, მან აირჩია უგემოვნო მკითხველისთვის გათვლილი, ლალის **„გამამართლებელი“** არასწორი გზა: **პირი მიჰყო ლალის ქმრის წრეგადასულ ძაგებას!** ეტყობა, აქ მწერალი ვერ ხვდება: მარტო ლალის ქმრის უადგილო, მიკერძოებული, ყბადაღებული და გადაჭარბებული ძაგებით (თანაც ცოლის პირით!) ვერასდიდებით ვერ მოხერხდება **ლალისა** და **ერეკლეს** ჭეშმარიტი სიყვარულის ჩასახვა და მხატვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაჯერებლობის ოპტიმუმად აფერენა!!! ცხადია, ავტორს სრული უფლება აქვს ლალის **ქმარსაც** შეეხოს **იქ, მაშინ, იმდენად** და **იმგვარად**, როგორც ამას დასახული მიზნის მხატვრული ხორცშესხმის **ბუნებრიობა** მოითხოვს, მაგრამ, ამავე დროს, აქ საჭირო იყო დიდი სიფრთხილეც, ვინაიდან ერეკლესა და ლალის ახალ-ჩასახულ ურთიერთობასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის **ცოლქმრულმა უიღბლობამ** მკითხველისთვის შეიძლება გასაგები გახადოს მხოლოდ **ზოგი რამ**, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში **ყველაფერი** და **მთავარი. ყველაფერი** და **მთავარი**, ანუ ახალი სიყვარულის ჩასახვა, მისი ზრდა-განვითარება, იდუმალება და მშვენიერება უნდა ვეძებნო და ვიგრძნო არა ლალის მიერ ბორიკინულად ჩამოკაკლულ მისი ქმრის **ნაკლოვანებებში**, არამედ თვით ლალისა და ერეკლეს **ახალგანასკული ურთიერთობის ლირიზმსა და** ბუნებრივ ზრდა-განვითარებაში!

ავტორმა ერეკლესა და ლალის სიყვარულის ჩასახვა-განვითარების გადმოცემისას თუ იძიებწა და უმთავრესი პერიოდისთვის — გაცნობიდან „ავადმყოფ დეიდასთან“ გამგზავრებამდე — ძლივს გამეტა ჟურნალის გვერდის რაღაც ნახევარი, სამაგიეროდ სხვის აგარაკზე მათი ეროტიკული ურთიერთობის აღწერისას გამოიჩინა ხელგაშლილობა და მოწდენება;

არავის ეგონოს, მხატვრულ ნაწარმოებში ერეოტიკული სცენების წინააღმდეგი ან მოძულე ვიყო. მაგრამ როდესაც ავტორის მიზეზით გაცნობიდან სქესობრივ აქტამდე წყვილის მიერ განვლილი გზა და გადატანილი განცდა კუდმოკვეცილი და მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებულია, მაშინ ამგვარი სცენა თვითმიზნური გამოდის. ამ შემთხვევაში კი ლიტერატურის უმთავრესი და ურთულესი მიზანი სულ სხვა რამეა — მწერალმა ოსტატურად დაგვიხატოს წყვილის სულიერი მოძრაობა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენოს, ისინი ნებაყოფლობით როგორ მიდიან სქესობრივ აქტამდე. მთავარი და საინტერესო ეს არის, თორემ თუკი წყვილმა შეგნებულად გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა, მერე, მაპატიეთ სპორტული ტერმინისთვის და, როგორც იტყვიან, დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმეღა არის.

აბა, დაკაკვირდით, რა ხდება: ერეკლესა და ლალის სიყვარულის განვითარება და მისი სექსუალური დაგვირგვინება დამოკიდებული და დაფუძნებულია **შემთხვევითობათა ჯაჭვზე** — ლალის ქმარი თბილისში არ არის, ავადმყოფი დეიდის სანახავად რაიონში **გამგზავრება** კი აუცილებელია! ხედავთ, რა იაფფასიანი ეშმაკობაა ნახმარი: ნაწარმოებში აუცილებელი **კვანძიც გაიხსნა** და თან **ქმრიანი ქართველი ქალის** რეპუტაციის გაფრთხილების ფორმალური მხარეც დაიცვა — ქალბატონი ლალი სამრუშოდ კი არა, ავადმყოფი დეიდის მოსანახულებლად გაპყვა და ენდო ერეკლეს, ხოლო თუ ამ უკანასკნელმა ბორორტად ისარგებლა **შემთხვევით**, რა ლალის ბრალია!

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ აქ ავტორს მოკრძალებით შევბედავ ერთ ასეთ კითხვას: დავუშვათ და, არც ლალის ქმარი გასულიყო ქალაქიდან და ის რაიონელი დეიდაც საღ-სალამათი ყოფილიყო თავისთვის, მაშინ? გამოდის, რომ მაშინ ერეკლე და ლალი ერთად ვეღარ აღმოჩნდებოდნენ ლოგინში და მათი სიყვარულიც (თუკი შეიძლება მას სიყვარული ეწოდოს!) სადღაც შუა გზაზე ჩაპკენებოდა ნაზი ყვავილივით, ვინაიდან არ გამოუჩნდათ **ხელსაყრელი შემთხვევა!!!** რა გამოდის?! აქ ადამიანი პირუტყვამდეა ჩამოქვეითებული: ასე ყინაშლილი ულაყი, ბუღა, ხვადი თუ კერატი დაყაოლობს აღმა-დაღმა და **შემთხვევამ** თუ შეახვედრა მდედრი, ეკვეთება და მოიკლავს წადილს, თუ არა და გამძვინვარებული განაგრძობს სირბილ-ძიებას.

შემთხვევაზე დაფუძნებული სიყვარული თუ სექსუალური აქტი ადამიანის ზნეობა-ღირსებისთვის რომ დამამცირებელია, ეს აღმოჩენა, ცხადია, მე არ მეკუთვნის. მას უხსოვარი დროიდანვე გმობს ცივილიზებული კაცობრობა. 1990 წელს ქართულად გამოიცა ფრანგი მოგზაურისა და მწერლის მარკიზ დე კიუსტინის წიგნი „ნიკოლოს I-ის დროინდელი რუსეთი“. დიდი ჰუმანისტი, დაკვირვებით რომ შეუსწავლია თვითმპყრობელობისგან დაბეჩავებული ხალხის დაუხეპირი ყოფა-ცხოვრება, ერთგან შეძრწუნებული წერს: **„სიყვარული** მისთვის (რუსი ყმისთვის — ჯ. მ.) მხოლოდ **შემთხვევაა“**-ო. სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ერეკლესა და ლალის სექსუალური აქტიც წვინდა წყლის **შემთხვევითობასთანაა** დაკავშირებული — ქმარი შინ არ არის, დეიდის მონახულება კი ვითომ აუცილებელია!!! რაღა გვრჩება ხელში? მსგავს გარემოში ადამიანი ეშმარიტი სიყვარულის ბუნებრივი გაგრძელება-განვითარების კი არა, **ბრმა, განუკვრეტელი შემთხვევის** მოსურნე, მომლოდინე და მონა უნდა იყოს!!!

მე კი — როგორც სტაჟიანი მკითხველი და ერთი ბეჩავი პროზაიკოსი — სულ სხვა რამეს ვისურვებდი: ლალის ქმარიც შინ ბრძანებულიყო, დეიდამისიც ჯანსაღად ყოფილიყო, არც სხვა რამე ეგსტრემალური **შემთხვევა** გამომტყვარალიყო და **ჩვეულებრივი ცხოვრების ყოველდღიური დინების ფონ-ქარგაზე** მწერალს ისეთი მხატვრული დამაჯერებლობით აესახა ერეკლესა და ლალის სასიყვარულო ურთიერთობის ჩასახვა და ზრდა-განვითარება, რომ შემდეგ მათი სექსუალური აქტი აღმშულიყო არა როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძრახისი და უკადრისი **შემთხვევითობის** ნაყოფი. არამედ როგორც მათი უანგარო და სპეტაკი ურთიერთობის ლოგიკურ-ბუნებრივი შედეგი.

ამ მხრივ „ორივი" გამონაკლისი რომ ყოფილიყო, თვით ამ წერილის იდეაც კი ვერ ჩამესახებოდა. მაგრამ რაც — როგორც მკითხველმა, მოკალაქემ და მამაკაცმა — ნაწარმოების მხატვრულობის ინიციბინჩი გავიგე, მას აქვთ უმოწყალოდ მტანჯავს თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა **ერთი ნაწილის** ნაწარმოებებში გაბატონებული **შტამპი:** როგორც კი საქმე **ქართველი ქმრიანი ქალის** სხვა მამაკაცთან აღმოცენებული სიყვარულის ხორციელ დაგვირგვინებამდე მიდგება, იქ ამ აქტმა, **როგორც წესი,** უეჭველად ყურით მოთრეული **შემთხვევის** საფარველით უნდა ჩაიაროს!

კი მაგრამ, რა არის ამის მიზეზი? — შემეკითხებიან. ამას, ჩემი აზრით, ორი წყარო ასაზრდოებს — **უნიკობა** და **ცრურწმენა.** თუმცა ზოგჯერ პროზაიკოსი აშკარად ნიჰილიზმი ყოფილა, მაგრამ ეს **ცრურწმენა** და აქედან გამომდინარე **შიში** იმდენად ძლიერია, რომ იგი ვერ გადაულახავს და ნაწარმოები შაბლონურად აუგია. მოდით, ცალ-ცალკე გავარჩიოთ ეს **ორი** მიზეზი.

მწერლური **უნიკობა** უნიკობაა და მას მაგდენი გარჩევაც ალარ სჭირდება: ჭეშმარიტი სიყვარულის (თანაც, როცა ქალი ამავე დროს **ქმრიანია)** ბუნებრივი ჩასახვა-განვითარების მხატვრული ხორცშესხმა ჯოჯოხეთურად ძნელია, შემთხვევაზე დაფუძნებული სექსუალური აქტის (ზოგიერთ მწერალსა და უამრავ მკითხველს ჭეშმარიტი სიყვარულის არსი, დასტური და იდენტურობა რომ ჰგონიათ!) აღწერა კი ილოზე ოილია. ამიტომ უნიკო მწერალი, რომელსაც სიყვარული **ფსიქოლოგია** საბედისწეროდ ერევა **სიყვარულის ანატომიაში** და თან არც მხატვრულობის საფანელი მოსდევს, როგორც წესი, გამოგონილ იაფფასიან **შემთხვევას** ჩაეჭიდება ხოლმე უმალ და მორჩა!

პატიცემულო მკითხველო, მსგავს „ქმნილებებს" არ ვასახელებ, ვინაიდან არც დრო მაქვს, არც სურვილი, მკედრდაშობილ მხატვრულ ნაწარმოებთათვის გაწყვეტილი ლიტერატურული მორგის ობიანი თაროები ვქექო. ამიტომ თქვენი ნაკითხობის, მეხსიერებისა და ლიტერატურული გემოვნებისთვის მომინდია იმის განსჯა, თუ გასაბჭოებიდან დღემდე ქართულ პროზაში რა რაოდენობის მაკულატურა შეიქმნა სიყვარულის თემაზე!

გადავიდეთ **ცრურწმენაზე.** ბოლშევიკურ-ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ მტკიცედ დაგვიმკვიდრა უბადაღებული ტრაბახისა და **ცრურწმენის ეპიდემია** — მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო საბჭოთა არმია, მეცნიერი, მუშა, გლეხი, კაშხალი, ხორბლის ჯიში, ოჯახი, მეუღლე... მოკლედ, ყველაფერი! მსგავსი **ცრურწმენა,** ცხადია, შეეხებოდა ქართველ მანდილოსანსაც, მით უმეტეს, რომ რუსთაველის სამშობლოში ჯერ ისევდაც არსებობდა, და სამართლიანადაც, **ქალის კულტი.** მაგრამ წმინდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულმა ქართველი ქალის რაინდულ-კეთილშობილურმა კულტმა ტოტალიტარიზმის პირობებში არაბუნებრივი, მახინჯი შინაარსი შეიძინა: ქართველი საბჭოთა ქალი და, მით უმეტეს, **ქმრიანი,** საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მთელი საზოგადოებისა და მეტადრე ნორჩი თაობის კომუნისტური იდეალების აღზრდის მიზნით, უეჭველად უნდა ყოფილიყო უმწიკლო მოქალაქე. ეზრუნველი დედა, ერთგული მეუღლე, კომუნისტის დაფლავები მშვენელი! ამაში თავისთავად უხეირო არაფერია — ნეტავი ცხოვრებაშიც ყველაფერი მართლა ასე ყოფილიყო აწყობილი! მაგრამ როგორც ნებისმიერი ეროვნების, საზოგადოების, იდეოლოგიის თუ რელიგიური რწმენის ქალის, ისე ქართველი ქალის ცხოვრებაშიც იყო და არის დუბეჭირი და უკადრისი მომენტები... მაგრამ სახელმწიფო იდეოლოგია და მეკავე პატრიოტიზმით გაჟღენთილი მასის პროვინციული თავმოყვარეობა შემოკრძალულ პირდაპირ ავალდებულებდა: მის ნაწარმოებში ქართველი ქალი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი, როგორიც ოფიციალურ იდეოლოგიას სჭირდებოდა და ამ იდეოლოგიისგან გაბრიყვებულ, ფსიქიკადამახინჯებულ და სურვილგაჯიუტებულ საშუალო მასას სურდა და წარმოედგინა!

ამიტომ საკმარისი იყო რომელიმე შემოქმედის ქმნილებაში გამოყვანილი ქართველი ქალი, და მეტადრე **ქმრიანი,** ოდნავ მაინც გადახრილი ყოფილიყო მასის წარმოსახვაში შექმნილი და გახევებული ტრადიციული ნიშუშისაგან, რომ ამას უმალ მოსდევდა საზოგადოებრივი **აზრის** ვნებათაღელვა და დაუსრულებელი შენა-შემოხლა. გაიხსენეთ რა მოსდევ „ალალის ხეზეზის" ჩხეიძისეულ ტელედადგმას! ალბათ ეს ადგერ, გუშინ იყო! მაგრამ აბა, გავითვალისწინოთ, რაღა იქნებოდა მაშინ, ახალი საბჭოური იდეოლოგიის ჩამოყალიბება-განმტკიცების ხიფათიან წლებში! მოკლედ, იდეოლოგიური წნეხისა და საშუალო მასის ცრურწმენის დაწოლით მხატვრულ ლიტერატურაშიც ფეხს იკიდებს აშკარა **შტამპი**—ნაწარმოებში გამოყვანილ ქმრიან ქალს როგორი უღირსი მეუღლეც უნდა ჰყავდეს და სრულიად გაუხარელი, უსიყვარულო და მონური ყოფა-ცხოვრება ჰქონდეს ანდა, უბრალოდ, სხვა მამაკაცი შეუყვარდეს, ეს ქალი გარეგნულად და ფორმალურად მაინც ოჯახის, ქმარ-შვილის ერთგული უნდა დარჩეს! ხოლო თუ სხვა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გზა აღარ იყო და ნაწარმოების სიუჟეტური განვითარება და კვანძის გახსნა, ბოლოს და ბოლოს ამ ქალის სასიყვარულო თავგადასავლებში ჩაბმას მოითხოვდა, მაში ყველაფერი **შემთხვევას** უნდა გადაბრალებოდა! სწორედ ეს არის მიზეზი, რომ უნიჯო თუ ᲪᲠᲬᲠᲨᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜ შეპყრობილი ზოგიერთი ქართველი პროზაიკოსის ნაწარმოებში **შემთხვევითობიდან** გამოწურული ზნეობრიობის ყალბი ალბით დაჯაშნილი ქართველი ქალი ისე იოლად გადალახავს ხოლმე საეჭვო სიყვარულის სახიფათო და საძრახის სამანს, როგორც ყალბი პასპორტით უზრუნველყოფილი ლტოლვილი უცხო სახელმწიფოს საზღვარს! მსგავს შემთხვევაში კი უწყალოდ იკარგება ის ღვთიური მშვენიერება, რომელ შეყვარებულ წყვილთა ნებაყოფლობითი და შეგნებული ურთიერთობის ბუნებრივი ჩასახვა-განვითარება და კვანძის გახსნა ხასიათდება ხოლმე. აი, რა არის მთავარი მხატვრული ნაწარმოებში! აი, რა იზიდავს და ხიბლავს ეუშმარიტ მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს! და ეს ხიბლი იმდენად არის ბიმზიდველი და ამოუწურავი, რამდენადაც თითოეული ადამიანის, თითოეული წყვილის ბუნებრივად ჩასახული და განვითარებული სასიყვარულო ურთიერთობა იგავმიუწდომელად ინდივიდუალური, განუმეორებელი, იდუმალი, ღვთაებრივი და თანაგრძნობა-პატივისცემის ღირსია! ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ რაღაზ დავიწყალებდი თვალებს უამრავი ძველი და ახალი, დიდი თუ პატარა, შინაური თუ უცხო ავტორების კითხვით: როცა კი ეუშმარიტ სიყვარულში გაცხადებული ღვთიური მშვენიერებით დატკბობის წყურვილი მეწვეოდა, მხოლოდ და მხოლოდ **„ვეფხისტყაოსანს“** მივმართავდი! აბა, რუსთაველზე უკეთ ვინ უნდა უმღერის სიყვარულს?! მაგრამ აი, ლიტერატურის, მწერლის, მკითხველის და, საერთოდ, ადამიანური ყოფიერების განუმეორებელი და დაუსრულებელი დღესასწაული: ჯერ საერთოდ და მით უმეტეს ბუნებრივ სიყვარულში გამჟღავნებული პიროვნების მკვეთრად ინდივიდუალურ გრძნობათა წყალობით, ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მკითხველისთვის, მაგალითად, გაბრიანა და თამროს, ონისესა და ძიძისა, სპირიდონ მცირეშვილისა და დესპინეს, არსაკიძისა და შორენას, აქსინიასა და გრიგოლ მელეზოვის, ჰამლეტისა და ოფელიას, ვერთერისა და ლოტეს, რუფისა და მარტინ იდენის, ჰანს კასტორპისა და კლავდია შოშას, ემასა და ზარლ ბოვარის და მხატვრულ ლიტერატურაში დახატულ სხვა უამრავი წყვილის სასიყვარულო ურთიერთობა, თავისი ინდივიდუალურობით და ბუნებრიობით ისეთივე ახლობელი და ამაღელვებელია, როგორც ტარიელის და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობა.

და აი, აქ მე რისგან უფრო მწყდება გული — დღეს, როცა საძღვერელ იმპერიასთან ერთად დაიშალა მისი იდეოლოგიური წნეხიც, როცა პირდაპირ რეკოლუცია მოხდა ეს ერის, მასის შეგნება-ცნობიერებაში, როცა უკანასკნელმა მოვლენებმა — პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ ტურისტულმა ინფუსტრიამ ნათლად დაგვარწმუნა: ქართველი ქალი არც ანგელოზია და არც სატანა, სხვა ეროვნების ქალზე არც უკეთესია და არც უარესი, ამიმედ ჩვენი ცოდვილი პლანეტის ჩვეულებრივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელია თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. აი, ამ დროს ბევრს თუ არა, ზოგიერთ ჩვენს პროზაიკოსს ვერ გადაულახავს ძველი სტერეოტიპი, ვერ განთავისუფლებულა ᲪᲠᲬᲠᲨᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ. ამიტომ მათ ნაწარმოებში ქართველი ქმრიანი ქალის გრძნობებიც ვეღარ გამოდის ფარალისა თუ პარტიზანის უსუფთაო სამალავიდან! არადა, ამ თვალსაზრისით რა რეალისტური ტიპადიები აქვს ქართულ ლიტერატურას და, რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, ჯერ კიდევ როდის აქეთ! ავიღოთ **„ვეფხისტყაოსანი“**. თქვენ ყველამ კარგად იცით, რანაირი სიყვარულის ეცხლით იწვინან ტარიელ, ნესტანი, ავთანდილი, თინათინი. მაგრამ როდესაც ჯერი ფატმანისა და ავთანდილის სატრფიალო თავგადასავლზე მიდგება, ავტორი მათ ურთიერთობას ამაღლებული სიყვარულის საფარველში არ ახვევს და, ფატმანს რომ თავი დავანებოთ, ავთანდილს თინათინის წინაშე ზნეობრიობის ყალბი ალბი რომ ჰქონდეს, მათ ხოროცელ სიახლოვეს რაიმე იფფასონან **შემთხვევას** როდი უკავშირებს და აბრალებს. აქ რუსთაველი ყველაფერს თავის სახელს არქმევს და მიუკიბ-მოუკიბავად ᲒᲕᲣᲬᲜᲔᲑᲡ: **„ფატმან ხათუნს ავთანდლის გულსა ნდომა შეუვიდა“**-ო და სამიჯნურო წერილსაც მიაწერინებს, სადაც დიაცი საკმაოდ მოურიდებლად ელაპარაკება ავთანდილს თავის ვნებათაღელვაზე და თავისთან იხმობს; ავთანდილი — თინათინის ერთგული და სწორუპოვარი სატრფო, მრთალია, პირველად გაკვირვებული დარჩება მკრეხელობამდე მისული ქალის ასეთი პირდაპირობით — „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“-ო, მაგრამ მერე ჩაუფიქრდება თავისი მოგზაურობის მიზანს და გუნებაში დაასკვნის — ამნაირმა დიაცებმა ბევრი სიიღმელო იცან ხოლმე და შეიძლება, სწორედ იმან დამაყენოს ნესტანის კვალზეო, რაც, ირსებითად, მერე გამართლდება — სწორედ ფატმანი აუწყებს ნესტანის ამბავს! ამიტომ ავთანდილი ფატმანის გამოწვევას მიიღებს და თვითონაც არანაკლებ ნათლად და მიუკიბავ-მოუკიბავად ჰპირდება მისცვლას: „შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვედლად შენი ხლება, შეყრა არის პირიანი, **ორთავეა რადგან ნება**“. ხედავთ?! **ორთავეა რად-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ნებაო!!! აქ პოეტი რაღაც უკადრის **შემთხვევას** როდი უხმობს საშველად — არაფითარი გამოგონილი **შემთხვევა**, რომ, მაგალითად, ფატმანი ავთანდილს თვალთმაქცურად წაჰყვება მეგზურად, რათა ნესტანის ადგილსამყოფელი უჩვენოს, შუა გზაში კი ავთანდილს ცბიერულად ასარგებლებინოს **შემთხვევით** და თავი დააუფლებინოს და სხვა და სხვა! არა! ამ შემთხვევაში ფატმანისა და ავთანდილის ქცევის მოტივი და მიზანი ჯერ ზუსტად არის მიგნებულ-ჩამოყალიბებული, მერე კი პირუთვნელად დასახელებული! ამიტომ აქ ნათელზე ნათელია — **ვინ ვინ არის** და **ვის რა სურს!**

მაგრამ **ერეკლისა** და **ქალბატონ ლალის** ურთიერთობაში ვერ გამირკვევია, **ვინ ვინ არის** და **ვის რა სურს!** ავტორმა ტენდენციურობა რომ არ დამწამოს, მოდით, ყველაფერი ერთად გავარჩოთ. ლალი მოულოდნელად ურეკავს ერეკლეს: რაიონში დეიდა მყავს ავად, მეუღლე ქალაქში არ არის და თუ გცალია, იქნებ წამიყვანო. აქ თავისთავად იბადება კითხვა: ზნეობრივი თვალსაზრისით ლალის მხრიდან რამდენად გამართლებულია ამნაირი ინიციატივა და ნებიჯი?

თუ ალღო არ მღალატობს, საზოგადოების აზრი გაორტოდება: ერთი ნაწილი ლალის სასტიკად გაკიცხავს — ქმრიანი ქალი მარტოკა რატომ უჯდება საკუთარ მანქანაში და ამსიშორეზე რატომ მიპყვება უცხო მამაკაცს, რომელმაც შეიძლება **ისარგებლოს შემთხვევით** და ნამუსი შეუბღალოსო.

საზოგადოების მეორე ნაწილი ლალის გამოესარჩლება: კი მაგრამ, რას ერჩით ლალის?! მას ქმრის ღალატი ფიქრადაც არა ჰქონია — მწერალი ნათლად და გასაგებად გვეუბნება: ავადმყოფი დეიდის მონახულების სურვილი ჰკლავდაო! და დღეს, როგორც იტყვიან ხოლმე, ოცდამეერთე საუკუნის კარიჭეესთან ნუთუ ადამიანი ადამიანს, ნაცნობი ნაცნობს — თანაც ექიმი მწერალს! — ვეღარ უნდა ენდოს?! დაღუპულვართ ზნეობრივად და ეგ არის! მაშინ, გამოდის, რომ ყოველად ფუჭი და მზაკვრული ცნებები ყოფილა — ჰუმანიზმი, ქართველის ვაჟკაცობა, ცივილიზებულ ადამიანია ურთიერთობა, ძმიმე წუთებში დახმარება და თანაგრძნობა, მოყვასის შეწევნა და პატივისცემა-თანადგომა, სხვისი გასაჭირის გულთან მიტანა და ურთიერთგატანა! მოკლედ, ამ შემთხვევაში ლალი ცამდე ალაია — მას მხოლოდ ავადმყოფი დეიდის მონახულება ეწადა და მეტი არაფერიო!

მაგრამ თუ ამგვარ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ერეკლე კიდევ მიწასთან სწორდება — **ავტომატურად**, **ულაპარაკოდ**, **უსაშველოდ!** და **აი**, **რატომ** და **როგორ**: პირადად მე **ავტორმა ვერ** დამარწმუნა ერეკლეს ლალისადმი გულწრფელ სიყვარულში. მაგრამ მართლა ჩემს გამოვნება-შეფასებაზე ხომ არა ჰკიდია ნაწარმოების მხატვრული ღირსება — შეიძლება მე ერთი შეუნებელი მკითხველი ვარ, ხოლო ავტორის მიერ დახატული ერეკლეს სიყვარული დასტურ კეთილშობილურია. მაშინ მით უარესი ერეკლესთვის! ამა, დაუკვირდით, რა გამოდის: ერეკლეს მართლა გულწრფელად კი შეჰყვარებია ლალი, მაგრამ არ ჰყოფნის იმდენი ვაჟკაცობა, კეთილშობილება, შინაგანი მამხიბვლელობა, ანუ ის სულიერ-ზნეობრივი მამრული რესურსები, რითაც ქალი უნდა მოიხიბლოს, გაიტაცოს, სულიერ-ზნეობრივად აღღორძინოს და ნებაყოფლობით გაიყოლოს მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულისთვის დამახასიათებელი მშვენიერების ჯადოსნურ ბილიკებზე. და რაკი ამის შნო არ შესწევს ერეკლეს, სხვა რაღა დარჩენია? ა ი, რა: დაეშვას ჯუნგლურ კანონებამდე, გეშდაკრული ნადირივით გაინაბოს და მოთმინებით უცადოს ზედგამოჭრილ **შემთხვევას** — ოჰ, კიდევ და კიდევ ეს საძაგელი, უკადრისი, მზაკვრული, პრიმიტიული და ბინძური **შემთხვევა!!!** — რათა მიზანში ამოღებული თავისი მსხვერპლი სადმე ხელსაყრელ ადგილას გაიტაცოს, გაიხელოს, უყელოს და ორმხრივი, ნებაყოფლობითი და ურთიერთგულწრფელობასა და ნდობაზე დამყარებული სიყვარული სქესობრივი აქტის შესრულებასთან გააიგივოს! აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ბასაჯირში ჩავარდნილი ქალის პირველივე დაძახება-თხოვნაზე ერეკლე, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა“**, ვინაიდან აქ მან უშიცდომოდ იყნოსა და განჭვრიტა, თუ რა პერსპექტივებს უშლიდა უცაბედად გამომტყვარი **შემთხვევა** — ლალის ავადმყოფი დეიდის სანახავად რაიონში გამგზავრება. და აქ მის სასახელოდ თუ სამარცხვინოდ (გაიხნია, ვინ როგორ უყურებს და აფასებს ერეკლეს საქციელს!) უნდა თქვას, რომ მან ეს **„შემთხვევა“** „ბრწყინვალედ“ გამოიყენა!

ლალი? თუ ფხიზლად გავჩხრეკავთ ყველაფერს, მაშინ არც ლალი მოგვეჩვენება ოქროს ნეკად. დაკვირდით: ლალი ისე ურეკავს ერეკლეს **„რაიონში დეიდა მყავს ცუდად“**-ო, რომ აქ აშკარაა — ლალისთვის დეიდის ავადმყოფობის შეტყობა პირველი, მოულოდნელი და ელდისმომგვრელი კი არ იყო (რაც აღელვებული ლალის მიერ ერეკლეს უბოდშო შეწუხებას ერთობ ბუნებრივსა და გასაგებს გახდიდა), არამედ ეს დიდი ხნის ამბავია და ამას, ე. ი. დეიდის ავადმყოფობას, უკვე შეგუებულნი უნდა იყვნენ. ამიტომ, ცოტა არ იყოს, ეჭვი იბადება: ლალისაც რაღა სწორედ მაშინ მონახდა ავადმყოფი დეიდის **მორიგი** მონახულება, რაცა ქმარი თბილისში არ ჰყავდა. თუგინდ ამა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საც თავი დავანებოთ და ერთი ეს ვიკითხოთ: აქეთობას ერეკლე მოულოდნელად მცხეთაში სხვის აგარაკზე რომ მიიყვანს ლალის და ყველაფერიდან აშკარად ჩანს — ღამის გათეკა და, ერთ ლოგინში მოუხდებათ, **ეს** უკანასკნელი ანუ ქალბატონი ლალი რატომ პროტესტს არ აცხადებს, ყასიდად მაინც: როგორ, ისინი ხომ ავადმყოფი დედის სანახავად იყვნენ წამოსულები და არა გზათაუკან სახეტიალოდ და სხვის აგარაკებზე ღამის სათევად?! მაგრამ რა პროტესტი, რის პროტესტი, როცა თავად ლალიც სწორედ ამნაირ დაგვარგვინებას ელოდა და სწორედ ეს უნდა! უნდა და უნდოდეს, ღმერთმა ხელი მოუმართოს — აქ არავინ აპირებს მის პირად საქმეებსა და გრძნობებში ჩარევას, მაგრამ დამცირებულსა და დაბნეულ მკითხველს აი, რა აკვირვებს და ანტერესებს: თუკი ამ მოგზაურობის მთავარსა და ერთადერთ მიზანს მცხეთაში სხვის აგარაკზე მათი ერთად ღამისთევა შეადგენდა, მაშ, რისთვის და ვიღასთვისღა იყო საჭირო ლეკენდა ავადმყოფ დედაზე?! საინტერესოა, აქ ლალი ერეკლეს ატყუებს, თავის თავსა თუ მწერალს?! თუ პირიქით: სამდევნი — ლალიც, ერეკლეცა და, რაც მთავარია, მწერალიც — მკითხველებს აბარყყვებენ?!

სხვისი არ ვიცი, მე კი ან, რა უფრო მორგუნავს, როგორც ადამიანს: ერეკლესა და ლალის ურთიერთობაში არამცთუ სიყვარულის ნასახი, არამედ უბრალოდ ადამიანური გულწრფელობაც კი არა ჭაჭანებს. უფრო მტრიც — ისინი ერთმანეთისადმი კი არა, თვით საკუთარი თავის წინაშეც კი არ არიან გულწრფელნი: ლალი ერეკლესთან შეერთხორცების წყურვილს დედის ავადმყოფობით ნიღბავს, ერეკლე კი (მწერალი კაცი!) **„თავჭუდმოგლეჯილი“** გარბის ვითომდა გასაჯირში ჩავარდნილი ქალის დასახმარებლად, სინამდვილეში კი ქვეშეცნეულად უკადრისი აზრები უტრიალებს, რათა ხელიდან არ გაუშვას **შემთხვევა!** როცა მსგავს შემთხვევაში ეკუმარიტი სიყვარული ჩასახება და აღმოცენდება, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შორეული დეიდა ან ძია ავად არის თუ კარგად, ანდა სად იმყოფება ქმარი: შინ, ციხეში, მიელნებში, ქორწილში, აგარაკზე თუ პოლუსზე. წეღან **„ვეფხისტყაოსანი“** ვახსენე. მოდით, მეთორმეტე საუკუნიდან ახლა ჩვენს საუკუნეში გადმოვინაცვლოთ და ავიღოთ, მაგალითად, ამერიკელი მწერლის **სკოტ ფიცჯერალდის რომანი „ნაზია ღამე“.**

ამერიკელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნიკოლი და დიკ დაივერები სამხრეთ საფრანგეთის კურორტებზე ისვენებენ და მოგზაურობენ. ნიკოლი შეუყვარდება სხვა მამაკაცს — ტომ ბარბანს. ნიკოლს და ტომს შეყვარებით კი შეუყვარდებათ ერთმანეთი, მაგრამ ნაწარმოებში როგორ გაიხსნას კვანძი? და აქ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ თითნის ამერიკელი მეუღლე-ქალის პრესტიჟის შესალაზრებელ ზნეობრიობის ყალბ ალიბს და სახელდახელოდ შეხანხლული იაფფასიანი **შემთხვევების** ღობეყორეს არ მოიფარებს ნიკოლს, რათა ყველაფერი დაბრალდეს სწორედ ამ **შემთხვევას** და არა ყოველი რიგიანი ამერიკელისთვის სათაყვანებელსა და გასაფრთხილებელ არსებას — დედას, მეუღლეს, ოჯახს დედობიერ, ერის მორალურ-ზნეობრივ განსახიერებას, ამ შემთხვევაში ქალბატონ ნიკოლი დაივერს.

მაინც როგორ იხსნება კვანძი? ნიკოლი და დიკი სასპორტმახეროში სხედან. ნიკოლი თავის სარკეში დაინახავს, რომ უეცრად გამოჩენილი ტომი მამაკაცთა განყოფილებაში შეავ, მის ქმარს, დიკს თავზე დაადგება და რაღაცას ეტყვის. დიკი წამოდგება, გასაპნულ პირისახეს პირსახოცით შეიშშენდს, მერე მამაკაცები ნიკოლსაც გამოიხმობენ ქალთა სალონიდან და კაფეში განცალკევდებიან. აქ ყველაფერი, მართალია, მოკლედ და სასტიკად, მაგრამ გასაკვირი პირდაპირობით, ვაკაცურად და, რაც მთავარია, ყოველგვარი კატაკგრძნობანას გარეშე გაირკვევა. ტომი პირდაპირ განუცხადებს დიკს — შენს ცოლს აღარ უყვარხარ, ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთიო. დიკს მეუღლის აზრი დაინტერესებს. ნიკოლიც ქმარს პირფთვნელად ეუბნება სასტიკ სიმართლეს: მართალია, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ბოლო ხანს შენ ეს მოსაწყენ ჩვეულებად გადაგექცა, სრულიად ვეღარ მამჩნევ და ამდენად მე აღარ შემიძინა შენთან ცხოვრება — დიკს მივყვებიო, რაც ბოლოს ასეც მოხდება.

მოკლედ, აქ მეტისმეტად სულის შემძვრელი სცენა თამაშდება და მიუხედავად იმისა, სიყვარულით ფრთაშესხმული ნიკოლი და ტომი მაღლდებიან, დიკი კი — როგორც ქმარი! — ნადგურდება, წმინდა •დამიანურობის თვალსაზრისით არავინ რჩება დამარცხებული, ვინაიდან გაიმარჯვა სიყვარულმა! და რაოდენ მოულოდნელი და საკვირველიც უნდა იყოს, მკითხველის უფრო მეტი თანაგრძნობა და ერთგვარი აღტაცება განადგურებული დიკისკენ იხრება. და არა იმიტომ, რომ მან ცოლი დაკარგა და მორალურ-ზნეობრივად დაზარალებულია. არა! დიკ დაივერი ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი მოწოდების სიმაღლეზე დარჩა, ვაკაცურად გაუძღო განსაცდელს და ცოლს უკადრისი, სწორუპოვარი მამაკაცისთვის შეუფერებელი სცენები არ გაუმართა. დიახ, მან იმ მძიმე წუთებში ნათლად შეიგნო: ცოლი უსულო საგანი როდია, ფარდულში ალაბედზე ნაყიდი რაღაც უმნიშვნელო ნივთივით მიაგდო კუთხეში და მიივიწყო. პირიქით: ცოლქმრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულს უფრო მეტი ყურადღება, სითბო და გაღვივება-გაღრმავება ესაჭიროება. დროებით სხვა ქალწულთან გატაცებულმა დიკმა კი ეს მარტივი ჭეშმარიტება დაივიწყა და აჰა — კანონზომიერმა ოჯახურმა კატასტროფამაც არ დააგვიანა. ამიტომ მას ისევ დარჩენია, დიდსულოვნად გადაიტანოს თავს დატეხილი უბედურება, გზიდან უსიტყვოდ ჩამოცალოს აწ უკვე გაუცხოებულ ცოლყოფილს და ევროპიდან ეულად დაუბრუნდეს თავის ამერიკას.

აბა, ახლა ვიკითხოთ — რა ღირსება შერჩებოდა ქალბატონ ნიკოლს, საერთოდ, რომანს, დაბოლოს ავტორს, მას სიუეტური განვითარების ასეთი გზა რომ ავირჩია — კეთილი, ნიკოლა და ტომს ერთმანეთი კი შეუყვარდებათ, მაგრამ შეერთხორცების **შემთხვევა** რომ არ ეძლევათ?! თან ნიკოლს არც ოჯახის დანგრევა და ქვეყნის ყბაში ჩავარდნა სურს. და აი, მოულოდნელად დიკს რაღაც საქმეები გამოუჩნდება ამერიკაში და პირველივე გემით გაემგზავრება მატოკა. აბა, ამაზე უკეთესი **შემთხვევა** სხვა რაღა და როდისღა უნდა მიეცეს შეყვარებულ წყვილს — დროც ეს არის! და აქ აღტაცებული ნიკოლი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი ქმარი უკვე ატლანტიკის ოკეანის ტალღებს მიაპობს, ცეღლუტურად გამოგონებული რაიმე **შემთხვევის** მახეში ოსტატურად გაბამს ტომს, ხორციელ ტკბობას მიეცემიან და ა. შ. და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში ჩირადაც აღარ ეღირებოდა რომანის ღირსება, ვინაიდან ამგვარ შემთხვევათა ჯაჭვი არამცთუ ვააფრქოთალებდა, არამედ მკითხველისთვის გაუგებარს გახდიდა უმთავრესს: მწერლის მიერ ასე ხალტურულად გამომტყვრალი **შემთხვევა** რომ არა, რა გადა წყვეტილებებს მიიღებდნენ რომანის გმირები, საბოლოოდ რანაირი ზნეობრივ-მორალური გზით წასვლას ამჯობინებდა თითოეული მათგანი.

ვეხები რა სკოტ ფიცჯერალდის ამ რომანს, ამასთანავე ნათლად ვგრძნობ მოსალოდნელ საფრთხეს: შეიძლება ზოგიერთმა ოპონენტმა ბრალი დამდოს, თითქო ოჯახების დანგრევის ყბადაღებულ პროპაგანდას ვეწეოდე და ჩვენს ქმრიან ქალებს ნიკოლი დაივერს მისაბაძ მაგალითად ვუსახავდე! არამც და არამც! აქ ნაწარმოების მხატვრულ ღირებულია და მოქმედ პირთა ფსიქიკის ობიექტურად ასახვაზეა კამათი და არა რამის — ამ შემთხვევაში ოჯახის დანგრევა-შენარჩუნების — მარტივ პროპაგანდაზე.

ისე კი, რასაკვირველია, ყველაფერს აჯობებდა, რომ როგორც ნებისმიერი ეროვნების, მათ შორის ქართველმა ქალმაც ყველა მისაღები ბერი იხმაროს ოჯახის შესანარჩუნებლად. მაგრამ თუ დაიქცა ქვეყანა და საშველი აღარ არის, ბაშინ მწერალს უნდა გააჩნდეს იმდენი ნიჭი, ოსტატობა და ობიექტურობის გრძნობა, რომ ისევდაც სვეგამწარებულ ქალს ხელოვნურად აღარ მოაბეიოს დამნაშავის კომპლექსის გრძნობა და მისი შემდგომი მისწრაფება და საქციელი სქემატურად არ გადაავბრალოს, მაგალითად, ქმრის შინ არყოფნას, დეიდის ავადმყოფობას, გზაში შემოღამებას, პაპიდის ავარიაში მოყოლას, ბინის გასაღების დაკარგვას და სხვა უთვალავსა და იოფფასიან **შემთხვევას**, რათა ქალს როგორმე შეუკოწიწოს უდანაშაულობისა და ზნეობრიობის ყალბი ალები.

თუმცა, ნათქვამია: ერთი ღმერთისკენ, ერთიც ეშმაკისკენო. — ბევრი ჩვენი მწერლის ნაწარმოებში ქმრიანი ქართველი ქალის არაორდინალური საქციელი სქემატურად რომ ბრალდება ხოლმე **შემთხვევას** და არა თვით მას, ქალს, ეროვნულ-პატრიოტული თავმოწონების თვალსაზრისით მკითხველთა გარკვეულ ფენაში ჰქონდა, ახლაც აქვს და, ალბათ, მომავალშიც ექნება ერთგვარი ხიბლი და დადებითი გავლენა. მაგრამ ეროვნულ-პატრიოტულ არსს თავისი ადგილი და კანონი რომ აქვს და მხატვრულ ლიტერატურას — თავისი?! სამწუხაროდ, როცა მწერალი მსგავს შემთხვევაში ცდილობს ყველაფერი **შემთხვევას** გადააბრალოს, ხოლო ყველა ჩვენთაგანის სათაყვანო არსებას — ოჯახის დედაბოძს, ქმრიან ქალს კი ნამუსი მოსწმინდოს, არსებითად, ამით მას დათვურ სამსახურს უწევს, ვინაიდან როგორც ყველაფერს, ისე ამ სავანსაც გააჩნია მედლის ორი მხარე. აბა, გონებაფხიზლად ჩაუკვირდეთ, რა გამოდის. ქართველი ქალი ისეთი გონებაშეზღუდული, უსულგულო, ტლანქი, რეგვენი, გრძნობასუსტი, უთავმოყვარეო და ერთიჯრედა არსება ყოფილა, ; ; ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ-ქვეშა, თვალთმაქცი, მაცდური, გაუმაძღარი და განურჩეველი. მისთვის სულ ერთია, ღირსეული ქმარი ჰყავს თუ უღირსი, ერთგული თუ მოღალატე. ამ ქალის უმთავრესი აზრი და მიზანი ესა ყოფილა — მიზანში ამოღებულ სხვა მამაკაცებს ხაფანგივით ოსტატურად დაუგოს (როგორც ლალიმ, ამ „გამოცდილმა მონადირემ“ დაუგო ერეკლეს!) რამე **შემთხვევა** და თავისით წამოეგოს ხოლმე ანკესზე. ოღონდ კი ისე, რომ საბოლოოდ ეს ყველაფერი გადაბრალდეს იმ საძაგელ **შემთხვევას**, რომლითაც ვითომ ბოროტად ისარგებლა ძლიერი სქესის წარმომადგენელმა. ხოლო მას კი, ე. ი. ქალს, მკითხველს, პარტნიორის და საკუთარ თვალში შეუნარჩუნდეს თავისი ნამუსიანობისა და ოჯახის ერთგული მანდილოსნის ალიბი.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ბევრ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში ასე პრიმიტიულად და სქემატურად გადაიჭრება ხოლმე ეს ურთულესი საკითხი, რაც მკითხველის გულისტკივილს იწვევს.

ეს სტატიაც სწორედ ამნაირი გულისტკივილის ნაყოფია.

* * *

პატივცემულო მკითხველო, სტატიის მეტისმეტად გაგრძელების შიშით იძულებული ვარ აქ დავსვა წერტილი, თუმცა ამ მოთხრობაში არის კიდევ ორი-სამი ისეთი საკამათო მომენტი, რისთვისაც ღირდა ოფლისა და მელნის დახარჯვა. მაგრამ წედან მოყვანილი მიზეზის გამო ამჯერად ამით დავამთავრებ და შემდეგ რედაქციასა და მკითხველებს თუ ექნებათ სურვილი, საფუძვლიანად შევეხები იმ მომენტებსაც, რომლებზეც მსჯელობა, მერწმუნეთ, არანაკლებ საინტერესო იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა სამუშია

ვარიაგების მოწვევისა და სასირეთის ჭალისთავს მომხდარი ომის დათარიღებისთვის

XI საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში მიმდინარეობდა დუნდობელი ბრძოლა საქართველოს მეფეს ბაგრატ IV და კლდეკარის გამგებელ ლიპარიტ ბაღვაშს შორის. ამ ურთიერთშუღლში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები. ლიპარიტს ბიზანტიის იმპერია უჭერდა მხარს, საქართველოს მეფეს კი ხკანდინავიელი მეომრები, რომლებსაც ქართველი მემატიანე „ვარანგთ“ უწოდებს. ლიპარიტ ბაღვაშის მხარეზე ბაგრატ IV ნახევარძმაც იბრძოდა, დიმიტრი გიორგის ძე, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა სამეფო ტახტზე და სწორედ ამიტომაც საკანგებოდ იყო ჩამოყანილი კონსტანტინოპოლიდან!

„მატიანე ქართლისაჲ“ მიხედვით, მეფეს და ერისთავს შორის დაპირისპირება დაწყებულა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს ქ. ანისიდან გამოუტყუებია ბაგრატის დედა მარიამ დედოფალი და ქართველი დიდებულები, რომლებიც ამ ხანად აკონტროლებდნენ ქალაქს. ამ აქციას მოაყოლია ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სომხური სამეფოს დაცემა და მისი ბიზანტიის კუთვნილებაში გადასვლა. „მატიანე ქართლისაჲ“ ავტორი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ანისის დაცემის შემდგომ საქართველოში მომხდარ მოვლენებზე, იგი ხახელდობრ დასძენს, რომ ბიზანტიელთაგან ქ. ანისის დაჰყრობის ფაქტის შეტყობისთანავე, ბაგრატ IV სასწრაფოდ თბილისი მიუტოვებია და ჯავახეთში გამგზავრებულა. მეფე სამხედრო სამზადისს შესდგომია. მას აწყურის ეპისკოპოსისათვის საკანგებოდ დიდძალი თანხა გადაუცია, მისხი მეომრების დასაქირავებლად. მაწყვარელსაც არ უღალატია პირობისათვის და ორგზელას მდგარ მეფესთან მისულა, მეხხი მეომრების თანხლებით. ამასობაში ლიპარიტ ბაღვაში ანისიდან სამშობლოსკენ ბრუნდებოდა. იგი ფარავნის ტბის მიდამოებში დაბინავდა და აქ შეუდგა მეფის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნას. მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ, ბაგრატ IV მოსულმა მაწყვერელმა უეცრად ზურვი აქცია მეფეს და ლიპარიტს ეახლა. ამით შეშინებულმა ბაგრატმა, დიდი თოვლის მიუხედავად, შეახლო ამ ადგილებს გასცლოდა და ქართლში გადასულიყო. როგორც ჩანს, მოქიშვეებს მთელი ზამთარი სამხედრო სამზადისში გაუტარებიათ. ლიპარიტ ბაღვაშს ბიზანტიაში გაუგზავნია კაცი და დახმარება უთხოვნია, მათაც ლაშქარი და დემეტრე უფლისწული გამოუგზავნეს საქართველოში. ამ ხანად, არც ბაგრატ IV იყო ხელდაკრეფილი, მანაც სახელდახელოდ ვიკინგთა რაზმი (3000 კაცი) დაიქირავა. ხკანდინავიელი მეომრები დახვლეთ საქართველოში სოფ. ბაშში მოვიდნენ.

გადამწყვეტი ბრძოლა შიდა ქართლში გაიმართა, სოფ. ხახირეთში. ეს სოფელი თეძამის ხეობაშია გაშენებული და ჭალაც (მატიანეში იკი „სასირეთის ჭალადაა“ მოხსენიებული), სადაც მოწინააღმდეგეები შეეფნენ ერთურთს, სწორედ ამ მდინარის პირახაა. ამ შეტაკებში მეფის არმია დამარცხდა და უკუიქცა. ბუნებრივია, ეს დამარცხება არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ცენტრალურ ხელისუფლებას ოა ამიტომაც, რამოენიმე ხნის შემდეგ, რევანშის ხახით ბარატ IV კვლავ შეუტია ლიპარიტ ბაღვაშს. ამჯერად, მეფე და ერისთავი, სამხრეთ საქართველოში, არაის ციხესთან შეებრძოლნენ ერთმანეთს. ამ ომში კვლავ მეფე დამარცხდა.

ეამარჯვებულმა ერისთავმა დაიგული რა ქვეყნის შიგნით მყოფი ცენტრისტული ძალები დაძლიულად, ახლა უკვე აქტიური საგარეო პოლიტიკის კატარება დაიწყო. იკი, მემატიანის სიტყვით რომ ვთქვათ: „ვარეს-ვარე წავიდა“ სალაშქროდ. მან ბიზანტიის ლაშქართან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვინს შეუტია. ამჯერადაც, ლიპარიტი თავისი მფარველის ინტერესების მიხედვით მოქმედებდა. ეს ერთგვარი ხარკის გადება იყო იმ დახმარებისათვის, რასაც ბიზანტია უწევდა ურჩ დიდებულს.

მთელი ეს მოვლენები ქართულ ისტორიოგრაფიაში უპირატესად 1046-1047 წლებითაა დათარიღებული, მხოლოდ კონკრეტულად დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლა, ვარიაგთა მოწვევა და სახირეთის ჭალისთავს გამართული ბრძოლა 1047 წლით (ივ. ჯავახიშვილი, ვ. კოპალიანი, შ. მეხუთა, დ. ბერძენიშვილი, ზ. პაპასყირი, გ. ანჩაბაძე, ა. ბოგვერაძე, ა. კახაძე, კ. მკრტუმიანი და სხვა...). ოღნავ სხვაგვარადაა დათარიღებული ეს მოვლენები პროფ. მარიამ ლორთქიფანიძის მიერ. პატივცემული მეცნიერი 1047-1048 წლებში აქცევს ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაშის ზემორე მოთხრობილ შუღლს. საკანონოდ უნდა გამოეყოთ პროფ. ს. მარქარიანის შეხედულება, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება სხვა ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან. მისი აზრით, მხოლოდ 1048-1049 წლებში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი მეფისა და ერისთავის შუღლს. მკვლევარს მეფისა და ლიპარიტის შეტაკება 1043-1049 წლებში გადაჰქონ.

უკანასკნელ ხანს ბევრი საინტერესო გამოკვლევა გამოჩნდა სამეცნიერო ასპარეზზე. მათი და „მატიანე ქართლისაგან" ტექსტის უფრო დაწვრილებით გაცნობამ, შესაძლებლობა მოგვცა ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დათარიღება. მთელი ეს მოვლენები, ჩვენის აზრით, უნდა მომხდარიყო 1045-1046 წლებში და არა 1046-1047 წლებში, როგორც აქამდე ეიინვენდნენ. საქმე იმაშია, რომ ანისის დაცემა, რომლის შემდეგომაც დაიწყო მთელი ეს აშლილობა, მოხდა 1045 წლის შემოდგომისას, სომხურ ისტორიოგრაფიაში ეს თარიღი უყოფმანოდაა მიღებული. მას, უკანასკნელ ხანს, კიდევ ერთხელ საკანონოდ შეეხო პროფ. კ. იუზბაშიანი, რომელმაც სომხურ და ბიზანტიურ წერილობითი წყაროების (მათე ედესელის, არისტარქე ლასტივერტელისა და სკილიცეს) უთანხმო შეჯერების შედეგად შეაჯარა ზემორე მოხსობილი თარიღი. „ანაის დაპყრობა, მოხდა 1045 წელს, რაც დასტურდება სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ავტორებთანო", — დასძენს მეცნიერი.

ქართველი მემატიანეს დახმარებით შესაძლებელია ანისის აღების დროის დაკონკრეტებაც კი. „მატიანე ქართლისაგან" კვლთხულობთ: „და ვითარ ამას შინა გარდახდეს დღენი ზაფხულისანნ... კვალად იწყო ლიპარიტ ბაოვე ფიცხელთა საურავთა და ვამოიტყუენა ანნისთ ფედოფლისაგან... ქართველი დიდებულები... და შეიპყრო იგინი ანისის კარსაო". ქალაქიდან ქართველი წარჩინებულების გამოტყუებას უშუალოდ მოჰყოლია ანისის დაცემაც. როგორც ერთი ახალი მკორე ფაქტი 1045 წლის შემოდგომისასაა საკუთარები, რამეთუ, მემატიანის მიხედვით, „დღენი ზაფხულისანი" უკვე გარდასული იყო. „მატიანე ქართლისაგან" მონათხრობით, საქართველოს მეფეს ითვეენ ზამთარში ჯავახეთი მიუტოვებია და ქართლში გადასულა. სწორედ მომდევნო წლის (ვ. ი. 1046) პირველ ნახევარშია საკუთვებელი დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლა და ამის შემდეგომი მოვლენები. ამდენად, უპრიანი იქნება და ისტორიულ რეალობასთან ახლოს, თუ ბაგრატ-ლიპარიტის ამ ურთიერთბრძოლას 1045-1046 წლებით დავათარიღებთ. ამ შემთხვევაში, კონკრეტულად დემეტრე უფლისწულის საქართველოში ჩამოსვლა, ვარიაგების მოწვევა და სახირეთის ომი 1046 წელს უნდა მომხდარიყო.

„მატიანე ქართლისაგან" პირდაპირაა მითითებული, რომ ბაგრატ IV და ლიპარიტ ერისთავთან დაპირისპირება ანისის შემდეგ დაწყებულა. მატიანეს თხრობის თანმიმდევრობა ეთანხმებაა ეჭვიანობა ეჭიდება დასკვნა, რომ ეს შუღლი მომდევნო წლის პირველ ნახევრამდეც გაგრძელებულა, ე. ი. 1046 წლის ზაფხულამდე. ამდენად უპრიანი იქნება მთელი ეს მოვლენები 1045-1046 წლებში მოვაქციოთ.

საკითხის ამ ვარიანტი თვალნათლივ წარმოაჩენს ჩვენს მიერ შემოთავაზებული დათარიღების უპირატესობას. ზემოთ ხაოანაღო ადგილას აღინიშნა, რომ არიის ციხესთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ლიპარიტმა ბიზანტიელებთან ერთად დვინზე ილაშქრა.

როდის შეიძლება მომხდარიყო ლიპარიტ ბაღვაშის დვინზე ლაშქრობა?

აღნიშნული პერიოდის წინა აზიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს თუ მივადევნებთ თვალს, უნებლიეთ წარმოჩინდება ის ხაზგასმული დაპირისპირება, რომელიც 1045-1047 წწ. არსებობდა ბიზანტიის იმპერიასა და დვინის საამიროს შორის. ჩვენი აზრით, ლიპარიტის დვინზე ლაშქრობაც სწორედ ბიზანტიის იმპერიის მიერ წარმოებული კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველმა ერისთავმა თავისი მადლიანი ხელი მიაშველა ბიზანტიელებს, რომლებიც ძალუმად ცდილობდნენ დვინის საამიროს დალაშქვრას. ასეთ შემთხვევაში უკვე ადვილად მოიძებნება ახსნა მატიანისეულ მინიშნებას, რომ „ლიპარიტ... ულაშქრა ბერძენთა მეფესაო"... რაც ეს ბანს, ამ დროს ქართველი ერისთავი კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055) თხოვნისამებრ მოქმედებდა.

რაც შეეხება თავად ბიზანტიის იმპერიის დვინზე ლაშქრობას, იგი ანისის დაცვის შემდეგ დაიწყო და პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს.

ანისის სამეფოს დამორჩილებისათვის წარმოებული ომის ჟამს (1044-1045 წწ.) ბიზანტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიის მესვეურებმა შეგნებულად საკმაოდ კარგი ურთიერთობა დამყარეს დვინის ამირასთან აბუ-ლ-ასვართან. კონსტანტინოპოლელ პოლიტიკოსთა ეს ნაბიჯი უპირველესად განპირობებული იყო რეალური პოლიტიკური სიტუაციით. ბიზანტიას ამ დროს სჭირდებოდა წინა აზიაში მძლავრი მოკავშირე, რომელიც დაეხმარებოდა მას ანისის სამეფოს დაპყრობაში. იმპერატორმა კონსტანტინე IV მონომახმა საგანგებო უფლებაც კი მისცა აბუ-ლ-ასვარს დაეწყო ანისის სამეფოს იმ ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც მის ქვეყანას ემიჯნებოდა. დვინის გამგებელმაც არ დაყოვნა და უმოკლეს ხანში რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე იგდო ხელთ.

ბიზანტიელთა მცდელობა ჩაებათ დვინის ამირა აბუ-ლ-ასვარი ანისის წინააღმდეგ ომში, გამართლდა. მათ ამით შეძლეს მეორე ფრონტი გაეხსნათ ანისის დამცველთათვის. 1045 წ. შემოდგომას ეს ქვეყანა იმპერიას შეუერთდა. ბიზანტიელებმა ეხლა დვინის ამირას მოსთხოვეს იმ ციხე-სიმაგრეების დატოვება, რომელნიც რამდენიმე ხნის წინ თავად იმპერატორმა უბოძა მათ. რა თქმა უნდა, აბუ-ლ-ასვარი არც კი ფიქრობდა დათმობაზე წასულიყო და იმპერატორს უარი შეუთვალა. ამგვარი პასუხი გამოწვევად მიიღეს ბიზანტიელებმა და დვინის წინააღმდეგ მძლავრი სამხედრო მოქმედება დაიწყეს.

ამ ლაშქრობის პირველი ეტაპი, როგორც ფიქრობენ, დაახ. 1045-1046 წლებით უნდა წარმართულიყო. იგი უშუალოდ მოქცევა ანისის სამეფოს დაკავშის. ამ კამპანიამ ქალაქ დვინთან დიდი მარცხი განიცადა. ამ დროინდელ მემატიანეს თუ დაუჯერებო, ბიზანტიელების ხაომარი მოქმედებანი მეტად არაორგანიზებული ყოფილა, ამით საკმაოდ კარგად უსარგებლია აბუ-ლ-ასვარს და დვინის მიდამოებში ბიზანტიელთა ხოცვა-ჟლეტვა ეაუმართავს. ამ ტრაგედიამ როგორც კი კონსტანტინოპოლამდე მიაღწია, იმპერატორმა სასწრაფოდ ლაშქრის მეთაურების შეცვლა ბრძანა. კონსტანტინე IX მონომახმა სრულიად სამართლიანად მოელი პასუხისმგებლობა მათ დააკისრა. ნიკოლოზსა და იასიტეს თანამდებობები ჩამოართვეს. იასიტეს მაიერ იბერიის თემის მმართველად კეკავმენილი დანიშნეს, ხოლო ნიკოლოზის მაგიერ ლაშქრის მთავარსარდლად კონსტანტინე სპეფრისი, წარმოშობით სარკინოზი განამწესეს. ეს ცვლილება დაახ. 1046 წლის პირველ ნახევარშია საგულვებელი. თანამდებობათა ცვლას ბიზანტიელთა საერძნობი ეაარტიერება მოპყოლია. „ეიხინი თავიანთ ადგილებზე მივიდნენ, — აღნიშნავს კედრენე, — შეკრიბეს ჯარები და საქმეს შეუდგნენო“. წინათ თუ მთავარი დარტყმის ობიექტი ქ. დვინი იყო, ამჯერად, მიზანი ერთგვარად შეიცვალა. ახლა უმთავრესი ყურადღება იმ ციხე-სიმაგრეებზე გადაიტანეს, რომლებიც აბუ-ლ-ასვარს მიტაცებული ჰქონდა ანისის სამეფოსაგან. ბიზანტიელებმა მათი თანმიდევრობით ეანთავიისუფლება დაიწყეს. იმპერიის სამხედრო შენაერთები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ქ. დვინს, მაგრამ თავად იმპერიაში დაწყებულმა არეულობამ შეაჩერა ეს წინსვლა. ლეო-ფორნიკეს აჯანყების დაწყებამ (1047 წ. სექტემბერი) აიძულა ლაშქრის მხედართმთავარნი დაბრუნდნენ აბუ-ლ-ასვარს და მთელი ძალები კონსტანტინოპოლისაკენ წარეგზავნათ.

ყოველივე ზემორე თქმულიდან კი ნვენს წინაშე ასეთი სურათი გადაიშლება; ანისის სამეფოს ოკუპაციიდან მოყოლებული, ვიდრე 1047 წლის შემოდგომამდე დვინის წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერიამ ეანახორციელა მძლავრი სამხედრო აქცია, რომელიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად:

ა) 1045-1046 წწ. როდესაც სამხედრო მოქმედებებს ნიკოლოზ პარაკიმანონი ხელმძღვანეოლობდა და ბ) 1046-1047 წწ. როდესაც ლაშქრობას კონსტანტინე საჭურისი ედგა სათავეში. მხოლოდ 1047 წლის შემოდგომიდან, ძალიან ხანს, ამ რეგიონში შედარებით სიმშვიდე სუფევდა.

ახლა შევეცადოთ ეს ცნობები შევაეკეროთ „მატიანე ქართლისაჲს“ მონათხრობთან, სადაც გადმოცემულია ნვენთვის საინტერესო ამბები.

1045 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც სავარაუდოა ბიზანტიელთა დვინზე ლაშქრობის დაწყება, ლიპარიტ ბაღვაში საქართველოში ჩანს. ქართველი მემატიანეს თქმით, იგი ანისიდან წამოსული „ძოადა ფოკათა“. აქ ლიპარიტი მეფის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნით ყოფილა დაკავებული. კლდეკარის ეამეებელი თავის სამშობლოშია 1046 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. ამ დროს იგი ენერგიულად ებრძოდა საქართველოს მეფეს. ამ ურთიერთშეულაბ ზაფხულამდის ეახტანგ, როდესაც არღის ციხესთან ერისთავმა კიდევ ერთი მწყავე მარცხი აუკმა მეფეს, რომლის შემდეგ ეს უკანასკნელი აფხაზეთს ეადგებეეწა. ქართველი ეამთავარმწყრალის მიხედვით, ლიპარიტის დვინზე ლაშქრობას თურქე, წინ უსწრებდა სახარეთის ჭალისთავსა და არყის ციხესთან მოძხდარი ბრძოლები. ამდენად, დვინზე ლაშქრობა 1046 წლის II ნახევარზე მოდის.

„მატიანე ქართლისაჲს“ ცნობები ვეაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ლიპარიტ ბაღვაშს ბიზანტიელთა დვინზე ლაშქრობის პირველ ეტაპში, (რომელიც 1045-1046 წწ. თავსდება) მონაწილეობა არ უნდა მიეღო. უფრო უპრიანია მივიჩნიოთ, რომ ქართველ მემატიანესთან მოხსენიებული კამპანია, ბიზანტიის იმპერიის მიერ დვინის საამიროს წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებათა მეორე ეტაპის შემაჯამებელი ნაწილი იყო, რომელიც სწორედ 1046 წლისათვის უნდა დაწყებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია მადლობას უხდის თავის თანამშრომელს ბატონ **ნოდარ ბაქრაძეს**, ვისი დახმარებითაც იბეჭდება ჟურნალის ეს ნომერი.

70
9.VI 95

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.82; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43; 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

ადაეცა ასაწყობად 10.03.94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.05.95 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. ნაგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 554. ტირაჟი 1000.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ოლ“, 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

2-95

95-70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲡᲘ ᲬᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲞᲝᲜᲘ.

Ა 4299/2